

პაატა რეკვაზა
რომან კუსიანი

აღვილობრივი ხელისუფლების
განხორციელების ფორმები
საზღვარგარეთის ქვეყნებში
და საქართველოში

თბილისი
2002



პროექტი დააუინანსა ფონდმა
"ღია სამოგალოება – საქართველო"

წინამდებარე წიგნში განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი თეორიები და სისტემები. დახასიათებულია საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივი მართვის სისტემაში შემავალი ხელისუფლების დონეები და მათი ფუნქციები, დამოკიდებულება ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, გაანალიზებულია ადგილობრივი ხელისუფლების საუნიანსო სისტემა. მოცემულია ადგილობრივი მართვის ორგანიზების თავისებურებანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებში. აღწერილია ის ისტორიული გამოცდილება, რომელიც საქართველოს გააჩნია ადგილობრივი წარმომადგენლობითი და მმართველობის ორგანოების არსებობის მხრივ. გაანალიზებულია დეცენტრალიზაციის განხორციელების ამჟამინდელი მდგომარეობა საქართველოში და თვითმმართველობის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დანერგვის ხელისშემშლელი ფაქტორები. დასახულია ადგილობრივი თვითმმართველობის შემდგომი რეფორმის ძირითადი ამოცანები და საკანონმდებლო დონეზე მათი რეალიზაციის ვგები.

წიგნი შეიცავს სასარგებლო დანართებს, რომლებშიც წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სტრუქტურა საქართველოში "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" 1997 წლის 16 ოქტომბერს მიღებული ორგანული კანონისა და მასში 2001 წლის 2 აგვისტოს შეგანილი ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ჩამონათვალი და ტერმინოლოგიური განმარტებები.

წიგნი განკუთვნილია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისათვის და ადგილობრივი მართვის ორგანიზაციით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

რეცენზენტები – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები
გიორგი გოგიაშვილი
კახი ყურაშვილი

ISBN 99928-0-448-3

© პ. რეკვავა, რ. კუსიანი, 2002

**PAATA REKVAVA
ROMAN KUSIANI**

**IMPLEMENTATION FORMS
OF LOCAL GOVERNMENT
IN FOREIGN COUNTRIES
AND GEORGIA**

**Tbilisi
2002**



The project is financed by
the foundation "Open Society - Georgia"

The major theories and systems of local self-government are considered in the present book. There are also described functions and levels of governance incorporated in local management system of foreign countries. Financial system of local government is analyzed. The book also depicts peculiarities of local administration in capitals of countries all over the world.

The book also includes description of historic experience of Georgia in respect of local representative and executive bodies. The current condition of decentralization's execution and factors hampering implementation of self-government according to the international standards are analyzed. Major objectives of further reform related to local self-government and ways for their realization at the legislative level are outlined.

The book includes useful attachments, which present Charter of Europe on local self-government, structure of governance and local self-government in Georgia, according to Organic Law on "Local self-government and administration" adopted on 16th of October 1997 (with amendments and additions made on August 2, 2001), list of laws adopted by Parliament of Georgia in respect of local self-government and glossary of terms.

The book is intended for bodies of local self-government and administration and for all readers interested in organization of local government.

Reviewers – Candidates of Legal Science
Giorgi Gogiashvili
Kakhi Kurashvili

ISBN 99928-0-448-3

© P. Rekvava, R. Kusiani, 2002

*Lows are necessary not only for intimidation
of citizens, but for provision of help tu them*

Walter

INTRODUCTION

Implementation and development of local self-government have social, economic and political importance. The municipal government aims tu improve living conditions of overall population on concrete territory. Stimulating business activity of population, the local self-government assists not only in the rise of effectiveness of local economic circles, but development of regional and national economy. The local self-government fulfills principles of popular government, which means that, citizens have the right tu participate directly or through representative bodies, in decision-making process related to all issues of local importance.

The system of local self-government bodies is elaborated under the influence of historic development processes of each state. After passing centuries-old road, countries all over the world have worked out practical approach related tu development of self-government: the system of existing relations is subject to changeable political processes and as a result we can encounter different models and forms of administrative governance.

The major principles of local self-government in West European countries are always based on entire historic European experience and fundamentals of democratic development. These principles are declared in Charter of Europe on "Local Self-Government" dated 1985.

It is worth noting, that special Georgian literature does not cast enough light on the vast experience related to sphere of local self-government of the modern world. The present publication aims tu correct this drawback and enable local deputies and civil servants to get acquainted with approved forms and major features of government's decentralization and peculiarities of local government system's reform in countries with transitional economy.

The present review is the first attempt tu depict overall practice implemented in local government sphere abroad and in Georgia giving us the opportunity to reveal strong and weak points of active system of local

government on the basis of comparative analyses.

The book is composed in the Committee of Regional Policy and Self-Government of Georgia' parliament. During its preparation there were used informational materials existing in the committee and literature indicated in the composition.

Technical and editorial works were carried out by T. Kalandarishvili and T. Dolidze. The authors thank them for collaboration.

CONTENTS

Introduction	12
Chapter 1. Major theories of local self-government	16
Chapter 2. Systems of Local self-government	20
Chapter 3. Structure of local government and its competencies in foreign countries	23
3.1. United States of Amerika	25
3.2. Germany	33
3.3. Spain	38
3.4. Japan	42
3.5. England	46
3.6. Italy	49
3.7. Netherlands	53
3.8. Greece	55
3.9. France	62
3.10. Sweden	66
3.11. Albania	71
3.12. Poland	74
3.13. Romania	81
3.14. Slovakia	86
3.15. Slovenia	92
3.16. Hungary	98
3.17. Czech Republic	104
3.18. Azerbaijan	110
3.19. Estonia	116
3.20. Latvia	120
3.21. Lithuania	127
3.22. Russian Federation	132
3.23. Armenia	138
Chapter 4. Local Finances	144
Chapter 5. Organization of local administration in capitals of various countries	156
5.1. Budapest	156
5.2. Warsaw	157
5.3. Vienna	157

5.4.London	158
5.5.Moscow	159
5.6.Paris	160
Chapter 6. Stages of local management system development in Georgia	162
Chapter 7. Legal and administrative aspects of transitional period's decentralization in Georgia	171
Literature	187
Attachment I. Chapter of Europe on local self-government	190
Attachment II. Structure of local self-government and governance in Georgia	199
Attachment III. List of Laws adopted by Parliament of Georgia in respect of local self-government	202
Attachment IV. Glossary of terms	202
Attachment V. Voice of the intellect	210

წინასიტყვაობა	12
თავი 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი თეორიები ...	14
თავი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემები	20
თავი 3. საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურა და კომპეტენციები	23
3.1. აშშ	25
3.2. გერმანია	33
3.3. ესპანეთი	38
3.4. იაპონია	42
3.5. ინგლისი	46
3.6. იტალია	49
3.7. ნიდერლანდები	53
3.8. საბერძნეთი	55
3.9. საურანგეთი	62
3.10. შვედეთი	66
3.11. ალბანეთი	71
3.12. პოლონეთი	74
3.13. რუმინეთი	81
3.14. სლოვაკეთი	86
3.15. სლოვენია	92
3.16. უნგრეთი	98
3.17. ჩეხეთი	104
3.18. ამერბაიჯანი	110
3.19. ესტონეთი	116
3.20. ლატვია	120
3.21. ლიგვა	127
3.22. რუსეთის ფედერაცია	132
3.23. სომხეთი	138
თავი 4. ადგილობრივი ფინანსები	144
თავი 5. ადგილობრივი მართვის ორგანიზება სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებში	156
5.1. ბუდაპეშტი	156
5.2. ვარშავა	157
5.3. ვენა	157
5.4. ლონდონი	158

5.5. მოსკოვი	159
5.6. პარიზი	160
თავი 6. ადგილობრივი მართვის სისტემის განვითარების ეჭაპები საქართველოში	162
თავი 7. გარდამავალი პერიოდის დეცენტრალიზაციის იურიდიული და ადმინისტრაციული ასპექტები საქართველოში	171
ლიტერატურა	187
დანართი I. ევროპის ქარგია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ	190
დანართი II. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სტრუქტურა საქართველოში	199
დანართი III. ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ნუსხა	202
დანართი IV. ტერმინოლოგიური ლექსიკონი	202
დანართი V. გონების ხმა	210

კანონები საჭიროა არა მხოლოდ მოქალაქეების დასამინებლად, არამედ, მათ დასახმარებლადაც.

ვოლგერი

წინასიტყვაობა

ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრებასა და განვითარებას აქვს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. მუნიციპალური ხელისუფლება ორიენტირებულია კონკრეტული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასტიმულირებს რა მოსახლეობის საქმიან აქტიურობას, ადგილობრივი თვითმმართველობა ხელს უწყობს არა მხოლოდ ლოკალური ეკონომიკური რგოლების ეფექტურობის ამაღლებას, არამედ რეგიონული და ეროვნული ეკონომიკის განვითარებასაც. ადგილობრივი თვითმმართველობა ახდენს სახალხო ხელისუფლების პრინციპების რეალიზებას, ანუ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში მოსახლეობის საკუთარი ნებით რეალურად ან წარმომადგენლობითი ორგანოების საშუალებით მონაწილეობის მიღებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სისტემა თითოეული სახელმწიფოს ისტორიული განვითარების პროცესების გავლენით ყალიბდება. მრავალსაუკუნოვანი გზის გაელის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა გამოიმუშავეს თვითმმართველობის განვითარებისადმი პრაქტიკული მიდგომა: არსებული ურთიერთობების სისტემა დაუქვემდებარეს ცვალებად პოლიტიკურ პროცესებს, რის შედეგადაც მრავალ რეგიონში სხვადასხვა მოდელი და ადმინისტრაციული მართვის სხვადასხვა ფორმა გვხვდება.

დასაქვლეთ ევროპის ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები ყველგან საერთო-ევროპულ ისტორიულ გამოცდილებას და დემოკრატიული განვითარების პრინციპებს ეყრდნობა. ეს პრინციპები კი დეკლარირებულია 1985 წლის “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ევროპის ქარტიაში.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ნაკლებად არის გაშუქებული ის უზარმაზარი გამოცდილება, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებობს თანამედროვე მსოფლიოში. მოცემული პუბლიკაცია მიზნად ისახავს შეავსოს ეს ხარვეზი და ადგილობრივ დეპუტატებსა და მოხელეებს მისცეს საშუალება გაეცნონ

ხელისუფლების დეცენტრალიზაციის აპრობირებულ ფორმებსა და ძირითად მახასიათებლებს, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ადგილობრივი მართვის სისტემის რეფორმის თავისებურებებს.

წინამდებარე მიმოხილვა პირველი ცდაა საზღვარგარეთ და საქართველოში ადგილობრივი მართვის სფეროში დამკვიდრებული პრაქტიკის კომპლექსური ასახვისა, რაც გეაძლევს შესაძლებლობას შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვაყლინოთ ადგილობრივი ხელისუფლების სამამულო მოქმედი სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები.

წიგნი მომზადებულია საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზის შექმნის პროცესში ავტორების მრავალწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე. მასზე მუშაობის დროს, ძირითადად, გამოყენებულია კომიტეტში არსებული საინფორმაციო მასალა და ნაშრომში მითითებული ლიტერატურა. გექნიკერ-სარედაქციო სამუშაოები შეასრულეს თ. კალანდარიშვილმა და თ. დოლიძემ, რომლებსაც ავტორები მადლობას მოახსენებენ თანამშრომლობისათვის.

თავი 1. ალგილობრივი თვითმმართველობის კირითაღი თეროჩიეაი

ტერმინი "თვითმმართველობა" გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. ა. გოკილის ეპოქაში, თუ ვიმსჯელებთ ამერიკული დემოკრატიის აღწერით, არ იყო მისი ბუსტი განსაზღვრა. ამ ტერმინით აღნიშნავენ დემოკრატიულ ხელისუფლებასაც, სახალხო სუვერენიტეტსაც და ადგილობრივ (მუნიციპალურ) მმართველობასაც.

თვითმმართველობის ცნება ამჟამადაც მკაცრად არ არის დაფიქსირებული, ხშირად მასსა და სახალხო ხელისუფლებას, ადგილობრივ მმართველობას შორის დასმულია გოლობის ნიშანი.

თვითმმართველობა ვიწრო მნიშვნელობით, ე.ი. მუნიციპალური თვითმმართველობა, განსაზღვრავს ისტორიულად ჩამოყალიბებული ადგილობრივი აღმინისტრირების ერთ-ერთ გიჰს, რომელსაც აქვს გარკვეული ნიშანთვისებები.

ადგილობრივი ორგანოების ევოლუციამ, რომელიც უშუალო კავშირში იმყოფებოდა სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმებთან, საფუძველი დაუდო მუნიციპალურ რეფორმას. ადგილობრივი ორგანოების სფეროში რეფორმამ განსაკუთრებული გაქანება მიიღო XIX საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდში ევროპის ქვეყნებში დაწყებულმა კონსტიტუციონალიზმის მიმდინარეობამ განაპირობა არა მხოლოდ სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზების ახალი ფორმების წარმოშობა, არამედ დააყენა ადგილობრივი მართვის ახალი გიჰის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც იქნებოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ბიუროკრატიული დაქვემდებარებიდან.

ადგილობრივი ორგანოების განვითარების თეროჩათა ჩამოყალიბებასა და მათ პრაქტიკულ განხორციელებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საფრანგეთის და განსაკუთრებით ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციებმა. სწორედ ამ კონსტიტუციებმა ითამამეს გადამწყვეტი როლი ევროპის ქვეყნებში თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაციისა და გავრცელების საქმეში. ბელგიის 1831 წლის კონსტიტუცია შეიცავდა სპეციალურ თავს სათემო (მუნიციპალური) მმართველობის შესახებ და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების არსებობისას. ზემოთ აღნიშნულ კონსტიტუციებში ასახული თვითმმართველობის იდეები ეკუთვნოდა ფრანგ საზოგადო მოღვაწეს გურეს, რომელმაც იგი ჩამოაყალიბა საფრანგეთის ადგილობრივი მმართვე-

ლობის ორგანოების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებულ თავის მოხსენებაში 1790 წელს. ამ მოხსენებაში გურემ წამოჭრა ორი ძირითადი პრობლემა:

1. საკუთრივ თვითმმართველობის საკითხთა ცნება;
2. ის სახელმწიფო საკითხები, რომლებიც დელეგირებულია სახელმწიფოს მიერ თვითმმართველობისათვის.

ამ პრობლემებმა შემდგომ თავისი განვითარება კპოვეს თვითმმართველობათა შესახებ სხვადასხვა თეორიებში.

ერთ-ერთი პირველი, რომელიც გამოეხმაურა გურეს მიერ ჩამოყალიბებულ პრობლემებს იყო ა. გოკილი, რომელმაც 1835 წელს გამოქვეყნებულ თავის ცნობილ ნაშრომში "დემოკრატია ამერიკაში" განსაზღვრა დემოკრატიის განვითარებისათვის თვითმმართველობათა უდიდესი მნიშვნელობა: "დამოუკიდებლობის დამკვიდრებისათვის თვითმმართველობის ინსტიტუტებს აქეთ იგივე მნიშვნელობა, რაც დაწყებით სკოლებს მეცნიერებისათვის; ისინი უხსნიან ხალხს გზას თავისუფლებისაკენ და ასწავლიან ამ თავისუფლებით სარგებლობას. თვითმმართველობათა გარეშე ერს შეუძლია შექმნას თავისუფალი და დამოუკიდებელი მთავრობა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ მის გარეშე თავისუფლების ჭეშმარიტ სულს იგი ვერ შეიძენებს".

თვითმმართველობათა თეორიების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გერმანულმა სკოლამ. თავდაპირველად გერმანულმა მეცნიერებმა ბუნებითი სამართლის თეორიაზე დაყრდნობით წამოაყენეს თავისუფალი თემის (თვითმმართველობის) თეორია.

XIX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში სათემო ქონებასა და ადგილობრივ საკითხებს განაგებდნენ სახელმწიფო ჩინოვნიკები. ამ სისტემამ ადგილობრივი მეურნეობა მიიყვანა სრულ განადგურებამდე. საჭირო გახდა მეცნიერულად დაესაბუთებინათ იმის აუცილებლობა, რომ საჭირო იყო გარკვეულ ფარგლებსა და სფეროებში შემღებულ იქონიეს სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების ჩარევა და ზემოქმედება ადგილობრივი მეურნეობის მართვის საკითხებში. სწორედ ამ მიზანს ისახავდა თავისუფალი თემის (თვითმმართველობის) თეორია.

თავისუფალი თემის (თვითმმართველობის) თეორია აყენებდა თვითმმართველობის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ა) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ თვითმმართველობის ორგანოთა არჩევითობას;
- ბ) საკუთრივ თვითმმართველობის უფლებამოსილებისა და სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა გამიჯვნას;

- კ) თვითმმართველობისა და სახელმწიფოს კომპეტენციათა გამიჯვნას;
- დ) თვითმმართველობის ორგანოების, როგორც სახელმწიფო ორგანოსგან განსხვავებული ინსტიტუტის არსებობას;
- ე) სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველობის კომპეტენციებში ჩაურევლობას.

ეს თეორია ამტკიცებდა, რომ თემის უფლება განავს ადგილობრივი საქმეები ისევე თავისთავადია, როგორც პიროვნების უფლება-თავისუფლებანი. თემი წარმოიშვა სახელმწიფოზე ადრე, ამიტომ სახელმწიფო მოვალეა, რომ პატივი სცეს და აღიაროს თემის უფლებები. ამ თეორიის თანახმად სახელმწიფო ორგანოებმა მხოლოდ თვალყური უნდა ადევნონ, რათა თვითმმართველობები არ გამოვიდნენ საკუთარი კომპეტენციებიდან.

თავისუფალი თემის თეორია შემდგომ შეცვალა თვითმმართველობის საზოგადოებრივ-სამეურნეო თეორიამ. ეს თეორიაც გამომდინარეობდა სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ურთიერთგამიჯვნისა და თვითმმართველობის უფლებათა დამოუკიდებლობის პრინციპიდან. მაგრამ თავისუფალი თემის თეორიისაგან განსხვავებით, იგი წინა პლანზე აყენებდა არა თვითმმართველობის უფლებების თავისთავადობასა და განუყოფლობას, არამედ ამ უფლებების არასახელმწიფოებრივ, ძირითადად სამეურნეო ხასიათს. ამ თეორიის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობა არის უპირველესად ადგილობრივი სამეურნეო საკითხების გადაწყვეტის უფლება.

მაგრამ, ეს თეორია, როგორც ამას აღნიშნავდა ცნობილი რუსი იურისტი ნ. მ. კორკუნოვი, "ერთმანეთისაგან მიჯნავდა სახელმწიფო და ადგილობრივ ინტერესებს, სახელმწიფო და ადგილობრივ კომპეტენციებს. ამ თეორიით იმლება მღვარი თვითმმართველ და კერძო სამართლებრივ სუბიექტებს (სამეწარმეო თუ საქველმოქმედო ორგანიზაციები) შორის. თუმცა, პიროვნების კუთვნილება კერძო სამართლებრივ სუბიექტთან დამოკიდებულია უშუალოდ ამ პირზე, მაშინ, როცა პირის მიკუთვნება თვითმმართველ ერთეულზე გამომდინარეობს კანონიდან და დამოკიდებულია მის საცხოვრებელ ადგილზე". ამასთან ერთად, როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ არა მხოლოდ კერძო სამართლებრივ, არამედ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებსაც (მაგალითად: ნორმატიული ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და აკრეფა და ა.შ.). უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველობის მხოლოდ საზოგადოებრივ-სამეურნეო უფლებათა თავისთავადობის მტკიცებით შეუძლებე-

ლია განხორციელდეს მკაცრი გამიჯვნა საკუთრივ თვითმმართველობისა და სახელმწიფოს კომპეტენციებს შორის. თვითმმართველობის უფლებამოსილებათა სფეროში შემავალი საკითხები არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ საზოგადოებრივ-სამეურნეო საკითხებად. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება თუნდაც ადგილობრივი ვჭების მოწყობას, განათლებას, კულტურას, ჯანმრთელობის დაყვას, პრინციპულად არ განირჩევა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციათაგან.

ბემოთ აღნიშნული თეორიების კრიტიკული გააზრების საფუძველზე გერმანელი მეცნიერების ლორენც შტეინისა და რუდოლფ ვენისგის მიერ ჩამოყალიბდა თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორია. ამ თეორიის მიხედვით თვითმმართველობა არის სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა. თვითმმართველობის ყველა უფლება მომდინარეობს სახელმწიფოსაგან, მაგრამ თვითმმართველობა ხორციელდება არა სახელმწიფო მოხელეთა, არამედ, ადგილობრივი მოსახლეობისა და მისდამი ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ორგანოების მიერ, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ადგილობრივი მმართველობის შედეგებით. ამ თეორიის თანახმად სახელმწიფოს მიერ თვითმმართველობისათვის ცალკეული ფუნქციების გადაცემა განპირობებულია უმთავრესად ამ ფუნქციათა შესრულების ეფექტურობით. ცენტრალისტული მართვის პირობებში ჩინოვნიკები, რომლებიც მოქმედებენ ადგილებზე, მოკლებულნი არიან დამოუკიდებლობასა და შესაბამისად, ინიციატივას. გამომდინარე აქედან, ნაკლებად ხდება მათ საქმიანობაში ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინება, რითაც რთულდება თავად სახელმწიფო მართვის პროცესი.

სწორედ თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორია დაედო საფუძველად თანამედროვე შეხედულებებს ამ ინსტიტუტის შესახებ. ამ თეორიიდან გამომდინარე თანამედროვე საზღვარგარეთელი მეცნიერები თვითმმართველობას განიხილავენ, როგორც სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაციას. მაგალითად, დანიელი მეცნიერების აზრით "მუნიციპალიტეტები არ წარმოადგენენ "სახელმწიფოს სახელმწიფოში". თვითმმართველობები არიან სახელმწიფოს მხოლოდ ერთ-ერთი პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც სარგებლობენ დიდი დამოუკიდებლობით სახელმწიფოს საერთო სისტემაში". ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში დღესაც არ არის ბოლომდე თანხმობა. მაგალითად, ფინელი მეცნიერები, რომლებიც ხაზს უსვამენ კავშირს სახელმწიფოსა და თვითმმართველობებს შორის, აქვე აღნიშნავენ, რომ "სამართლის თეორიაში არ არის ერთიანი აზრი

იმის შესახებ თუ როგორ უნდა იქნეს ვაგებული თვითმმართველობის ადგილი სახელმწიფოში. ერთი თვალსაზრისით თვითმმართველობის უფლების მინიჭება ხდება სახელმწიფოს მიერ კანონით დადგენილი წესით. ამდენად, თვითმმართველობებს არ გააჩნიათ სუვერენული უფლება მართონ დაქვემდებარებული გერიგორია. მეორენი მხარს უჭერენ იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობა თანასწორუფლებიანი არიან და მათი არსებობა არ არის ურთიერთდამოკიდებული. ამასთან, ფაქტია, რომ თვითმმართველობის ინსტიტუტი უფრო ძველია, ვიდრე სახელმწიფო. გამომდინარე, არა სწორია სახელმწიფოს, როგორც თვითმმართველობის უფლების მიმცემის და საზოგადოებრივი მართვის საწყისი ორგანოს განხილვა“.

მუნიციპალური საქმიანობის ამ ორმავე ბუნებამ (დამოუკიდებლობამ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტისას და ამავე დროს ცალკეული ფუნქციების შესრულება ადგილობრივ დონეზე) თავისი ასახვა ჰპოვა მუნიციპალური მმართველობის დუალისტურ თეორიაში. ამ თეორიის თანახმად ადგილობრივი ორგანოები მართვის ფუნქციითა განხორციელებისას, როგორც წესი, გადიან ადგილობრივი ინტერესების ფარგლებს გარეთ და მოქმედებენ როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციის რგოლები.

სოციალური მომსახურების თეორიას საფუძვლად უდევს მუნიციპალიტეტების მიერ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის შესრულება:

მოსახლეობის მომსახურების ორგანიზება. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიზნად მოცემული თეორია სახავეს კომუნის მცხოვრებთა კეთილდღეობას.

ამ თეორიებმა საფუძველი დაუდეს და განაპირობეს ადგილობრივი ორგანოების გენების, განსაზღვრეს თვითმმართველობათა ბუნება და მისი ადგილი სახელმწიფოს სტრუქტურაში. თუმცა, საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს ბოლომდე გადაწყვეტილად და არ შეიძლება ცალსახა პასუხის გაცემა თვითმმართველობათა და სახელმწიფოს მიმართებაზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ცხადია, მათ შორის საქართველოშიც. თუმცა, ერთი რამ ცხადია, ადგილობრივი თვითმმართველობა საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს დემოკრატიულ ინსტიტუტად. მიუხედავად თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემათა მრავალფეროვნებისა, დემოკრატიული საზოგადოებებისათვის ეს ინსტიტუტი წარმოადგენს არა მხოლოდ ეფექტური მმართველობის ფორმას, არამედ,

დემოკრატიულ ღირებულებათა რეალიზაციისა და დაცვის უმნიშვნელოვანეს სტრუქტურას.

თანამედროვე თეორიები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ასახვას პოულობს განვითარებული ქვეყნების კონსტიტუციაში, კანონმდებლობაში. ხშირ შემთხვევაში იგი განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიოში მმართველობის სისტემის რეფორმირების ორი მთავარი ტენდენციის – მართვის დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის კონცეპტუალურ საფუძვლებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეპტუალური გააზრება პოსტსაბჭოური საზოგადოებებისათვის, რადგან, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობა წარმოუდგენელია თვითმმართველობის პრინციპის პოლიტიკურ და, საერთოდ, სოციალურ ურთიერთობებში რეალური დამკვიდრების გარეშე.

თავი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა

დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა გიპი არსებობს, რაც წინასწარ განსაზღვრავს მუნიციპალური კანონმდებლობის თავისებურებასაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობა, მისი მიმართება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და ადგილობრივი კომპეტენციების ფარგლები დამოკიდებულია ქვეყნის ტრადიციებზე, განვითარების დონეზე, გეოგრაფიულ-დემოგრაფიულ თავისებურებებზე და სამართლებრივ სისტემაზე.

თვითმმართველობის ორგანოთა სისტემა იმ საზოგადო დაწესებულებათა ერთობლიობაა, რომლებმაც სახელმწიფოსა და საკუთარი ნორმატიული აქტების შესაბამისად უნდა განახორციელონ ადგილობრივი საპოლიტიკოების თვითორგანიზება, ე. ი. ადგილობრივ კომპეტენციებს მიკუთვნებული ყველა საკითხის იდენტიფიკაცია, დღის წესრიგში შეტანა, შესაბამის ვადაწყვეტილებათა მიღება და მათი პრაქტიკულად აღსრულება.

ადგილობრივი თვითმმართველობის დღეს გაეროცელებულ მრავალფეროვან სისტემებში შეიძლება გამოიყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ანგლოსაქსური, რომანული (ფრანგული) და კომუნალური (გერმანული) ტიპები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ანგლოსაქსური ტიპი ხასიათდება ადგილობრივი თვითმმართველობის საკმაოდ დიდი ავტონომიით. სახელმწიფოებში (დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა), სადაც გაეროცელებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ეს ტიპი, არ არსებობს გამოკვეთილი დაქვემდებარება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ ორგანოებს შორის. ადგილებზე არ არსებობს მთავრობის სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ცენტრალური უწყებები მხოლოდ შესაბამისი სფეროების მიხედვით ახორციელებენ საერთო კოორდინაციას, რაც ძირითადად თვითმმართველობის ორგანოების მიერ ამ უწყებებთან ცალკეული საკითხების შესახებ შეთანხმების პროცედურებით შემოიფარგლება. ამ ტიპის სისტემებისათვის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციები კანონით მკაცრად არის განსაზღვრული: ამ ორგანოებს შეუძლიათ შეასრულონ მხოლოდ

კანონით მათთვის მინიჭებული ფუნქციები. ასეთ სახელმწიფოებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები განიხილება ავტონომიურ წარმონაქმნებად, რომლებიც ახორციელებენ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის რომანული (ფრანგული) ტიპი პირველ ყოვლისა ხასიათდება ცენტრალური ორგანოების მიერ ადგილობრივ ორგანოებზე ადმინისტრაციული კონტროლის განვითარებული სისტემით. იმ სახელმწიფოებისათვის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები და სხვა), სადაც ეს ტიპი გავრცელებულია, დამახასიათებელია ადგილებზე ცენტრალური მთავრობის სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტის არსებობა, რომელიც ზედამხედველობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ამასთან, ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციები მკაცრად არ არის შემოფარგლული. ასეთ ქვეყნებში მოქმედებს პრინციპი: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამკებლობამია ყველა ის უფლებამოსილება, რაც პირდაპირ არ არის აკრძალული კანონით.

ამ ორ ძირითად ტიპთან ერთად ცალკე გამოყოფენ გერმანული ადგილობრივი (კომუნალური) თვითმმართველობის შერეულ სისტემას, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც ანგლოსაქსური, ასევე რომანული ტიპის ელემენტები. ამ სისტემას სათავე დაუდო ბარონ ფონ შტეინის 1808 წლის რეფორმამ, რომელიც ითვალისწინებდა თემობრივი თვითმმართველობის სისტემის განვითარებას. თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოსთან იქმნებოდა კოლეგიალური აღმასრულებელი ორგანო – მაგისტრატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბურგომისტრი, რომელიც იმავდროულად იყო წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე. რეფორმის ერთ-ერთი მიზანი იყო სამთავრობო და თვითმმართველობის ორგანოთა პარალელიზმის აღმოფხვრა. ამიგომ ადგილობრივი თვითმმართველობას დაეკისრა პასუხისმგებლობა გადაეწყვიტა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, როგორც საკუთარი სახელით, ასევე მთავრობის შესაბამისი დავალებითაც. ასეთი შერეული ტიპის თვითმმართველობის სისტემისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:

- ადგილობრივი თვითმმართველობა დაქვემდებარებულ გერმანულ გორიამე ახორციელებს ყველა ადმინისტრაციულ ფუნქციას, გარდა იმ ფუნქციებისა, რაც კანონით მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების გამკებლობას განეკუთვნება;
- თვითმმართველობის ორგანოები თავის უფლებამოსილებებს

ახორციელებენ მათ მიერ მიღებული დებულების საფუძველზე, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას;

- კანონის ფარგლებში თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ამ ზემოწამოთელილი ძირითადი გიპებისათვის დამახასიათებელია მდიდარი გრადიციისა და დიდი ისტორიული ვამოცდილების არსებობა, რასაც ეერ ვიტყვით ადგილობრივი თვითმმართველობის იმ სისტემებზე, რომლებიც ვავრცელებულია ვანვითარებად და მათ შორის პოსტსაბჭოურ ქვეყნებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის გრადიციული გიპები ასეთ ქვეყნებში უარესად რთულ პირობებში ვადიან ერთგვარ აპრობაციას, რის შედეგადაც ხშირ შემთხვევაში ვალიბდება საკმაოდ ეკლექტური სისტემები, რომლის ძირითადი ელემენტები ცუდად ეთავსებიან ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებშიც ვროვდება თვითმმართველობის ის აუცილებელი ვამოცდილება, რაც საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის ამა თუ იმ სისტემის ვამართული ფუნქციონირებისათვის.

თავი 3. საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურა და კომპეტენსიები

საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივი მართვის ორგანიზაციის საფუძველს შეადგენენ კონსტიტუციის დებულებები და მიმდინარე კანონმდებლობის ნორმები. მრავალი ქვეყნის ადგილობრივი მართვის სისტემის ანალიზი აჩვენებს, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაექცა ადგილობრივი ხელისუფლების მრავალდონიანობას. სახელმწიფოთა უმრავლესობას ადგილობრივი მმართველობის ორდონიანი სისტემა აქვს, რომელიც შეიძლება პირობითად დაიყოს ორ – მარტივ და რთულ ჯგუფად.

მარტივ ჯგუფში შედის ისეთი ქვეყნები, სადაც ხელისუფლების დონეებს უფლებრივი იერარქიის მიხედვით პირველადი და მეორადი რგოლები არ გააჩნიათ, რომლებშიც ყველა დონეზე არსებობს თვითმმართველობა და მეორე დონის თვითმმართველობის ორგანოები მოიცავენ პირველი დონის თვითმმართველობის ორგანოებს.

რთულ ჯგუფს მიეკუთვნებიან ქვეყნები, სადაც ადგილობრივი მმართველობის დონეები რამდენიმე რგოლს მოიცავენ, ე.ი. ერთ დონეზე თავმოყრილია სხვადასხვა კომპეტენციის მქონე რამდენიმე თვითმმართველობითი ორგანო. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ერთ დონეზე, უმეტესად მეორეზე, თვითმმართველობისა და სახელმწიფო აღმინისტრაციის ორგანოების თანაარსებობა.

არ არსებობს თვითმმართველი ერთეულის სტანდარტული სტრუქტურა ან ზომა. ამიგომ თვითმმართველობის ფუნქტურობის პრობლემას ყველა ქვეყანა წააწყდა და ყველამ თავისებური მიდგომა გამოიჩინა. მაგრამ ადგილობრივ თვითმმართველობებს იმავდროულად აერთიანებთ ერთი საერთო თვისება – ისინი უზრუნველყოფენ სოციალური ფუნქციების ინტეგრაციის დაცვას ადგილებზე.

ცენტრალურ ხელისუფლებას და ადგილობრივ თვითმმართველობას თავიანთი ფუნქციები და ხელისუფლების ფარგლები გააჩნიათ, რომლებიც მკაფიოდაა გაიჭნული. კომპეტენსიათა გადანაწილება ამავე დროს მათ შორის იმდენად მრავალფეროვანია, რომ ძნელია ზოგადი პრინციპების გამოყოფა. ფუნქციების დიაპაზონი, რომელთაც ახორციელებს ადგილობრივი მმართველობა, ძალიან ფართოა და ისინი შეიძლება კლასიფიცირებულნი იქნენ შემდეგი სახით: ა) მომსახურების გაწევა; ბ) წარმომადგენლობითი ფუნქციები – ადგილობრივი თანასამოგადოების ინტეგრაციის წარმოდგენა.

ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ფუნქციითა განაწილება მკვიდრო კავშირშია ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა დონეების რეალურ ფინანსურ შესაძლებლობებთან. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა არ გამოირიცხავს ფინანსურად სუსტი თვითმმართველი ერთეულების გაერთიანებას და მათ გამსხვილებას. დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ადგილობრივი საკითხების ეფექტურად გადაწყვეტის საქმეში ვადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ოპტიმალური გერიგორიისა და სავადასახადო ბაზის მქონე "სიცოცხლისუნარიანი" თვითმმართველი ერთეულების შექმნას.

სახელმწიფო დონე უზრუნველყოფს თვითმმართველობას კანონებით, რომელთა ჩარჩოებშიც მათ უნდა იმოქმედონ. იმავე დროს სახელმწიფო იგოვებს უფლებას გააკონტროლოს ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა სხვადასხვა მეთოდებით. მართვის სახელმწიფო საშუალებები მოიცავს: კანონებსა და დადგენილებებს, ინსტრუქციებს, სახელმწიფო სუბსიდიებს, გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლს, თანამდებობრივ დანიშნებს, გადაწყვეტილებების სელმეორედ განხილვას.

იმ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობები კარგადაა ორგანიზებული, აქეთ მაღალი სტატუსი და მკაფიოდ განსაზღვრული კომპეტენციები შესაბამისი ფინანსური რესურსებით, სახელმწიფო მმართველობა უფრო საერთოა. აღნიშნული ფაქტორების არ არსებობისას სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მხრიდან შედამხედველობა იზრდება, რაც სხვებს შორის მოიცავს: კონტროლს, განხილვას, კონსულტაციებს, შესრულების შემოწმებას და შეფასებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს შედამხედველი დაწესებულებები ასრულებენ კანონების ცვლილებისას.

კარგად ორგანიზებულ ქვეყნებში თანამშრომლობა სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ხორციელდება სხვადასხვა ფორმით (მომსახურების სფეროს განვითარება, სემინარები, კონფერენციები, თემატური ბროშურები და სხვა), რომლის საფუძველია მათი საერთო დაინტერესება იმაში, რომ გაჩნდეს ახალი იდეები და მოხდეს მათი გაერცელება ქვეყანაში.

ქვემოთ მოკლედ იქნება განხილული ადგილობრივი ხელისუფლების ფორმირების ის თავისებურებანი, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბებული გრადიციებიდან გამომდინარე გააჩნია თვითმმართველობის დამკვიდრების მხრივ დაწინაურებულ და რეფორმების ვარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებს.

3.1. აშშ

აშშ ფედერაციულ სისტემაში, რომელსაც საფუძველი დაუდო 1787 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ, ძირითად აღმინისტრაციულ-გერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს შტატი.

აშშ 50 შტატისაგან შედგება. შტატებს აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, რომელშიც სხვა სამართლებრივ საკითხებთან ერთად განსაზღვრულია მართვის ადგილობრივი ორგანოების სისტემის აგებისა და ფუნქციონირების პრინციპები. ყოველი შტატის მმართველობის ფორმა და უმაღლეს ორგანოთა სტრუქტურა თითქმის მუსტად იგივეა, როგორც თვითონ ფედერალური ორგანოებისა. ნებრასკის გარდა ყველა შტატში არსებობს ორ პალატიანი საკანონმდებლო სისტემა – საკანონმდებლო კრება (ლეგისლატურა), რომელიც შედგება წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. თავისი რაოდენობრივი შემადგენლობით საკანონმდებლო კრებები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან – რამდენიმე ასეულიდან ათეულ წევრამდე. შტატების უმრავლესობაში წარმომადგენელთა პალატის წევრების არჩევა ხდება 2 წლით, ხოლო სენატორები აირჩევიან 4 წლის ვადით.

ლეგისლატურა ადგენს სამართლებრივ საფუძველს აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციონირებისათვის და უზრუნველყოფს საპარლამენტო კონტროლს შტატის აღმინისტრაციის საქმიანობაზე.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს 4 წლის ვადით ხალხის მიერ პირდაპირ არჩეული გუბერნატორი, რომლის სტატუსიც მსგავსია აშშ პრეზიდენტის სტატუსისა. გუბერნატორი ლეგისლატურას სთავაზობს საკანონმდებლო პროგრამას, სარგებლობს ვეტოს უფლებით, ამზადებს შტატის ბიუჯეტის პროექტს, ახორციელებს აღმასრულებელი ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას, სარგებლობს უფლებით მოიწვიოს საკანონმდებლო კრების საჯანგებო სესიები და შეიწყალოს შტატის კანონებით მსჯავრდებული პირები. გუბერნატორი ნიშნავს სხვადასხვა კომისიების, საბჭოებისა და მართვის სხვა კოლევიალური ორგანოების წევრებს. იგი შტატის მასშტაბით წარმოადგენს თავისი პარტიის ლიდერსა და არის შტატის ნაციონალური გვარდიის მთავარსარდალი. შტატების აღმასრულებელი ხელისუფლება, ფედერაციის მსგავსად, არ ატარებს პასუხისმგებლობას საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე. შტატის სასამართლოები წყვეტენ კანონის შესაბამისობის საკითხს კონსტიტუციასთან.

თითოეულ შტატში ადგილობრივი მართვის სისტემის შემადგენლობაში შემავალი ხელისუფლება ხორციელდება თვითმმართველობის საფუძველზე, მაგრამ მართვის ადგილობრივი ორგანოები განსხვავდებიან

თავიანთი ფორმებით და კომპეგენციის მოცულობით, იმის მიხედვით თუ რომელ შტაგს მიეკუთვნებიან, რადგანაც სწორედ შტაგის კანონმდებლობა განსაზღვრავს მათ სტაგუსს და უფლებამოსილებებს. ხშირად ერთი და იგივე მოქალაქეს ერთდროულად საქმე აქვს 3-4 დონის განსხვავებულ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან, რაც განპირობებულია ადგილობრივ საქმეთა წარმოების შემსუბუქების მიზნით.

დღეისათვის აშშ-ში 82921 ადმინისტრაციულ-გერიგორიული ერთეულია, მათ შორის 3042 საგრაფო, 16734 რაიონი (თაუნშიფი), 19706 მუნიციპალიტეტი, 14851 სასკოლო ოლქი და 28588 სხვა სპეციალური ოლქი.

I. საგრაფოები შტაგის ყველაზე მსხვილ ადმინისტრაციულ-გერიგორიულ ერთეულებს წარმოადგენენ. მათი რაოდენობა შტაგებში მერყეობს 3-დან (დელავერი) 254-მდე (ტეხასი), ხოლო ორ შტაგში, კონექტიკუსა და როდ-აილენდში, არც ერთი საგრაფო არ არის. საგრაფოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზომისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ისინი არსებობენ არასაქალაქო დასახლებებში. დიდი ქალაქები გამოყოფილი არიან საგრაფოებიდან და მათი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სარგებლობენ საგრაფოს ორგანოების უფლებამოსილებით.

ყველა საგრაფოში მოსახლეობა ირივეს საგრაფოს საბჭოს (კომიტეგს), ასევე მმართველობას და ზოგიერთ თანამდებობის პირებს (შერიფს, პროკურორს, ათორნეის, ხაზინადარს, ასესორს, აუდიტორს, მიწათმშომელს და სხვა).

საგრაფოს საბჭო ორი გიჰისაა. პირველ გიჰს – საკომისიოს ახასიათებს მცირე შემადგენლობა (3-5 კაცი). საბჭოს წევრები მუშაობენ მხოლოდ ამ ორგანოში და მათ არა აქვთ უფლება დაიკავონ სხვა სასელმწიფო თანამდებობა. მეორე გიჰის – კონგროლიორების საბჭოს ფორმირება ხდება საგრაფოში შემავალი თაუნშიფებისა და მუნიციპალიტეტების არჩევით თანამდებობის პირთაგან, რომლებიც თაქიანთი მოვალეობას ასრულებენ შეთავსებით. ამ გიჰის საბჭოს წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია თაუნშიფებისა და მუნიციპალიტეტების რაოდენობაზე და მერყეობს 10-დან 100-მე მეგ კაცამდე.

საგრაფოში გამოიყენება ადგილობრივი მმართველობის სამი ფორმა:

1. საბჭო-არჩევითი ხელმძღვანელი; 2. საბჭო-მენჯერი; 3. საკომისიო.

პირველ ფორმამი ("საბჭო-არჩევითი ხელმძღვანელი") საგრაფოს საბჭოს უფლებამოსილება შემღვდულია და, ძირითადად, შემოიფარგლება საგრაფოს საქმიანობის სტრატეგიაში არჩეული ხელმძღვანელის – საბჭოს თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ საკითხებზე გადაწყვეტილების შეგანით, ბიუჯეტის დამტკიცებით, ფინანსური მდგომარეობის რევიზიით,

მართვის მდგომარეობის ანალიზითა და მმართველობის სისტემის სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავებით. საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებში შედის საბჭოს დადგენილებების ცხოვრებაში გაგარება, საგრაფოების სამსახურების ხელმძღვანელთა დანიშვნა და მათი საქმიანობის კონტროლი, ბიუჯეტის მომზადების ხელმძღვანელობა და საბჭოზე მისი წარდგენა განსახილველად და საბჭოსათვის რეკომენდაციების მიცემა საგრაფოს მართვის სხვადასხვა საკითხებზე. მას გააჩნია საგრაფოს მეთაურის ფორმალური სტატუსი, უფლებამოსილია შესთავაზოს საბჭოს საგრაფოს პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, გააკეთოს საგრაფოს სახელით საჯარო განცხადებები, აღჭურვილია საბჭოს გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლებით. საბჭოს თავმჯდომარე ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელობისათვის ნიშნავს პროფესიონალ მენეჯერს და პირადად აკონტროლებს მის საქმიანობას. მართვის ასეთი ფორმა გავრცელებულია 150-მდე საგრაფოში.

მეორე ფორმა ("საბჭო-მენეჯერი") მოქმედებს, ძირითადად, ურბანულ 550 საგრაფოში. საგრაფოს საბჭო ნიშნავს პროფესიულად მომზადებულ მენეჯერს ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელობისათვის. საბჭოს რჩება სტრატეგიული ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე დადგენილებების მიღების, ბიუჯეტის დამტკიცებისა და გადასახადების დადგენის უფლებამოსილება.

მესამე ("საკომისიო") ფორმა უზრუნველყოფს საბჭოს მიერ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების შესრულებას. ის არ ითვალისწინებს უმაღლესი თანამდებობის პირს აღმასრულებელი აპარატის ხელმძღვანელობისათვის. საგრაფოების საბჭოებთან ერთად აირჩევიან მთელი რივი თანამდებობის პირები, რომელთა უფლებამოსილებანი რეგლამენტირებულია შტაგის კანონმდებლობით. ისინი თავის საქმიანობაში საბჭოებისაგან ფორმალურად დამოუკიდებელნი არიან და საგრაფოებში საკმაოდ გავლენიან პირებს წარმოადგენენ. ეს ფორმა 2000-ზე მეტ საგრაფოში გამოიყენება.

II. რაიონები ანუ თაუნშიფები საგრაფოების ქვედანაყოფებს წარმოადგენენ და შექმნილი არიან რაითა უკეთესად იქნეს საგრაფოების სამსახურების ორგანიზება ადგილებზე. ზოგიერთ რაიონს სხვა რაიონთან შედარებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს როგორც დაკავებული გეოგორიის, ასევე ადმინისტრაციული ფუნქციის მიხედვით.

სოფლის რაიონებიდან და პატარა ქალაქებიდან მოსახლეობის დიდ ქალაქებში გადასახლებასთან ერთად თაუნშიფები გადაიქცნენ მუნიციპალურ კორპორაციებად, რომლებიც შტაგების კანონმდებლობის შესა-

ბამისად ახორციელებენ თვითმმართველობის ფუნქციებს.

თაუნშიფის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ხმის უფლების მქონე ყველა მოქალაქის ყოველწლიური კრება, რომელიც ირჩევს საბჭოს 3-5 წევრის შემადგენლობით. ერთდროულად აირჩევიან საზინადარი, ასესორი, პოლიციელი და სხვა თანამდებობის პირები. კრებებს შორის პერიოდში საბჭო მოქმედებს აღმასრულებელი კომიტეტის სახით, რომლის გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფისათვის ის ნიშნავს მენეჯერს.

III. მუნიციპალიტეტები შედიან საგრაფოების შემადგენლობაში, ისინი ყველა შტატში არიან, მაგრამ მათი რაოდენობა შტატების მიხედვით სხვადასხვაა. მუნიციპალიტეტები იქმნება დასახლებულ პუნქტებში – სოფლებში (ვილიჯ), დაბებში (თაუნ) და მსხვილდასახლებულ ქალაქებში (სითი) მომსახურების ფართო სპექტრის ორგანიზებისათვის, დამატებით იმასთან, რასაც საგრაფოები ახორციელებენ.

მუნიციპალური მმართველობის სტრუქტურა მიჯნავს უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას არჩეულ და დანიშნულ თანამდებობის პირებს შორის. აშშ-ში მუნიციპალური მმართველობის სამი ძირითადი ფორმაა: ა) მერი-საბჭო, ბ) საბჭო-მენეჯერი, გ) კომისია.

ა) მმართველობის ფორმა მერი-საბჭო მუნიციპალიტეტების 39%-შია გავრცელებული. ამ სისტემაში მოქმედებაშია ორი მოდელი, რომელიც ცნობილია "სუსტი მერი-საბჭოსა" და "ძლიერი მერი-საბჭოს" სახით.

მმართველობის ფორმა "სუსტი მერი" ხასიათდება ძლიერი და შედარებით მრავალრიცხოვანი საბჭოთი, რომელიც აირჩევა მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით. მერი ირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან 4 წლის ვადით, ის ვეველინება საბჭოს წევრად და არის სხლომების თავმჯდომარე. საბჭო თავისი წევრებისაგან ირჩევს ასევე მერის მოადგილეს, რომელიც ასრულებს მერის მოვალეობებს მისი არყოფნის პერიოდში ან ხდება მერი ეაკანსის გაჩენის შემთხვევაში. საბჭო ახორციელებს ნორმების შემუშავებას, აღმასრულებელი აპარატის საქმიანობის ხელმძღვანელობასა და კონგრულს, ის ასრულებს ისეთ აღმინისგრაიულ ფუნქციებს, როგორცაა ბიუჯეტის შედგენა, თანამდებობის პირთა დანიშვნა, უფრო დაბალი რგოლის მოსამსახურეთა დაქირაება და დათხოვნა.

მერი ითვლება მთავრობის მეთაურად, ის წარმოადგენს მუნიციპალიტეტს მთავრობათმორის ურთიერთობებში, საბჭოს რეკომენდაციისა და თანხმობის საფუძველზე ნიშნავს საკონსულტაციო საბჭოს წევრებს, გამოდის ყოველწლიური მოხსენებით მდგომარეობის შესახებ და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომელიც განისაზღვრება საბჭოს მიერ. მერის პოზიციები შესუსტებულია იმითაც, რომ მასთან ერთად ირჩევენ მთელ რიგ "დამოუ-

კიდეზელ“ თანამდებობის პირებს (ხაზინადარი, ათორნეი, ასესორი).

მერის უფლებამოსილებანი უმნიშვნელოა, მას ვეგოს უფლება შეზღუდული ან საერთოდ არ აქვს. შეზღუდული აქვს თანამდებობის პირთა დანიშვნის ან მოხსნის უფლება. მერი თავისუფალია მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ფუნქციებისგან.

მმართველობის ამ ფორმაში არსებობს კომიტეტების, ადმინისტრაციული საბჭოებისა და კომისიების ქსელი, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა ქალაქის მთავრობისაგან.

“ძლიერი მერის“ სისტემაში საბჭო მცირერიცხოვანია (7-9 წევრი) და ასრულებს საკანონმდებლო ფუნქციებს. ვინაიდან ის გათავისუფლებულია ყოველდღიური ადმინისტრაციული საქმეებისაგან, შესაძლებლობა აქვს ძირითადი ყურადღება მუნიციპალიტეტის ძირითად საჭიროებებზე გადაიგანოს. მერი პასუხისმგებელი მუშაკია, რომელიც უშუალოდ არჩეულია მოსახლეობის მიერ და პოლიტიკურად ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე.

ძლიერი მერის სისტემა აღმასრულებელ ძალაუფლებას ართმევს საბჭოს და მერს გადასცემს. ძლიერი მერი არ არის საბჭოს წევრი, მაგრამ უფლება აქვს ვეგო დაადოს მის გადაწყვეტილებებს. მერს უფლება აქვს, დანიშნოს და გადააყენოს დეპარტამენტის ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირები. ის აქტიურად შემოქმედებს მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ პოლიტიკაზე.

ბ) “საბჭო-მენეჯერის“ სისტემა გავრცელებულია მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში (56%). ამ მოდელის მიხედვით მოსახლეობა ირჩევს მცირერიცხოვან (5-9 წევრი) საბჭოს, რომელიც წარმოადგენს ღირექტიულ საკანონმდებლო ორგანოს საკონტროლო ფუნქციებით. საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს მერი, რომელსაც ირჩევს საბჭო. მერი ასრულებს, ძირითადად, წარმომადგენლობით ფუნქციებს, მას არა აქვს ადმინისტრაციული უფლებამოსილება და ვეგოს უფლება. საბჭო შეარჩევს და განსაზღვრული ვადით ნიშნავს და ათავისუფლებს პროფესიონალ საჯარო მოხელე-მენეჯერს, რომელსაც გადაეცემა აღმასრულებელი ხელისუფლება, ის ფაქტობრივად განსაზღვრავს საბჭოს საქმიანობას, ადგენს ქალაქის ბიუჯეტს, ნიშნავს საჯარო მოხელეებს და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას, მონაწილეობს საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით.

გ) კომისია, როგორც მმართველობის ფორმა, უბრუნველყოფს მოსახლეობის მიერ კომისრების მცირე რიცხვის (3-5 წევრი) არჩევას, რომელთაც აქვთ ყველა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი უფლებამოსილება. კომისრები კოლექტიურად ასრულებენ საბჭოს მოვალეობას. თითოეული

მათგანი უშუალოდ ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის რომელიმე მნიშვნელოვან სამსახურს. როცა კომისია გამოდის საბჭოს როლში, თავმჯდომარეობას ახორციელებს ერთ-ერთი წევრი, რომელიც ჩვეულებრივ მერის სახელწოდებას ატარებს. მერს არა აქვს ეეტოს უფლება და აღმინისტრაციული უფლებამოსილება, რომელიც სცდება იმ სამსახურს, რომელსაც ხელმძღვანელობს. დღეისათვის საკომისიო მართვის ფორმა გამოიყენება 200 მუნიციპალიტეტში 2,5 ათასზე მეტი მოსახლეობით.

IV. სპეციალური ოლქები შექმნილია შტატის მიერ კონკრეტული ადგილმდებარეობისა ან საარჩევნო ოლქისათვის ერთი ან შემდგომი რაოდენობის მომსახურების გაწვევისათვის. მათი ზომები განსხვავებულია და ხშირად არ ემთხვევა აღმინისტრაციულ-გერიგორიული ერთეულების საზღვრებს. აშშ-ში ყველაზე მეტად გავრცელებულია სასკოლო ოლქები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მოსახლეობის მიერ არჩეული 3-7 წევრიანი სასკოლო საბჭოები. ისინი განსაზღვრავენ სასკოლო პოლიტიკას, პროგრამებს, ბიუჯეტებს და პასუხისმგებელი არიან მათ გერიგორიაზე მცხოვრებ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. მათ აქვთ უფლება მიიღონ და განაგონ საშტატო და ფედერალური სუბსიდიები განათლების განვითარებისათვის, დაიქირაონ პედაგოგთა შემადგენლობა, აკრიფონ სპეციალური ქონებრივი გადასახადი სკოლების მშენებლობისა და შენახვის დაფინანსებისათვის. ამ საბჭოების საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს შტატის დონეზე შექმნილი სახალხო განათლების დეპარტამენტი. სასკოლო ოლქის გერიგორიაზე არსებული მუნიციპალიტეტები თანამშრომლობენ მასთან სამსახურების უზრუნველყოფის საკითხებში, მაგრამ არ ეხებიან ოლქის მმართველობას.

გავრცელებულია აგრეთვე შემდეგი სპეციალური ოლქები: საცხოვრებელი, მშენებლობის, სახანძრო, ნიადაგის დაცვის, წყალმომარაგების, საზოგადოებრივი გრანსპორტის, ენერგომომარაგების, ჯანდაცვის, რეკრეაციის და სხვა. მათი შექმნის ინიციატივა შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც კონკრეტული რაიონის მოსახლეობას, ისე შტატის აღმინისტრაციასა და ადგილობრივ ორგანოებს. მაგრამ, ამისგან დამოუკიდებლად ოლქის კომპეტენციას და მის საზღვრებს ამტკიცებს შტატის ხელისუფლება. ოლქების საბჭოები, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, სარგებლობენ სრული აღმინისტრაციული ავტონომიით.

აღსანიშნავია, რომ "ძლიერი მერი - სუსტი საბჭოს" მოდელი დამახასიათებელია მსხვილი ურბანისგული ქალაქებისათვის. "სუსტი მერი - ძლიერი საბჭო" გავრცელებულია საშუალო მუნიციპალიტეტებში, ხოლო "საბჭო-მენეჯერის" მოდელს იყენებენ მცირერიცხოვან მუნიციპალიტეტებში.

ამ შემდეგ ფედერალური სისტემის საფუძველია კომპეტენციის მექანიზმი გაიყვანა ფედერალურ ორგანოებს და შტატებს შორის.

კონსტიტუცია კომპეტენციის გამიჯვნისას ჩამოთვლის იმ უფლებებს, რომლებიც ფედერაციის კომპეტენციას განეკუთვნება, უკრძალავს შტატებს გარკვეული მოქმედებების განხორციელებას და ასახელებს იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც შტატებს გარანტირებული აქვთ ფედერალურ სისტემასთან მიმართებაში.

“დუალისტური ფედერალიზმის თეორიის“ მიხედვით ფედერალურ ხელისუფლებას და შტატებს აქვთ თითოეულს საკუთარი კომპეტენცია და არ ერევიან ერთმანეთის საქმიანობაში. ფედერალური ხელისუფლების და შტატების მთავრობის უფლებამოსილებები თეორიულად განსხვავებულია და პრაქტიკულად დაცულია ერთმანეთისაგან. ცენტრალური ხელისუფლება მართავს მხოლოდ ჩამოთვლილი უფლებების მიხედვით და მას აქვს შეზღუდული კონსტიტუციური მიზნები.)

“კოოპერაციული ფედერალიზმის“ თეორია სცნობს მთელი სახელმწიფო და შტატების ფუნქციების გადაფარვას და უარყოფს განცალკევებული სფეროების ანუ შრეების არსებობას. იგი დაფუძნებულია ცენტრის და შტატების ურთიერთშეხების და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის იდეაზე. ამ ორი ხელისუფლების კომპეტენცია ამ დროს შერეულია, რადგანაც ისინი უფრო ხშირად ერთობლივად ახორციელებენ სამთავრობო ფუნქციებს, ვიდრე ცალ-ცალკე.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნიქსონის “ახალი ფედერალიზმის“ დოქტრინამ, რომელიც შტატების უფლებამოსილებების გაფართოებას ითვალისწინებდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნა და მათი კომპეტენციის განსაზღვრა, შტატების პრეროგატივას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტების ტიპები და მათი უფლებამოსილების მოცულობა განსხვავებულია სხვადასხვა შტატებში, მაგრამ ყველაზე უფრო გიჟურად ითვლება შემდეგი უფლებამოსილებები:

- ბინათმშენებლობა, სასკოლო საქმე, დასვენების ზონები, ბიბლიოთეკა, გამწვანება, საგზაო გრანსპორტი, აეროპორტი, ხიდები, ადგილობრივი გზები, პარკები.
- პოლიცია, სახანძრო საქმე, სასწრაფო დახმარება, ციხეები, გამწვანდი ნაგებობები, წყლით მომარაგება, ნარჩენების გატანა და გადამუშავება, გარემოს დაცვა;
- ყველა ღონის არჩევნების ორგანიზება, გადასახადების შეგროვება,

მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩაწერა;


- ქონების მართვა, მიწათსარგებლობაზე კონტროლი, დაგეგმვა, მონიტორინგა, ისტორიული ძეგლების დაცვა;
- საგრანსპორტო საშუალებათა რეგისტრირება, მართვის მოწმობის გადაცემა, საგზაო მოძრაობების მართვა, ლიცენზიების გაცემა;
- სოციალური სამსახურები, ჯანდაცვა, უმუშევრების და მოხუცების დახმარება;
- ხელისუფლების ფედერალური ორგანოებისა და შტაგების კანონებისა და დადგენილებების მოსახლეობამდე დაყვანა, მუნიციპალ-ლიტერატურის საქმიანობის ორგანიზება, ნორმატიული აქტების დანერგვა და სასამართლო საქმიანობა;
- ფისკალური უფლებები.

ყოველ მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომლის შეკრების ძირითად წყაროს წარმოადგენს გადასახადები, ადგილობრივი მოსაკრებლები, ჯარიმების და ლიცენზიების გაცემის შედეგად მიღებული სახსრები. ადგილობრივ ბიუჯეტში მთლიანად ან ნაწილობრივ რჩება საკუთრებაზე გადასახადით, სამემოსაელო და ბრუნვის გადასახადით მიღებული თანხები. მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ფედერალური ხელისუფლების და შტაგების მიერ გადაცემული სუბსიდიები.

ამ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია უფრო მეტად ფართოვდება დეცენტრალიზაციის ბაზაზე, თუმცა კონკრეტული გეგმების მასშტაბისა და რეგიონის საჭიროებებისაგან დამოკიდებულებაში ყოველი დონის მთავრობის ფუნქციებს აქვს ნაწილობრივი გადაფარვის გენდენცია. ისეთი საჭიროებები, როგორცაა გრანსპორტი, განათლება, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და საცხოვრისით უზრუნველყოფა შეიძლება შეეხოს ყველა დონის მთავრობას. შტაგისა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევა, როგორც წესი, კონცენტრირებულია სააგრო-მობილო მოსახლეობის მშენებლობასა და შენახვაზე, უმაღლეს განათლებას და ჯანდაცვაზე. ადგილობრივი ხელისუფლება უმთავრესად დაკავებულია მემოთ ჩამოთვლილი ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელებით.

3.2. გერმანია

გერმანია ფედერაციული სახელმწიფოა დეცენტრალიზაციისა და ფრაგმენტაციის მაღალი დონით, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოები. ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლება სამ დონეს მოიცავს, რომლის სტრუქტურა წარმო-დგენილია სქემა 1-ზე.



სქემა 1. გერმანიის არაცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურა

ფედერალური კონსტიტუცია არ განსაზღვრავს მიწების კონსტიტუციურ წყობას, ეს მიწების კომპეტენციაა. მიუხედავად ამისა, მიწების ინსტიტუციური სტრუქტურა ჰგავს ფედერალური ხელისუფლებისას, მაგრამ სხვაგვარია ოლქებისა და თემების მმართველობის ორგანიზაცია, რომელთა სტრუქტურას განსაზღვრავს შესაბამისი მიწის კონსტიტუცია და მასში აისახება გერმანიის რეგიონალური ტრადიციების მრავალფეროვნება.

მიწის საკანონმდებლო ორგანოა არჩევითი ასამბლეა – ლანდტაგი, რომელიც თავის მხრივ ქმნის მთავრობას. ლანდტაგის არჩევნები გარდება 4-5 წელიწადში ერთხელ და გამოიყენება პროპორციული საარჩევნო სისტემა.

მიწები იყოფა ოლქებად, რომლებიც შედგება დიდი კომუნებისაგან – საოლქო ქალაქებისა და სასოფლო (ავტონომიური) რაიონებისაგან. ადგილობრივი ხელისუფლების ყველაზე დაბალ რგოლს წარმოადგენს თემი ანუ კომუნა, რომელიც თავის მხრივ იყოფა სასოფლო და რაიონული დაყოფის არ მქონე საქალაქო კომუნად (სადაც მოსახლეობის რაოდენობა 2000 და მეტია).

თვითმმართველობის ერთეულებია საოლქო ქალაქები, რაიონები და თემები, სადაც არსებობს წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მოსახლეობის მიერ პირდაპირ აირჩევა 4 წლის ვადით.

ოლქებში, საოლქო ქალაქებში და თემებში წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს შესაბამისად საოლქო, საქალაქო და სათემო საბჭოები, ხოლო რაიონებში რაიონული კრება ანუ კრაისგაგი.

ოლქის, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს, მუშაობა ხასიათდება ორმაგი ბუნებით: ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფო მმართველობის ყველაზე დაბალი დონე, ხოლო მეორე მხრივ – თვითმმართველობის ფუნქციები. ოლქის უმაღლესი ორგანოა საოლქო საბჭო, რომლის თავმჯდომარეს ეწოდება ლანდრაგი, ხოლო მმართველობის (აღმასრულებელი ხელისუფლების) ხელმძღვანელს საოლქო დირექტორი.

თითქმის ყველა მიწაში არის სამთავრობო ოლქები, რომელთა პრეზიდენტს ნიშნავენ მიწის აღმასრულებელი ხელისუფლება. ოლქის სამთავრობო პრეზიდენტი ექვემდებარება მიწის შინაგან საქმეთა მინისტრს და მას მინიჭებული აქვს ოლქისა და კომუნების ზედამხედველობის ფართო უფლებები. პრეზიდენტს ექვემდებარება, აგრეთვე, მართვის დარგობრივი ორგანოები.

ხშირად ოლქის სტატუსს ფლობენ მსხვილი ქალაქებიც. განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ვერეთ წოდებულ ქალაქებს – რესპუბლიკებს, რომლებიც თავისი სამართლებრივი სტატუსით არიან ერთდროულად ქალაქი და მიწა – ფედერაციის სუბიექტი. მათი ორგანოების საქმიანობაში შერწყმულია ფედერაციის სუბიექტის, თემის, ქალაქის ამოცანათა გადაწყვეტა.

რაიონები წარმოადგენენ არა მარტო თვითმმართველობის ერთეულებს და თემთა გაერთიანებას, არამედ – მიწების ადმინისტრაციულ-გერიტორიულ ერთეულებსაც, რომლებშიც თავმოყრილია სახელმწიფო აპარატის ქვედა რგოლები. რაიონებისა და საოლქო ქალაქების აღმასრულებელი ორგანოს მეთაური ოთხ მიწაში ლანდრაგია. ამასთან, ორ მიწაში ლანდრაგი – სახელმწიფო თანამდებობის პირია და მას ნიშნავენ მთავრობა. ერთ მიწაში ლანდრაგი აირჩევა მოსახლეობის მიერ, კიდევ ერთ მიწაში კი – კრაისგაგის მიერ. ორ სხვა მიწაში რაიონის ადმინისტრაციული აპარატის მეთაურია რაიონის დირექტორი, რომელიც აირჩევა კრაისგაგის მიერ, ხოლო ერთ მიწაში ის უნდა დაამტკიცოს მიწის მთავრობამ.

არსებობს თემთა და სათემო კავშირების გაერთიანებები, რომლებიც მიზნად ისახავენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე განვითარების ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. თემები კონკრეტული ამო-

ცანების გადაწყვეტისათვის ქმნიან აგრეთვე მრავალრიცხოვან "საერთო მიზნის" ასოციაციებს.

მართვის ნებისმიერი მუნიციპალური ორგანოს ფაქტიური მდგომარეობა ხასიათდება წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ფუნქციონალური კავშირის ტიპით, რომელიც ოთხი სახისაა:

1. "სამხრეთ გერმანული" მოდელი – წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა მოსახლეობის მიერ, წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი აღმინისტრაციის მეთაური ერთი და იგივე პირია – ბურგომისტრი, რომელიც აირჩევა პირდაპირი წესით მოსახლეობის მიერ. მას დიდი უფლებები გააჩნია საკადრო პოლიტიკასა და საგეგმო-საფინანსო სფეროში.
2. "ჩრდილო გერმანული" მოდელი – მოსახლეობა ირჩევს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც თავის შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს – ბურგომისტრს. აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელია დირექტორი, არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. კომიტეტი ამზადებს წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებებს. დირექტორი ხელმძღვანელობს მიმდინარე საქმეებს და მას წამყვანი ადგილი უკავია ამ სისტემაში.
3. "მაგისტრატი" – ამ ფორმის დროს წარმომადგენლობითი ორგანო არჩეულია მოსახლეობის მიერ. წარმომადგენლობითი ორგანო ირჩევს აღმასრულებელ კოლევიალურ ორგანოს მაგისტრატს, რომელიც შედგება ბურგომისტრისა და საპატიო წევრებისაგან, რომლებიც თავისი საქმიანობისათვის არ იღებენ ანაზღაურებას. წარმომადგენლობით ორგანოს აქვს უფლება მიიღოს საკანონმდებლო გადაწყვეტილება, რომელსაც მაგისტრატი დამოუკიდებლად აღასრულებს.
4. "ბურგომისტრი" – ამ შემთხვევაში მოსახლეობა ირჩევს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ირჩევს ბურგომისტრს. ეს უკანასკნელი არის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე და აღმინისტრაციის (აღმასრულებელი ორგანოს) ხელმძღვანელი. ბურგომისტრს აქვს უფლება გააპროტესტოს წარმომადგენლობითი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ მითითებულ მოდელებს როგორც სხვადასხვა მიწებში, ისე ერთი მიწის ფარგლებში, აქვთ მრავალრიცხოვანი ვარიანტი, რითაც გამოირჩევა ასევე თემებში ადგილობრივი აღმინისტრაციის ორგანიზაცია.

კომპეტენციის გამოჯენის სქემას გერმანიაში შემდეგი სახე აქვს:

- ფედერალური ხელისუფლების განსაკუთრებული კომპეტენცია;
- ფედერაციის და მიწების განსაკუთრებული კომპეტენცია;
- ფედერაციის მიერ კანონმდებლობის საფუძვლების მიღების კომპეტენცია;
- მიწების განსაკუთრებული კომპეტენცია;
- დარჩენილი კომპეტენცია.

გერმანული კონსტიტუციური სამართლით ადგილობრივი მმართველობის ამოცანები იყოფა 3 ჯგუფად – ნებაყოფლობითი, სავალდებულო და დავალებული (გადაცემული). აქედან პირველი ორი კომუნის საკუთარი უფლებამოსილებების სფეროს განეკუთვნება. ნებაყოფლობითი ამოცანების რიგს მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ის უფლებამოსილებები, რომლებსაც იგი წყვეტს საკუთარი შეხედულებისამებრ, მაგალითად – სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების შექმნა. სავალდებულოს კი მიეკუთვნება ის უფლებამოსილებები, რომლებიც კომუნამ უნდა შეასრულოს მიწის კანონმდებლობის შესაბამისად – სანიტარული ზედამხედველობა, სახანძრო დაცვა, საგზაო მშენებლობა და სხვა.

დავალებული ამოცანები არ წარმოადგენენ კომუნალურ საქმეებს და ქმნიან დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროს. ამ შემთხვევაში კომუნები მოქმედებენ, როგორც მმართველობის ორგანოები, რომლებიც ჩართულნი არიან საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებაში შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით.

ოლქის თვითმმართველობის უფლებამოსილებანი მოიცავს ნებაყოფლობითი ამოცანების 3 ჯგუფს: 1) რეგიონალური სამეურნეო სტრუქტურების განვითარება, ვგების შენახვა, ენტრალური მომარაგება, ნარჩენების გაგანა, ნაკრძალები და სხვა; 2) დამატებითი ამოცანები – პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა ცალკეულ კომუნებს არ შეუძლიათ (სააქადმყოფოების შენახვა, სკოლების მშენებლობა, ცალკეული ობიექტების განლაგება); 3) კომუნების ფინანსური ვათანაბრების ამოცანები.

საოლქო ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) გეგმარების სფეროში: გენერალური დაგეგმვა, ქალაქის განვითარების დაგეგმვა, საბინაო გეგმარება, საფინანსო დაგეგმვა;
- ბ) სოციალურ-კულტურული და მოსახლეობის მომსახურების სფეროში: საბავშვო ბაღები, სკოლები, პროფესიული სასწავლებლები, ბიბლიოთეკები, ვათობა, ვგების მართვა, ნავის და ნარჩენების გაგანა, ჯანდაცვა, ოჯახური კეთილდღეობა, თავისუფალი დროის ორგანიზება, თეატრები, პარკები, რეკრეაციის მონების შექმნა, სპორტული

მოედნების და ღონისძიებების ორგანიზება, გურიზმი, ბინათმშენებლობა, წყალსაცავები, წყლის რესურსები, წყლით მომარაგება და კანალიზაცია, ადგილობრივი ტრანსპორტი, კაემირვაბმულობა.

ვ) საკონგრელო საქმიანობის სფეროში: ლიეწნიების გაცემა, საგზაო კონგრელო, უშიშროება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ადგილობრივი პოლიცია, ჰაერის დაბინძურების კონგრელო, კონგრელო კვების პროდუქტების ვარგისიანობაზე, სახანძრო რაზმები, ვეტერინალური სამსახური, რეგისტრაციის სამსახური.

თემების ამოცანები და ფუნქციები თავიანთი მოსახლეობის მიმართ მრავალფეროვანია, მაგრამ მათ შორის გამოყოფილია საკითხების წრე, რომელთანაც დაკავშირებით მოსახლეობა მიმართავს ხელისუფლებას:

1. ინფრასტრუქტურის საქმიანობის უზრუნვეყოფა:
ბინები, ქუჩები, საწარმოო მოედნები, წყალი, ნარჩენების გაგანა, ელექტროობა, გაზი.
2. საყოფაცხოვრებო მომსახურება:
საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კულტურა, აბანოები, სპორტი, დასვენება.
3. სოციალური საკითხები:
სოციალური დაცვა, უმცირესობათა ინტეგრაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა.
4. სასიცოცხლო გარემოს ფორმირება და პერსპექტიული დაგეგმარება:
ქალაქის განვითარების დაგეგმვა, ეკოლოგია, კულტურისა და კომუნიკაციის საშუალებების განვითარება, გარემოს ხარისხი.
5. საზოგადოებრივი წესრიგი:
სახანძრო სამსახური, პოლიცია, კაემირვაბმულობა, გარემოს დაცვა, მმანის ბიურო.
6. სისტემის სტაბილიზაცია:
სახელმწიფოსა და ადამიანს შორის სოციალური ბუფერი, მოქალაქეთა სოციალიზაცია (დემოკრატის სკოლა), ადმინისტრაციული ფუნქციები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის კონგრელო არის მთლიანად მიწის კომპეტენცია და მასში ფედერალური ორგანოები არ მონაწილეობენ. კონგრელოს ძირითად ნაწილს ახორციელებენ სასამართლოები. კომუნებზე მიწის მთავრობის უშუალო კონგრელოს ახორციელებს ოლქის ადმინისტრაციის, რომელიც თვალყურს ადევნებს და კოორდინაციას უწევს კომუნის მოქმედებებს. იგი აკონგრელებს ფუნქციონირებენ თუ არა საეკონომიკური სამსახურები კომუნებში და არღვევს თუ არა კანონს კომუნის ორგანოთა მოქმედებები. თუ აღნიშნული ორი პუნქტი არ სრულდება, ოლქის ადმინისტრაცია მიუთითებს

ამის შესახებ და აურთიხილებს იმ ზომების შესახებ, რომლებიც იქნება მიღებული. ყველაზე რადიკალურ ღონისძიებად ითვლება მთელი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების გადაცემა ოლქის ადმინისტრაციისადმი. ზოგ მიწაში შესაძლებელია აგრეთვე მიწის მთავრობის მიერ კომუნის წარმომადგენლობითი ორგანოს დათხოვნა.

იმისთვის, რომ კომუნებმა შეძლონ თავიანთი ამოცანების შესრულება, გერმანიაში ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს გარანტირებული აქვთ საფინანსო სუვერენიტეტი. ყოველ მთავარს აქვს საკუთარი ბიუჯეტი. ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან. ამასთან, დაწესებულია 14 სხვადასხვა სახის ადგილობრივი გადასახადი და აქციზური მოსაკრებელი – გადასახადი განსაკუთრებული სახის საკუთრებაზე, საქონელზე და საქმიანობაზე. კერძოდ, გადასახადები სპირტიან სასმელებზე და ფუფუნების საგნებზე, ნადირობასა და თევზჭერაზე, გადასახადი ძაღლებზე, ვართობაზე. მეორე სახლზე, ლიცენზიები ლუდხანების და მსგავსი დაწესებულებების გახსნაზე.

3.3. ესპანეთი

ესპანეთი უნიტარული ქვეყანაა, რომელიც დაყოფილია ავტონომიურ გაერთიანებებად, პროვინციებად და მუნიციპალიტეტებად. დღეისათვის ესპანეთში არსებობს 17 ავტონომიური ერთეული, რომელითაც კატალონიის, ბასკეთის, გალიციის და ანდალუზიის ავტონომიებს უწოდებენ ჰისტორიულს“ ან ჰირველი ლიგისას“. ამ ავტონომიების უფლებამოსილება განსხვავდება დანარჩენი ავტონომიური ერთეულებისაგან, მათ უფრო მაღალი სტატუსი აქვთ და ამდენად, ავტონომიური სისტემა ესპანეთში ასიმეტრიულია.

ყოველ ავტონომიურ გაერთიანებას აქვს თავისი წესდება, საკანონმდებლო კრება, რომელიც აირჩევა 4 წლის ვადით პროპორციული სისტემის საფუძველზე საყოველთაო კენჭისყრით. კრებები ასორციელებენ საკონგროლო უფლებამოსილებებს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე, რომელიც ეკუთვნის სამთავრობო საბჭოს და მის თავმჯდომარეს. ეს ორგანოები აირჩევა საკანონმდებლო კრების მიერ და ინიშნებიან მეფის მიერ. მთავრობა პასუხისმგებელია საკანონმდებლო კრების წინაშე ანუ გაერთიანებებში მმართველობის საპარლამენტო ფორმაა დაწესებული.

ავტონომიურ გაერთიანებებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ

საკუთარი გერიგორიული ორგანიზაცია, ე. ი. თავიანთი გერიგორიის ფარგლებში ჩამოაყალიბონ სხვადასხვა ადგილობრივი ერთეულები. მაგალითად, როგორც არის მუნიციპალიტეტების გაერთიანება, ქალაქთა გაერთიანება და ა.შ.

დღეისათვის ესპანეთში არსებობს 50 პროვინცია. ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, პროვინცია არის ადგილობრივი წარმონაქმნი, რომელიც ფლობს იურიდიული პირის უფლებებს, აერთიანებს მუნიციპალიტეტთა ჯგუფს და სახელმწიფო მოღვაწეობის გაუმჯობესების მიზნით აყალიბებს გერიგორიულ ერთეულს. პროვინცია ხასიათდება, როგორც სამშავი ბუნების მაგარებელი: 1. გერიგორიული დანაყოფი, რომელსაც აქვს ღრმა ისტორიული ფესვები; 2. ადგილობრივი ერთეული, რომელიც შედგება მუნიციპალიტეტთა ჯგუფებისაგან და გააჩნია კონსტიტუციურად გარანტირებული საკუთარ ინტერესთა სფერო; 3. საარჩევნო ოლქი ქვეყნის სენატისა და დეპუტატთა კონგრესის არჩევნებისათვის.

პროვინციათა ორგანიზაციას ახორციელებენ შემდეგი ორგანოები: ა) პლენუმი, რომელიც აერთიანებს პროვინციის ყველა დეპუტატს. მათი ოდენობა განსაზღვრულია კანონის მიერ (არანაკლებ 25 და არაუმეტეს 51 დეპუტატი). დეპუტატთა არჩევა არ ხდება პირდაპირი არჩევნების გზით, არამედ პროვინციის მუნიციპალიტეტთა საბჭოს წევრებისაგან; ბ) პრეზიდენტი, რომელიც არჩეულია დეპუტატებს შორის (ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით); გ) მთავრობის კომისიები, რომლებშიც შედის პრეზიდენტი და დეპუტატები.

ცენტრალური მთავრობა წარმოდგენილია პროვინციებში გუბერნატორის მიერ, რომელსაც ნიშნავს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ესპანეთის საწყის გერიგორიულ ერთეულად განიხილება მუნიციპალიტეტი. ესპანეთში 8085 მუნიციპალიტეტია. კონსტიტუცია იძლევა მუნიციპალიტეტთა ავტონომიის გარანტიას. მუნიციპალიტეტი ფლობს იურიდიული პირის ყველა უფლებას. მისი მართვა ემყარება შესაბამის მუნიციპალურ საბჭოებს, რომელიც აერთიანებს ალკალდებს – მერებს და მრჩეველებს. მრჩეველთა არჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის მეშვეობით. მერები ირჩევიან მრჩეველების ან მოსახლეობის მიერ.

მუნიციპალიტეტი აერთიანებს სამ ელემენტს: გერიგორია, მოსახლეობა და ორგანიზაცია. ეს უკანასკნელი კი შეიძლება განხორციელდეს ორი ვითი – მუნიციპალიტეტთა საბჭოს (მერია) ან ასამბლეის მიერ.

მეტად სპეციფიკურ აღმინისგრაციულ-გერიგორიულ ერთეულს წარმოადგენს კუნძული. ესპანურ არქიპელაგთა (ბალეარისა და კანა-

რიის კუნძულები) გეოგრაფიული სპეციფიკა განსაზღვრავს ადგილობრივ სტრუქტურათა თავისებურებებს. კონსტიტუციის შესაბამისად არქიპელაგთა და კუნძულთა ტერიტორიაზე ყალიბდება საკუთარი ადმინისტრაცია კაბილდოს ან საბჭოების ფორმით. მთავრობის ორგანო, რომელიც შექმნილია ბალეარიის არქიპელაგის ყოველი მეოთხე კუნძულიდან, ქმნის კუნძულთა საბჭოს. ბალეარიის კუნძულებზე, როგორც ავტონომიურ გაერთიანებაში პროვინციის გარეშე, არ არსებობს პროვინციის დეპუტაცია. მართვის ფუნქციებს თავის თავზე იღებს კუნძულთა საბჭო, რომელსაც აგრეთვე ავტონომიური გაერთიანება ავალებს ან გადასცემს გარკვეულ უფლებამოსილებათა შესრულებას.

რაც შეეხება კანარიას, არქიპელაგში შემავალი ყოველი მეექვსე კუნძულისაგან იქმნება მთავრობის სპეციალური ორგანო – კუნძულთა კაპილდო (არჩევითი ორგანო). მიუხედავად იმისა, რომ კანარიის კუნძულებზე არსებობს ორი პროვინცია, მათ მართვას ხელმძღვანელობს კუნძულთაშორის გაერთიანების შესაბამისი ორგანო, რომელიც ჩამოყალიბებულია პროვინციის შემადგენლობაში შემავალ კუნძულთა კაბილდოს პრეზიდენტის მიერ.

მუნიციპალიტეტთა, პროვინციათა და კუნძულთა გვერდით, რომელთა ფუნქციონირება გარანტირებულია კონსტიტუციის მიერ, ესპანეთში არსებობს სხვა გიპის ადგილობრივი ერთეულები, რომელთა შექმნა, ჩამოყალიბება შესაბამისობაშია თითოეული ტერიტორიის გრადიციებთან. აღნიშნულ ერთეულებს აქვთ მმართველობის საკუთარი ორგანოები, რომელიც ხელმძღვანელობს საკუთარ ინტერესთა განხორციელებას. ეს ერთეულებია:

მცირე ადგილობრივი ერთეული, ანუ მუნიციპალიტეტთა დაბალი ტერიტორიული მხარე. მისი საქმიანობა შეესაბამება იმ ავტონომიური გაერთიანების ინტერესებს, რომელთა ტერიტორიაზეც ისინი იმყოფებიან და მათი საქმიანობა მოწესრიგებულია ადგილობრივი რეჟიმის მარეგულირებელი კანონის მიერ (სასოფლო - საეკლესიო თემი, დაბა და ა.შ.).

თავისებურება, რომელსაც მოიცავს ერთეულთა ეს გიპი, მდგომარეობს იმაში, რომ იგი ფუნქციონირებს როგორც მთავრობის ერთპიროვნული ორგანო, შექმნილი პირდაპირი არჩევნების გზით.

• რაიონები ფლობენ მართვის უმაღლეს რეჟიმს, მაგრამ ყოველთვის დაქვემდებარებულს პროვინციაზე. მათი საქმიანობა მოწესრიგებულია ადგილობრივი რეჟიმის მარეგულირებელი კანონის მიერ. ესპანეთში 12 ავტონომიური გაერთიანების სტატუსი ითვალისწინებს რაიონთა შექმნას, თუმცა დღემდე მხოლოდ კატალონიამ განახორციელა თავისი ტერიტო-

რიების რაიონებად დაყოფა (კომარკაზაცია).

- ადგილობრივი რეჟიმის მარეგულირებელი კანონი ითვალისწინებს ქალაქთა ზონის შექმნის შესაძლებლობას. ქალაქთა ზონა არის ერთი უფრო დიდი მუნიციპალიტეტის ირგვლივ პატარა და მრავალ მუნიციპალიტეტთა გაერთიანების შედეგი. ქალაქთა ზონის მაგალითის წარმოადგენს ეალენსიის ავტონომიურ გაერთიანებაში არსებული ე.წ. sell Metropolitana de L'Hozta, რომელიც აერთიანებს 44 მუნიციპალიტეტს.

- ადგილობრივი რეჟიმის მარეგულირებელი კანონის შესაბამისად შესაძლებელია მანკომუნიდალების შექმნა (მუნიციპალიტეტთა გაერთიანება). მანკომუნიდალები ესპანეთში ძალზედ გავრცელებული მოდელია, რადგანაც ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის გამო აღნიშნული წარმოადგენს პრობლემათა გადაჭრის გზას. დღეისათვის ესპანეთში დაარსდა 644 მანკომუნიდადი, რომელიც აერთიანებს 4152 მუნიციპალიტეტს.

ამს-სგან განსხვავებით, ისევე როგორც გერმანულ ფედერალურ სისტემაში, ესპანურ სისტემაში ხელისუფლების განაწილების პირობებში გამიჯვნა თანამშრომლობითაა შეცვლილი. ეს გენდენცია ყველაზე კარგად საკანონმდებლო კომპეტენციის მაგალითზე ჩანს, რადგან კომპეტენცია რომელიმე სფეროში მთლიანად იშეიათად აქვს გადაცემული მხოლოდ ერთ ორგანოს. ძირითადად მუშაობს მექანიზმი, რომელსაც "ერთობლივი კანონმდებლობა" ეწოდება და რაც გულისხმობს სახელმწიფო დონეზე კანონის ძირითადი პარამეტრების და პრინციპების შემუშავებას, ხოლო ავტონომიების დონეზე – კანონის დაკონკრეტებასა და საბოლოოდ ჩამოყალიბებას.

ესპანეთის კონსტიტუციაში ჩართულია ნორმათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ცენტრალური ხელისუფლებისა და ავტონომიების უფლებებს, მათი კომპეტენციის კონკრეტულ შინაარსს და საზღვრებს. ხელისუფლება ახდენს თავისი უფლებამოსილებების განსაზღვრული ნაწილის დელეგირებას რეგიონებზე, ხოლო კონსტიტუცია შეიცავს ასეთი გამიჯვნის გარანტიებს.

ავტონომიებს გადაცემული აქვთ ფართო ექსკლუზიური კომპეტენცია თვითმმართველობის განსახორციელებლად, რომლის დაკონკრეტება მოცემულია ყოველი ავტონომიის წესდებაში. ავტონომიებს კომპეტენციის საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი აქვთ ეკონომიკის რეგულირების სფეროში, საზოგადოებრივი სამსახურის ისეთ სფეროში, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, სოცუმრუნველყოფა, გარემოს დაცვა, ურბანიზმი, მშენებლობა, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და სხვა.

ამას გარდა, ავტონომიის კომპეტენციაში შედის სახელმწიფო

კანონმდებლობის აღსრულება სახელმწიფოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. ავტონომიურ გაერთიანებებს აქვთ თავისი ბიუჯეტი, დამტკიცებელი მათი საკანონმდებლო კრებების მიერ, რომელიც ასახავს არჩეულ პოლიტიკურ კურსს.

კომპეტენციათა დანაწილება თვითმმართველობის დონეებს შორის ნაკლებად თვალსაჩინოა იმის გამო, რომ ზედა დონის ადგილობრივი თვითმმართველობის (პროვინციის) კომპეტენციები ხორციელდება ან მუნიციპალური დონის კომპეტენციების პარალელურად ან იმ შემთხვევაში თუ ქვედა დონეს ამის ძალა არ შესწევს.

ქვემოთ მოცემულია რიგი კომპეტენციებისა, რომელიც გადაცემული აქვს თვითმმართველობის პირველ დონეს – მუნიციპალიტეტს:

- ადგილობრივი მიწათსარგებლობა, მშენებლობა, შენობის იერსახის შეცვლა, შენობის ფუნქციის შეცვლის ნებართვის გაცემა;
- საკეები პროდუქტების შემოწმება, ნარჩენების შეგროვება და გაგანა, პარკები, სასაფლაოები, ადგილობრივი მნიშვნელობის ვილები;
- სპორტის ობიექტები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საგრანსპორტო მომსახურების დაფინანსება პენსიონერებისა და მოსწავლეებისათვის, გრანსპორტის მოძრაობის კონტროლი, სასკოლო გრანსპორტის ორგანიზება;
- მოხუცთა მოვლა-პატრონობა (ბინაზე ან მოხუცთა სახლებში), ბავშვთა უფლებების დაცვა, ინვალიდთა, მარტოხელა მშობლების და უმუშევრების დახმარება, პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრების ან სააუადმყოფოების დაფინანსება;
- ბინათმოწყობა, წყალმომარაგება, კანალიზაცია, გამით და ელექტროენერჯით უზრუნველყოფა;
- სახანძრო დაცვა, მუნიციპალური პოლიცია, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სამოქალაქო და საარჩევნო რეგისტრაცია.

3.4. იაპონია

იაპონიის დემოკრატიული ადგილობრივი მმართველობის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო 1946 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა კონსტიტუცია, რომლის ერთი თავი ეძღვნება ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიებს. უფრო ღეგალურად ადგილობრივი მმართველობის საქმიანობის რეგულირება ხდება 1947 წელს მიღებული კანონით "ადგილობრივი ავტონომიის შესახებ".

კანონის თანახმად იაპონიის ადგილობრივი მმართველობა ორლონიანია: პრეფექტურები და მუნიციპალიტეტები.

უმალეს დონეს მიეკუთვნება დედაქალაქის ოლქი, ხოკაიდოს კუნძული, ორი ქალაქის (კიოტო, ოსაკა) პრეფექტურა და 43 დანარჩენი პრეფექტურა, რომელთა სამართლებრივი სტატუსი თითქმის ერთნაირია. ტოკიოს ოლქი დაყოფილია 23 საქალაქო რაიონად და რიგ ქალაქებად, დაბებად და სოფლებად. მსხვილი ქალაქები, სადაც მოსახლეობა ერთ მილიონზე მეტია, შედგება რაიონებისაგან, რომლებსაც არ აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის სტატუსი.

ადგილობრივი ხელისუფლების მეორე დონეა მუნიციპალიტეტები – ქალაქები, დაბები და სოფლები, რომლებიც განიხილება, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი ერთეულები. ისინი ერთნაირი სამართლებრივი სტატუსის მქონენი არიან, მაგრამ ფუნქციონალურად აქვთ არსებითი განსხვავება. ქალაქის მუნიციპალიტეტი ასრულებს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ფუნქციებს, რომლებსაც დაბისა და სოფლის მუნიციპალიტეტებისათვის ახორციელებენ პრეფექტურის ადგილობრივი ორგანოები.

ადგილობრივი მმართველობის ეფექტურობის სრულყოფის მიზნით 1956 წელს იაპონიაში მიღებულ იქნა კანონი ჰმცირე ქალაქებისა და სოფლების მუნიციპალიტეტების კონსოლიდაციის (გაერთიანების) შესახებ“, რის შედეგადაც მსხვილი ქალაქების რაოდენობის ზრდის კვალობაზე (1956 წ. – 488, 1993 წ. – 663) მცირე ქალაქებისა და სოფლების მუნიციპალიტეტთა რიცხვი შემცირდა 3477-დან (1956 წ.) 2573-მდე (1993 წ.), სულ მსხვილი ქალაქების მუნიციპალიტეტების ჩათვლით 3975-დან 3236-მდე.

პრეფექტურებში გუბერნატორები, ხოლო მუნიციპალიტეტებში მერები და მუნიციპალიტეტების ასამბლეის (საკრებულოს) წევრები ირჩევიან მოსახლეობის მიერ პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით ოთხი წლის ვადით.

პრეფექტურისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების რაოდენობა დამოკიდებულია მათი გერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაზე და ითვლის 12-დან 120-მდე წევრს. საკრებულოები აკონტროლებენ აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას, მათ შეუძლიათ უნდობლობის ეოგუმის გამოტანა გუბერნატორისა და მერის თანამდებობიდან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე გადაყენებასთან დაკავშირებით.

გუბერნატორებსა და მერებს საკმაოდ დიდი უფლებები ვააჩნიათ. მათ შეუძლიათ დაითხოვონ და მოიწვიონ ადგილობრივი საკრებულოები, ისინი წარადგენენ საკრებულოზე ბიუჯეტის და სხვა ნორმატიული აქტების

პროექტებს, აწარმოებენ აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირების დანიშვნას, რომლებსაც ამტკიცებენ შესაბამისი საკრებულოები.

პრეფექტურისა და მუნიციპალიტეტის დონეზე ადგილობრივ ორგანოებს შორის კომპეტენციების გამიჯვნა კანონში არ არის დეგალიბებული. კანონი მუნიციპალიტეტს მიაწერს ადგილობრივი ორგანოების ყველა საერთო ფუნქციის შესრულებას, გარდა ისეთი ფუნქციისა, რომელიც გამოდის მისი შესაძლებლობების ფარგლებიდან. ამგვარი ფუნქციები მიეკუთვნება პრეფექტურის კომპეტენციას, რომელსაც დამატებით ეძლევა თავის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტთა საქმიანობის კოორდინირების უფლებამოსილება.

კანონით ცენტრალური მთავრობის კონკრული ადგილობრივ მმართველობაზე ძირითადად გაუქმებული იქნა. ცენტრალურ მთავრობას შეუძლია მისცეს მას მხოლოდ რჩევები და რეკომენდაციები. ამ მიზნით 1960 წელს შეიქმნა სამინაო საქმეთა სამინისტრო, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია არის ადგილობრივ დონეზე აღმინისტრაციული და ფინანსური საკითხების კოორდინაცია.

რეფორმების შედეგად მმართველობის ზოგიერთი სფერო ცენტრალური მთავრობიდან გადავიდა ადგილობრივი მმართველობის ფუნქციებში. ეს სფეროებია:

- დაწყებითი განათლების ორგანიზაცია;
- პოლიცია; დასახლებულ პუნქტებში – 5 ათასზე მეტი მოსახლეობით – შეიქმნა ადგილობრივი მუნიციპალური პოლიცია; დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში პოლიციის საქმიანობას წარმართავენ ეროვნული პოლიციის ადგილობრივი ლეპარტამენტები.
- სახანძრო დაცვა;

გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაში შედის: სამოგადობრივი წესრიგის დაცვა, მოსახლეობისა და მათ ტერიტორიაზე დროებით მყოფი პირების უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვა, კომუნალური მეურნეობის წარმართვა, პარკების, გზების, ხიდების მოწყობა და მართვა, სკოლების, მუშეუმებისა და საავადმყოფოების მართვა, მიწათმოწყობა, დაგეგმარება და მონებად დაყოფა, მუნიციპალურ საწარმოთა ორგანიზაცია, გაბითა და წყლით მომარაგების სისტემების მართვა, გადასახადების აკრეფა, ისტორიული ძეგლების დაცვა, მზრუნველობა მცირეწლოვანთა, ღარიბთა, ავადმყოფთა და ღრმად მოხუცებულთა მიმართ, რეჯისტრაცია და სტატისტიკა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სრული დამოუკიდებლობა უფლებამოსილებების მიხედვით საკითხების გადაწყვეტაში გარკვეულწილად შეზღუდულია მთელი

რივი მომებით. მაგალითად, ცენტრალური უწყებების პერიფერიული ფილიალები თავიანთი საქმიანობისას ექვემდებარებიან მუნიციპალიტეტებს; პოლიციასა და სასკოლო დაწესებულებებს უმთავრესად აკონტროლებენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების სახელმწიფო კომისია და განათლების სამინისტრო; სახელმწიფო ღოტაციის არსებობა, როდესაც ადგილობრივ ორგანოებს არ შეუძლიათ საკუთარი სახსრებით დაფარონ მუნიციპალური ხარჯების ნაწილი. გარდა ამისა, კომუნალური მეურნეობის მრავალი სასიცოცხლო დარგი (ელექტრო და გაზით მომარაგება) არის კერძო კომპანიების ხელში.

ცენტრალური მთავრობა ხშირად მიუთითებს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მხრიდან ადმინისტრაციული და ფინანსური მართვის არაეფექტურობის შესახებ. თავის მხრივ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები აკრიტიკებენ ცენტრალურ ხელისუფლებას იმის გამო, რომ მოგიერთი მათი რეგიონალური სტრუქტურა დაუბლირებას უწევს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს (მაგალითად, სოფლის მეურნეობის მართვის ადმინისტრაცია, საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის რეგიონალური ბიუროები და ა.შ.), რაც იწვევს მართვის პროცესის გართულებას.

ადგილობრივი ავტონომიის შესახებ კანონი ითვალისწინებს შესაბამისი ადმინისტრაციულ-გერიგორიული ერთეულის მმართველობაში ამომრჩეველების უშუალო მონაწილეობის შესაძლებლობას: 1) ამომრჩეველებს აქვთ უფლება მოთხოვონ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს მიმართოს საკრებულოს თხოვნით მიიღოს ან უარყოს გადაწყვეტილება თუ ის არ ეხება გადასახადებსა და ფინანსებს; 2) თუ აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები თავის მოვალეობებს ასრულებენ არასაკმარისად აქტიურად, ამომრჩეველებს შეუძლიათ გუბერნატორისაგან ან მერისაგან მოითხოვონ მათი მოვალეობების მუსკად შესრულება; 3) ამომრჩეველთა არა ნაკლებ 1/3-ს შეუძლია არჩევნების კონტროლის კომისიაში შევიდეს წინადადებით საკრებულოს დათხოვნის თაობაზე. თუ მოთხოვნა მხარდაჭერილია ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, საკრებულოს უფლებამოსილება უწყდება; 4) ამომრჩეველების მიერ იგივე წესით შეიძლება გაწვეულ იქნენ მერი და სხვა ხელმძღვანელი თანამდებობის პირები. როგორც საკრებულოს დათხოვნა, ასევე ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მათი საქმიანობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ.

პრეფექტურებსა და მუნიციპალიტეტებს აქვთ დამოუკიდებელი ბიუჯეტები. 1954 წელს გაგარდა რეფორმები ადგილობრივი ფინანსური სისტემის სფეროში, რაც ძირითადად ითვალისწინებდა ადგილობრივი

საგადასახადო სისტემის გადასინჯვას და ცენტრალური მთავრობიდან გრანტების და სუბსიდიების გადაცემის სისტემის სრულყოფას.

3.5. ინვალისი

1972 წელს, რეფორმის შემდეგ, ინვალისში შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლების ორღონიანი სისტემა – საგრაფო და რაიონები (ოლქები), რომელთაც არ აქვთ იერარქიული ურთიერთმიმართება და გააჩნიათ საკუთარი ფუნქციები. ინვალისში სადღეისოდ 34 საგრაფო და 238 რაიონია, რომლებსაც ხელმძღვანელობენ არჩევითი საბჭოები (საკრებულოები). ამასთან, ინვალისის 46 დიდ ქალაქში ერთღონიანი (უნიტარული) თვითმმართველობის სისტემა მოქმედებს, სადაც ხორციელდება ერთდროულად საგრაფოებისა და რაიონების უფლებამოსილებები. ამავე დონეზე განიხილება დიდი ლონდონის ხელისუფლება, რომელიც შედგება ლონდონის 32 რაიონის საბჭოსა და ქალაქ ლონდონის კორპორაციისაგან.

ადგილობრივი მმართველობის ყველაზე დაბალი დონეა სამრეველოები (ან თემები), რომელთა რაოდენობა 11 ათასზე მეტია. თუ სამრეველოს მოსახლეობა არ აღემატება 150 ამომრჩეველს, მაშინ გადაწყვეტილებები მიიღება მცხოვრებთა საერთო კრებაზე. სამრეველო საბჭოები არ ფლობენ იურიდიული პირის სტატუსს, მათ არ გააჩნიათ ფართო უფლებამოსილება და ფონდები. ასეთი საბჭოების ძირითადი მიზანია ადგილობრივ საოლქო აღმინისტრაციაში წარმომადგენლობა.

ყველა დონის წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირება ხდება 4 წლის ვადით პირდაპირი არჩევნების გზით და მათში შედიან თავმჯდომარე და მრჩეველები. საბჭოს თავმჯდომარე ყოველწლიურად აირჩევა საბჭოს მიერ თავისი შემადგენლობიდან, მრჩეველების შემადგენლობის განახლება ხდება ერთი მესამედით ყოველწლიურად. წარმომადგენლობით ორგანოებს დიდი უფლებამოსილებები აქვთ, პოლიტიკას განსაზღვრავენ მათი წევრები, რომლებიც ძირითადად, პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენენ. საბჭოებს არ ჰყავთ ცალკე აღმასრულებელი რგოლი და მართვა წარმოებს კომიტეტების მეშვეობით, რომლებიც დარგების მიხედვითაა დაყოფილი.

საკომიტეტო სისტემა მოიცავს ადგილობრივი ხელისუფლების აპარატის პროფესიულ კადრებს – მოცემული დარგის სპეციალისტებს, რომლებიც ამზადებენ გადაწყვეტილებებს, და საბჭოს წევრებს, რომლებიც იღებენ ამ გადაწყვეტილებებს. ერთადერთი გამონაკლისია საფინანსო

კომიტეტი, რომლის ყველა წევრი საბჭოს წევრია.

საგანგებო საარჩევნო სტაგუსის მქონე სარაიონო საბჭოებში თაემჯდომარე ითვლება მერად, რომლის თანამდებობა წარმომადგენლობითია. მერებს ყოველწლიურად ირჩევენ და მათ ცერემონიული დანიშნულება აქვთ.

არჩევითი ადგილობრივი ხელისუფლება კონსტიტუციის თანახმად ექვემდებარება პარლამენტს. მისი არსი, ძალაუფლება და კომპეტენცია განისაზღვრება სტაგუსით, რომლის შეცვლა შესაძლებელია უბრალო საპარლამენტო უმრავლესობით.

საგრაფოებსა და რაიონების საბჭოებს პარლამენტის აქტებით მინიჭებული აქვთ სავალდებულო და სარეკომენდაციო ფუნქციები. საგრაფოების მუნიციპალური საბჭოების უფლებამოსილებაში შედის: განათლება – მასწავლებელთა დასაქმების ჩათვლით, სოციალური მომსახურება მოხუცთათვის, ბავშვებისა და ინვალიდებისათვის, გრანსპორტი, გზები, კანალიზაცია და ნარჩენების გადამუშავება, სტრატეგიული დაგეგმვა, საზოგადოებრივი დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, ეროვნული პარკების შენახვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზება, საავადმყოფოები და ჯანდაცვა, წყლით, ელექტროენერჯით და გაზით მომარაგება.

რაიონების მუნიციპალური საბჭოების უფლებამოსილებაა უფრო მცირე ზომის და ლოკალური მომსახურების გაწევა: განსახლება, ქუჩების დასუფთავება და განათება, დასვენების ცენტრები, პარკები, საცურაო აუზები, ნავის გაგანა, ადგილობრივი დაგეგმვა, განვითარების კონტროლი, სასაფლაოები, კრემატორიუმები, მუზეუმები, ადგილობრივი ბიბლიოთეკები და პერსონალური სოციალური მომსახურება, საბინაო მეურნეობის საკითხები.

ყველა სახის ადგილობრივი ორგანოები უფლებამოსილნი არიან უმრუნველყოთ მათ გერიგორიაზე თეატრების და სხვა გასართობი დაწესებულებების ფუნქციონირება. მუნიციპალურ ორგანოებს შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. გარემოს დაცვის სახელმწიფო მდივნის თანხმობით საგრაფოებისა და რაიონების საბჭოები დებენ ხელშეკრულებას სხვადასხვა საქონლის და მოწყობილობების მიწოდებაზე.

ქალაქებში მიწის ნაკვეთებისა და სოფლებში მიწენილი მიწების გამოყენების მეთვალყურეობის სრული უფლებამოსილებით აღჭურვილი არიან ლონდონის საოლქო, ქალაქებისა და სამრეელო საბჭოები. ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ შეიძინონ მიწა, მიიღონ იგი სამრეელო

მიზნებისათვის იძულებითი ჩამორთმევის შესახებ აქტის მეშვეობით. უფლება აქვთ დაავალდებულონ მესაკუთრენი გააუმჯობესონ და კეთილმოაწყონ საცხოვრებელ სახლებთან მიმდებარე გერიგორიები.

ადგილობრივი თვითმმართველობა ინგლისში აგებულია ანგლო-საქსურ მუნიციპალურ სისტემაზე, მაგრამ მთავრობის მიერ ადგილებზე დანიშნული მოხელეების არ არსებობა არ ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა სრულიად თავისუფალია მთავრობის კონტროლისაგან. უფრო მეტად გავრცელებულია კონტროლის შემდეგი ფორმები – ნორმების რეგულირება, ადგილობრივი ხელისუფლების აპარატის მუნიციპალიტეტების მიერ არჩეული მოხელეების დამტკიცება შესაბამისი ცენტრალური დეპარტამენტების მიერ, ინსპექტირება, ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის გამოძიება თაღლითური ქმედებების აღმოჩენის დროს. კონტროლის სპეციფიკური ფორმაა ადგილობრივი მმართველობის აღმინისგრაფიის საქმეების კომისიარი, რომელიც ადგილობრივი მმართველობის შესახებ კანონითაა დაწესებული. ამავე კანონით დაფუძნებულია კომისია, რომელიც კომისარის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საუქებელზე ადგენს ოფიციალურ წერილებს და უგზავნის მათ როგორც საერთო, ასევე სპეციალური კომპეტენციის ადგილობრივ ორგანოებს.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კონტროლი საფინანსო სფეროში ხორციელდება აუდიტორების მიერ. ეს თანამდებობა გათვალისწინებულია კანონით ადგილობრივი მმართველობის შესახებ. ისინი მოქმედებენ ყოველ ოლქში და ამოწმებენ საზოგადოებრივ საჭიროებებზე გამოყოფილი თანხების ხარჯვის კანონიერებას. მუნიციპალური ხელისუფლების არაკანონიერი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აუდიტორი გადასცემს სასამართლოს.

რაც შეეხება ფინანსებს, ადგილობრივი ხელისუფლებას აქვს უფლება დააწესოს ლოკალური გადასახადები, მაგრამ ფონდების უდიდესი ნაწილი მოდის ცენტრალური ხელისუფლებისაგან დოგაციებისა და სესხების სახით. დაფინანსების ამგვარმა სისტემამ საშუალება მისცა ცენტრალურ ხელისუფლებას კონტროლი გაეწიოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ფინანსებს. ამ კონტროლის გასამტკიცებლად შემუშავდა საგადასახადო და საგარიფო კანონმდებლობა.

2000 წელს ინგლისში დაიწყო "დემოკრატიული განახლების" გეგმის განხორციელება, რაც გულისხმობს განცალკევებული აღმასრულებელი შტოს შემოღებას, წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის როლის ორად გაყოფას – აღმასრულებელი, წარმომადგენლობითი და მაკონტროლებელი უწყებებით. განიხილება აღმასრულებელი შტოს ფორმირების სამი

მოდელი: ა) პირდაპირ არჩეული მერი და დანიშნული კაბინეტი, რომელიც საბჭოს 9 წევრისაგან შედგება; ბ) პირდაპირ არჩეული მერი და მენეჯერი, რომელსაც საბჭო დანიშნავს; გ) პირდაპირ არჩეული ლიდერი და კაბინეტი, რომელიც ან დანიშნება, ან საბჭოს მიერ აირჩევა. აღმასრულებელი შტოს მოდელის შერჩევა შესაძლებელია რეფერენდუმის საფუძველზე ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ამომრჩევლისათვის. სახელმწიფო მინისტრს შეუძლია ჩაერიოს და მოითხოვოს რეფერენდუმის გამართვა, თუ იგი თელის, რომ წარმომადგენლობითმა ორგანომ ამომრჩეველთა სურვილების არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა.

3.6. იტალია

თავისი წყობით იტალიური ადგილობრივი მმართველობის სისტემა სამდონიანია: ოლქი (20), პროვინცია (95) და კომუნა (8098).

ამასთან, არსებობს ორი კატეგორიის ოლქი – სპეციალური და ჩვეულებრივი. პირველ ჯგუფში შედის კუნძულები და ზოგიერთი სასაზღვრო რეგიონი, რომელთაც აქვთ სპეციფიკური პრობლემები – სოციალურ-ეკონომიკური, ლინგვისტური, კულტურული და სხვა. ასეთი 5 ოლქია, რომელთა სტატუსის რეგულირება ხდება სპეციალური კონსტიტუციური კანონებით. სტრუქტურულად ორივე კატეგორიის ოლქები ერთგვაროვანია, მაგრამ სპეციფიკურ ოლქებს გააჩნიათ მეტი უფლებები, ვიდრე ჩვეულებრივს.

ოლქების უფლებამოსილებათა წრე ძირითადად მოიცავს ხელისუფლების ორგანოთა ორგანიზაციას, კომუნებს შორის საზღვრების დადგენას, სანიტარულ და სამედიცინო დახმარებას და სხვა. ეროვნულ დონეზე ოლქები მონაწილეობენ პრეზიდენტის არჩევნებში, აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, შეუძლიათ მოითხოვონ რეფერენდუმის ჩატარება.

ოლქის უფლებამოსილებათა შორის მნიშვნელოვანია აგრეთვე პროვინციებსა და კომუნებზე ზედამხედველობის ფუნქცია, რომელიც გამოიხატება მათი ნორმატიული აქტების კანონიერების კონტროლში. თუმცა, აქ არ არის საუბარი ქვემდგომის საქმიანობაში პირდაპირი ჩარევის ფორმების გამოყენებაზე.

ოლქის ორგანოთა სისტემა მოიცავს საოლქო საბჭოს, საოლქო ჯუნგასა და მის თავმჯდომარეს. საოლქო საბჭო წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით პროპორციული სისტემის საფუძველზე. საოლქო საბჭოს შემადგენლობა მერყეობს 30-დან 80 წევრამდე და დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე. ყველა

საოლქო საბჭოსათვის დამახასიათებელია ერთიანი სტრუქტურა: საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ემორჩილება პრეზიდიუმის ბიურო, რომელშიც შედის ორი ვიცე-თავმჯდომარე, ორი მდივანი და კვესტორები. საოლქო საბჭოს თანამდებობის მითითებულ პირებს ირჩევს საბჭო თავისი შემადგენლობიდან. თავმჯდომარისა და მოადგილის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით და 6 თვით და მათი არჩევისას დაეკისრება ენობრივი (იგალიური, გერმანული) ჯგუფების წარმომადგენელთა მონაცულებობის პრინციპი. საოლქო საბჭოებში ფუნქციონირებენ მუდმივი და სპეციალური კომისიები. საოლქო საბჭოს არჩევნებს ნიშნავს ოლქის ჯუნგის თავმჯდომარე, ხოლო საბჭოს ვადამდე დათხოვნა ხდება რესპუბლიკის პრეზიდენტის მოტივირებული ღკრეკით. საოლქო საბჭოს ფუნქციებს შორის აღსანიშნავია მისი ჯუნგამე კონტროლის ფუნქცია.

ოლქის აღმასრულებელი ორგანოა ჯუნგა, რომელიც შედგება თავმჯდომარის, ექვნი ნამდვილი და ორი სათადარიგო ასესორისაგან. ყველა მემოთ აღნიშნული პირი აირჩევა საოლქო საბჭოს მიერ თავისი შემადგენლობიდან.

ჯუნგას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს ოლქს მის მიგნით და საგარეო ურთიერთობებში. ჯუნგაში თითოეული ასესორი პასუხისმგებელია მმართეელობის კონკრეტულ სფეროზე:

ჯუნგას მიწიჭებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, იგი ამზადებს ბიუჯეტის პროექტებს, განეითარების პროგრამებს, ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმებს. ოლქების კონტროლის მიზნით ცენტრალური ხელისუფლება ნიშნავს კომიტეტს და სამთავრობო კომისიას, რომლებიც ამოწმებენ აქტების კანონიერებას, მათი შემუშავებისას გამოყენებულ ფინანსურ და აღმინისტრაციულ კრიტერიუმებს. კონფლიქტის შემთხვევებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო.

იგალიაში წმინდა აღმინისტრაციული ერთეულებია პროვინციები და კომუნები. პროვინციებში მმართეელობის ორგანოების სისგემა ანალოგიურია ოლქში მოქმედი სისგემისა. იგი ასევე აერთიანებს პროვინციის საბჭოსა და ჯუნგას. პროვინციის საბჭო 1993 წლიდან აირჩევა 4 წლით, ხოლო მისი წვერების რაოდენობა, პროვინციის პოტენციალის მიხედვით, 24-დან 45-მდე მერყეობს. პროვინციის ჯუნგაში 4-დან 8-მდე ასესორია. ჯუნგა ამზადებს პროვინციის საბჭოს გადაწყვეტილებებს, შემოსაელებისა და გასაელების ნუსხას და ა.მ.

პროვინციებში უდიდესი ხელისუფლება ეკუთვნის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელს – პრეფექტს, რომელიც არის მაღალი ანაბლაურების მქონე ჩინოენიკი, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის

რეკომენდაციის საფუძველზე და მინისტრთა საბჭოს მხარდაჭერით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. ადგილებზე პრეფექტებთან იქმნება საბჭო, რომელშიც შედის სამი ჩინოვნიკი. პრეფექტის საბჭოს დახმარებით ხორციელდება კონტროლი პროვინციებსა და თემებზე. პრეფექტის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა შორის მნიშვნელოვანია გედამხედველობა საზოგადოებრივი უშიშროების დაცვაზე და კონტროლი პროვინციის პოლიციაზე. აუცილებლობის შემთხვევაში პრეფექტი უფლებამოსილია გამოიძახოს შეიარაღებული ძალები. პრეფექტის კომპეტენციაშია ასევე ინსპექციის ჩატარება არასწორი აღმინისტრირების შემთხვევაში და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედების კოორდინირება.

იგალიაში ადგილობრივი თვითმმართველობის უძველეს ფორმად ითვლება კომუნა (თემი), კომუნის ხელმძღვანელი ორგანოა მუნიციპალური საბჭო, ჯუნგა და მერი, ანუ როგორც მას უწოდებენ, სინდიკოსი.

თემის საბჭო აირჩევა საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებით, 4 წლის ვადით მაჟორიტარული სისტემით. თემის საბჭოს წევრთა რაოდენობა შემცირდა 1993 წლიდან და განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე. თემის საბჭო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ირჩევს ჯუნგას – თემის აღმასრულებელ ორგანოს, რომლის წევრთა რიცხვი 2-დან 14-მდეა. ჯუნგა საბჭოს სესიებს შორის პერიოდში წარმოადგენს თემის საბჭოს, მას აქვს საკანონმდებლო უფლება. იგი მეთვალყურეობს მუნიციპალურ სამსახურებს, ამზადებს ვადაწყვეტილებებსა და ბიუჯეტის პროექტს, რომლებსაც წარმოადგენს საბჭოზე განსახილველად. საბჭო ირჩევს თემის მერს და მისი სამართლებრივი მდგომარეობა ხასიათდება ორმაგი სტატუსით. იგი ერთდროულად არის მუნიციპალური ჯუნგის მეთაური და სახელმწიფოს წარმომადგენელი კომუნაში.

1993 წელს ჩატარებული რეფორმების შემდეგ დაწესდა მერის პირდაპირი არჩევნები ორეგაპოვანი სისტემით კომუნებში, სადაც მაცხოვრებელთა რიცხვი 15 ათასზე მეტია. კანონში ცვლილებების თანახმად ჯუნგის კოლექტიური პასუხისმგებლობა შეცვალა მერის პასუხისმგებლობამ. იგი პირდაპირ ნიშნავს ან დაითხოვს მრჩეველს, მართავს კომუნას – ბიუჯეტი, პროგრამები, პოლიტიკა. არ არის დამოკიდებული საბჭოს კენჭისყრის შედეგებზე, მისი გადაყენებისათვის საჭიროა უნდობლობის ფორმალური ვოტუმის გამოგანა, მაგრამ ამ შემთხვევაში ასევე აეგომაგურად იძლება საბჭო და ინიშნება ახალი არჩევნები.

1990 წელს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, გათვალისწინებულ იქნა ქვეყნის მთავარ ქალაქებში რაიონების შექმნა. დღეისათვის საქალაქო დაქვემდებარების რაიონები შექმნილია 8 ქალაქის ბაზაზე. ასეთი რაიონების

თავისებურება ის არის, რომ ისინი მოიცავენ არა მარტო ქალაქს, არამედ, ეკონომიკურად მასთან დაკავშირებული ოლქების ტერიტორიებს მათში მდებარე კომუნებისა. ასეთი ქალაქების რაიონის ტერიტორიულ საზღვრებს ადგენს საოლქო კანონი დაინტერესებული პროვინციებისა და კომუნების წინადადებების გათვალისწინებით. ქალაქის რაიონებში არსებობს მმართველობის ორი დონე: ქალაქი – მეტროპოლია (შეესაბამება პროვინციულ დონეს) და კომუნა.

ოლქების კომპეტენცია განსაზღვრულია კონსტიტუციით, სადაც მოცემულია საკითხთა ნუსხა, რომლის მიხედვითაც ოლქი უფლებამოსილია გამოსცეს საკანონმდებლო აქტები შემდეგ საკითხებზე: საოლქო დაწესებულებათა ორგანიზაცია, კომუნათა საზღვრების დადგენა, სანიტარული დაწესებულებებისა და საავადმყოფოების ორგანიზაცია, ქალაქთმშენებლობა, გურიში, სასტუმროები, ნაოსნობა და თევზჭერა, სოფლის მეურნეობა და გყეები, საქალაქო და სასოფლო პოლიცია, ხელოსნობა, საზოგადოებრივი ქველმოქმედების საკითხების რეგულირება, საოლქო მნიშვნელობის საავტომობილო გზები, წყალსადენების და საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა, მინერალური წყლები, კარიერები და საკონსტიტუციო კანონებში მითითებული ზოგიერთი სხვა საკითხები.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ოლქს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო უფლებების კომპლექსი გააჩნია.

ეროვნულ დონეზე ოლქები მონაწილეობას ღებულობენ პრეზიდენტის არჩევნებში, შეუძლიათ მოითხოვონ რეფერენდუმის ჩატარება. სახელმწიფოსთან მიმართებაში ოლქი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებანი, პროვინციებსა და კომუნებზე განახორციელოს ზედამხედველობის ფუნქცია, რომელიც გამოიხატება მათი ნორმატიული აქტების კანონიერების კონტროლში.

90-იან წლებში მიღებული ახალი ნორმატივების თანახმად შემუშავდა უფლებამოსილებების განსაზღვრის ახალი კრიტერიუმები, რომლებიც დამყარებულია თითოეული ოლქის ინსტიტუციურ როლზე. დისტრიბუციას განსაზღვრავს ფუნქცია და არა იერარქიული სტატუსი.

კომუნის ამოცანები და მიზნები შემოფარგლულია საკუთარი ტერიტორიით. იგი ზრუნავს თავისი ინტერესების რეალიზაციაზე, საკუთარ განვითარებაზე და ეს ინტერესები მეტწილად შეეხება მიწათსარგებლობის, სოციალური და სამედიცინო მომსახურების, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, მუნიციპალური პოლიციის, ბინათმომწობის, კომუნალური მომსახურების სფეროებს.

პროვინციის, როგორც ოლქსა და კომუნებს შორის შუალედური რგოლის, უფლებამოსილებებშია კომუნებს შორის ურთიერთობების პრობლემების მოგვარება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რეგულირების ფუნქციები, სოციალური დახმარება, დაწყებითი და საშუალო სკოლების მშენებლობა, სპორტის ობიექტები, მუზეუმები და სხვა.

ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსების სფეროში რეგიონალური ფინანსური პოლიტიკა ითვალისწინებს და იმეორებს ცენტრალური ხელისუფლებისას. ოლქებს გააჩნიათ შემოსავლების წყარო: 1) რეგიონალური გადასახადები, ძირითადად, საზოგადოებრივ მიწებსა და საკუთრებაზე; 2) სახელმწიფო გადასახადებში რეგიონალური კვოტები, რომლებიც ქმნიან საგანგებო ფონდს მიმდინარე ჩვეულებრივი ხარჯებისათვის; 3) სამთავრობო სუბსიდიები სპეციალური ამოცანების შესრულებისათვის.

ოლქი, როგორც წესი, პროვინციებსა და კომუნებს გამოუყოფს სათანადო ფინანსურ სახსრებს ოლქის კანონების საფუძველზე. პროვინციის ადმინისტრაცია იღებს როგორც საოლქო, ასევე სახელმწიფო სახსრებსაც.

3.7. ნიდერლანდები

ნიდერლანდები უნიგარული დეცენტრალიზებული სახელმწიფოა ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის ორი დონით: პროვინცია და მუნიციპალიტეტი.

ნიდერლანდები დაყოფილია – 12 პროვინციად და 702 მუნიციპალიტეტად. ყველა პროვინციას, ისევე როგორც მუნიციპალიტეტებს ერთნაირი სტატუსი გააჩნია.

ადგილობრივი მთავრობის ზედა დონეა პროვინცია, რომლის წარმომადგენლობითი ორგანოა მოსახლეობის მიერ არჩეული საბჭო.

აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელია საბჭოს მიერ არჩეული და მონარქის მიერ დამტკიცებული გუბერნატორი, რომელიც თავმჯდომარეობს პროვინციის საბჭოსაც.

გუბერნატორი თამაშობს მნიშვნელოვან როლს, როგორც შუამავალი მთავრობის მიერ მერების დანიშვნაში.

ქვედა დონეს წარმოადგენს მუნიციპალიტეტი, სადაც მოსახლეობის მიერ პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ოთხი წლის ვადით არჩეულია წარმომადგენლობითი ორგანო – მუნიციპალური საბჭო.

აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელობს საბჭოს მიერ არჩეული და მონარქის მიერ დამტკიცებული მერი, რომელიც არის საბჭოს

თავმჯდომარეც. მერები მეთაურობენ, როგორც პოლიციის, ისე სახანძრო სამსახურებს. მერს ასევე მეთაურობს აქვს ომბუდსმენის ფუნქცია.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ასრულებენ ორმაგ როლს – ცენტრალური ხელისუფლების დამხმარე და თავისი ტერიტორიის მმართველი.

ნიდერლანდებში ადგილობრივი ხელისუფლების ზედა დონე, პროვინცია პასუხისმგებელია პროვინციის საქმიანობასა და ადმინისტრაციულ საკითხებზე. მისი მთავარი ფუნქციებია:

- ელექტროენერჯითა და წყლით მომარაგება;
- საქალაქო დაგეგმარება;
- სოციალური და ეკონომიკური საკითხები;
- კულტურის საკითხები;
- ვარემოს დაცვა.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებში შედის:

- განათლება – კარები და შენობები (სკოლებში დასწრების კონკრული, ჯანდაცვა სკოლებში, სკოლების საკონსულტაციო ჯგუფები, სასკოლო გრანსპორტი, სადამოს სკოლა, ქალაქის არქიტექტურა, საჯარო და სამხატვრო ბიბლიოთეკები).
- კულტურა – მუზეუმები, ისტორიული შენობები, ქალაქის არქიტექტურა, საჯარო და სამხატვრო ბიბლიოთეკები, სპორტი და დასვენება.
- სოციალური პოლიტიკა – უმუშევრობა და სოციალური დახმარება, სამოგალობრივი სამსახური, ადგილობრივი ჯანდაცვა, სამოგალობრივი შრომა, საცხოვრებელი, წესრიგის დაცვის მუნიციპალური ორგანოები და სამოქალაქო თავდაცვა, ვარემოს დაცვა ადგილობრივი მასშტაბით.

მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელი არიან საკანონმდებლო აქტების განხორციელებაზე. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში ისინი ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი არიან.

პროვინციების დაფინანსება ხდება პროვინციალური ფონდიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ საბიუჯეტო გეგმის მიხედვით. მათ აქვთ ძალიან შეზღუდული ადგილობრივი შემოსავლები. საბიუჯეტო გეგმით დადგენილი მუნიციპალური ფონდი მთავრობის მიერ ნაწილდება მოსახლეობის რიცხოვნობის, ხმელეთისა და წყლის ფართობის, განაშენიანების სიმჭიდროვის, სახლების რაოდენობისა და მშენებლობის ინტენსივობის მიხედვით. ფონდები ეძლევათ მუნიციპალიტეტებს, როგორც საერთო ან მიზნობრივი ღირებულების სახით. მუნიციპალიტეტებს აქვთ მინიმალური თავისუფლება თავისი შეხედულებისამებრ მიზნობრივი ღირებულების განკარგვაში. კონგრუის მექანიზმის რეგულირება ხდება ადგილობრივი

ხელისუფლების დაფინანსების შესახებ აქტებით, ფინანსების განაწილების აქტებითა და ანგარიშგების შესახებ დადგენილებებით.

3.8. საბერძნეთი

საბერძნეთში არის 13 რეგიონი, 56 პრეფექტურული ადმინისტრაცია, რომელთაგან 3 გაფართოებულია, 900 მუნიციპალიტეტი და 133 კომუნა.

ადგილობრივი ხელისუფლების პირველი დონე მოიცავს მუნიციპალიტეტებსა და კომუნებს. პირველი დონის ადგილობრივი ხელისუფლების შექმნის შესახებ“ 1997 წელს მიღებულმა კანონმა დააფუძნა ახალი მუნიციპალიტეტები და კომუნები, რაც ითვალისწინებდა არსებულ სტრუქტურათა განვითარებას. მუნიციპალიტეტებსა და კომუნებს შორის განსხვავება განპირობებულია მათი ფუნქციებითა და არჩევნების მეთოდებით.

ამ კანონის შესაბამისად ახალ მუნიციპალიტეტთა და კომუნათა გაერთიანებული ტერიტორიული არეები იყოფა ე. წ. მუნიციპალურ ან კომუნურ მეოთხედებად. თითოეული მეოთხედი შეიცავს ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც იმართება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

კომუნები იმართება:

- ა) კომუნის საბჭოს მიერ, რომელიც არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო;
- ბ) კომუნის პრეზიდენტის მიერ, რომელიც ადასრულებს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

კომუნის საბჭო შედგება 7 წევრისაგან თუ მოსახლეობა არ აღემატება 2000; 9 წევრისაგან – 2001-დან 5000 მოსახლემდე და 11 წევრისაგან – 5000 მოსახლემდე ზევით.

კომუნალური მეოთხედები წარმოდგენილია კომუნაში თავმჯდომარის მოადგილის სახით, რომელიც მონაწილეობას იღებს კომუნის საბჭოს სესიაში, გამოხატავს მოსაზრებებს კომუნის ინტერესებიდან გამომდინარე სპეციფიკურ საკითხებზე.

მუნიციპალიტეტი იმართება:

- ა) მუნიციპალური საბჭოს მიერ, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის სფეროში შემავალ საკითხებზე, გარდა იმ საკითხებისა, რომელიც მიეკუთვნება მერისა და საქალაქო კომიტეტების პასუხისმგებლობას.
- ბ) საქალაქო კომიტეტის მეშვეობით;
- გ) მერის მიერ, რომელიც თავმჯდომარეობს საქალაქო კომიტეტს და

ახორციელებს მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებებს.

მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე და მერყეობს 11-დან 41 წევრამდე.

საქალაქო კომიტეტის შექმნა დამოკიდებულია მუნიციპალური საბჭოს წევრთა რაოდენობაზე:

მუნიციპალური საბჭოს წევრთა რაოდენობა	კომიტეტის წევრთა რაოდენობა
15-მდე	2 + მერი = 3
31-მდე	4 + მერი = 5
31-ზე მეტი	6 + მერი = 7

საქალაქო კომიტეტი არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომლის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია კანონით. იგი შეიმუშავებს ბიუჯეტის კანონპროექტებს და მუნიციპალური და კომუნის საბჭოების მიერ მათთვის მინიჭებულ სხვა მოვალეობებს.

მეორე დონე წარმოადგენს პრეფექტურული ხელისუფლების ორგანოებს:

ა) პრეფექტურული საბჭო – მეორე დონის ადგილობრივი ხელისუფლების ძირითადი ორგანოა. მის პასუხისმგებლობაში შედის პრეფექტურული საკითხები, ვარდა პრეფექტის ან პრეფექტურული კომიტეტის კომპეტენციამი შემავალი საკითხებისა.

პრეფექტურული საბჭოს წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე და მერყეობს 21-დან 37 წევრამდე.

ბ) პრეფექტურული კომიტეტი – შედგება თავმჯდომარისა და 4-6 წევრისაგან. პრეფექტურული საბჭო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, რომლის პასუხისმგებლობაც განისაზღვრება კანონით. იგი აგრეთვე მუშაობს პრეფექტურული საბჭოს საკითხებზე და განახორციელებს პრეფექტურული საბჭოს მიერ მისთვის მინიჭებულ ვარკვეულ კომპეტენციებს.

გ) პრეფექტი – წარმოადგენს პრეფექტურულ ადმინისტრაციას და ახორციელებს პრეფექტურული საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მეორე დონის ყველა ადგილობრივ ხელისუფლებაში არსებობს ფინანსური და სოციალური კომიტეტები, რომლებიც საკონსულტაციო ორგანოა და წარმოდგენილია:

- მუნიციპალიტეტის და კომუნების ადგილობრივი კავშირიდან;
- დასაქმების ორგანიზაციებიდან;

- პალატებისა და სამეცნიერო ორგანიზაციებიდან;
- ასოციაციებიდან;
- პიროვნულად.

პირველი და მეორე დონის წარმომადგენლობითი ორგანოები არჩეულია მოსახლეობის მიერ ფარული კენჭისყრით ოთხი წლის ვადით. ადგილების სამი მეხუთედი მიღებულია მაქორიგარული სისტემის საფუძველზე, ხოლო ორი მეხუთედი – სიებით. მერი, კომუნის პრეზიდენტი და პრეფექტი ირჩევა პირდაპირ მოსახლეობის მიერ.

რეგიონი კანონის შესაბამისად წარმოადგენს ქვეყნის დეცენტრალიზებულ ადმინისტრაციულ ერთეულს. რეგიონებს გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტი, საკუთარი კადრები და რეგიონალური ხასიათის სამუშაოსათვის შემოსული ფონდების მართვის თანამედროვე მექანიზმები.

რეგიონის ორგანოებია:

ა) რეგიონის გენერალური მდივანი – ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია ხელისუფლების განხორციელებაზე და პოლიტიკაზე რეგიონალურ დონეზე.

იგი არის ყველა რეგიონალური ადმინისტრაციული დეპარტამენტის თავმჯდომარე და ასევე რეგიონში პოლიციის, პორტის და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსი. გენერალური მდივანი არის აგრეთვე რეგიონალური საბჭოსა და რეგიონალური განვითარების ფონდის თავმჯდომარე. იგი მდამხედველობას უწევს ადგილობრივ ხელისუფლებას. პასუხისმგებელია რეგიონის სამსახურებისათვის დელევირებულ კომპეტენციებსა და ფუნქციებზე და ნებისმიერ სხვა უფლებამოსილებებზე, რომლებიც განსაზღვრულია პრეფექტურის მიერ.

ბ) რეგიონალური საბჭო, რომელიც შედგება გენერალური მდივნისაგან – საბჭოს თავმჯდომარისაგან, მუნიციპალიტეტებისა და კომუნების ადგილობრივი კავშირის თითო წარმომადგენლისაგან და რეგიონალური სააგენტოების – პალატების 6 წარმომადგენლისაგან. საბჭო ამზადებს ეროვნული მნიშვნელობის პოლიტიკურ დონისძიებებს, წინადადებებს ცენტრალური სააგენტოებისათვის, რეგიონის განვითარების გეგმის პროექტს, იღებს გადაწყვეტილებებს პრეფექტურების განვითარების ყოველწლიურ გეგმაზე, საჯარო საინვესტიციო გეგმიდან გამოყოფს ფონდებს ადგილობრივი საჯარო სამუშაოებისათვის.

ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციები განსაზღვრულია კონსტიტუციითა და მითითებული კანონით, რომელთა საფუძველზე უფლებამოსილებების გადანაწილება ადგილობრივ ხელისუფლებასა და ცენტრალურ ადმინისტრაციას შორის მოცემულია ცხრილში.

ფუნქციები და ვალდებულებები	სახელმწიფო	პრეფექტურა	ადგილობრივი ხელისუფლების პირველი ღონე
I. საერთო მართვა			
მოსახლეობის ბუნებრივი გადაადგილების სტატისტიკა	X		X
უსაფრთხოება, პოლიცია	X		X (1)
მართლმსაჯულება	X		
ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური	X		X
სამოქალაქო თავდაცვა	X		X
სტატისტიკური მომსახურება	X		
ამომრჩეველთა სიები	X		X
II. განათლება			
სკოლამდელი	X	X (2)	X (3)
დაწყებითი და საშუალო განათლება	X	X (2)	X (3)
პროფესიული და ტექნიკური განათლება	X	X (2)	X (4)
უმაღლესი განათლება	X		
ზრდასრულთა სწავლება	X	X	X
III. ჯანმრთელობა			
სააუადმყოფოები	X	X	
ინდივიდუალური ჯანდაცვის დაწესებულებები	X	X	X

IV. სოციალური სფერო			
მომსახურება ოჯახებისთვის და ახალგაზრდებისთვის	X		X
დასასვენებელი სახლები	X		X
სოციალური დაზღვევა	X		
V. ბინათმშენებლობა, ქალაქდაგეგმარება			
ბინათმშენებლობა	X	X	X
ქალაქის დაგეგმარება	X	X	X
რეგიონალური დაგეგმარება	X	X	X
VI. გარემო და სახელმწიფო ჯანდაცვა			
წყალმომარაგება	X		X
საოჯახო მეურნეობა, კანალიზაცია და ნარჩენები			X
სასაფლაოები			X
სასაკლაოები			X
გარემოს დაცვა	X	X	X
VII. ხელოვნება, დასვენება, სპორტი			
თეატრები, საკონცერტო დარბაზები	X	X	X
მუზეუმები, სამხატვრო გალერიები, ბიბლიოთეკები	X	X	X
პარკები და ღია სივრცეები	X	X	X

სპორტი და დასვენება	X		X
რელიგია	X		
VIII. საგზაო მოძრაობა და გრანსპორტი			
ცენტრალური მაგისტრალი	X	X	
ურბანული საგზაო გრანსპორტი	X	X	X
ურბანული გრანსპორტი და რკინიგზა	X	X (5)	
პორტები	X	X (6)	X (6)
აეროპორტები	X		
IX. საყოფაცხოვრებო მომსახურება			
გაზი	X		X
წყალი (ირიგაცია)		X	X
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	X	X	X
ელექტროენერჯია	X		
კომერცია	X	X	X
ტურიზმი	X	X	X
საბაზო მეურნეობა	X		
X. სხვა ფუნქციები			
ლიცენზირება მომსახურებაზე, მეწარმეობა, სანიტარია		X (6)	X (7)

- (1) მუნიციპალური პოლიცია
- (2) სკოლების მშენებლობა - დამხმარე შტაბებით შექსება
- (3) სკოლების შენახვა და რემონტი
- (4) ნების დართვა
- (5) არსებული პორტის ფონდების სრულყოფისათვის მიღებული კანონები 2738/1999 და 2839/2000 ან პრეფექტურული ადმინისტრაციები, ისევე როგორც მუნიციპალიტეტებს შორის ხასიათის მუნიციპალური ფონდების შექმნა.
- (6) ნებართვის გაცემა საშენობო საქმიანობაზე
- (7) გარკვეული საწარმოების შექმნასა და უსუსტიანიერებაზე ლიცენზიის გაცემა.

ორი ან მეტი მუნიციპალიტეტის ან კომუნის საბჭოებს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის შექმნის თაობაზე ცალკეული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. ფართოდაა გაერცელებული მუნიციპალიტეტგორისი თანამშრომლობა კონგრატეტების საუწყებელზე იმ პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით, რომლებიც მიეკუთვნებიან გეოეკონომიკურ, სოციალურ და გრანსპორტის სფეროებს.

საბერძნეთში შექმნილია ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და კომუნების კავშირი ყოველ პრეფექტურაში, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ცენტრალური კავშირი, რომელსაც ბელამხედველობს საჯარო ადმინისტრაციისა და დეცენტრალიზაციის მინისტრი. საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია დაამყაროს საერთაშორისო ურთიერთობა სხვა ქვეყნების ადგილობრივ ხელისუფლებასთან საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით.

კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების აქტებზე ბელამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო. მუნიციპალიტეტებისა და კომუნების ორგანოების კოლექტიურ და ინდივიდუალურ აქტებს აკონტროლებს რეგიონის კონტროლის კომიტეტი, რომელიც შედგება კანონიერების სახელმწიფო საბჭოს ერთი წევრის – თაემჯდომარის და რეგიონის ორი მოხელისაგან. თუ რეგიონში არის ერთზე მეტი კომიტეტი, მაშინ თითოეულის კომპეტენციის არეალი განისაზღვრება რეგიონის გენერალური მდივნის მიერ. კონტროლის კომიტეტის არაკანონიერი გადაწყვეტილებების გაუქმება ხდება ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ.

ადგილობრივი ხელისუფლების მეორე დონეზე კოლექტიური აქტების კანონიერებას აკონტროლებს მითითებული კონტროლის კომიტეტი, ხოლო პრეფექტის ანუ ინდივიდუალურ აქტებს – რეგიონის გენერალური მდივანი. პრეფექტურის კონტროლის კომიტეტი შედგება მოსამართლის, პრეფექტურის საბჭოს წევრისა და მოხელისაგან. რეგიონის გენერალური მდივნისა

და კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ პეტიცია განიხილება ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ.

მუნიციპალიტეტები, კომუნები და ადგილობრივი ხელისუფლების მეორე დონე შეიმუშავენ ბიუჯეტს, რომლის საფუძველზე მაგერიალიზდება სრული საფინანსო მენეჯმენტი და აუდიტი.

ადგილობრივი ხელისუფლების პირველი დონის ფისკალური ადმინისტრირება ხდება საჯარო საფინანსო სამსახურებისა და დეპოზიტისა და კრედიტების ფონდის ან მათი საკუთარი ფისკალური სამსახურის მიერ, თუ მათ ასეთი გააჩნიათ.

მეორე დონეზე ფისკალური ადმინისტრირება სრულდება ექსკლუზიურად ფისკალური სამსახურების მიერ.

სახელმწიფო აუდიტის საბჭო ახორციელებს ფინანსების ხარჯვის კანონირებისა და ბალანსის უწყვეტ პრევენციულ კონტროლს ადგილობრივი ხელისუფლების ორივე დონეზე.

3.9. საფრანგეთი

საფრანგეთში ცენტრალური დონის ქვემოთ არსებობს ხელისუფლების კიდევ სამი დონე, რომლის სტრუქტურა მოცემულია ცხრილში.

დონე	ხელისუფლების ორგანოების რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა (ათასი)
რეგიონები	22	1000-დან 10000-მდე
დეპარტამენტები	96	100-დან 2500-მდე
მუნიციპალიტეტები (კომუნები)	36,500	2-დან 111-მდე

საფრანგეთში ცენტრალიზაციის მოდელი, ჩამოყალიბებული მონარქიის მიერ, განმტკიცებული იქნა ნაპოლეონ ბონაპარტის დროს, რომელმაც გააუქმა ისტორიული პროვინციები და მათ ნაცელად დააარსა უფრო პატარა ერთეულები, ცნობილი როგორც "დეპარტამენტები". ისინი იყვნენ უმეტესად ხელოვნური ადმინისტრაციული წარმონაქმნები, რომლებიც მოწოდებული იყვნენ ცენტრალური კონტროლის შესამსუბუქებლად. ყოველ დეპარტამენტში იყო თანამდებობის პირი – ცენტრალური მთავრობის წარმომად-

ვენელი, "პრეფექტად" წოდებული, რომელიც აკონტროლებდა ადგილებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. მუნიციპალიტეტები (კომუნები) წარმოადგენდნენ ადგილობრივი მმართველობის ყველაზე დაბალ ღონეს და არსებობენ XIV ასწლეულიდან. ისინი არსებითად განსხვავდებიან სიდიდის მიხედვით და აქვთ დიდი დამოუკიდებლობა.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთმა გადაღვა დიდი ნაბიჯი დეცენტრალიზაციისაკენ. საფრანგეთში ადგილობრივი ორგანოების სისტემა ყალიბდება ადმინისტრაციულ-გერიგორიული დაყოფის საფუძველზე. არჩევითი ორგანოებია კომუნებში, დეპარტამენტებსა და რეგიონებში.

არაეცენტრალური მმართველობის სამივე ტიპის ინსტიტუციური სტრუქტურა ერთგვაროვანია. თითოეული მოიცავს უნივერსალური საარჩევნო უფლებით არჩეულ საბჭოს, რომელიც თავის მხრივ ირჩევს მეთაურს: თავმჯდომარეს ან მერს (თუ საქმე ეხება კომუნას). რეგიონალური საბჭოს არჩევნები წარმოებს ექვს წელიწადში ერთხელ პროპორციული სისტემით სადეპარტამენტო სიებით, ხოლო დეპარტამენტის საბჭოს ირჩევენ ერთწერიანი, ორეგაპოვანი მაჟორიტარული სისტემით: დეპარტამენტის საბჭოს წევრთა ნახევარს სამ წელიწადში ერთხელ და საარჩევნო სისტემა დამოკიდებულია კომუნის სიდიდეზე. იქ, სადაც არის 3500-ზე ნაკლები მაცხოვრებელი, არჩევნები ორეგაპოვანი მაჟორიტარული სისტემით ტარდება, ხოლო 3500-ზე მეტი მაცხოვრებლის შემთხვევაში ადგილი აქვს შერეულ ორეგაპოვან მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით არჩევნებს.

კომუნები – შეადგენენ გერიგორიული ორგანიზაციის საფუძველს, რომელსაც მართავს მუნიციპალური საბჭო და მის მიერ არჩეული მერი, რომელიც ვეველინება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოდ. საბჭო წარმართავს კომუნის საქმიანობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს კომუნის ინტერესებიდან გამომდინარე, განკარგავს მის ქონებას. ქმნის აუცილებელ სამსახურებს (სააეადმყოფოები, სკოლები, მუზეუმები და ა.შ.). ბოგიერთი სამსახური იქმნება სავალდებულო წესით. საბჭო იღებს ბიუჯეტს, კანონის ფარგლებში მას აქვს უფლება გადასახადების დაწესებისა.

რამდენიმე კომუნას შეუძლია გაერთიანდეს კომუნათა სინდიკატში, რომელიც მართავს ადგილობრივი ორგანო იქნება. დიდი ქალაქებისათვის კი გათვალისწინებულია მის გერიგორიაზე განთავსებული მრავალი კომუნის გაერთიანება ერთიან ორგანოში, რომელსაც საქალაქო საზოგადოება ეწოდება.

დეპარტამენტები – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირითადი ერთეულია. რომლის წარმომადგენლობითი ორგანოა გენერალური საბჭო. ის უძღვება ბიუჯეტის მიღებასა და კონტროლს მის შესრულებაზე, დეპარტამენტის სამსახურების ორგანიზებას და ქონების მართვას. 1982 წლის რეფორმის შემდეგ დეპარტამენტის აღმასრულებელი ორგანო პრეფექტის ნაცვალდ არის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ამზადებს და აღასრულებს საბჭოს გადაწყვეტილებებს, პასუხისმგებელია დეპარტამენტის მართვაზე, გვევლინება კრედიტების გადამანაწილებლად და ასევე დეპარტამენტის ადმინისტრაციული და ტექნიკური სამსახურების მეთაურად.

რეგიონი – ყველაზე მსხვილი ერთეულია, რომელიც არის 22 მეტროპოლიაში. მეტროპოლიაში ყოველი რეგიონი მოიცავს რამდენიმე დეპარტამენტს. 1982 წლის რეფორმის შემდეგ რეგიონი გახდა "ტერიტორიული კოლექტივი", რომელსაც აქვს საკუთარი ბიუჯეტი და საგადასახადო შემოსავლები.

ფრანგულ ლიგერაგურაში რეგიონალიზმის ქვეშ იგულისხმება პოლიტიკური და ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის სისტემა, რომელიც სახელმწიფოს რომელიმე ნაწილს აძლევს მეგნალებად მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში. რეგიონი დეპარტამენტს წააგავს, მათ დაახლოებით ერთნაირი ორგანოები გააჩნიათ, მაგრამ არის განსხვავება: ყოველ რეგიონში დაწესებულია ეკონომიკური და სოციალური კომიტეტები და რეგიონალური კომიტეტი სესხების გაცემასთან დაკავშირებით. რეგიონში მოქმედებს საკუთარი საანგარიშო პალატა. რეგიონალური საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც გვევლინება რეგიონში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოდ. იგი ამზადებს და აღასრულებს საბჭოს გადაწყვეტილებებს.

საფრანგეთის ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობა ეფუძნება მმართველობისა და თვითმმართველობის შერწყმას. პირველს ასრულებენ დანიშნული ჩინოვნიკები (რესპუბლიკის კომისარები, სუპრეფექტები და სხვა); მეორე – წარმოდგენილია არჩევითი ორგანოებით, რომლებზეც ზემოთ იყო მითითებული.

რესპუბლიკის კომისარი ინიშნება ყველა დეპარტამენტში მინისტრთა საბჭოს მიერ. რეგიონში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დეპარტამენტის რესპუბლიკის კომისარი ასევე გვევლინება რეგიონის კომისარად. 1982 წლის რეფორმის შემდეგ რესპუბლიკის კომისარი (აღრე პრეფექტად

წოდებული) დეპარტამენტის მართვაში თითქოსდა მეორე პლანზე გადავიდა. ის უკვე არ გვევლინება აღმასრულებელ ორგანოდ და არ ახორციელებს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას კომუნისა და რეგიონალური საბჭოების ვადაწყვეტილებებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ პირის როლი მეტად მნიშვნელოვანია. იგი გვევლინება სახელმწიფოსა და მთავრობის წარმომადგენლად და ამ რანგში აწეღის მათ ყველა ინფორმაციას არსებული მდგომარეობის შესახებ. არჩევითი ორგანოების ყველა აქტი 15 დღის ვადაში ეგზავნება რესპუბლიკის კომისარს, რომელმაც უნდა გადასცეს ისინი არაკანონიერების მოტივით ადმინისტრაციულ სასამართლოს გაუქმებისათვის.

საფინანსო კონტროლს ახორციელებს რეგიონალური ხაზინის პალატა, რომელიც ამოწმებს ადგილობრივი კოლექტივების ანგარიშებს, მათ კანონიერებას, კრედიტების, ფონდებისა და ფასეულობების მიზნობრივ გამოყენებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს რამდენიმე კანონი განსაზღვრავს, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1983 წლის კანონი "კომუნების, დეპარტამენტების, რეგიონებისა და სახელმწიფოთა შორის კომპეტენციების გამიჯვნის შესახებ".

კომუნების კომპეტენცია ზოგადად შემდეგ საკითხებზე ვრცელდება – დაგეგმარება, ქალაქთმშენებლობა, ქალაქის განვითარება, მიწათსარგებლობა, გენერალური და მიწების ათვისების გეგმების შედგენა, მშენებლობისათვის ნებართვის გაცემა, ბინათმშენებლობის პროგრამირება. დაწყებითი სკოლები, ბიბლიოთეკები, თავისუფალი ღროის ორგანიზება, რეკრეაციული მონები, პარკები, სპორტული ღონისძიებები, საავადმყოფოები, სამოგადოებრივი წესრიგი, სახანძრო სამსახური, ნავის და ნარჩენების გატანა, კანალიზაცია, სანიტარია. ადგილობრივი კომუნის ადმინისტრაციული ორგანოები აგრეთვე ასრულებენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაკისრებულ უფლებამოსილებებს – მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაცია, საარჩევნო სიების შედგენა და არჩევნების ორგანიზება, ლიცენზიების გაცემა და ა.შ.

დეპარტამენტის ფუნქციას კი განეკუთვნება მმართველობა შემდეგ სფეროებში – საშუალო სკოლები, სოციალური კეთილდღეობა და სოციალური სამსახური, ოჯახის დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, გურიზმი, ადგილობრივი გრანსპორტი და გზები, ნავსადგურები და აეროპორტები, ბინათმშენებლობა.

რეგიონის კომპეტენციაში შედის – რეგიონის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სამეცნიერო განვითარება, დაგეგმარება, პროფე-

სიული და სამუალო კლასიკური განათლება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სარგებლობენ ფინანსური დამოუკიდებლობით. თვითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. კანონი განსაზღვრავს არამარტო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და სახელმწიფოს შორის კომპეტენციის განაწილებას, არამედ, აგრეთვე, მათ შორის სახსრების განაწილებასაც სუბსიდიების გადაცემის გზით. რეფორმების ამოსავალი იყო, რომ უფლებამოსილების გადაცემის თვითოეულ შემთხვევას უნდა შესაბამისებოდა ეკვივალენტური რესურსების გადაცემა. ღეფიციტი, რომელიც წარმოიქმნება ადგილობრივი ორგანოს ბიუჯეტში, იფარება ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა სუბსიდიებით და ღოტაციებით.

3.10. შვედეთი

შვედეთში არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორი ღონე: მუნიციპალიტეტი, როგორც უმცირესი ერთეული, და ოლქი, რომელიც რეგიონალურ ერთეულს წარმოადგენს. დღეისათვის შვედეთში არის 23 ოლქი და 284 მუნიციპალიტეტი.

ახალი კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", რომელიც ძალაში 1992 წელს შევიდა, საზღვრავს ამ ღონეების თითოეული ორგანოს როლს. გარდა ამისა, ეკლესიასაც აქვს ადგილობრივი ერთეულები (სამრევლოები), რომელთა მოღვაწეობა "სამღვდელოების შესახებ" 1992 წელს მიღებული კანონის შესაბამისად ხორციელდება. სამოქალაქო და საეკლესიო კომუნებს შეუძლიათ მართვის ერთობლივი ორგანოების შექმნა, რომელთაც შესაბამისად ეწოდებათ კომუნათა ასოციაცია ან საეკლესიო ვაერთიანება.

ყოველ მუნიციპალიტეტს აქვს წარმომადგენლობითი ორგანო – მუნიციპალური საბჭო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება. მისი რეგიონალური ეკვივალენტია ოლქის საბჭო ანუ ლანდსტინგი. ამ საბჭოების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს ირჩევენ პირდაპირი კენჭისყრით საყოველთაო არჩევნებზე 4 წელიწადში ერთხელ, რაც რიქსდაგის (პარლამენტის) არჩევნებთან ერთად ხდება. ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში გამოიყენება პროპორციული საარჩევნო სისტემა, თუმცა 1994 წლის არჩევნებზე შეიღ მუნიციპალიტეტში ჩატარდა ექსპერიმენტი ახალი საარჩევნო სისტემით, რომელიც გულისხმობს

კონკრეტული კანდიდატების არჩევასაც.

ადგილობრივი ხელისუფლების ორივე დონეზე არსებობს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ირჩევს შესაბამისად მუნიციპალური და საოლქო საბჭო.

საბჭოები და კომიტეტები იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს პრინციპულ საკითხებზე მათი გერიგორიების ფარგლებში. ისინი აყალიბებენ ადგილობრივი მართვის ორგანოს მიზნებს და სახელმძღვანელო პრინციპებს. საზღვრავენ თუ რა საეციალიზებული კომიტეტები უნდა შექმნან, როგორი უნდა იყოს მათი სტრუქტურა და მუშაობის მეთოდები. საბჭოები ამტკიცებენ ბიუჯეტს, საზღვრავენ ადგილობრივ სამუშაოსათვის გადასახადს, წყვეტენ სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ საკითხებს, მათ შორის ადგენენ გარიყებს რიგი ადგილობრივი მომსახურებისათვის.

კომუნების გამგებლობაში იმყოფება საკითხთა ფართო წრე, დაწყებული იმ საკითხებით, რომლებიც ეხება საზოგადოების ცალკეული წევრის განვითარებას და მასზე ზრუნვას, დამთავრებული გლობალური მნიშვნელობის საკითხებით. კონკრეტული ფუნქციებია: დაგეგმვა, გარემოს დაცვა, მამუელი სამსახურების შექმნა, სამოქალაქო თავდაცვა, საზოგადოებრივი გრანსმორგი, გექნიკური სერვისი. რომელიც გულისხმობს წყალმომარაგებას, კანალიზაციას, ენერგომომარაგებას, ნაგვის გაგანას, თავისუფალი დროის ორგანიზებას, კულტურას, სპორტს, ქუჩების და პარკების მოწყობას და მოვლას. ეს წამონათეალი არასრულია და შეიცავს მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

სოციალური დაკმაყოფილება მოიცავს, ძირითადად, საბავშვო სკოლამდე დაწესებულებებს, მოხუცთა და ინვალიდთა მოვლას, აგრეთვე, ოჯახზე და პიროვნებაზე ზრუნვას. კომუნებს ევალებათ იმ ბავშვების მოვლა და ზედამხედველობა, რომელთა მშობლები მუშაობენ ან სწავლობენ. ეს ხორციელდება ბავშვთა სკოლამდე დაწესებულებებში (საბავშვო ბაღი, მოსამზადებელი ჯგუფები უფროსი სკოლამდელი. ასაკის ბავშვთათვის, საბავშვო ბაღები ბინაზე) და მოიცავს 7 წლამდე ბავშვებს. უფროსი ბავშვებისათვის (7-12 წელი) არსებობს გასანგრძლივებული დღის ჯგუფები. კომუნები თავის თავზე იღებენ ამ დაწესებულებების ძირითად ხარჯებს, ხოლო ბავშვთა მშობლები იხდიან უმნიშვნელო ნაწილს ყოველთვიურად. გადასახადის ოდებობას ადგენენ თვითონ კომუნები დამოუკიდებლად.

ხანდაზმულთა მოვლის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგი წესით: კომუნა აწყობს ხანდაზმულთა სხვადასხვა ფორმის საცხოვრებელს – (ხანდაზმულთა სახლები, ბინები მომსახურების შეთავაზებით), მომსახურების სხვადასხვა ფორმით – სრული უზრუნველყოფიდან ბინაზე საათო-

ბრივი დახმარებით. ხანდაზმულები სარგებლობენ საზოგადოებრივი გრანსპორტით უფასო სარგებლობის უფლებით, კომუნებმა ითავეს მათი სამედიცინო დახმარება.

სოციალური დახმარება, რომელიც გაიცემა მაგერიალური ან სხვა რაიმე სახით, კანონის მიხედვით პიროვნებას უნდა უქმნიდეს ცხოვრების მისაღებ ღონეს.

პასუხისმგებლობა სპეციალურ სკოლებზე, აგრეთვე გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენილთა სპეციალურ მოვლასა და დახმარებაზე, ლანდსტინგის ღონიდან თანდათან გადადის კომუნებზე.

კომუნებს აქვთ უფლება დაუღონ ლანდსტინგს ხელშეკრულება მათთვის ამბულატორიული ჯანდაცვის ორგანიზაციის საკითხების გადაცემაზე.

განათლების დარგში კომუნები პასუხს აგებენ აუცილებელი სკოლების, აგრეთვე მოზრდილთა მუნიციპალური სკოლების მუშაობისა და გიმნაზიაში სწავლების ორგანიზაციაზე.

კომუნათა გამგებლობაშია აგრეთვე მიწის სხვადასხვა მიზნით გამოყენების დაგეგმვა, პირველ რიგში, საცხოვრებელი სახლების, საწარმოების და სხვა მშენებლობის მიზნით. კომუნის შესაბამისი კომიტეტი ახორციელებს ზედამხედველობას მშენებლობაზე და გასცემს მშენებლობის უფლებას.

ქმნიან რა საცხოვრებლის მშენებლობის და ექსპლუატაციის საწარმოებს ან ფონდებს, კომუნები მონაწილეობენ მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საქმეში.

ლანდსტინგები ძირითადად პასუხისმგებლები არიან ჯანდაცვის ორგანიზებაზე. ის კომუნები, რომლებიც ლანდსტინგებში არ შედიან, თვითონ უძღვებიან ამ საკითხებს. ლანდსტინგთა კომპეტენციაშია, როგორც პროფილაქტიკური ჯანდაცვა, აგრეთვე სამედიცინო მომსახურების მოწყობა.

ლანდსტინგი პასუხისმგებელია ჯანდაცვის ამბულატორიული და სტაციონარული დაწესებულებების მოწყობასა და მუშაობაზე.

მთელი ქვეყნის გერიგორია, ჯანდაცვის ორგანიზების თეალსაზრისით, გაყოფილია ექვს რეგიონად, რომლებშიც ცხოვრობს 1-დან 2 მილიონამდე კაცი.

ადვილობრივ ღონეზე ფუნქციონირებს ჯანდაცვის პირველადი დაწესებულებები, კერძოდ, რაიონული პოლიკლინიკები, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციები.

რეგიონალური ღონის ჯანდაცვის დაწესებულებებს წარმოადგენენ რეგიონალური საავადმყოფოები, რომლებშიც სთაეაზობენ ყველა სახის სამედიცინო დახმარებას.

ლანდსტინგები პასუხისმგებლები არიან ბავშვებისა და 20 წლამდე

ახალგაზრდების სტრატეგიული მკურნალობაზე და საერთო სტრატეგიული მომსახურების გარკვეული ნაწილის ორგანიზაციაზე. სტრატეგიული მკურნალობის უდიდესი ნაწილი ხორციელდება კერძო ექიმების მიერ, რომლებიც შედიან საერთო დაზღვევის სისტემაში. ლანდსტინგის მეურვეობის ქვეშ იმყოფება აგრეთვე უსიქიატრიული მედიცინა.

სამედიცინო პერსონალის მომზადება, გარდა ექიმებისა და ექიმ-სტრატეგოლოგებისა, ხორციელდება თვით ლანდსტინგის, კერძოდ, მისი სამედიცინო სასწავლებლების და გექნიკუმების მიერ. ლანდსტინგს ექვემდებარება აგრეთვე სპეციალისტების სწავლება და მომზადება სახალხო უნივერსიტეტებში.

ლანდსტინგები აწარმოებენ საკუთარი ოლქის კულტურული ცხოვრების, კერძოდ, თეატრალური და მუსიკალური მოღვაწეობის ყოველმხრივ მხარდაჭერას.

რეგიონალური განვითარების საკითხებში ლანდსტინგები უშუალო გავლენას ახდენენ სახელმწიფო დაჯეგებაზე. ისინი სახელმწიფოსთან ერთად განკარგავენ განვითარების რეგიონალურ ფონდებს, რომლებიც ეკონომიკურ დახმარებას გამოუყოფენ მცირე და საშუალო საწარმოებს. რეგიონალურ დონეზე საგრანსპორტო საწარმოს მოწყობა კომუნისა და ლანდსტინგის ერთობლივ კუთვნილებაშია.

კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ნებას რთავს მუნიციპალიტეტებს და საოლქო საბჭოებს თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ. მუნიციპალიტეტებს და საოლქო საბჭოებს უშუალოდ შეუძლიათ გადაწყვიტონ, რა კომიტეტები იქონიონ და რა სპეციალიზებულ დარგზე უნდა იყოს პასუხისმგებელი თითოეული კომიტეტი.

შედეგადად უაროდ გაერცელდა მოდელი "მყიდველი - მომწოდებელი", რომელიც მიღებულია სრულად ან ნაწილობრივ 40 მუნიციპალიტეტის და რამდენიმე საოლქო საბჭოს მიერ. ამ მოდელის ერთ-ერთი კონსეკუენსიაა საბაზრო შექანიზმების მხარდაჭერა, რომელიც საზოგადოებრივ სექტორში კონკურენციას ამკვიდრებს. მეორე კონსეკუენსიაა მკვეთრი ზღვარი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს არჩევითი თანამდებობის პირების და სახელმწიფო მოხელეების როლს შორის. არჩეული თანამდებობის პირების ამოცანაა წარმოადგინონ ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები. მათ შეუძლიათ შეარჩიონ, ვისგან შეიძინონ მომსახურება: ადგილობრივი საზოგადოებრივი სააგენციებისაგან თუ კერძო მოიჯარეებისგან, სახელმწიფო მოხელეები კი პასუხისმგებლები არიან წარმოებაზე, ე. ი. ასრულებენ ყოველდღიურ სახელმწიფო სამსახურს.

1993 წლიდან კომუნებისა და ლანდსტინგების დაფინანსება არსებითად შეიცვალა. მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდიების უმეტესი ნაწილი შეიცვალა საერთო სუბსიდიებით, მაგრამ ერთდროულად შემცირდა მათი მოცულობა. შემოსავლებისა და ხარჯების გათანაბრება აგებულია თვითდაფინანსების პრინციპზე. მთლიანობაში საერთო სახელმწიფო სუბსიდიები კომუნების საკუთარი საგადასახადო შემოსავლების 24%-ს შეადგენს, ხოლო ლანდსტინგების – შესაბამისად 8%-ს. საერთო სახელმწიფო სუბსიდიების ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს ფინანსურ მხარდაჭერაში, რომელიც აუცილებელია იმის გამო, რომ კომუნებისა და ლანდსტინგების საკუთარი საგადასახადო სახსრები არასაკმარისია მათ კომპეტენციაში შემავალი საქმიანობის სახეობისათვის. საერთო სუბსიდიებს სახელმწიფო იყენებს აგრეთვე, როგორც ფინანსურ რეგულატორს კომუნებისა და ლანდსტინგების მიმართებით.

შვედეთში ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაზე ზედამხედველობის რამდენიმე ფორმა არსებობს:

- სარევიზიო სისტემა. ყველა მუნიციპალიტეტი და ოლქი ირჩევს კონტროლიორებს, რომლებსაც ხშირად ეხმარებიან პროფესიონალი რევიზორები;
- საჯაროობის პრინციპი, რომლის თანახმად ყველაფერი რაც ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა იყოს ცნობილი საზოგადოებისათვის;
- დემოკრატიულობა. არჩევნების მეშვეობით შეიძლება მუნიციპალურ და ოლქის დონეზე ადგილობრივი საბჭოს შეეცლა 4 წელიწადში ერთხელ.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ორგანოები რეგულარულად ახორციელებენ ზედამხედველობას კომუნების და ლანდსტინგების საქმიანობის აუცილებელ სფეროებზე, ხოლო სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონები არეგულირებენ მათ საქმიანობას.

შვედეთში შექმნილია კომუნებისა და ლანდსტინგების კავშირები, რომელთა ამოცანებში შედის ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა და განვითარება, საერთო ინტერესების დაცვა, თანამშრომლობის განვითარება და პროფესიონალური დახმარება. მათი საქმიანობის დაფინანსება ხდება საწევრო შენატანის ხარჯზე.

3.11. ალბანეთი

ალბანეთში ადგილობრივი ხელისუფლების ძირითად ღონეს წარმოადგენენ კომუნები და მუნიციპალიტეტები.

კომუნა – ადმინისტრაციულ-გერიგორიული ერთეულია სასოფლო ზონაში, რომლის გერიგორია, დასახლება და ცენტრი დადგენილია კანონის მიერ. კომუნის ქვედანაყოფებს შეადგენენ სოფლები, რომელთა განსაზღვრა ხდება კომუნის საკრებულოს მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში კომუნა ორგანიზებულია საქალაქო ზონაშიც, სადაც ასევე იქმნება ცალკეული ქვედანაყოფები.

მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ-გერიგორიულ ერთეულს, როგორც წესი, საქალაქო ზონებში და ზოგჯერ სასოფლო ზონებშიც. თითოეული მუნიციპალიტეტის გერიგორია და დასახლება ასევე წინასწარ არის დადგენილი კანონის საფუძველზე. მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში შემავალ ერთეულებს უწოდებენ მეოთხელებს, რომელთა გერიგორიაზე მუნიციპალიტეტთა საკრებულოების გადაწყვეტილებების შესაბამისად არ შეიძლება ცხოვრობდეს 15 000 მოსახლეზე ნაკლები. მუნიციპალიტეტის იურისდიქციაში შემავალ სასოფლო ზონების ქვედანაყოფებს წარმოადგენენ სოფლები, რომელთა გერიგორიაზე უნდა ცხოვრობდეს არა ნაკლებ 200 მოსახლისა.

ქალაქი არის რეზიდენტების ცენტრი, რომელიც განიხილება როგორც ურბანული ზონა და რომლის განვითარება პერსპექტიული ურბანული გეგმის მიხედვით ხდება.

ადგილობრივი ხელისუფლების მეორე ღონეს წარმოადგენენ რეგიონები, რომელთა შემადგენლობაში შედიან კომუნები და მუნიციპალიტეტები გერიგორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური კავშირების ნიშან-თვისებების საფუძველზე. რეგიონის ცენტრი მდებარეობს მის იურისდიქციაში მყოფ ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში. რეგიონების ქვედანაყოფები არიან რაიონები, რომელთა საზღვრები, გერიგორია და სახელწოდება კანონის მიერ არის დადგენილი.

ალბანეთში 36 რეგიონი, 46 მუნიციპალიტეტი და 316 კომუნაა.

ყოველი კომუნის, მუნიციპალიტეტისა და რეგიონის ხელისუფლება იყოფა წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად, რომლებსაც ირჩევენ სამი წლის ვადით.

კომუნისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა

შესაბამისი საკრებულო, რომლის თაემჯდომარე და მოადგილე ირჩევა საკრებულოს წევრთაგან. საკრებულოს მდივანს ნიშნავს და გადააყენებს საკრებულო თაემჯდომარის წინადადებით და საკრებულოს წევრთა ხმათა უმრავლესობით.

კომუნისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოების წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია შესაბამის გერიტორიაზე მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით და მერყეობს 13-დან 45 წევრამდე. ალბანეთის დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 55 წევრისაგან. კომუნის ან მუნიციპალური საკრებულოს დათხოვნა შესაძლებელია მინისტრთა საბჭოს მიერ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

აღმასრულებელ ორგანოს ხელმძღვანელობს მერი, რომელსაც ამომრჩეველები ირჩევენ სამი წლის ვადით პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. მერს ჰყავს ერთი ან რამდენიმე მოადგილე, რომელთა რაოდენობას საზღვრავს შესაბამისი საკრებულო. მოადგილეებს ნიშნავს და ათავისუფლებს კომუნისა და მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მინისტრთა საბჭოს მიერ. მერის ვადამდე გადადგომის შესახებ, საკრებულოს მდივანი აცნობებს პრეფექტს შემდგომი საეალდებულო პროცედურისათვის.

რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანოა რეგიონული საბჭო, რომელიც შედგება კომუნისა და მუნიციპალური საკრებულოს წარმომადგენლებისაგან. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყოველ კომუნასა და მუნიციპალიტეტს რეგიონულ საბჭოში შეიძლება ჰყავდეს ერთიდან ექვს წარმომადგენლამდე. წევრთა რაოდენობას განიხილავს რეგიონის პრეფექტი მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობით. კომუნისა და მუნიციპალიტეტის მერები ამავე დროს არიან რეგიონული საბჭოს წევრები. რეგიონის საბჭოს თაემჯდომარე ირჩევა საბჭოს წევრებისაგან და ის წარმომადგენს რეგიონის აღმასრულებელ ხელისუფლებას. საბჭოს კოლეგია შედგება თაემჯდომარის, მოადგილისა და 5-9 წევრისაგან. კოლეგიის გადაწყვეტილებები მტკიცდება რეგიონული საბჭოს მიერ, რომლის თაემჯდომარის, მოადგილისა და მდივნის ფუნქციები დამოუკიდებელია კომუნისა და მუნიციპალიტეტის მერთა ფუნქციებისაგან.

კომუნისა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში შედის:

- I. ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება
- წყალმომარაგება;

- კანალიზაციებისა და წყალკანალების სისტემები, დასახლებული ტერიტორიების დაცვითი არხები;
- სახალხო განათლება;
- სახალხო გრანსპორტი;
- სასაფლაოები და დაკრძალვის მომსახურება;
- სოფლებისა და ქალაქების მოწყობა (დეკორაცია);
- პარკები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები;
- ნარჩენების გადამუშავება;
- სასოფლო ტერიტორიების დაგეგმვა, მიწისა და შენობების მართვა კანონში მითითებული ხერხებით.

II. სოციალური, კულტურული და გასართობი ფუნქციები:

- ადგილობრივი კულტურული და ისტორიული ფასეულობების მოვლა, ღონისძიებების ორგანიზაციის და შესაბამისი ინსტიტუტების მართვა;
- გასართობი ღონისძიებების ორგანიზაცია და შესაბამისი ინსტიტუტების მართვა;
- სოციალური მომსახურება, მათ შორის ობოლთა თავშესაფარი, ყოველდღიური მოვლა, მოხუცებულთა სახლები და ა.შ.

III. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება:

- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების პროგნოზირება;
- სახალხო ბაზრებისა და სავაჭრო ცენტრების დაარსება და ფუნქციონირება;
- მცირე ბიზნესის განვითარება ისევე, როგორც მისი განვითარების ღონისძიებების შესრულება, ისეთი როგორცაა განცხადებები ბაზრებსა და სახალხო თავშეყრის ადგილებში;
- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერი მომსახურების უზრუნველყოფა, როგორცაა ინფორმაცია, აუცილებელი სტრუქტურები და ინფრასტრუქტურა;
- ვეტერინალური მომსახურება;
- ადგილობრივი ტყეების, საძოვრებისა და ადგილობრივი ხასიათის ნატურალური რესურსების დაცვა.

IV. სამოქალაქო უსაფრთხოება:

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ადმინისტრაციული დარღვევის თავიდან ასაცილებლად და ამ საკითხში კომუნებისა და მუნიციპალიტეტების ღონისძიებების გაძლიერება;
- სამოქალაქო უსაფრთხოება.

რეგიონების ფუნქციები: რეგიონალური პოლიტიკის განვითარება და მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა ეროვნულ პოლიტიკასთან რეგიონალურ დონეზე. მას გააჩნია სხვა ექსკლუზიური ფუნქციები დადგენილი კანონის მიხედვით. მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე თითოეულმა რეგიონმა შეიძლება შეასრულოს რეგიონის ფარგლებში არსებული ერთი ან რამდენიმე კომუნისა და/ან მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებული ფუნქციები. თითოეულმა რეგიონმა უნდა შეასრულოს მისთვის ცენტრალური მთავრობისაგან მინიჭებული ფუნქციები კანონის პრინციპების შესაბამისად.

რეგიონალური საკრებულო:

- აწარმოებს და ზედამხედველობს რეგიონის შიდა კონტროლს;
- იცავს და გარანტიას უწევს სახალხო ინტერესებს რეგიონალურ დონეზე;
- კანონის შესაბამისად რეგულირებას უწევს აღმასრულებელ ფუნქციებს და ასრულებს ასევე კანონით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს.

ალბანეთის ყველა რეგიონში არსებობს პრეფექტის ინსტიტუტი, რომელიც ინიშნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ყველა თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია პრეფექტს გაუგზავნოს მიღებული გადაწყვეტილება (კანონი, დადგენილება თუ სხვა ნორმატიული აქტი). პრეფექტს უფლება აქვს ამ გადაწყვეტილების სახელმწიფო ინტერესებთან შეუსაბამობის შემთხვევაში შეაჩეროს იგი. საბოლოო გადაწყვეტილებას აქტის აღდგენის ან გაუქმების შესახებ იღებს მინისტრთა კაბინეტი. ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსურ კონტროლს აწარმოებს ფინანსთა სამინისტრო.

3.12. პოლონეთი

1997 წელს მიღებული კონსტიტუციის თანახმად პოლონეთი უნიტარული სახელმწიფოა, რომელიც 1998 წელს აღმინისტრაციულ-ტერიტორიულად დაიყო 16 სავოევოდოდ (რეგიონად), 373 პოეიატად (ოლქად), მათ შორის 65 საქალაქო ოლქად და 2483 გმინად (მუნიციპალიტეტად).

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება გმინებსა და პოეიატებში, რომლებიც განიხილება როგორც ადგილობრივი ხელისუფლების პირველი და მეორე დონე. სავოევოდო წარმოადგენს

ადგილობრივი ხელისუფლების მესამე დონეს, სადაც ხორციელდება სახელმწიფო მმართველობა.

გმინა თვითმმართველობის ქვედა დონეა, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ტერიტორიის მცხოვრებთა გაერთიანებას, და რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს საკუთრების უფლება და შემოსავლის წყაროები.

გმინას წარმომადგენლობითი ორგანოა საბჭო (რადა), რომელიც არჩეულია მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით. საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და 1-3 თავმჯდომარის მოადგილეს.

აღმასრულებელი ორგანოა მმართველობა (ზარზადი), რომლის შემადგენლობაში შედიან ვოიტი (სოფლებში და პატარა ქალაქებში), ან ბურგომისტრი (საშუალო ქალაქებში), ან პრეზიდენტი (დიდი ქალაქებში), როგორც მმართველობის თავმჯდომარე, მათი მოადგილეები და საბჭოს მიერ თავის წევრებიდან არჩეული 3-7 წევრი. ვოიტი, ბურგომისტრი, პრეზიდენტი აირჩევიან ცალკე ფარული კენჭისყრით და ისინი არ უნდა იყვნენ საბჭოს წევრები.

გმინას ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას დამხმარე ტერიტორიული ერთეული: სოლექტვა (რამდენიმე საგლეხო მეურნეობის, ხუგორების გაერთიანება), აგრეთვე ქალაქის რაიონები (კვარტლები, დაბები და სხვა).

სოლექტვაში ტერიტორიული თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ახორციელებს სოფლის შეკრება, რომელსაც შეუძლია აირჩიოს თავისი საბჭო, ხოლო სოლექტვას აღმასრულებელი ორგანოა სოფლის მამასახლისი (სოლგუსი).

გმინას საბჭოს წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია კანონით, ის დამოკიდებულია გმინას მოსახლეობის რიცხვზე და მერყეობს 15-დან 45-მდე. საბჭო თავის მოვალეობათა ნაწილს გადასცემს კომისიებს, რომელთა წევრები აირჩევიან საბჭოს წევრებისაგან და განსაზღვრავენ მათ შიგნით სტრუქტურას. გმინას საბჭოს შეუძლია დაითხოვოს მმართველობა თავისი უფლებამოსილების პერიოდში.

მერის რეკომენდაციის საფუძველზე საბჭო ნიშნავს მდივანს, რომელიც პასუხისმგებელია ადმინისტრაციულ საკითხებში. მმართველობის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და მდივანი პასუხისმგებელი არიან საბჭოს და კომისიების მიერ მიღებულ დადგენილებების და გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

თვითმმართველობის მხარდაჭერის, საერთო ინტერესების დაცვის, განვითარების მიზნით გმინებს შეუძლიათ შექმნან კავშირები, ხოლო საუოვეოდოს ტერიტორიაზე თვითმმართველი წარმომადგენლობა, რომელთა წევრები აირჩევა გმინას საბჭოს წევრებისაგან.

გმინების შექმნა, გაერთიანება, ლიკვიდაცია, მათი საზღვრების და სახელწოდების დადგენა, ასევე მათი ორგანოების ადგილმდებარეობის განსაზღვრა ხორციელდება მინისტრთა საბჭოს განკარგულებით მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდეგ.

თვითმმართველობის ზედა დონეზე იქმნება პოვიაგის საბჭო და მმართველობა. საბჭო აირჩევა მოსახლეობის მიერ ოთხი წლის ვადით და მას ხელმძღვანელობს საბჭოს შემადგენლობიდან არჩეული თავმჯდომარე. პოვიაგის მმართველობა შედგება 4-6 წევრისაგან, თავმჯდომარის მოადგილის ჩათვლით, და არის პოვიაგის აღმასრულებელი ორგანო. სტაროსტა (თავმჯდომარე) ხელმძღვანელობს ამ ორგანოს, ის ირჩევა საბჭოს მიერ თავის შემადგენლობიდან. პოვიაგის საბჭოს წევრებს არ შეუძლიათ შეითავსონ თანამდებობები გმინებისა და საოვეოლოების სახელმწიფო ორგანოებში.

პოვიაგებს შეუძლიათ შექმნან სპეციალური კომუნალური კავშირები და ასოციაციები. ეს უკანასკნელნი აქტიურად მუშაობენ კულტურისა და გურიზმის სფეროში. პოვიაგები იურიდიული პირები არიან და შეუძლიათ მიიღონ ადგილობრივი კანონმდებლობა. გმინებისა და პოვიაგების საქმიანობას კურირებს პრემიერ-მინისტრი, ხოლო რეგიონალური ხაზინის პალატა არეგულირებს მათ ფინანსურ საქმიანობას.

საოვეოდოს ორგანოებს მიეკუთვნება ასამბლეა (სეიმიკ) და მმართველობა. სეიმიკ წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც აირჩევა მოსახლეობის მიერ ოთხ წელიწადში ერთხელ. მას ხელმძღვანელობს თავისი წევრებისაგან არჩეული თავმჯდომარე (მარშალოკ).

აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელია ვოვეოდა, რომელსაც ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. ვოვეოდა არის მთავრობის წარმომადგენელი, ის ახორციელებს ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე. თანამშრომლობს სეიმიკთან სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საოვეოდოს გერიგორიის კეთილმოწყობის საკითხებზე. განიხილავს სეიმიკის წინადადებებს და წარუდგენს მას წელიწადში ორჯერ თავის საქმიანობის შესახებ საერთო ინფორმაციას.

ვოვეოდას შეუძლია შეაჩეროს გმინას საბჭოს დადგენილების მოქმედება. თუ საბჭო ხელმეორედ განხილვისას არ გაითვალისწინებს ვოვეოდას შენიშვნებს, მაშინ ვოვეოდა აუქმებს მას. გმინას საბჭოს შეუძლია ვოვეოდას გადაწყვეტილება გაასაჩივროს ადმინისტრაციულ სასამართლოში. ვოვეოდას წინადადებით სეიმიკს შეუძლია დაითხოვოს გმინას მმართველობა

კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის შემთხვევაში.

გმინას ორგანოების მიერ თავისი ფუნქციების შეუსრულებლობისა და არაეფექტურად მუშაობის შემთხვევაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია შეაჩეროს გმინას საბჭოს და მმართველობის საქმიანობა და ვოევოდას წინადადებითა და სემიკის ამრის გათვალისწინებით შემოიღოს კომისრის მმართველობა 2 წლამდე ვადით.

საეოევოლო არის იურიდიული პირი და მას შეუძლია გამოსცეს ადგილობრივი კანონმდებლობა. საეოევოლოს ერთ-ერთი საპასუხისმგებლო მოვალეობაა გმინებისა და პოვიატების საერთაშორისო თანამშრომლობის რეგულირება.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ფუნქციები	გმინა (მუნიციპალიტეტი)	პოვიატი (ოლქი)	საეოევოლო (რეუაიონი)	ხელისუფლების სხვა ორგანოები	შენიშვნა
I. განათლება					
1. სკოლამდელი	X				
2. დაწყებითი	X				
3. საშუალო	X	X			
4. ტექნიკური		X			
5. უნივერსიტეტები			X	X	საუნივერსიტეტო პროფესიული მომზადება
II. სოციალური მრუნველყოფა					
1. ბავა	X				
2. საბავშვო ბაღი	X				
3. სოციალური უმრუნველყოფის სახლები		X	X		
4. მოხუცებულთა და ინვალიდთა ინდივიდუალური მოვლა	X	X			

5. სპეც. მომსახურება (უსახლკაროთათვის, პრობლემური ოჯახებისათვის და სხვა)	X	X			
6. სოციალური საცხოვრებელი	X				
7. უმუშევრები		X	X		
III. სამედიცინო მომსახურება					
1. პირველადი სამედიცინო დახმარება	X				
2. დაავადებათა პროფილაქტიკა	X	X	X		
3. საავადმყოფო დაწესებულებები		X	X	X	სპეციალური საავადმყოფო დაწესებულებები, უნივერსიტეტის პოსტიგალები, კვლევითი სამედიცინო ცენტრები
4. სამოვადიანო ჯანდაცვა	X	X	X		
5. ნარკომანია			X		
IV. კულტურა, დასვენება, სპორტი					
1. თეატრები	X	X	X	X	მაგალითად, ეროვნული თეატრი
2. მუზეუმები	X	X	X	X	მაგალითად, ეროვნული მუზეუმი
3. ბიბლიოთეკები	X	X	X	X	მაგალითად, ეროვნული ბიბლიოთეკა
4. პარკები	X				
5. სპორტი და დასვენება	X	X	X		

6. კულტურული დანიშნულებების შენობების შენახვა	X				
7. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	X	X	X		
V. კომუნალური მომსახურება					
1. წყალმომარაგება	X				
2. კანალიზაცია	X				
3. ელექტრო-მომარაგება	X				
4. გაზი	X				
5. ცენტრალური გათბობა	X				
6. კაემირგამკობა	X				
VI. გარემოს დაცვისა და საზოგადოებრივ-სანიტარული სამსახური					
1. ნაგვის გაგანა	X				
2. ნაგვის განადგურება	X				
3. ქუჩების დასუთაეება	X				
4. სასაფლაოები	X				
5. გარემოს დაცვა	X	X	X	X	მაგ. ეროვნული პარკები
6. სტიქიური-ტექნოგენური შემთხვევები			X		
VII. მოძრაობა, ტრანსპორტი					
1. გზები	X	X	X	X	მაგ. საერთაშორისო ავტომავსტრალუები
2. ქალაქების განათება	X				

3. საზოგადოებრივი გრამსსოფი	X				
4. რეინიგმა				X	
VIII. საქალაქო განვითარება					
1. ქალაქის დაგეგმარება	X				
2. რეგიონალური დაგეგმარება		X	X		
3. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება	X				
4. ტურიზმი	X		X		
5. გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული სამსახური		X			
IX. საერთო აღმინისგრირება					
1. ნებართვა (ლო- ცენზირებაზე და ა.შ.)	X	X	X		
2. სხვა სახელმწი- ფობრივი ფუნქცი- ები (ამომრჩევე- ბის აღრიცხვა და სხვა)	X	X	X		
3. სამართალდამ- ცავი ადვ. ორგა- ნიზები	X	X	X	X	სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანიზაციები
4. სახანძრო სამსახური		X	X	X	
5. სამოქალაქო თავდაცვა	X	X	X	X	
6. მომხმარებელ- თა უფლებების დაცვა		X	X		

3.13. რუმინეთში

რუმინეთში ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულებია კომუნები (2686), ქალაქები (182), მუნიციპალიტეტები (80) და ოლქები (42).

ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ დონეზე თანაბარი უფლებამოსილებით დგასან კომუნები, ქალაქები, მუნიციპალიტეტები.

კომუნა არის სასოფლო ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე სოფლისაგან, რომლებიც დაფუძნებული არიან ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, გეოგრაფიული და დემოგრაფიული კრიტერიუმის საფუძველზე.

1991 წელს მიღებული ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ კანონი ქალაქს განსაზღვრავს როგორც დასახლების ცენტრს, რომელსაც მიღწეული აქვს ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ურბანული განვითარების გარკვეული დონე.

ბოგიერთი ქალაქი განსაზღვრულია მუნიციპალიტეტების კანონიერი სტატუსით. მუნიციპალიტეტებს შეიძლება ჰქონდეთ ადმინისტრაციული ქვედანაყოფები, რომელთა სტრუქტურა და ფარგლები დგინდება კანონით.

კომუნის, ქალაქის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ადგილობრივი საბჭო, რომელიც აირჩევა მოსახლეობის მიერ ოთხი წლის ვადით. საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება პრეფექტის განკარგულებით, დამოკიდებულია კომუნის, ქალაქის ან მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე და მერყეობს 11-35 ფარგლებში.

კომუნებს, ქალაქებს და მუნიციპალიტეტებს ჰყავთ მერი და ვიცე მერი. მერი აირჩევა 4 წლის ვადით პირდაპირ, მოსახლეობის მიერ, ხოლო ვიცე მერის არჩევა ხდება საბჭოს წევრებისაგან ხმათა უმრავლესობით. მერის კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ პოლიტიკურ პარტიებს ან პოლიტიკური პარტიების ალიანსს. მათ შეუძლიათ აგრეთვე იყვნენ დამოუკიდებელი კანდიდატები, რომლებსაც აქვთ მხარდაჭერა ამომრჩეველთა ალიანსისაგან.

მერი არის აღმასრულებელი ორგანო, ის პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე, ასრულებს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებებს და დადგენილებებს, წარმოადგენს კომუნას ან ქალაქს საჯარო ურთიერთობებსა და ოლქებში. განსაზღვრავს აპარატის სტრუქტურასა და მოხელეთა რაოდენობას, ასრულებს კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

თვითმმართველობის მეორე დონის – ოლქის საბჭო შედგება ოლქის დონეზე 4 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან. საბჭოს წევრთა რაოდენობა

მერყეობს 37-დან 45-მდე და განისზღვრება იმავე წესით, როგორც პირველი დონის საბჭოსათვის. ოლქის საბჭო თავისი წევრებისაგან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ორ მოადგილეს და 4-6 წევრს მუდმივი კომიტეტისათვის, რომელიც არის მუშა სტრუქტურა სესიებს შორის გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად.

ოლქის საბჭო ახორციელებს კომუნებისა და მუნიციპალიტეტების მუშაობის კოორდინაციას კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფისათვის ოლქის დონეზე. ის ამტკიცებს ოლქის საკუთარ ბიუჯეტს, მართავს ოლქში სახელმწიფო და კერძო საკუთრებას, ადგენს ადგილობრივი ხელისუფლების ერთეულების ორგანიზაციისა და განვითარების გეგმას. საბჭო პასუხისმგებელია ოლქების დამაკავშირებელი რკინიგზებისა და გზების მშენებლობაზე, აწესებს გადასახადებს.

ოლქის საბჭოს თავმჯდომარე არის ოლქის აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფუნქციები.

მთავრობა ნიშნავს პრეფექტებს, რომლებიც წარმოადგენენ ცენტრალურ ხელისუფლებას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. ისინი პასუხისმგებელი არიან სამინისტროებისა და სხვა ცენტრალური სააგენტოების დეცენტრალიზებულ მომსახურებაზე ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში (პოლიცია, აგრარული საკითხები, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, დასაქმება, გარემოს დაცვა, სოციალური დახმარება).

პრეფექტი განიხილავს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მხოლოდ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების კანონიერებას. არ არის იერარქიული სუბორდინაცია პრეფექტებსა და ადგილობრივ საბჭოებს, საოლქო საბჭოებსა და მერებს შორის. პრეფექტს შეუძლია გადასცეს ადმინისტრაციულ სასამართლოს ადგილობრივი საბჭოს ან მერის ნებისმიერი არაკანონიერი გადაწყვეტილება. ასეთი ქმედებით აცილებულ გადაწყვეტილებას არ აქვს კანონის ეფექტი.

კანონის თანახმად, რომელშიც ცვლილებები შევიდა 1996 წელს, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია შექმნას ასოციაცია რუმინეთის სხვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ლოკალური საჯარო სამუშაოებისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად. ასეთი ასოციაციების და კოოპერაციების ფუნქციონირება დაფუძნებულია კონტრაქტულ სისტემაზე. დღეისათვის რუმინეთში არსებობს ქალაქთა ფედერაცია, მუნიციპალიტეტთა ფედერაცია და ოლქის საბჭოს თავმჯდომარეთა ასოციაცია. ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ კანონი უზრუნველყოფს კავშირს სხვა ქვეყნების ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან. ამ შემთხვევაში საჭიროა საგარეო

საქმეთა სამინისტროს ნებართვა.

ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს ორი გიპის უფლებამოსილება: საკუთარი (ექსკლუზიური), რომელიც გამოიყენება ადგილობრივი საკითხების მოსაგვარებლად და დელეგირებული, ცენტრალური ხელისუფლებისაგან.

ოლქის დონეზე საბჭო უზრუნველყოფს ფართო მომსახურებას კომუნისა და ქალაქის საჭიროებისათვის. ოლქის საბჭოს ცენტრალური მთავრობისაგან დელეგირებული აქვს აგრეთვე ვარკვეული ძალაუფლება.

ცხრილში ნაჩვენებია კომპეტენციის განაწილება სახელმწიფოსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

რემინეთის კონსტიტუციის თანახმად ადგილობრივ ხელისუფლებას ყველა დონეზე აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომლის შევსების წყაროა ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახადები, ცენტრალური ხელისუფლების გრანტები, ჯარიმები და ლიცენზიებიდან შემოსავალი.

აუდიტის გენერალური დეპარტამენტი თავის საოლქო ქვედანაყოფების მეშვეობით ახორციელებს მდამხდევლობას ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსური წყაროების შექმნის, მენეჯმენტისა და გამოყენების კანონთან შესაბამისობას.

ფუნქციები	კომპეტენციის მქონე ხელისუფლება			კომპეტენციათა გიპები			
	სახელმწიფო	სამუშაო	მუნიციპალისტები	ექსკლუზიური	გაყოფილი	საოლქო ბუჯო	დისკრეტული
1. ძირითადი აღმინისტრაცია							
უმინისტროება, პოლიცია	X			X		X	
ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური	X			X		X	
მოსახლეობის დაცვა		X	X		X	X	
ტურისტული	X			X		X	
სამოქალაქო სტატუსის რეესტრი	X		X		X	X	
სტატისტიკური სამსახური	X			X			X
ამომრეველთა რეესტრაცია	X		X		X	X	

II. განათლება						
სკოლაშენი	X		X	X	X	
დაწვები	X		X	X	X	
სრული	X	X		X	X	
პროფესიული და ტექნიკური	X	X		X	X	
უმაღლესი	X			X	X	
ზრდასრულია	X			X	X	
სხვა	X			X	X	X
III. ჯანდაცვა						
პოსტიგლები	X			X	X	
ჯანდაცვა	X			X	X	
IV. სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება						
საბავშვო ბაღები	X	X	X	X		X
მომსახურება ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	X		X	X	X	
საქველმოქმედო სახლები	X			X		X
სოც. დაცვა	X		X	X	X	
სხვა	X			X	X	X
V. საბინაო და საქალაქო დაგეგმარება						
ბინათმშენებლობა	X		X	X		X
ქალაქის დაგეგმარება	X	X	X	X	X	
რეგისტრირებული დაგეგმარება	X	X	X	X	X	
VI. გარემო, საზოგადო სანიტარია						
წყალმომარაგება			X	X		X
ნარჩენთა შეგროვება და განადგურება			X	X		X
სასაფლაო			X	X		X
სასაკლაო						
გარემოს დაცვა	X		X	X	X	
მომხმარებელთა დაცვა	X	X		X	X	

VII. კულტურა, ლიბერატორა, სპორტი							
თეატრები	X		X		X	X	
მუზეუმები და ბიბლიოთეკები	X		X		X		X
პარკები და ღია სკვერები			X	X		X	X
სპორტი და დასვენება	X		X		X		
რელიგიური სამსახური	X			X			X
სხვა	X			X		X	X
VIII. საგზაო მოძრაობა და ტრანსპორტი							
ვგები	X	X	X	X		X	
ტრანსპორტი	X	X	X		X	X	
ურბანული საგზაო ტრანსპორტი			X	X		X	
ურბანული სარკინიგზო ტრანსპორტი			X	X		X	
პორტები	X			X		X	
აეროპორტები	X			X		X	
სხვა	X			X		X	X
IX. ეკონომიკური მომსახურება							
გამი	X			X		X	
ვათბობა				X			X
წყალმომარაგება	X				X		X
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა	X			X			X
ელექტროობა	X			X		X	
ეკონომიკური წინსვლა							
ეაჭრობა და ინდუსტრია							
ტურიზმი	X			X			
სხვა ეკონომიკური მომსახურება	X			X			
სხვა ფუნქციები							

3.14. სლოვაკეთი

სლოვაკეთის რესპუბლიკა დაყოფილია 8 რეგიონად, 79 რაიონად და 2871 მუნიციპალიტეტად.

სლოვაკეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობა დამკვიდრებულია მუნიციპალიტეტებში, რომლებიც წარმოადგენენ ტერიტორიალურ და იურიდიულ ორგანოებს. არსებობს სამი ტიპის მუნიციპალიტეტი: ჩვეულებრივი მუნიციპალური საბჭოთი და მერიი; ქალაქის მუნიციპალიტეტი საბჭოთი და ლორდ-მერიი და ორი განსაკუთრებული მუნიციპალიტეტი – ბრატისლავა და კოშიცა, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქის მუნიციპალიტეტებს, ხოლო მათი ქვედანაყოფები ჩვეულებრივ მუნიციპალიტეტებს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა მოსახლეობის მიერ არჩეული საბჭო, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 4 წლით. მუნიციპალიტეტებს ხელმძღვანელობენ მოსახლეობის მიერ პირდაპირ არჩეული მერები, რომლებიც იწვევენ და აგარებენ საბჭოების სხდომებს, წარმოადგენენ მუნიციპალიტეტებს ყველა საკითხში.

მუნიციპალური საბჭო მერის რეკომენდაციით ნიშნავს მუნიციპალური მმართველობის მეთაურს, მუნიციპალიტეტის მთავარ აუდიტორს და მერის რეკომენდაციით მუნიციპალური პოლიციის უფროსს. საბჭო ქმნის სათათბირო ორგანოებს – აღმასრულებელ გამგეობას და აღმასრულებელ კომისიებს. აღმასრულებელი გამგეობა არის მერის სათათბირო ორგანო, ხოლო კომისიები – მუნიციპალური საბჭოსი. გამგეობის წევრები აირჩევიან საბჭოს მიერ თავის წევრებისაგან. თუ საბჭო ირჩევს მერის მოადგილეს, მაშინ ის ხდება გამგეობის წევრი თანამდებობის მიხედვით. კომისიები შედგება როგორც საბჭოს წევრებისაგან, ისე ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან.

კანონის თანახმად, მერის და საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა მუნიციპალური მმართველობა, რომლის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა. მუნიციპალური მმართველობის მუშაობას აკონტროლებს მერი და მუნიციპალური მმართველობის თავმჯდომარე დიდ მუნიციპალიტეტებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შექმნან ასოციაციები ადგილობრივი ხელისუფლების სხვა ორგანოებთან. ასეთი ასოციაციებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ის საკითხები, რომლებსაც მათ ავალებთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში.

გებს შეუძლიათ დაამყარონ ურთიერთობები სხვა ქვეყნების მუნიციპალიტეტებთან.

კანონის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოებს და თვითმმართველობის ორგანოებს საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში აქვთ სხვადასხვა კომპეტენციები. კანონი განსაზღვრავს ასევე ამ ორგანოების თანამშრომლობის პრინციპებს.

ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოების შესახებ კანონის თანახმად რეგიონალური და რაიონული მმართველობა წარმოადგენენ სახელმწიფო ადმინისტრაციის ინდივიდუალურ შტოების კომპლექსს. რეგიონალური და რაიონული მმართველობის მეთაურები არიან თავიანთი პარტიების პოლიტიკური წარმომადგენლები და ანგარიშვალდებული არიან მთავრობის წინაშე.

რეგიონალური და რაიონული მმართველობის ორგანოები ქმნიან სახელმწიფო მმართველობის ორდონიან იერარქიულ სტრუქტურას, რომელშიც თითოეულ დონეს აქვს კანონით განსაზღვრული ფუნქციები. თავისი კომპეტენციის ჩარჩოებში და სპეციალური საკანონმდებლო აქტების თანახმად რეგიონალური და რაიონული მმართველობა გამოსცემს დებულებებს და რეზოლუციებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა მათ გერიტორიაზე. საგანგებო სიტუაციების დროს რაიონული მმართველობის მეთაურს აქვს უფლება გასცეს განკარგულება, რათა სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა, მუნიციპალიტეტების მერებმა აღმოუხერან საგანგებო სიტუაციების შედეგები.

რეგიონალური მმართველობა პასუხისმგებელია თავისი გერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, კოორდინაციას უკეთებს რაიონული მმართველობის, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების საქმიანობას საგანგებო სიტუაციების დროს და მის შემდეგ.

რაიონულ მმართველობას აქვს ვარკვეულ საკითხებზე ყოველდღიური კონტაქტი მუნიციპალიტეტებთან, რომელთა შორის არის მუნიციპალიტეტების საკითხებზე აპელაციის განხილვა, მუნიციპალიტეტების საქმიანობაში ნაკლოვანებებზე მითითება, მუნიციპალიტეტებისათვის პროფესიონალური დახმარების აღმოჩენა საკანონმდებლო აქტების რეალიზაციაში, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც მუნიციპალიტეტი ასრულებს სახელმწიფო ადმინისტრაციის ამოცანებს, ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები უფრო დეტალურად მოცემულია ცხრილში.

ფუნქციები	მენეჯერის ლიტერატურა	რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის სპეციალისტის თვლითა	ცენტრალური ხელისუფლება	კომპიუტერული
I. განათლება				
1. სკოლაში		X		ექსპლუატაციის უმაღლესი
2. დაწესებულებაში		X		ექსპლუატაციის უმაღლესი
3. სამუშაო		X		ექსპლუატაციის უმაღლესი
4. ტექნიკური		X		ექსპლუატაციის უმაღლესი
5. სხვა, განსაკუთრებით ენის სწავლების კურორტები			X	ექსპლუატაციის უმაღლესი
II. სოციალური უზრუნველყოფა				
1. ბავშვთა	X			ექსპლუატაციის უმაღლესი
2. საბავშვო ბაღი		X		ექსპლუატაციის უმაღლესი
3. სოციალური უზრუნველყოფის სახელები		X		ექსპლუატაციის უმაღლესი
4. სწავლის და მოხუცებულთა მხარეობის მომსახურება	X	X		ერთობლივი არაპროფიტული
5. სპეციალური მომსახურება (უზრუნველყოფის კომპლექსური მომსახურების და ა.შ.)	X	X		ერთობლივი არაპროფიტული
6. სოციალური სახეობები	X			
7. სხვა განსაკუთრებული სოციალური მომსახურებები		X		უმაღლესი
III. ჯანდაცვა				
1. პირველადი სამედიცინო დახმარება, რეაბილიტაციის ქსელი		X		არაპროფიტული

2. ჯანმრთელობის დაცვა		X		უჩულო
3. საავადმყოფოები		X	X	არაპირდაპირი
4. ჯანდაცვა			X	
5. სხვა, განსაკუთრებით მომხარალებელთა დაუინანსება				
IV. კულტურა, დასვენება, სპორტი				
1. თეატრები		X	X	არჩვეუთი არაპირდაპირი
2. მუზეუმები		X		საეალებულო
3. ბიბლიოთეკები		X		საეალებულო
4. პარკები	X			არჩვეუთი
5. სპორტი, დასვენება	X			არჩვეუთი
5. კულტურის ცენტრები	X	X		არჩვეუთი
V. კომუნალური მომსახურება				
1. წყალმომარაგება	X		X	საეალებულო
2. კანალიზაცია	X		X	საეალებულო
3. ელექტროენერჯია			X	საეალებულო
4. გაზი			X	საეალებულო
5. ცენტრალური გათბობა	X			არჩვეუთი არაპირდაპირი
VI. გარემო, საზოგადოებრივი ხანიტარია				
1. ნარჩენების შეგროვება	X			საეალებულო

2. ნარჩუნების უტილიზაცია	X			საეკოლოგიური
3. ქუჩების დასუფთავება	X			საეკოლოგიური
4. სასაფლაოები	X			საეკოლოგიური
5. ვარუშის დაცვა			X	საეკოლოგიური
VII. გზები, ტრანსპორტი				
1. გზები			X	საეკოლოგიური
2. ქუჩების განათება	X			საეკოლოგიური
3. საზოგადოებრივი ტრანსპორტი	X	X		არჩევითი
4. სხვა. განსაკუთრებით ადგილობრივი გზები	X			საეკოლოგიური
VIII. საქალაქო განვითარება				
1. საქალაქო დაგეგმარება	X			არჩევითი
2. რეკონსტრუქციული დაგეგმარება	X	X		საეკოლოგიური უმუდარო
3. ლოკალური ეკონომიკური განვითარება	X	X		არჩევითი
4. ტურიზმი	X	X		არჩევითი
IX. მმართველობის საერთო საკითხები				
1. ნების დარღვევის უწყისები (ლიცენზიები და ა.შ.)		X		უცხვლავური
2. სახელმწიფოებრივი მმართველობის სხვა საკითხები (ამომრჩეველთა სიები და სხვა)	X			საეკოლოგიური
3. ადგილობრივი პოლიცია	X			არჩევითი

4. სახანძრო რამშები	X	X		საეკონომიკური
5. სამოქალაქო თავდაცვა	X	X		საეკონომიკური
6. მომხმარებელთა უფლებების დაცვა	X	X		პირდაპირ საეკონომიკური

რეგიონალური და რაიონული მმართველობის დაფინანსება ხდება რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამ დონეებზე ფინანსური მმართველობის სისტემა არ მუშაობს ანგარიშსწორების ბიუროს პრინციპით, რომლის მისხდევით საჭიროა ყველა ხარჯების ჩვენება დარგების მიხედვით.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი დამოუკიდებელია. მისი შევსების წყაროებია გადასახადები, სუბსიდიები, ფონდები. აღსანიშნავია, რომ დაბალი შემოსავლების გამო მუნიციპალიტეტების ფინანსური სისტემა არასტაბილურია.

ყოველ მუნიციპალიტეტში არის მთავარი ინსპექტორი, რომელიც არჩეულია საბჭოს მიერ და არეგულირებს მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯებს. სლოვაკეთის აუდიტორთა საბჭოს კომპეტენციაში შედის მუნიციპალიტეტების აუდიტის ჩატარება, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საბჭო და მისი შედეგები შემდეგ ქვეყნდება.

ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროკურორი, რომელსაც ნიშნავს სლოვაკეთის პრეზიდენტი პარლამენტის რეკომენდაციით. ის უზრუნველყოფს სახელმწიფო ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის ორგანოების ყველა ქმედებისა და გადაწყვეტილებების კანონიერებას. ადმინისტრაციის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ ნებისმიერი მოქალაქის აპელაცია მიიღება სააპელაციო ორგანოს მიერ. მას განიხილავს რაიონული მმართველობა, თუ გადაწყვეტილება მიღებული იყო მუნიციპალიტეტის მიერ, რეგიონალური მმართველობა, თუ გადაწყვეტილება მიღებული იყო რაიონული მმართველობის მიერ, სამინისტრო, თუ გადაწყვეტილება მიღებული იყო რეგიონალური მმართველობის მიერ და მინისტრი, თუ გადაწყვეტილება მიღებული იყო სამინისტროს მიერ. საქმე შეიძლება განსახილველად გადაეცეს სასამართლოს.

მერს შეუძლია შეაჩეროს მუნიციპალური საბჭოს მიერ მიღებული არაკანონიერი რეზოლუციის მოქმედება. საბჭოს შეუძლია გააუქმოს შესრულებული რეზოლუცია ხმების 3/5-ით 14 დღის განმავლობაში საკამათო რეზოლუციის გამოქვეყნების დღიდან.

3.15. სლოვენია

სლოვენის კონსტიტუცია თვითმმართველობას განსაზღვრავს როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონალურ დონეებზე, მაგრამ დღესდღეისობით მხოლოდ პირველი არსებობს პრაქტიკაში. კანონები, რომლებიც რეგიონებს ადგენენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე დონეს, იმყოფება შემუშავების პროცესში.

სლოვენის ადმინისტრაციული სტრუქტურა შეიცავს 192 მუნიციპალიტეტს, რომელთაგანაც 11 არის საქალაქო მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალური საბჭო არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ირჩევა მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით. საბჭო არის გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება 7-45 წევრისაგან. საბჭოს წევრები აირჩევიან მაჟორიტარული ან პროპორციული სისტემის საფუძველზე, რაც დამოკიდებულია საბჭოს წევრთა რაოდენობაზე, რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობით.

მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მერი, რომელიც აირჩევა მოსახლეობის მიერ პირდაპირი არჩევნების საფუძველზე საბჭოს უფლებამოსილების ვადით. ის არის მუნიციპალური აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი ითვალისწინებს მერისა და მერის მოადგილის განთავისუფლებას ნაციონალური ასამბლეის მიერ და დროებითი მმართველის დანიშვნას მუნიციპალური საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში.

მუნიციპალური ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივ თვითმმართველობას, მოიცავენ დამკვირვებელ საბჭოსა და საარჩევნო კომისიებს.

დამკვირვებელი საბჭო, რომელიც შედგება არა მარტო საბჭოს წევრებისაგან, არეგულირებს მუნიციპალიტეტის აქტივს, ამოწმებს ბიუჯეტის მიზნებსა და ხარჯების ეფექტურობას.

მუნიციპალური საბჭო ნიშნავს საარჩევნო კომისიას და მის ფუნქციებში შედის არჩევნების კანონიერების უზრუნველყოფა, კანდიდატების დამტკიცება, საარჩევნო უბნების დაწესება, არჩევნების შედეგების შეფასება

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიძლება დაწესებულ იქნეს უფრო პატარა ადმინისტრაციული ობიექტები (ადგილობრივი, სოფლის და რაიონის თემები). ასეთი ქვეერთეულების დაწესებამდე და ან მათი ტერიტორიების შეცვლამდე, მუნიციპალურმა საბჭომ უნდა დაადგინოს სახალხო კრების ან რეფერენდუმის ვით მოსახლეობის ინტერესები აღნიშნულ ტერიტორიაზე, სადაც იხილება საკითხი ადმინისტრაციული ქვეერთეულების შექმნასთან დაკავშირებით.

საქალაქო მუნიციპალიტეტი არის კომპაქტურად დასახლებული პუნქტი ან დასახლებულ პუნქტთა ჯგუფი მთელ ტერიტორიაზე, სადაც ქალაქები და

სოფლები ერთმანეთთან დაკავშირებულია მოსახლეობის ყოველდღიური გადაადგილებით. დასახლებულმა პუნქტმა შეიძლება მიიღოს ქალაქის მუნიციპალიტეტის სტატუსი, თუ მისი მოსახლეობა შეადგენს არა ნაკლებ 20000 ადამიანს, რომელიც უზრუნველყოფს 15000 ადამიანის დასაქმებას და გვევლინება აღნიშნული ტერიტორიის გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. სახელმწიფომ შეიძლება მიანიჭოს ქალაქის მუნიციპალიტეტს სპეციფიკური ფუნქციები და მოვალეობები, რომლებიც ეხება ქალაქის განვითარებას. ქალაქის მუნიციპალიტეტმა შეიძლება განახორციელოს რეგიონალური ადმინისტრაციული ფუნქციები, თუკი ასეთი გადაწყვეტილება მიღებული იქნება რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ.

მუნიციპალიტეტს შეუძლია ადმინისტრაციული პროცესის ინიცირება დამკვირვებელი ორგანოს წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი თვლის, რომ დამკვირვებელი ორგანოს ქმედება იყო არაკანონიერი ან არასწორი. მუნიციპალიტეტს შეუძლია შეიგანოს განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და აქტების კანონიერების განხილვასთან დაკავშირებით, თუ მოცემული აქტები ზღუდავენ მუნიციპალიტეტის კანონმდებლობით დადგენილ ავტონომიას.

მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კავშირებში. უფრო ფართო ტერიტორიების საქმიანობის განხორციელების ინტერესით. ამ გაერთიანებებს და მათ საერთო ორგანოებს სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებაში აქვთ მუნიციპალიტეტის ორგანოების სტატუსი. ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ თავისუფლად ითანამშრომლონ საზღვარგარეთის ადგილობრივ ხელისუფლებასთან ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე და ადგილობრივი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

მოსახლეობის ძირითადი საჭიროებები, რომლებიც შედის მუნიციპალიტეტების მოვალეობათა წრეში, მოცემულია ცხრილში.

ფუნქციები	სრული უზღუდვამოსილება		უზღუდვამოსილებათა გი.პები			
	სახელმწიფო	მუნიციპალიტეტი	ქსკლუზი	საერთო	საუზღუბლო	დისკრეტული
I. განათლება						
1. სკოლამდელი		X	X			
2. დაწყებითი						
3. საშუალო						
4 პროფ. ტექნიკუმი						
5. უმაღლესი	X		X			

6. მობრძალი მოსახლეობისთვის	X	X		X		
7. სხვადასხვა	X					
II. საერთო მართვა						
1. უმისროება, პოლიცია	X	X	X			
2. სახანსრო		X	X			
3. სამოქალაქო თავდაცვა			X			
4. მართლმსაჯულება	X		X			
5. მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაცია	X		X			
6. სტატისტიკის სამსახური	X		X			
7. ამომრჩეველთა რეგისტრაცია	X		X			
III. სოციალური უმრუნველყოფა						
1. საბავშვო ბალები და ბავა-ბალები		X	X			
2. მომსახურება საოჯახო უმრუნველყოფისთვის		X	X			X
3. შემნახავი სახლები	X	X		X		
4. სოციალური დაცვა	X	X		X		
5. სხვადასხვა						
IV. მომსახურება ჯანდაცვის სფეროში						
1. საავადმყოფოები	X		X			
2. ჯანდაცვა	X	X		X		

V. კულტურა,						
დახეუნება, სპორტი						
1. თეატრები	X	X		X		
2. მუზეუმები და ბიბლიოთეკები	X	X		X		
3. პარკები და საბ. ტერიტორიები	X	X		X		
4. სპორტი და დახეუნება	X	X		X		
5. რელიგიური დაწესებულებები	X	X	X			
6. სხვა კულტურული დაწესებულებები	X	X		X		
VI. გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი სანიტარია						
1. წყალი და კანალიზაცია	X	X		X		
2. ნარჩენების შეგროვება და განადგურება		X	X			
3. სასაფლაოები		X	X			
4. სახაკლაოები	X		X			
5. ბუნების დაცვა	X	X		X		
6. მომსპარებელთა უფლებების დაცვა	X	X		X		
VII. ტრანსპორტი, გადაგანა						
1. ვეზები	X	X		X		
2. ტრანსპორტი	X	X		X		
3. ქალაქის საგზაო ტრანსპორტი	X	X		X		

4. ქალაქის რეესპონსი გრანსპორტი						
5. პორტები	X	X		X		
6. აეროპორტები	X		X			
7. სხვადასხვა						
VIII. ქალაქების განვითარება						
1. საცხოვრებელი ფონდი	X	X		X		
2. საქალაქო დაგეგმარება		X	X			
3. რეგინალური დაგეგმარება	X	X		X		
IX. კომუნალური მომსახურება, ეკონომიკა						
1. გაზის უმრეწველყოფა	X	X		X		
2. რაიონული ვატობა		X	X			
3. წყალმომარაგება		X	X			
4. სოფლის მეურნეობა, გვის საეარგულები, თევზჭერა	X	X		X		
5. ელექტროენერჯით მომარაგება	X		X			
6. ეკონომიკური განვითარება	X	X		X		
7. ეპრობა და მრეწველობა	X	X		X		
8. ტურიზმი	X	X		X		

სლოვენიაში არსებობს 58 სახელმწიფო ადმინისტრაციული ქვედანაყოფები, რომლებიც წარმოადგენენ გერიგორიალურ ორგანოებს საქმიანობის საკუთარი სფეროებით, კომპეტენციებით და ფუნქციებით. მათი იურისდიქცია ვრცელდება ერთ ან რამდენიმე მუნიციპალიტეტზე სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების მიმართებით. მუნიციპალურ ორგანოებს და ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით იქმნებიან საკონსულტაციო კომიტეტები, რომელთა წევრებს ნიშნავენ და ათავისუფლებენ საბჭოები.

სამინისტროებსა და სახელმწიფო ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებს შეუძლიათ გამოთქვან შენიშვნები იმ საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება მუნიციპალურ უფლებამოსილებებს, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონმდებლობას. დამკვირვებელ ორგანოს არ აქვს უფლებამოსილება გააუქმოს ან შეევალოს მუნიციპალური ორგანოს გადაწყვეტილებები. ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ საკონსტიტუციო ან ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით.

ნაციონალურ ასამბლეას შეუძლია დაითხოვოს მუნიციპალური საბჭო და გამოაცხადოს ვადამდელი არჩევნები, თუ ექვსი თვის განმავლობაში არ იქნა მოწვეული საბჭოს სხდომა და საბჭოს არ შეუძლია მიიღოს თანმიმდევრულად ორი წლის ბიუჯეტი.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა დაფინანსება ცენტრალიზებულია. ეროვნული მთავრობა განსაზღვრავს თითქმის ყველა ადგილობრივ შემოსავალს, მუნიციპალური შემოსავლების მხოლოდ 10% გამოეყოფა მუნიციპალიტეტებს. ადგილობრივ ხელისუფლებას არა აქვს უფლება შემოიღოს ახალი გადასახადები. საგადასახადო სამმართველო აფასებს, ადგენს და იღებს გადასახადებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სახელით. საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებთან ერთად მუნიციპალიტეტები ღებულობენ გრანტს უფრებს სახელმწიფოსაგან, მათ შეუძლიათ აიღონ სესხები ნებისმიერი ეროვნული საკრედიტო ორგანიზაციებისაგან.

მუნიციპალური ორგანოს დაკვეთით რესპუბლიკის აუდიტის სამმართველო და ლიეცენზიის მქონე დამოუკიდებელი აუდიტორები აგარებენ აუდიტს.

3.16. უნგრეთი

კონსტიტუციის თანახმად უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორია დაყოფილია 19 ოლქად და 20 ქალაქად ოლქის სტატუსით და 2915 მუნიციპალიტეტად.

უნგრეთში არსებობს თვითმმართველობის ორი ღონე: მუნიციპალიტეტი და ოლქი. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის ღონეებს შორის არ არსებობს იერარქიული ურთიერთობა.

თვითმმართველობის სისტემის ძირითადი ერთეულებია მუნიციპალიტეტები, რომლებიც იქმნებიან სოფლებში, ქალაქებში და ქალაქებში ოლქის სტატუსით. ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი დონის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალური საბჭო, რომელიც ირჩევა 4 წლის ვადით. მუნიციპალიტეტებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 10 ათასზე ნაკლებია, მუნიციპალური საბჭოს წევრები აირჩევიან მაჟორიტარული სისტემით და მუნიციპალიტეტებში, სადაც 10 ათასზე მეტი ამომრჩეველია მოქმედებს შერეული საარჩევნო სისტემა. მუნიციპალური საბჭოს წევრების ნახევარს ირჩევენ პარტიული სიებით, ნახევარს კი მაჟორიტარულად.

მუნიციპალიტეტში უმაღლესი თანამდებობის პირია მერი, რომელიც ხელმძღვანელობს როგორც მუნიციპალურ საბჭოს, ასევე აღმასრულებელ ორგანოს – მერის ბიუროს. გარდა ამისა, მერის წინადადებით მუნიციპალური საბჭოს მიერ თავისი შემადგენლობიდან აირჩევა მერის მოადგილეები, რომლებიც ასრულებენ თავის ფუნქციას მერის ხელმძღვანელობით. მუნიციპალიტეტებში, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 10 ათასზე ნაკლებია, მერს პირდაპირი არჩევნებით ირჩევენ მოსახლეობა, ხოლო სადაც 10 ათას ამომრჩეველზე მეტია, მას ირჩევენ მუნიციპალური საბჭო.

მუნიციპალური საბჭოს კანცელარიის საქმიანობის წარმართვისათვის განუსაზღვრელი ვადით წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ინიშნება პროფესიონალი სახელმწიფო მოხელე – აღმასრულებელი დირექტორი. მერის მითითებით ის ამზადებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო მმართველობის საკითხებზე და ასრულებს ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობასთან. აღმასრულებელი დირექტორი მონაწილეობს მუნიციპალური საბჭოსა და მისი კომიტეტების სხდომებში, ამოწმებს მათი გადაწყვეტილებების კანონიერებას და მერის გადაწყვეტილებებს. აღმასრულებელი დირექ-

ქგორის წინადადებით მუნიციპალური საბჭო ნიშნავს მის მოადგილეს, რომელიც ასრულებს მისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებებს და დაკისრებულ ამოცანებს.

მერის ან თავისი წარმომადგენლების რეკომენდაციით მუნიციპალურ საბჭოს შეუძლია თავისი წევრებიდან აირჩიოს მრჩეველები, რომლებიც ახორციელებენ ბედამხედველობას თვითმმართველობის ორგანოს უუნქციების შესრულებაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე ღონის წარმომადგენლობითი ორგანოა საოლქო კრება, რომელიც აირჩევა 4 წლის ვადით პროპორციული სისტემით. ოლქის აღმასრულებელი ორგანოა საოლქო კრების მიერ არჩეული აღმინისტრაცია, რომლის ხელმძღვანელი – ბურგომისტრი ირჩევა საოლქო საბჭოს მიერ.

წარმომადგენლობითი ორგანო ირჩევს თავისი კომიტეტის წევრებს, რომელთა ნახევარი უნდა იყოს წარმომადგენლების რიცხვიდან, ხოლო დანარჩენი წევრები შეიძლება იყვნენ მოქალაქეებიდან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების რიცხვიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის საოლქო ორგანოები არ წარმოადგენენ ბემდგომს მუნიციპალურ ორგანოებთან მიმართებაში. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს დელეგირებულ და აღმინისტრაციულ უფლებამოსილებებში. მუნიციპალიტეტები განაგებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს თავის დასახლებულ პუნქტებში, ოლქები ასრულებენ დამხმარე უუნქციებს, წყევტენ იმ სამეურნეო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა არ შეუძლიათ დასახლებებს დამოუკიდებლად, აგრეთვე აგვარებენ რევიონალური ხასიათის საქმეებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ამოცანები გამოჯნულია აუცილებელ და დამატებით კატეგორიებად. აუცილებელი უუნქციები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია პარლამენტის მიერ, რომელმაც ერთდროულად უნდა უბრუნეულყოს ამ ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური სახსრები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ დამატებითი საკითხები აუცილებელი ფინანსური სახსრების არნებობისას. ოლქის თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ განახორციელონ დამატებითი უფლებამოსილებები ისე, რომ არ დაარღვიონ მუნიციპალური ორგანოების ინტერესები. საოლქო ცენტრების მუნიციპალურ ორგანოებს თვითმმართველობის საოლქო ორგანოებთან შეთან-

ხმებით შეუძლიათ შეასრულონ რეგიონალური მნიშვნელობის სამეურნეო ამოცანები.

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონით თვითმმართველობის ორივე დონისათვის განსაზღვრულია უფლებამოსილებები. აღსანიშნავია, რომ კომპეტენციების დანაწილება მუნიციპალიტეტებსა და ოლქებს შორის ხორციელდება სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები წარმოდგენილია ცხრილში:

ფუნქციები	მუნიციპალიტეტში	რეგიონალური (ოლქო) ხელისუფლების ორგანოები	კერძო ან სასულმწიფოებრივი ტერიტორიული ადმინისტრაცია
I. განათლება			
1. სკოლამდელი	X		
2. დაწესილი	X		
3. საშუალო		X	
4. ტექნიკური		X	
5. სხვადასხვა			
II. სოციალური უზრუნველყოფა			
1. ბავა	X		
2. საბავშვო ბაღი	X		
3. მოხუცებულთა სახლები	X		
4. მოხუცებულთა და ინვალიდთა ინდივიდუალური მოვლა		X	
5. სპეც. მომსახურება (უსახლკარო, მცირე შემოსავლიანი ოჯახებისთვის და სხვა)		X	
6. სოც. საცხოვრებელი		X	
7. სხვადასხვა			

III. ჯანდაცვა			
1. პირველადი სამედიცინო დახმარება	X		
2. ჯანმრთელობის დაცვა			
3. საავადმყოფოები		X	
4. სახოგადოებრივი ჯანდაცვა			X
5. სხვადასხვა			
IV. კულტურა, დასვენება, სპორტი			
1. თეატრები		X	
2. მუსეუმები		X	
3. ბიბლიოთეკები		X	
4. პარკები	X		
5. სპორტი და დასვენება		X	
6. კულტურის ცენტრები	X		
7. სხვადასხვა			
V. კომუნალური მომსახურება			
1. წყალმომარაგება	X		
2. კანალიზაცია	X		
3. ელექტროენერჯია			
4. გაზი			
5. ცენტრალური გათბობა			
6. სხვადასხვა			
VI. ეკოლოგია, სახოგადოებრივ-სანიტარული სამსახური			
1. ნაგვის შუკროვნება	X		
2. ნაგვის გატანა	X		
3. ქუჩების დასუფთავება		X	
4. სასაყლაპოები	X		
5. გარემოს დაცვა	X		X

6. სხვადასხვა			
VII. მოძრაობა, ტრანსპორტი			
1. გზები	X		X
2. გზების განაყოფა	X		
3. სახყოფადობრივი ტრანსპორტი		X	X
4. სხვადასხვა			
VIII. ქალაქმშენებლობა			
1. ქალაქის დაგეგმარება	X		
2. რევიონალური დაგეგმარება		X	
3. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება	X	X	
4. ტურიზმი	X		X
5. სხვადასხვა			
IX. მართვის საერთო საკითხები			
1. ნებართვა (ლიცენზირებასე და ა.შ.)	X		X
2. სახელმწიფო მართვის სხვა საკითხები (ამომრეველთა სია და ა.შ.)	X		X
3. მუნიციპალური პოლიცია			X
4. სახანძრო სამსახური	X		X
5. სამოქალაქო თავდაცვა	X		X
6. მომხმარებელთა უფლებების დაცვა			X

უნგრეთში ადგილობრივი შემოსავლების სტრუქტურა სამი ელემენტისაგან შედგება: საკუთარი შემოსავლები (24%), ცენტრალური გადასახადებიდან ადგილებზე დაგოვებული წილი (41%) და სახელმწიფო ტრანსფერები (35%). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ აგრეთვე საბანკო კრედიტის აღება, ადგილობრივი ობლიგაციების გამოშვება.

ადგილობრივი შემოსაქვლების წყაროა 4 სახის ადგილობრივი გადასახადი და 7 სახის მოსაკრებელი.

სახელმწიფოსგან მიღებული გრანსფერი არის საერთო (მთლიანი გარიფის 65%) და მიზნობრივი (35%). მიზნობრივი გრანსფერები გამოიყენება ძირითადად ჯანდაცვისა და განათლების დასაფინანსებლად.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონის თანახმად შეუძლიათ შექმნან თვითმმართველობითი კავშირები, ითანამშრომლონ თავიანთი ამოცანების ჩარჩოებში სხვა ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და იყენენ თვითმმართველობის საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მთავრობა ავალებს შინაგან საქმეთა სამინისტროს განახორციელოს ზედამხედველობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე, რაც სრულდება ოლქების სახელმწიფო ადმინისტრაციული მმართველობის ხელმძღვანელების მეშვეობით. ამ მმართველობის უფროსებს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრის რეკომენდაციით. ადმინისტრაციული მმართველობის მეთაური არეგულირებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის კანონიერებას, პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებისა და რეზოლუციების შემოწმებაზე. არაკანონიერი საქმიანობისას ადმინისტრაციული მმართველობის უფროსს შეუძლია შეიტანოს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში. სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მხარეებზე გამოდიან სახელმწიფო ადმინისტრაციის მმართველობის მეთაური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი.

სტრუქტურა, რომელიც ადგილობრივი ორგანოების ადმინისტრაციულ კონტროლს ახორციელებს, არის ასევე ფინანსური კონტროლის ბიურო, რომელიც ამოწმებს ადგილობრივი ორგანოების მიერ სახელმწიფოსაგან მიღებული მიზნობრივი დოგაციების ხარჯვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილია დარღვევა, ბიურო მიმართავს ადმინისტრაციის მმართველობის ხელმძღვანელს ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილების შეჩერების წინადადებით. თუ ადგილობრივი საბჭო ან კრება მხილებულია კანონის დარღვევაში, პარლამენტს აქვს უფლება იგი დაითხოვოს და დანიშნოს რიგვარეშე არჩევნები.

3.17. ჩახეთი

ჩეხეთის რესპუბლიკას აქვს უნიტარული სტატუსი. მისი ტერიტორია დაყოფილია 77 ადმინისტრაციულ ოლქად და 6244 მუნიციპალიტეტად. აღსანიშნავია, რომ 2001 წლიდან ჩეხეთში არის 14 რეგიონალური თვითმმართველობის ორგანო და 8 რეგიონი ტერიტორიული ერთეულების სტატუსიკური ნომენკლატურის მიხედვით (NUTS II).

პირველი დონის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა მუნიციპალური საბჭო, რომელიც აირჩევა მოსახლეობის მიერ პროპორციული სისტემით 4 წლის ვადით. საბჭოს წევრების რაოდენობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროპორციულია და მერყეობს 5-55 ფარგლებში.

აღმასრულებელი ორგანოა მუნიციპალური გამგეობა, რომელიც ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე. გამგეობა შედგება მერის, მერის მოადგილისა და სხვა წევრებისაგან, რომლებსაც თავის შემადგენლობიდან ირჩევს საბჭო. გამგეობის შემადგენლობაშია არა უმეტეს 11 წევრისა.

მერი ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე, არის გამგეობის თავმჯდომარე, მუნიციპალური მმართველობის მეთაური და მუნიციპალური პოლიციის უფროსი. პაგარა მუნიციპალურ წარმონაქმნებში გამგეობა არ ირჩევა და მის ფუნქციას ასრულებს მერი. სადაც არ წესდება ადმინისტრაციის მეთაურის თანამდებობა, იქ მერი ასრულებს მის მოვალეობებს.

მუნიციპალური გამგეობა ქმნის კომისიებს, რომელთა შემადგენლობაშია არა მხოლოდ საბჭოს წევრები. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ მოცემული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებიც.

მუნიციპალური მმართველობა არის მუნიციპალური წარმონაქმნის აღმასრულებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც სათავეში უდგას მერი და მისი მოადგილეები, ხოლო შემადგენლობაში შედიან ადმინისტრაციის მეთაური და სხვა თანამდებობის პირები. მათ გააჩნიათ დამოუკიდებელი უფლებამოსილებები, რომლებიც გადაცემული აქვთ მუნიციპალური გამგეობისაგან და საბჭოსაგან, აგრეთვე სახელმწიფო ადმინისტრაციისაგან დელეგირებული ფუნქციები. ადმინისტრაციის მეთაური არ შეიძლება იყოს მუნიციპალური საბჭოს წევრი. მას აქვს უფლება დაესწროს საბჭოსა და გამგეობის სხდომებს კონსულტანტის რანგში. მუნიციპალური მმართველობის ადმინისტრაციის მეთაური ანგარიშვალდებულია საბჭოსა

და მერის წინაშე, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას კი მხოლოდ მერის წინაშე.

ოლქის წარმომადგენლობითი ორგანოა საოლქო კრება, რომელიც შედგება მუნიციპალური საბჭოების წარმომადგენლებისაგან – მერის ან მერის მოადგილისაგან. ოლქის აღმასრულებელი ხელმძღვანელი ინიშნება და თავისუფლდება ცენტრალური მთავრობის მიერ.

ოლქში ხორციელდება სახელმწიფო მმართველობა, რომელსაც აკონტროლებს ცენტრალური ხელისუფლება. ტერიტორიულ დონეზე სახელმწიფო ადმინისტრაციის მოგიერთი საკითხის გადაწყვეტა, კერძოდ, განათლების საკითხები, საფინანსო საქმე და მოსახლეობის დასაქმების საკითხები, შედის სპეციალური ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაში, რომლებიც არ ექვემდებარებიან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს.

ოლქის კრების მოვალეობაში შედის ოლქის ბიუჯეტის დამტკიცება. ოლქის გამგეობის ხელმძღვანელი უწევს კონსულტაციებს კრებას სახელმწიფო სუბსიდიების განაწილებასთან დაკავშირებით.

ოლქის ადმინისტრაცია ამოწმებს ადგილობრივ დონეზე მმართველობის მუნიციპალური ორგანოების მიერ მათზე დელეგირებული უფლებამოსილებების შესრულებას. მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები მოვალენი არიან გააგზავნონ მათი არჩევითი ორგანოების ყველა გადაწყვეტილება ოლქის ადმინისტრაციაში, რომელიც პასუხისმგებელია ოლქის ტერიტორიაზე სასამართლოს ყველა კანონიერი გადაწყვეტილების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ოლქის ადმინისტრაცია აჩერებს მუნიციპალური კანონმდებლობის მოქმედებას, თუ ის კანონსაწინააღმდეგოა. მმართველობის მუნიციპალური ორგანოების გადაწყვეტილებები შეიძლება გაპროტესტდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანით.

ოლქის ადმინისტრაციის მეთაური პასუხისმგებელია მუნიციპალური საბჭოს დათხოვნის თაობაზე პარლამენტში წინადადებების დაყენებაზე იმ შემთხვევაში, თუ საბჭომ სხდომები არ მოიწვია 6 თვის განმავლობაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე დონის წარმომადგენლობითი ორგანოა რეგიონის არჩევითი საბჭო, რომლის ხელმძღვანელი – გეიგმანი ირჩევა საბჭოს მიერ თავისი შემადგენლობიდან. რეგიონალური საბჭოები ფუნქციონირებენ 2001 წლიდან 2-წლიანი გარდამავალი პერიოდის ვადით.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეგიონალური დონის ფუნქციებში შედის – განათლება (საშუალო სკოლები, სპეციალური სკოლები ინვალიდი ბავშვებისათვის, აქ არ შედის მასწავლებელთა ხელფასები), არამაგისტრალური გზები, მოხუცთა და ინვალიდთა სახლები, გალერეები, მუზეუმები, ზოოპარკები, სამეცნიერო ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები, გარემოს დაცვა, რეგიონალური გრანსპორტი, მოცემული რეგიონის მუნიციპალიტეტებთან ერთად რეგიონის განვითარება.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციები წარმოდგენილია ცხრილში.

ფუნქციები	მუნიციპალური ორგანოები	ოლქის ორგანოები	ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების რეგიონალური დანაყოფები
I. განათლება			
1. სკოლამდელი			
2. დაწესებულებები	X	X	X
3. საშუალო		X	X
4. საშუალო-ტექნიკური განათლება		X	X
5. სხვა (სპეციალისტ) დაწესებულებები		X	X
II. სოციალური უზრუნველყოფა			
1. ბაბა	X	X	X
2. საბავშვო ბაღი	X	X	X
3. სოც(უ)ზრუნველყოფის დაწესებულება	X	X	
4. მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები	X		

5. სპეციალური დაწესებულება (უხახაკარობისთვის, იმ ოჯახუ- ბისთვის, რომლებიც იმყოფებიან მძიმე მდგომარეობაში და ა.შ.)	X		
6. საბინაო მშენებლობა	X		
7. სხვადასხვა			
III. ჯანდაცვა			
1. პირველადი სამედიცინო დახმარება			
2. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები			X
3. საავადმყოფოები	X	X	
4. ჯანდაცვის სისტემა		X	X
5. სხვადასხვა			
IV. კულტურა, დასვენება, სპორტი			
1. თეატრები	X	X	
2. მუზეუმები	X	X	
3. ბიბლიოთეკები	X	X	
4. პარკები	X		
5. სპორტი და დასვენება	X		
6. კულტურული ღონისძიებების ნახატარებელი შენობის შენახვა	X	X	
7. სხვადასხვა			
V. კომუნალური მომსახურება			
1. წყალმომარაგება	X		
2. კანალიზაცია	X		
3. ელექტროენერჯია	X		
4. გაზი	X		

5. ცენტრალური გათბობა			
6. სხვადასხვა			
VI. გარემოს დაცვა, სასოგადოებრივ-სანიტარული სამსახური			
1. ნაგვის შეგროვება	X		
2. ნაგვის გატანა	X		
3. ქუჩების დასუფთავება	X		
4. სასაფლაოების შენახვა	X		
5. გარემოს დაცვა	X	X	X
6. სხვა ღონისძიებები			
VII. ტრანსპორტით უზრუნველყოფა			
1. გზები	X	X	
2. ქუჩების განათება	X		
3. სასოგადოებრივი ტრანსპორტი	X	X	
4. სხვადასხვა			
VIII. ქალაქების განვითარება			
1. ქალაქმშენებლობის დაგეგმარება	X	X	
2 რეგიონალურ/ადგილობრივი დაგეგმარება		X	
3. ადგილებზე ეკონომიკური განვითარება	X		
4. ტურიზმი	X		X
5. სხვადასხვა			
IX. მართვის საერთო საკითხები			
1. ნებართვის გაცემის ფუნქცია (ლიცენზირებასე და ა.შ.)	X	X	
2. სახელმწიფო მართვის სხვა ფუნქციები (ამომრეველთა სია,	X		X

საბაჟო ინსპექცია, გარემოს დაცვის დონისხილები, სპეციალური ობიექტების მართვა და ა.შ.)			
3. ადგილობრივი პოლიცია	X		X
4. სახანძრო სამსახური	X	X	
5. სამოქალაქო თავდაცვა		X	
6. მომხმარებელთა უფლებების დაცვა			X

მუნიციპალიტეტების შესახებ კანონის თანახმად ორ ან მეტ მუნიციპალიტეტს უფლება აქვს გაერთიანდეს ხელშეკრულების საფუძველზე კონკრეტული მიზნის მისაღწევად. თუ მუნიციპალური ასოციაციის გადაწყვეტილება ან საქმიანობა ეწინააღმდეგება კანონს, მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს მათი მოქმედება და წარადგინოს საკითხი ჩხეხეთის ეროვნულ საბჭოზე განსახილველად. მრავალი რეგიონალური ასოციაცია წყვეტს პრობლემებს, რომელთა გადაჭრა აღემატება ერთი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს. არსებობენ ისეთი გრანსნაციონალური ასოციაციები, რომლებიც თანამშრომლობენ იმ ქვეყნების მუნიციპალიტეტებთან, რომლებსაც აქვთ საერთო საზღვარი ჩხეხეთის რესპუბლიკასთან.

ჩხეხეთში ყველა გადასახადი არის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროში (საგადასახადო ბაზა, გარიფები, განთავისუფლება გადასახადისაგან და ა.შ.). გადასახადების ამოღება ასევე ცენტრალური დონის პასუხისმგებლობის სფეროში შედის (გერიგორიული საგადასახადო სამმართველოები). შემოსაულების სტრუქტურა და მათი განაწილება რეგულირდება კანონმდებლობით. ადგილობრივი ბიუჯეტები მოიცავენ მუნიციპალიტეტებისა და ოლქების დამოუკიდებელ ბიუჯეტებს, გადასახადების გარდა ადგილობრივი ბიუჯეტებში შემოსაულების სხვა წყაროებია ობლიგაციები, მოსაკრებლები, სახელმწიფო სუბსიდიების პაკეტი.

უმაღლესი აუდიტის კომიტეტი ახორციელებს ბიუჯეტების შემოსაულებისა და ხარჯების მონიტორინგს, ასრულებს საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკური და საფინანსო ხასიათის საკითხებს.

3.18. აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება არჩევნების საფუძველზე, მუნიციპალიტეტების მეშვეობით. ისინი თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში იღებენ განსაზღვრულ ნორმატიულ აქტებს.

აზერბაიჯანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შედგება სოფლების, დაბების, რაიონებისა და ქალაქებისაგან. მუნიციპალიტეტების დაყოფაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დაყოფის მიხედვით მოხდა. მოლიანობაში ქვეყანაში ფორმირებულ იქნა 2669 მუნიციპალიტეტი.

აზერბაიჯანში არჩევით მუნიციპალურ ორგანოებს არ აქვთ სპეციალური დასახელება. მუნიციპალიტეტები ირჩევა მოსახლეობის მიერ მავორიტარული სისტემით. მუნიციპალიტეტების წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხვზე და მერყეობს 5-19 ფარგლებში.

მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე ირჩევა მუნიციპალიტეტის წევრთაგან. თავმჯდომარე იმავდროულად არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი აპარატის ხელმძღვანელი, რომელიც ნიშნავს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს. აღმასრულებელი აპარატი პასუხისმგებელია არჩევითი ორგანოს წინაშე.

აზერბაიჯანის ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუნიციპალიტეტის წევრთა სხდომას, რომელსაც მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილება. მუნიციპალიტეტის სხდომები, ფუნქციური დატვირთვით, შეიძლება ორ ჯგუფად დაეყოთ: 1. სადაც მიიღება გადაწყვეტილებები ადგილობრივი მნიშვნელობის პროგრამათა შესახებ და 2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი აპარატის ფორმირების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. არსებული კანონმდებლობის თანახმად ეს პროგრამები მოიცავს ადგილობრივ სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა სფეროებს.

მუნიციპალიტეტებში იქმნება მუდმივი ან სხვა კომისიები, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.

არ არსებობს იერარქიული დაქვემდებარება სხვადასხვა დონის (საქალაქო, სარაიონო, სასოფლო და ა.შ.) მუნიციპალიტეტებს შორის.

აზერბაიჯანში ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება, როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მიერ. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობა ხდება დაქვემდებარების, სუბორდინაციის საფუძველზე და მთლიანობაში ეს სტრუქტურები კანონის თანახმად ექვემდებარებიან პრეზიდენტს.

კანონის შესაბამისად, ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ფორმირებულია რაიონებში, ქალაქებსა და ქალაქის რაიონებში. პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს, რომლებიც შესაბამის გერიტორიაზე აყალიბებენ ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას სოფლებში და დაბებში და ნიშნავენ მათ ხელმძღვანელებს.

ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურებს აქვთ უფლება, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცენ ნორმატიული აქტები, რომლებიც არ მოდიან შეუსაბამობაში კანონმდებლობასთან.

კომპეტენციები ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მუნიციპალიტეტებს შორის მკვეთრად გამიჯნული არ არის. მუნიციპალიტეტები ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებებს დამოუკიდებლად, კანონმდებლობის გათვალისწინებით ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებთან თანამშრომლობით. ამ ურთიერთიერობებში ისინი წარმოადგენენ თანასწორუფლებიან სუბიექტებს. ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებში.

ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის საქმიანობის უზრუნველყოფისათვის იქმნება მისი აპარატი, რომლის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები მოცემულია ცხრილში.

ფუნქციები	ქვეყნის მუნიციპალიტეტი	რეგიონალური და საქალაქო მმართველობა	ცენტრალური, ტერიტორიული ადმინისტრაციები
1. განათლება			
სკოლამდელი	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია

დაწვევებითი	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
საშუალო	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
ტექნიკური			ცენტრალური ადმინისტრაცია
სხვა			
II. სოციალური უსრუნველყოფა			
ბავშვები	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
საბავშვო ბავშვები	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
უქონელთა სახლები			
მოსუცვებელთა სახლები	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	ცენტრალური ადმინისტრაცია
III. ჯანდაცვა			
პირველადი დახმარება	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
ჯანდაცვა	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	ცენტრალური ადმინისტრაცია
საავადმყოფოები	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემა			
სხვა			
IV. კულტურა, დასვენება, სპორტი			
თეატრები	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია

მუხეუმები	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
ბიბლიოთეკები	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
პარკები	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	ცენტრალური ადმინისტრაცია
სსორტი, დახეუნება	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	ცენტრალური ადმინისტრაცია
კულტურული ღონისძიებების შენობების შენახვა	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	ცენტრალური ადმინისტრაცია
სხვა			
V. მომსახურება			
წყალმომარაგება	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	ცენტრალური ადმინისტრაცია
კანალიზაცია	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	
ელექტროენერჯია	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
გაზი	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
რაიონული გათბობა	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	
სხვა			
VI. გარემო, სანიტარია			
ნაგვის შეგროვება	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	

ნაგვის გატანა	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	
ქუჩების დასუფთავება	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	
სასაფლაოები	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	
გარემოს დაცვა	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	ცენტრალური ადმინისტრაცია
სხვა			
VII. ქალაქის განვითარება			
ქალაქმშენებლობა	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
რეგიონალური მშენებლობა			ცენტრალური ადმინისტრაცია
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
ტურიზმი	მუნიციპალიტეტი		ცენტრალური ადმინისტრაცია
სხვა			
VIII. საერთო ადმინისტრაცია			
ნებისღამრთავი ფუნქციები (დოკუმენტები და სხვა)			
სახელმწიფო ადმინისტრაციის სხვა საკითხები (ამომრჩეველთა რეგისტრაციის და სხვა)	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	
ადგილობრივი პოლიცია			ცენტრალური ადმინისტრაცია

სახანძრო სამსახური			კენრალური ადმინისტრაცია
სამოქალაქო თავდაცვა			კენრალური ადმინისტრაცია
მომხმარებელთა უფლებების დაცვა	მუნიციპალიტეტი	საქალაქო და რაიონული ადმინისტრაცია	კენრალური ადმინისტრაცია

მუნიციპალურ ორგანოებს აქვთ უფლება შექმნან კავშირები, გაერთიანებები, მათი უფლებებისა და ინტერესების უფრო ეფექტურად განხორციელებისათვის. დღესდღეისობით აზერბაიჯანში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტების კოორდინირებული კავშირი, რომელიც აერთიანებს ქ. ბაქოს 17 მუნიციპალიტეტს, ასევე შექმნილია “აზერბაიჯანის მუნიციპალური რეფორმების ცენტრი”. გარდა ამისა, რესპუბლიკაში შექმნილია რიგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გაერთიანებები.

კანონის თანახმად, სამართლებრივი კონგროლი მუნიციპალიტეტთა მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე გააჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელსაც შეიძლება მიმართოს მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტმა, უმაღლესმა სასამართლომ, რესპუბლიკის პროკურატურამ და ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა მეჯლისმა. სხვა სუბიექტთა სარჩელი, მათ შორის არც მუნიციპალიტეტების, კანონით გათვალისწინებული არ არის. საჩივრები მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების დადგენილებებსა და საქმიანობაზე განიხილება შესაბამისი გერიტორიის რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მიერ, რომლის დადგენილების გასაჩივრება შეიძლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოში.

იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას მუნიციპალიტეტებზე, მათ ორგანოებზე და თანამდებობის პირებზე.

ფინანსურ კონტროლს ახორციელებენ მუნიციპალიტეტები თავიანთი საფინანსო სტრუქტურების მეშვეობით.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება ძირითადად ხდება ადგილობრივი გადასახადებისა, მოსაკრებლებისა და ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ღოგაციების საფუძველზე.

3.19. ესტონეთი

ადმინისტრაციულ-გერიტორიული დაყოფის შესახებ კანონის თანახმად ესტონეთი დაყოფილია 15 ოლქად (რაიონად) და 254 სასოფლო და საქალაქო მუნიციპალიტეტად. ესტონეთში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტების დონეზე.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა საბჭო (ეოლი-კოგუ), რომელსაც ირჩევს მოსახლეობა სამი წლის ვადით. საბჭო შედგება 7-31 წევრისაგან, ადგილების რაოდენობა პროპორციულია მოსახლეობის საერთო რაოდენობისა მოცემულ გერიტორიულ ერთეულში.

საბჭოს წევრები ირჩევენ თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს, რომელთა თანამდებობა ანამლაურებადია. საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზებას უკეთებს საბჭოს მუშაობას და წარმოადგენს მუნიციპალიტეტს.

საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს მუდმივი და დროებითი კომისიების მეშვეობით, რომელთა თავმჯდომარეები ირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან. ერთადერთი კომისია, რომლის შექმნაც სავალდებულოა, არის აუდიტორული კომისია.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოა გამგეობა (ვალიკუს), რომელსაც ირჩევს საბჭო. მას ხელმძღვანელობს მერი (ლინაპეა ქალაქებში, ვალაენეში სასოფლო მუნიციპალიტეტებში), რომელსაც ირჩევს საბჭო თავის შემადგენლობიდან სამი წლის უფლებამოსილებით. გამგეობის სხვა წევრებს ნიშნავენ მერი საბჭოს თანხმობით.

მუნიციპალური საბჭოს, აუდიტორული კომისიის და მერის უფლებამოსილებანი განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესახებ კანონით, რომელიც მიღებული იქნა 1993 წელს.

ესტონეთში შექმნილია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ასოციაციების კავშირი. არსებობს ესტონეთის ქალაქთა ასოციაცია და სასოფლო მუნიციპალიტეტების ასოციაცია. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს აქვთ უფლება ითანამშრომლონ საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, ვახდენ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები.

ადგილობრივი ხელისუფლების მეორე დონეს წარმოადგენს ოლქი, სადაც შექმნილია სახელმწიფო მმართველობა მთავრობის მიერ დანიშნული ვებერნატორის (მაავენეში) სახით.

ოლქის გუბერნატორს ევალება ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციების კოორდინაცია ოლქში, სახელმწიფო ქონების განკარგვა, კონტრაქტების დადება მუნიციპალიტეტებთან სახელმწიფო ვალდებულებების აღსრულების მიზნით, რამაც თანხმობა უნდა გასცეს რესპუბლიკის მთავრობამ. გუბერნატორს აქვს სამედიამხედველო და რჩევის მიცემის ფუნქციები ადგილობრივ თვითმმართველობასთან მიმართებაში. მისი კანდიდატურა უნდა იქნეს წინასწარ შეთანხმებული ადგილობრივი თვითმმართველობების რეგიონალურ გაერთიანებასთან, რომელიც შედგება ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს თითო წარმომადგენლებისა და მერებისაგან. კანდიდატურა ითვლება შეთანხმებულად, თუ მას მხარი დაუჭირა გაერთიანების წარმომადგენელთა ნახევარზე მეტმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარდგენილი უნდა იქნას ახალი კანდიდატურა. მეორეჯერ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მთავრობა უფლებამოსილია დანიშნოს გუბერნატორი რეგიონალურ გაერთიანებასთან შეუთანხმებლად. რაც შეეხება გუბერნატორის განთავისუფლებას, ეს საკითხი წყდება ადგილობრივი თვითმმართველობის რეგიონალურ გაერთიანებასთან შეუთანხმებლად.

გუბერნატორი არ შეიძლება იყოს მუნიციპალური საბჭოს წევრი, იგი სათავეში უდგას გუბერნატორის ოფისს (მააჟალიუსი), რომლის საქმიანობასაც ცენტრალური მთავრობა აფინანსებს.

გუბერნატორი პასუხისმგებელია:

- ოლქში სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და ოლქის თანმიმდევრული განვითარებისათვის;
- მთავრობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის რეგიონალური პოლიტიკისა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კავშირის უზრუნველყოფისათვის;
- სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დელეგირებულ უფლებამოსილებებზე ხელშეკრულებათა დადება;
- სამთავრობო დაწესებულებათა რეგიონალურ ორგანოებსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს შორის ურთიერთობათა კოორდინაცია.

კანონის თანახმად გუბერნატორი ახორციელებს ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე და სახელმწიფოსაგან გაყვამული სახსრების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ადგილობრივი თვითმმართველო-

ბის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობაში არ მოყვანის შემთხვევაში, გუბერნატორს უფლება აქვს მიმართოს ადმინისტრაციულ სასამართლოს.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა მოცემულია ცხრილში.

ფუნქციები	მუნიციპალიტეტები	ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები
I. განათლება		
1. სკოლამდელი	X	
2. დაწესობითი	X	
3. საშუალო	X	
4. ტექნიკური		X
5. უმაღლესი		X
II. სოციალური უზრუნველყოფა		
1. ბავა	X	
2. საბავშვო ბაღები	X	
3. მოხუცებულთა სახლები	X	
4. მოხუცებულთა და ინვალიდთა ინდივიდუალური მომსახურება	X	
5. სპეციალური სამსახურები (უსახლკაროთათვის, იმ ოჯახებისთვის, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ მდგომარეობაში და ა.შ.)	X	
6. სახელმწიფო ბინები	X	
III. ჯანდაცვა		
1. პირველადი სამედიცინო დახმარება	X	
2. განმრთვლობის დაცვა		X
3. სააჯადმყოფოები	X	X

4. საზოგადოებრივი ჯანდაცვა	X	
IV. კულტურა, დასვენება, სპორტი		
1. თეატრები	X	X
2. მუსეუმები	X	X
3. ბიბლიოთეკები	X	X
4. პარკები	X	
5. სპორტი, დასვენება	X	X
6. კულტურის სახლები	X	X
V. კომუნალური მომსახურება		
1. წყალმომარაგება	X	
2. კანალიზაცია	X	
3. ელექტროენერჯია		X
4. გაზი		X
5. ცენტრალური გათბობა	X	
VI. გარემოს დაცვა, სანიტარია		
1. ნაგვის შეგროვება	X	
2. ნაგვის გატანა	X	
3. ქუჩების დასუფთავება	X	
4. სასაფლაოები	X	
5. გარემოს დაცვა	X	X
VII. საგზაო მოძრაობა, ტრანსპორტი		
1. გზები		X
2. ქუჩების განათება	X	
3. საზოგადოებრივი ტრანსპორტი	X	
VIII. ქალაქმშენებლობა		
1. ქალაქის დაგეგმარება	X	
2. რეგიონალური/ადგილობრივი დაგეგმარება	X	

3. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება	X	
4. ტერიზმი	X	X
IX. მართვის საერთო საკითხები		
1. სანებართვო ფუნქციები (ლიცენზიების ვაკუა და ა.შ.)		X
2. სახელმწიფო მმართველობის სხვა საკითხები (ამომრჩეველთა სიები და ა. შ.)	X	
3. მუნიციპალური პოლიცია		X
4. სახანძრო რაზმები		X
5. სამოქალაქო თავდაცვა		X
6. მომხმარებელთა უფლებების დაცვა	X	X

მუნიციპალური ბიუჯეტები დამოუკიდებელია და მათი შედგენა სდება განვითარების ადგილობრივი გეგმების მიხედვით. მუნიციპალური შემოსავლების ძირითადი წყაროებია:

- საერთო სახელმწიფოებრივი საგადასახადო შენაგანების წილი;
- ღოგაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- მუნიციპალური გადასახადები;
- კრედიტები;
- შემოსავლები მუნიციპალური ქონების გაყიდვისგან;
- საჯარო გადასახადი მუნიციპალური ქონების სარგებლობისათვის.

მუნიციპალიტეტების აუდიტორული კომისია თვალყურს ადევნებს შემოსავლების ღროულ მიღებას და ხარჯების შესაბამისობას ბიუჯეტთან.

3.20. ლატვია

1994 წლის “ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ” კანონის შესაბამისად ლატვიაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორ დონიანი სისტემა.

ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ დონეზე 566 ადგილობრივი მუნიციპალიტეტია, მათ შორის 7 დიდი ქალაქის, 69 ქალაქის და

490 სასოფლო მუნიციპალიტეტი.

ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე დონე მოიცავს 26 რაიონს (ოლქს).

დიდ ანუ რესპუბლიკურ ქალაქებს აქვთ ორმაგი სტატუსი – ისინი ერთდროულად საქალაქო, პირველი დონის და რაიონული, მეორე დონის მუნიციპალიტეტებად ითვლებიან. რესპუბლიკური ქალაქები არ შედიან რაიონების შემადგენლობაში და მათ გერიგორიაზე რაიონული ორგანოების უფლებამოსილებები არ ვრცელდება.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი განიმარტება, როგორც ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც მოქალაქეთა მიერ არჩეული წარმომადგენლობის – საბჭოების (დომე) და მათ მიერ შექმნილი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყოფს კანონმდებლობით დღევანდელი ფუნქციების, მინისტრთა კაბინეტის დაეალებების შესრულებას, აგრეთვე სახელმწიფოსა და შესაბამისი ადმინისტრაციული გერიგორიის მოსახლეობის ინტერესების დაკვით ახორციელებს ადგილობრივ ნებაყოფლობით ინიციატივებს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა საბჭო, რომელიც ირჩევა ოთხი წლის ვადით მოსახლეობის მიერ პროპორციული სისტემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით. 1997 წლიდან რაიონული საბჭო ირჩეოდა არა პირდაპირი კენჭისყრით, არამედ შედგებოდა რაიონში შემავალი მუნიციპალიტეტების თავმჯდომარეებისაგან. 2001 წლიდან აღდგა რაიონული საბჭოს პირდაპირი არჩევნები მოსახლეობის მიერ. მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობა პროპორციულია მოსახლეობის რაოდენობისა და შეადგენს 7-15 წევრს. ქალაქ რიგის საბჭო შედგება 60 წევრისაგან. მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე ირჩევა საბჭოს მიერ ხმათა უმრავლესობით.

თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი წესდება, რომელიც შემუშავდება კანონისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული მოდელური წესდების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს მუდმივი კომიტეტების წევრებს. საფინანსო კომიტეტის და განათლებისა და კულტურის კომიტეტის შექმნა სავალდებულოა. საფინანსო კომიტეტს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე. აუდიტორულ კომიტეტში შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ არა საბჭოს წევრი. საბჭოს შეუძლია შექმნას გამგეობა,

კომისიები. სამუშაო ჯგუფები, როგორც ადგილობრივი დეპუტატებისაგან, ისე მუნიციპალიტეტის მცხოვრებთაგან. რაიონული საბჭო ირჩევს აუდიტორული კომიტეტის წევრებს მუნიციპალიტეტების აუდიტორული კომიტეტების თავმჯდომარეებისაგან. ის ქმნის ასევე საკუთარ სხვა მუდმივ კომისიებს. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში რაიონული საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ნორმატიული აქტები, რომელთაც საეკონომიკურ ძალა აქვთ შესაბამისი რაიონის შემადგენლობაში მოქმედი მუნიციპალიტეტებისათვის, მაგრამ სხვა მხრივ ამ მუნიციპალიტეტების საქმიანობაზე კონტროლისა და ბედამხედველობის შესაძლებლობა რაიონულ საბჭოს არ გააჩნია.

რაიონული საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს თავის მიერ შექმნილი ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს. აუქმებს რაიონული საბჭოს თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის აქტებს.

აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს – გამგეობას. მას მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალური საბჭო. იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც აღმასრულებელი დირექტორი არ ინიშნება, მის ფუნქციებს ასრულებს მუნიციპალური საბჭოს დირექტორი.

აღმასრულებელი დირექტორი უზრუნველყოფს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, შემუშავებს და საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, გენერალური გეგმისა და ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტებს, ახორციელებს მუნიციპალიტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების გარდა ყოველ ოლქში რამდენიმე სამინისტროს, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს გააჩნიათ წარმომადგენლობა. ისინი ასრულებენ საერთო ეროვნულ ფუნქციებს და მოითხოვენ ცენტრალურ რეგულირებას, რაც მიიღწევა ხელისუფლების რეგიონალურ ორგანოებთან თანამშრომლობის გზით.

რეგიონალურ და მუნიციპალურ ორგანოებს შორის მოვალეობების გამიჯვნა დაფუძნებულია იმ პრინციპზე, რომ თუ საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა რამდენიმე ორგანოს ფინანსური, მატერიალური, საინფორმაციო და ადამიანური რესურსების გაერთიანება, ამოცანის გადაწყვეტა

ვადაეცემა ოლქის მმართველობის ორგანოს იურისდიქციის ქვეშ.

მუნიციპალიტეტების უწესიერებები იყოფა: საეკონომიკურ, დედასა-რეზერვულ და ნებაყოფლობით კატეგორიებად. მუნიციპალიტეტებისა და ოლქების კომპეტენციები განსაზღვრულია ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ კანონით და წარმოდგენილია ცხრილში.

უწესიერებები	მუნიციპალიტეტები	ხელისუფლების საოლქო ორგანოები	კონტრაქტური ან ცენტრალური ადმინისტრაციები	ხელისუფლების სხვა ორგანოები
I. განათლება				
1. სკოლაშენი	X			
2. დაწესებულება	X			
3. საშუალო	X			
4. ტექნიკური	X		X	
5. სხვადასხვა, განსაკუთრებით პედაგოგებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება		X		
II. სოციალური უზრუნველყოფა				
1. ბაგა	X			
2. საბავშვო ბაღი	X			
3. მოხუცებულთა სახლები	X			
4. მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურება	X			
5. სოციალური მომსახურება (უხახლ-კარიებისთვის, იმ ოჯახებისთვის, რომლებიც იმყოფებიან კრისისულ მდგომარეობაში და სხვა)	X			
6. საცხოვრებელი ბინების მშენებლობა	X			

7. სხვადასხვა, განსაკუთრებით პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და უმუშევართა დახმარება		X		X
III. ჯანდაცვის მომსახურება				
1. პირველადი სამედიცინო დახმარება	X	X		
2. ჯანმრთელობის დაცვა	X	X	X	
3. საავადმყოფოები	X	X	X	
4. სასოციალურ-მედიცინო ჯანდაცვა	X	X	X	
5. სხვადასხვა, განსაკუთრებით დახვეწის რეგიონალური ფონდი		X		
IV. კულტურა, დასვენება, სპორტი				
1. თეატრები	X		X	
2. მუზეუმები	X	X	X	
3. ბიბლიოთეკები	X	X	X	
4. პარკები	X		X	
5. სპორტი და დასვენება	X		X	
6. კულტურის ცენტრები	X	X	X	
V. კომუნალური მომსახურება				
1. წყალმომარაგება	X			
2. კანალიზაცია	X			
3. ელექტროენერჯია	X		X	
4. გაზი			X	
5. ცენტრალური გათბობა	X			
6. სხვადასხვა, უმუშევართათვის				
VI. გარემოს დაცვა, სანიტარია				
1. ნაგვის შეგროვება	X			
2. ნაგვის გატანა	X			

3. ქუჩების დასუფთავება	X			
4. სახაყლაოები	X			
5. გარემოს დაცვა	X	X	X	
6. სხვადასხვა				
VII. ჯზები და ტრანსპორტი				
1. გზები	X		X	
2. ქუჩების განათება	X			
3. სა'სოგადოებრივი ტრანსპორტი	X	X	X	
4. სხვადასხვა				
VIII. კალაქმშენებლობა				
1. კალაქის დაგეგმარება	X			
2. რეგიონალური/ადგილობრივი დაგეგმარება	X	X	X	
3. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება	X	X	X	
4. ტურიზმი	X	X	X	
5. სხვადასხვა				
IX. მართვის საერთო საკითხები				
1. ნებართვის გაცემა (ლიცენზიები და სხვა)	X		X	
2. სახელმწიფო მმართველობის სხვა საკითხები (ამომრწვევლთა სიები და სხვა)	X		X	
3. მუნიციპალური პოლიცია	X			
4. სახანძრო რა'სმები	X		X	
5. სამოქალაქო თავდაცვა	X	X	X	
6. მომხმარებელთა უფლებების დაცვა				X

კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს აქვთ უფლება ერთობლივად იმუშაონ იმ საკითხებზე, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო ინტერესებს და შეუძლიათ შექმნან საჯარო ორგანიზაციები. 1992 წლიდან მოქმედებს ლაგვიის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კავშირი, რომელიც 1998 წელს გაწვერიანდა ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოში. მითითებული კავშირი მონაწილეობს ევროპის საბჭოს სხდომებში, როგორც წევრი, ხოლო ევროკავშირისაში კი – როგორც დამკვირვებელი.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ეკონომიკური ბაზა შედგება მათ საკუთრებაში არსებული ქონებისაგან და ფინანსური რესურსებისაგან, როგორცაა საგადასახადო შენაგანები ადგილობრივი ბიუჯეტში, კრედიტები, სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდიები და მიზნობრივი გრანტსურები, ადგილობრივი მოსაკრებლები, ადგილობრივი ბიუჯეტში გადახდილი ჯარიმები, ბიუჯეტში გადარიცხული ნებაყოფლობითი შენაგანები, ეკონომიკური საქმიანობისაგან მიღებული შემოსაულები, სხვა შემოსაულები. ევროსაბჭოს რეკომენდაციით 1995 წელს შემოღებულ იქნა ფინანსური ვათანაბრების სისტემა.

ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვის მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალური საბჭოების აუდიტორთა კომისია. მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხარჯვის კანონიერებას აკონტროლებს სახელმწიფო კონტროლის უწყება და ფინანსთა სამინისტრო. მინისტრთა კაბინეტის მიერ უფლებამოსილ მინისტრს უფლება აქვს მოგივირებული განკარგულებით შეაჩეროს ადგილობრივი საბჭოს უკანონოდ გამოცემული ნორმატიული აქტის მოქმედება. თუ საბჭო არ გააუქმებს აქტს, საბჭოს თავმჯდომარეს უფლება ქვს შეიგანოს სასამართლოში განცხადება მინისტრის განკარგულების გაუქმების თაობაზე.

მუნიციპალური საბჭო შეიძლება დათხოვნილ იქნეს პარლამენტის (სეიმის) მიერ შემდეგ შემთხვევებში: ლაგვიის კონსტიტუციის, კანონების, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების, სასამართლოს გადაწყვეტილებების დარღვევისთვის; ისეთ გადაწყვეტილებათა მიღების ან მოქმედებათა შესრულების შემთხვევაში, რომლებიც შედიან სეიმის, მინისტრთა კაბინეტის, სამინისტროს ან სასამართლოს კომპეტენციაში; ორი თვის ვადაში ვერ აირჩია საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მუდმივი კომისიები, ან ვერ შექმნა აუდიტორული კომისია; ბოლო სამ სხდომაზე ვერ მოახერხა გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო კვორუმის შეგროვება.

3.21. ლიბვა

ლიტვის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს ოლქი (10) და მუნიციპალიტეტი (44 სასოფლო და 12 საქალაქო).

მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების პირველ დონეს, სადაც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა საბჭო, რომელიც ირჩევა 3 წლის ვადით მოსახლეობის მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემით. საბჭოს წევრთა რაოდენობა, რომელიც მერყეობს 21-დან 51-მდე, დამოკიდებულია საარჩევნო ოლქში მცხოვრები მოსახლეობის რიცხვზე.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოა – საბჭოს მიერ არჩეული გამგეობა. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელია საბჭოს მიერ თავის შემადგენლობიდან არჩეული მერი. საბჭო ირჩევს ასევე მერის მოადგილეს მერის რეკომენდაციით. მერის წინადადებით საბჭო ამტკიცებს გამგეობის წევრების კანდიდატურას.

ზადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ⁴ კანონის თანახმად საბჭო აყალიბებს კომიტეტებს, კომისიებსა და სხვა ორგანოებს, რომლებიც ამზადებენ გეგმის თანახმად საბჭოზე განსახილველ საკითხებს.

მერი და მისი მოადგილე პასუხისმგებელი არიან სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე. მერი აკონტროლებს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას. იმ შემთხვევებში, როდესაც არ ხდება გამგეობის ფორმირება, მის ფუნქციებს ასრულებს მერი.

მერს აქვს უფლება არ ვაითვალისწინოს გამგეობის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება სახელმწიფოსაგან დელეგირებულ ფუნქციებს, თუ ის კანონსაწინააღმდეგოა. თუ მერის მიერ იგნორირებულია გამგეობის გადაწყვეტილება, რომლითაც ერთდროულად ირღვევა მოქალაქეთა და ორგანიზაციების უფლებები, საკითხი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ადგილობრივი გამგეობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს – აღმასრულებელ დირექტორს მერის რეკომენდაციით ნიშნავს და ათა-

ვისუფლებს გამგეობა, რომლის არ არსებობის შემთხვევაში კი – მერი. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია მერის წინაშე და ასრულებს მის განკარგულებებს და დირექტივებს, ორგანიზაციას უკეთებს საბჭოსა და გამგეობის სხდომებს, პასუხისმგებელია ადმინისტრაციის შიდა სამუშაო პროცედურების შესრულებაზე.

მუნიციპალური საბჭოს კომპეტენციაშია თვითმმართველობის გერიტორიის ზონებად – რაიონებად დაყოფა და მათი საზღვრების დადგენა, სადაც თვითმმართველობის თანამდებობის პირია მერის მიერ დანიშნული სტაროსტა, რომელიც ასრულებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს. სტაროსტად შეიძლება დაინიშნოს თვითმმართველობის საბჭოს წევრი.

ზედა ღონის ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეულია ოლქი, სადაც ხორციელდება სახელმწიფო მმართველობა. "ოლქის მმართველობის შესახებ" კანონის თანახმად ოლქს ხელმძღვანელობს მთავრობის მიერ დანიშნული რწმუნებული, რომლის ამოცანებში შედის სახელმწიფო პოლიტიკის გატარება სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, გერიტორიალური დაგეგმვის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და სხვა სფეროებში. რწმუნებულის კომპეტენციაშია ასევე ოლქის გერიტორიაზე არსებული სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია, თვითმმართველობის მიერ კონსტიტუციისა და კანონების დაცვაზე ზედამხედველობა, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებებისა და შუამდგომლობის განხილვა და მათზე გადაწყვეტილებების მიღება. აღსანიშნავია, რომ ოლქის რწმუნებულის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ სასამართლოში.

თავის ფუნქციების განსახორციელებლად ოლქის რწმუნებული ქმნის და ხელმძღვანელობს ადმინისტრაციას, რომლის სტრუქტურას ამკიცებს მთავრობა. სახსრები, რომლებიც აუცილებელია ოლქის მმართველობის ორგანიზაციისა და რწმუნებულის ფუნქციების განხორციელებისათვის, გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები წარმოდგენილია ცხრილში.

ფუნქციები	მუნიციპალიტეტები	ხელისუფლების საოლქო ორგანოები	ცენტრალური ან ცენტრალური ადმინისტრაციები	ხელისუფლების სხვა ორგანოები
I. განათლება				
1. სკოლამდელი	X	X	X	
2. დაწვებითი	X	X	X	
3. საშუალო	X	X	X	
4. ტექნიკური	X	X	X	
5. სხვადასხვა	X	X	X	
II. სოციალური უზრუნველყოფა				
1. ბაგა	X		X	
2. საბავშვო ბაღი	X		X	
3. საექვლმთქმლო დაწვებულებები	X	X		
4. მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურება	X			
5. სოციალური მომსახურება (უსახლკაროებისათვის, იმ ოჯახებისთვის, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ მდგომარეობაში და სხვა)	X			
6. სოციალური მშენებლობა	X			
7. სხვადასხვა				
III. სამედიცინო მომსახურება				
1. პირველადი სამედიცინო დახმარება	X			
2. ჯანდაცვა	X			
3. საავადმყოფოები	X	X	X	
4. სასოგადოებრივი ჯანდაცვა			X	
5. სხვადასხვა				

IV. კულტურა, დახვეწება, სპორტი				
1. თეატრები	X	X	X	
2. მუსიკეები	X	X	X	
3. ბიბლიოთეკები	X	X	X	
4. პარკები	X			
5. სპორტი და დახვეწება	X	X	X	
6. კულტურული ცენტრები	X	X	X	
7. სხვადასხვა				
V. კომუნალური მომსახურება				
1. წყალმომარაგება	X			
2. კანალიზაცია	X			
3. ელექტროენერჯია				X
4. გაზი				X
5. ცენტრალური გათბობა	X			
6. სხვადასხვა				
VI. გარემოს დაცვა, ხანიტარია				
1. ნაგვის შეგროვება	X			
2. ნაგვის გადამუშავება	X			
3. ქუჩების დასუფთავება	X			
4. ხანაფლაოები	X			
5. გარემოს დაცვა	X	X	X	
6. სხვადასხვა				
VII. მოძრაობა, ტრანსპორტი				
1. გზები	X		X	
2. სასოფალოებრივი ავტობუსების განათება	X			
3. სასოფალოებრივი ტრანსპორტი	X			
4. სხვადასხვა				

VIII. ქალაქმშენებლობა				
1. ქალაქის დაგეგმარება	X			
2. რეგიონალურ/ადგილობრივი დაგეგმარება	X	X		
3. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება	X	X		
4. ტურიზმი	X	X	X	
5. სხვადასხვა				
IX. საერთო მართვა				
1. მმართველობის ფუნქციები	X		X	
2. სხვა სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქციები	X			
3. ადგილობრივი პოლიცია	X		X	
4. სახანძრო რაზმი			X	
5. წესრიგის დაცვა			X	
6. მომხმარებელთა უფლებების დაცვა			X	

“ასოციაციების ძირითადი ნორმების შესახებ“ კანონის თანახმად ლიგეაში შექმნილია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ასოციაცია. მის მოვალეობაში შედის წევრების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საერთო ინტერესების წარდგენა სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურებში. ყველა პროექტი და კანონი, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებმაც უნდა დაარეგულირონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა, უნდა იქნეს კოორდინირებული ასოციაციის მიერ.

ადგილობრივი ორგანოები აერთიანებენ ძალისხმევას კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით მოსახლეობის მომსახურების, მშენებლობისა და მოძიხნავე გერიგორიების დაგეგმვის სფეროებში. ასოციაცია თანამშრომლობს უცხოეთის ქვეყნების მსგავს ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ ლიგეის მუნიციპალიტეტები დებენ ორმხრივ ხელშეკრულებას თანამშრომლობაზე უცხოეთის ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან საერთო ინტერესებისა და გოლი ზომების პრინციპის საფუძველზე.

თვითმმართველობის ფინანსური რესურსები შედგება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის, არასაბიუჯეტო ფონდებისა და სხვა სახსრებისაგან. ყოველი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია. ბიუჯეტის შევსების წყაროებია: გადასახადები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიები, ადგილობრივი მოსაკრებლები, კრედიტები.

ყველა მუნიციპალიტეტის საბჭოში არჩეულია თვითმმართველობის რევიზორი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას მუნიციპალიტეტების მიერ საბიუჯეტო სახსრების გამოყენებაზე. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შიდა აუდიტს ახორციელებენ ასევე დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიები.

სახელმწიფო კონტროლის სამმართველო განსაზღვრავს რამდენად მიზანშეწონილად და ეფექტურად იყენებენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სახელმწიფო ფონდებს და აფასებენ მუნიციპალური ბიუჯეტების შესრულების სისწორეს.

ლიტვის პარლამენტს მთავრობის რეკომენდაციის საფუძველზე კონსტიტუციისა და კანონის თანახმად შეუძლია შემოიღოს ღრობითი პირდაპირი მმართველობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ტერიტორიაზე.

3.22. რუსეთის ფედერაცია

რუსეთის ფედერაცია – ფედერაციული სახელმწიფოა, რომელიც აერთიანებს 89 რეგიონს – "ფედერაციის სუბიექტებს". რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში შედის 21 რესპუბლიკა, 6 მხარე, 49 ოლქი, ფედერალური მნიშვნელობის ორი ქალაქი, ორი ავტონომიური ოლქი და 10 ავტონომიური მხარე. ყოველ სუბიექტს აქვს თანაბარი სტატუსი.

არსებული ღროისათვის რუსეთის ფედერაციაში 29500 ადგილობრივი აღმინისტრაციაა, რომელთაგან 1226 ოფიციალურად დარეგისტრირებული მუნიციპალური გაერთიანებაა, მაგრამ მხოლოდ 11691 აქვს არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები, 11209 აქვს მინიჭებული მუნიციპალური საკუთრება და 4500 აქვს საკუთარი ბიუჯეტი.

ფედერაციის სუბიექტთა ტერიტორიები იყოფა სასოფლო რაიონებად და ქალაქებად – საოლქო ცენტრები (საოლქო, რესპუბლიკური, სამხარეო). ეს დაყოფა ყველა სუბიექტისათვის საერთოა. რაიონების შემადგენლობაში შედიან ქალაქები, დაბები და სასოფლო აღმინისტრაციები. სასოფლო აღმინისტრაციები აერთიანებენ რამდენიმე სასოფლო დასა-

ხლების პუნქტს. დიდი ქალაქების შემადგენლობაში შედიან ქალაქის რაიონები და დაბები.

შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ძირითადი ვარიანტები ადგილობრივი საჯარო ადმინისტრირების სტრუქტურისა, რომელიც მოქმედებს ამჟამად რუსეთის ფედერაციის რეგიონებში.

ვარიანტი I: ფედერაციის სუბიექტის სახელმწიფო ხელისუფლების ერთდონიანი სტრუქტურა და ერთდონიანი სტრუქტურა ხელისუფლების მუნიციპალური ორგანოებისა (დიდი ქალაქების დონეზე და რაიონების ან დაბების დონეზე).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ფორმირდება დიდი ქალაქებისა და რაიონების ბაზაზე გრადიციულ ადმინისტრაციულ-გერონტორიული დაყოფის საფუძველზე.

ვარიანტი II: ორდონიანი სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურა და ერთდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ რიგი უფლებები, დადგენილი ფედერაციის კანონმდებლობით.

ვარიანტი III: ერთდონიანი სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურა და ორდონიანი სტრუქტურა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა, რომელიც მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებას სხვა ორგანოების მიმართ ფედერაციის კანონმდებლობის დარღვევით.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პირველ დონეს მიეკუთვნება ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც წარმოქმნილი არიან დიდი ქალაქებისა და რაიონების ბაზაზე, ხოლო მეორე დონეს – წარმოქმნილი პირველი დონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გერონტორიებზე, რაიონული მნიშვნელობის ქალაქები და შედარებით მცირე დასახლებული პუნქტები ან მათი გაერთიანებები. მოსახლეობა მონაწილეობას იღებს, როგორც პირველი დონის ასევე მეორე დონის არჩევნებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები რეგიონთა უდიდეს ნაწილში ხორციელდება მაკორიგარული სისტემით. მათი უფლებამოსილების ვადა ძირითადად ოთხი წელია და სხვადასხვა რეგიონში აქვთ სხვადასხვა დასახლება – ქალაქის (რაიონის) დემა, წარმომადგენელთა საბჭო, დეპუტატთა საბჭო.

წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება მისი წესდებით. "რუსეთის ფედერაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის საერთო პრინციპების შესახებ" 1995 წელს მიღებული ფედერალური კანონის თანახმად მუნიციპალური წარმონაქმნის

მეთაური – მერი ან ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შეიძლება არჩეულ იქნეს პირდაპირ მოქალაქეთა მიერ ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობიდან.

ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების გამიჯვნის საკითხი ფედერალურ კანონმდებლობაში არ არის რეგლამენტირებული და წყდება მუნიციპალური წარმონაქმნების მეხედულებისამებრ. ძირითადად რეალიზებულია ისეთი სქემა, როდესაც არჩეული მეთაური იმავდროულად არის ადგილობრივი (ქალაქის, რაიონის) ადმინისტრაციის მეთაური, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი ადმინისტრაციის მმართველი მოწვეულია საკონგრატო სისტემის საფუძველზე. პრაქტიკაშია ასევე ვარიანტი, რომლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ითავსებს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებს კომიტეტებისა და კომისიების მეშვეობით. თუ მერი არჩეულია პირდაპირ მოსახლეობის მიერ, ის იმავე დროს არის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე. პატარა სოფლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ერთადერთ ერთპიროვნულ ორგანოდ გვევლინება მცხოვრებთა მიერ არჩეული სტაროსტა.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართებაში ორ დიდ ქალაქს, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგს აქვთ მინიჭებული განსაკუთრებული უფლებები. მოსკოვის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ არის. სანკტ-პეტერბურგში შექმნილია 100-ზე მეტი მუნიციპალური წარმონაქმნი, რომელთაც გააჩნიათ ძალზე შეზღუდული უფლებები.

რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არის ასევე განსაკუთრებული სტატუსის მქონე 40 ტერიტორია – ე. წ. დახურული ტერიტორიული წარმონაქმნი, რომლებიც იმყოფებიან უშუალოდ ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ. დახურული ტერიტორიული წარმონაქმნი წარმოადგენს ქალაქებსა და სოფლებს, მაგრამ ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად მისი საზღვრები შეიძლება არ ემთხვეოდეს რუსეთის ფედერაციისა და რაიონების სუბიექტების საზღვრებს, რომლებიც შედიან მათ შემადგენლობაში.

მმართველობის ფედერალური ორგანოების გამკებლობაში შედის დახურული ტერიტორიული წარმონაქმნის ადმინისტრაციული დაქვემდებარებისა და საზღვრების დადგენა. დახურული ტერიტორიული წარმონაქმნის ტერიტორიებზე მოქმედებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

მხარის, ოლქის, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქების სტატუსი განისაზღვრება არა მხოლოდ კონსტიტუციით და ფედერალური კანონმდებლობით, არამედ ფედერაციის ამ სუბიექტების

წესდებითა და დამფუძნებელი აქტებითაც, რომლებიც მიიღება მათი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

მოცემული გიპის ფედერაციის სუბიექტის ტერიტორიის ფარგლებში ორგანიზებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემა, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია ადმინისტრაციის მეთაურს – მოსახლეობის მიერ არჩეულ გუბერნატორს, მერს.

ფედერაციის სუბიექტის ადმინისტრაციის მეთაური არის უმაღლესი თანამდებობის პირი, ხელმძღვანელობს შესაბამისი ფედერაციის სუბიექტის აღმასრულებელ ხელისუფლებას და წარმოადგენს უმაღლეს აღმასრულებელ კოლექტიურ ორგანოს, რომლის სახელწოდება, მაგალითად, მთავრობა, ადმინისტრაცია, ყოველ სუბიექტში დადგენილია ადგილობრივი ტრადიციისა და პირობების გათვალისწინებით.

უფლებამოსილებების გამიჯვნა ფედერალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებს შორის მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

თავიანთი უფლებებისა და ინტერესების უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით მუნიციპალურ წარმონაქმნებს კანონის თანახმად შეუძლიათ შექმნან გაერთიანებები ასოციაციებისა და კავშირების ფორმით. 1998 წელს შეიქმნა რუსეთის ფედერაციის მუნიციპალურ წარმონაქმნთა კონგრესი, რომელიც ღებულობს მონაწილეობას ფედერალური კანონების, ფედერალური ბიუჯეტის პროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების მომზადებაში. კონგრესის დელეგაცია მონაწილეობას ღებულობს ევროსაბჭოს ადგილობრივი ხელისუფლების პალატის სხდომების მუშაობაში.

ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირება, დამკვიცება და შესრულება, კონკრული შესრულებაზე ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამოუკიდებლად. ადგილობრივი ბიუჯეტების სამშემოსავლო ნაწილში ჩაირიცხება ადგილობრივი გადასახადები, მოსაკრებლები და ჯარიმები, ფედერალური გადასახადებისა და ფედერაციის სუბიექტების გადასახადების ნორმატიული ანარიცხები, გრანტები, ქონების პრივატიზაციიდან მიღებული სახსრები, სუბვენციები, ლოტაციები, სესხები და სხვა საშუალებები, რომლებიც წარმოიქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შედეგად.

სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოები, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ორგანოები კანონის შესაბამისად უზრუნველყოფენ მუნიციპალური წარმონაქმნების მინიმალურ ადგილობრივ ბიუჯეტებს სამშემოსავლო წყაროების მიმავრებით ადგილობრივი ბიუჯეტების მინიმალური აუცილებელი ხარჯების დასაფარავად.

რეგიონალური ბიუჯეტები არ მტკიცდება ფედერალური მთავრობის

ფუნქციები	ადგილობრივი ბიუჯეტები	რეგიონალური ბიუჯეტები	ფედერალური ბიუჯეტები
I. განათლება			
სკოლამდელი (ბავა, საბავშვო ბაღი)	X		
დაწვებითი	X		
საერთო	X		
პროფესიული	X	X	X
უმაღლესი		X	X
II. სოციალური პოლიტიკა			
მოსუცებელთა სახლები		X	
მოსუცებელთა და ინვალიდთა მხრუნველობა	X		
სპეც. მომსახურება (უსახლკართთა, ...)	X		
სოციალური საცხოვრებელი	X		
დახმარება და შეღავათები	X	X	
III. ჯანდაცვა, ფიზკულტურა და სპორტი			
პროფილაქტიკური ღონისძიებები		X	
საავადმყოფოები	X	X	X
პოლიკლინიკები	X	X	X
დისპანსერები	X		
სპორტული ნაგებობები	X		
IV. კულტურა, დასვენება			
თეატრები	X	X	X
ბუხუშები	X	X	X
ბიბლიოთეკები	X		
პარკები	X		
კლუბებისა და კულტურის სახლების შენახვა	X		

V. კომუნალური მეურნეობა			
წყალმომარაგება	X		
კანალისაცია	X		
ელექტროენერჯია	X		
გაზი	X		
ცენტრალური გათბობა	X		
ნაგვის გატანა	X		
ნარჩენების გადამუშავება	X		
სახაყვლაოქების შენახვა	X		
ქუჩების დასუფთავება	X		
საცხოვერებელი მეურნეობის სუბსიდირება	X		
გარემოს დაცვა	X	X	X
VI. გზები, ტრანსპორტი			
საგზაო მეურნეობა	X		
ქუჩების განათება	X	X	
საზოგადო ტრანსპორტი			
მეურნეობის განვითარება	X		
მშენებლობის დაგეგმარება	X	X	
ტურიზმი		X	
VII. მმართველობა			
მმართველობის ფუნქციები	X	X	X
ადმინისტრაციული მმართველობის სხვა ფუნქციები	X	X	X
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა	X	X	
სახანძრო სამსახური	X	X	
სამოქალაქო თავდაცვა			X

მიერ. თუმცა რეგიონები ვალდებული არიან წარუდგინონ რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროს რეგიონების კონსოლიდირებული ბიუჯეტების შესრულების შესახებ ანგარიში. რეგიონალურ ხელისუფლებას არა აქვს უფლება მოითხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან ბიუჯეტების შესრულების შესახებ კონტროლი. თუმცა, მათ აქვთ უფლება განახორციელონ კონტროლი სახსრების ხარჯვაზე ადგილობრივ დონეზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ბიუჯეტი ღებულობს ფინანსურ დახმარებას რეგიონალური ბიუჯეტიდან.

ამემაღ პროკურატურა თამაშობს საკმაოდ აქტიურ როლს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონების შესრულების უზრუნველყოფაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციასთან, ფედერალურ და რეგიონალურ კანონმდებლობასთან შეუსაბამისობის შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მეთაური არ გააუქმებს შესაბამის ნორმატიულ აქტს ან მის შესაბამის დებულებებს, ფედერაციის სუბიექტის ხელმძღვანელი ან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უფლებამოსილია ბრძანებულებით დაითხოვოს წარმომადგენლობითი ორგანო და გაანთავისუფლოს თანამდებობიდან მუნიციპალური წარმონაქმნის მეთაური. შემდეგ ისინი ნიშნავენ ახალ არჩევნებს, რომლის ჩატარებამდე თავიანთი არჩევანით ნიშნავენ მუნიციპალური წარმონაქმნის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებით შემსრულებელს.

3.23. სომხეთი

1995 წელს მიღებული "სომხეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-გერიგორიული დაყოფის შესახებ" კანონის თანახმად, 37 ადმინისტრაციული რაიონის ნაკელად ჩამოყალიბდა 10 რეგიონი (მარში) და 930 სასოფლო და საქალაქო თემები. ე. რეეევანში, რომელსაც აქვს მარშის სტატუსი, შეიქმნა 12 მუნიციპალური წარმონაქმნი.

რეგიონალურ ერთეულებში, სადაც არ არის არჩევითი ორგანოები, სახელმწიფო გერიგორიული მმართველობა ხორციელდება 1997 წელს პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულების საფუძველზე გუბერნატორების (მარშპეების) მიერ, რომელთა საქმიანობის კოორდინირება ხდება სომხეთის რესპუბლიკის ინფრასტრუქტურის საქმიანობისა და გერიგორიული მმართველობის კოორდინაციის მინისტრის მიერ.

მარშპეები ახორციელებენ მთავრობის პოლიტიკას მარშებში და კოორდინაციას უწევენ რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების

გერიტორიული სტრუქტურების საქმიანობას ფინანსების, კომუნალური მეურნეობის, გრანსპორტის, გზების მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის, ჯანდაცვის, სოცუმრუნველყოფის და ა. შ. სფეროებში.

მარშები დაყოფილია სასოფლო (871) და საქალაქო (59) რაიონებად.

რეგიონალური საბჭო წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც შედგება გუბერნატორისა და მარბაში შემავალი რაიონების მეთაურებისაგან. რეგიონალური საბჭოს კომპეტენციები კანონით არ არის განსაზღვრული, თუმცა, ის განიხილავს რეგიონალური პოლიტიკისა და რეგიონალური განვითარების საკითხებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება რაიონების ჩარჩოებში, რაიონის უხუცესთა საბჭო და რაიონის აღმინისგრაიის ხელმძღვანელი წარმოადგენენ გადაწყვეტილებების მიმღებ ადგილობრივ ორგანოებს. რაიონის უხუცესები გამოდიან წარმომადგენლობითი ორგანოს სახით. საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს რაიონის აღმინისგრაიის ხელმძღვანელი, რომელიც სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით. ადგილობრივი საბჭოები ქმნიან საქვიალიზირებულ კომიტეტებს შესაბამისი რაიონების განვითარების ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

უხუცესთა და რაიონების ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადა სამი წელია. უხუცესთა რაოდენობა საბჭოებში შეადგენს 5-15, მოსახლეობის რიცხვისაგან დამოკიდებულებაში. მათ ირჩევენ მკორიგარული სისგემის საუფუძველზე.

რაიონული აღმინისგრაიის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რაიონის უხუცესთა წინაშე, ის წარმოადგენს რაიონის თვითმმართველობის აღმასრულებელ სგოს. ადგილობრივი აღმინისგრაიის შემადგენლობაში შედის რაიონის ხელმძღვანელის მოადგილე, მღივანი და განყოფილებები. თუ ცალკეულ საკითხებზე არ იქნა მიღებული შეთანხმება, უხუცესებს შეუძლიათ შეიგანონ მარბჰკეში შუამდგომლობა რაიონის ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ.

რაიონის მეთაური ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელისა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის ორმაგ ფუნქციებს.

კანონმდებლობის თანახმად ცენტრალურ მთაერობას მარბჰკეის მოთხოვნით შეუძლია მოხსნას თანამდებობიდან თემის მეთაური, თუ რაიონი არ ასრულებს თავის საბიუჯეტო ვალდებულებებს და უფლებამოსილებებს, რომლებიც დელევირებულია სახელმწიფოს მიერ. პრემიერ-მინისტრს შეუძლია დანიშნოს რაიონის ან ქალაქის მეთაური, ხოლო მარბჰკეს – სოფლის დროებითი მეთაური, შემდეგი არჩევნების ჩატარებამდე. მარბჰკეს შეუძლია შეიგანოს აპელაცია სასამართლოში ადგილობრივი თვითმმარ-

თველობის ორგანოების ქმედებისა და გადაწყვეტილებების წინააღმდეგ-
აღვილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ გაასაჩივრონ
სასამართლოში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ოფიციალური
პირებისა და მოქალაქეების გადაწყვეტილებები და ქმედებები, რომლებიც
არღვევენ თანასამოგადოების (რაიონის) უფლებებს.

მუნიციპალიტეტებსა და ცენტრალურ ტერიტორიულ ადმინისტრაციას
მორის ფუნქციების გამიჯნა მოცემულია ცხრილში.

ფუნქციები	მუნიციპალი- ტეტები	ხელისუფლების (ცენტრალური ორგანოები)
I. განათლება		
სკოლამდელი	X	
დაწყებითი		X
საშუალო		X
ტექნიკური		X
უმაღლესი		X
სპეციალიზირებული	X	
II. სოციალური მომსახურება		
ბაგა	X	
საბავშვო ბაღები	X	
მოსუცებულთა სახლები		X
მოსუცებულთა და ინვალიდთა ინდივიდუალური მომსახურება		X
სპეციალური სამსახურები (უსახლკაროთა- თვის, კრიზისის მქონეთათვის და ა.შ.)		X
პროუტები	X	
III. ჯანმრთელობის დაცვა		
პირველადი სამედიცინო დახმარება	X	X
ჯანმრთელობის დაცვა		X

საჯადმოყოფები		X
სამოქალაქო უანდაცვა	X	X
IV. კულტურა, დასვენება, სპორტი		
თეატრები	X	X
მუზეუმები	X	X
ბიბლიოთეკები	X	X
პარკები	X	
სპორტი, დასვენება	X	
კულტურის სახლები	X	
V. კომუნალური მომსახურება		
წყალმომარაგება	X	.
კანალიზაცია	X	
ელექტროენერჯია		X
გაზი		X
ცენტრალური გათბობა	X	
VI. გარემოს დაცვა, ხანიტარია		
ნაგვის შუკროვება	X	
ნაგვის გატანა	X	
ქუჩების დასუფთავება	X	
სახაყლაოები	X	X
გარემოს დაცვა	X	X
VII. საგ'საო მოძრაობა, ტრანსპორტი		
ქუჩები	X	
ქუჩების განათება	X	X
სა'ხოგადო ტრანსპორტი	X	X
VIII. ქალაქმშენებლობა		
საქალაქო დაგეგმარება	X	

რეგიონალური/ადგილობრივი დაგეგმარება		X
ადგილობრივი კონსომიკური განვითარება	X	X
ტურიზმი		
IX. მმართველობის საერთო საკითხები		
ნების დამრთავი ფუნქციები (ლიცენზიების გაცემა და ა.შ.)	X	X
სახელმწიფო მმართველობის სხვა საკითხები (ამომრჩეველთა სიები და ა.შ.)	X	X
მუნიციპალური პოლიტიკა		X
სახანძრო რაზმები		X
სამოქალაქო თავდაცვა	X	X
მომხმარებელთა უწყვეტების დაცვა		X

სომხეთში ამჟამად არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საში დიდი ასოციაცია: რაიონების კავშირი, ერევნის უხუცესთა კავშირი და რაიონების ფინანსთა ასოციაცია.

ფუნქციონირებენ ასევე სარაიონოთამორისო გაერთიანებები, რომლებიც იქმნებიან რაიონის უხუცესთა მიერ რატიფიცირებული რაიონების მეთაურთა შეთანხმებების საფუძველზე. გაერთიანებები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და აგვარებენ სარაიონოთამორისო ხასიათის პრობლემებს.

სომხეთის ასოციაციები თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მაგალითად, სომხეთის რაიონების კავშირს აქვს ურთიერთობა ურბან ინსტიტუტთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საერთაშორისო კავშირთან და ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების კონგრესთან.

რაიონები ძლიერ არიან დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებზე, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების 50%-ზე მეტია. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების წყაროა:

- ცენტრალური გადასახადები;

- სუბსიდიები;
- ადგილობრივი მოსაკრებლები;
- იჯარის გადასახდელი მიწაზე და საკუთრებაზე;
- კომუნალური საკუთრების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავლები.

სუბსიდიების განაწილება ხდება სპეციალური ფონდიდან, რომლის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტში.

კანონი ფინანსური გათანაბრების შესახებ განსაზღვრავს გათანაბრებითი სუბსიდიების განაწილების პროცედურას. ცენტრალურ მთავრობას შეუძლია მისცეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ასევე სუბვენციები.

ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებას აკონტროლებენ რაიონის უხუცესები, ეროვნული კრება და ცენტრალური მთავრობა თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად.

2002 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც აფართოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, აძლიერებს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას, აძლევს მიწაზე საკუთრების უფლებას, ლეგალურად არეგულირებს მათ ურთიერთობებს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, განსაზღვრავს პაგარა თემების გაერთიანებებს რაიონებში, იმ უფლებამოსილებების განსახორციელებლად, რომელთა შესრულება ცალკე შეუძლებელია.

თავი 4. ადგილობრივი ფინანსები

ადგილობრივი თვითმმართველობის სრულფასოვნად განხორციელების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს დამოუკიდებელი ადგილობრივი ფინანსების არსებობა.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსირების უნივერსალური მოდელი არ არსებობს, თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროქარტიში მოცემულია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსირების ზოგადი პრინციპები:

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში გააჩნდეთ საკუთარი ფინანსური სახსრები, რომელთა განკარგვაც მათ შეეძლებათ მათი უფლებამოსილების ფარგლებში.
2. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროები თანამომიერნი უნდა იყვნენ კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ მათ უფლებამოვალეობებთან.
3. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროების თუნდაც ნაწილი უნდა შემოდიოდეს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომელთა ოდენობის დადგენაც შეუძლიათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კანონის ფარგლებში.
4. ფინანსური სისტემები, რომლებსაც ეფუძნებიან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა სახსრები, უნდა იყოს საკმარისად მრავალფეროვანი და მოქნილი, რათა ამ ორგანოებს საშუალება ჰქონდეთ, იმდენად, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება, გაითვალისწინონ მათი ამოცანების შესრულებისას გაწეული რეალური ხარჯების ბალანსი.
5. ფინანსურად სუსტ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა დაცვა მოითხოვს ფინანსური გათანაბრების პროცედურების ან სხვა შესაბამისი მომების გატარებას, რომელთა დანიშნულებაა გამოასწორონ ფინანსების პოტენციური წყაროებისა და ფინანსური ვალდებულებების არაადეკვატური განაწილების შედეგები. ამგვარი პროცედურები ან მომები არ შეზღუდავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თავისუფლებას მათი კომპეტენციის ფარგლებში.
6. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან სათანადო წესით უნდა გაიმართოს კონსულტაციები იმ გზების შესახებ, რომლებითაც უნდა მოხდეს მათთვის გათვალისწინებული სახსრების გადანაწილება.
7. იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელისუფლების ადგილობრივი

ორგანოების სუბსიდიები არ იქნება გამოყენებული სპეციალური პროექტების დასაფინანსებლად. სუბსიდირება არ მდლუდაეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თავისუფლებას გააგარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.

8. კაპიტალური ინვესტიციების მიღების მიზნით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის კანონის ფარგლებში ხელმისაწვდომი იქნება კაპიტალის ეროვნული ბაზარი.

ვარდა ამ პრინციპებისა, განსაზღვრულ იქნა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შემოსაუღების ოთხი ძირითადი წყარო: 1. ადგილობრივი გადასახადები, მოსაკრებლები; 2. სუბსიდიები; 3. სესხი; 4. ფასიანი მომსახურება. სხვა გადასახადებს მიეკუთვნება საურაეები, ჯარიმები, შემოსაუღები მუნიციპალური საწარმოებიდან, მუნიციპალური საკუთრების გაყიდვიდან, მუნიციპალიტეტის დეკომიგური თანხები. შემოსაუღების ამ წყაროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი გადასახადები და სუბსიდიები.

აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, განვიხილოთ, თუ როგორია ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯვითი ვალდებულებანი და სამემოსაულო ნაწილი თვითმმართველობის მხრივ დაწინაურებულ ქვეყნებში.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სახელმწიფოები ღიდად განსხეაუდებიან ერთმანეთისაგან ადგილობრივი ხელისუფლებისათვის გადაცემული ამოცანების მასშტაბით. ქვეყანათა უმრავლესობაში ადგილობრივი მთაერობა პასუხისმგებელია კომუნალურ მომსახურებაზე: ადგილობრივი გზები და ელექტროენერჯის მიწოდება, წყლის მიწოდება და სანიტარული პირობების დაცვა, მეორადი პროდუქტების გადამუშავება, პარკებისა და სპორტული ნაგებობების მოვლა, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და სოციალური ბინათმოწყობა. ყველაზე ღიდი სხვაობა შეიმჩნევა იმ ადგილობრივ ვალდებულებებში, რომლებიც სოციალურ სექტორს ეხება და რომლებიც მოიცავს განათლებას, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ დახმარებას. ზოგ ქვეყანაში მთელი მომსახურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ცალკეულ ქვეყნებში ხარჯები განაწილებულია მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის, ზოგან კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება ყველა ხარჯები, ხოლო ცენტრი ახორციელებს მხოლოდ ზედამხედველობას. ხარჯების განაწილება შეიძლება ხდებოდეს მათი ფუნქციების მიხედვით (მაგალითად, სახელმწიფო აფინანსებს საშუალო განათლებას, საავადმყოფოებს და სოციალურ დახმარებებს, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება დაწყებით განათლებას, პირველად სამედიცინო მომსახურებას და სოციალურ მომსახურებას) ან ხარჯების სახეობის მიხედვით (მაგალითად, სახელმწიფო აფინან-

სებს ხელფასებს, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება ყველა მიმდინარე ხარჯებს).

სოციალურ სექტორთან დაკავშირებული ადგილობრივი ბიუჯეტის ვალდებულებების სხვადასხვა ხარისხი მნიშვნელოვნად განაპირობებს დეცენტრალიზაციის მასშტაბსა და ხასიათს. ასეთი ვალდებულებების გარეშე ადგილობრივი მთავრობის ხარჯები ჩვეულებრივ არ აღემატება ერთობლივი შიდა პროდუქტის 5-6%. განათილებასთან, ჯანმრთელობასთან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებები აორმაგებენ ან ასამშავებენ ამ პროპორციას. ეს თავის მხრივ მნიშვნელოვნად გემოქმედებს ფინანსურ აეგონომიაზე. სოციალურ სექტორთან დაკავშირებულ ძირითად ვალდებულებებს ჩვეულებრივ თან ერთვის ზედმეტად დიდი დამოკიდებულება სახელმწიფო გრანტებსა და გადასახადებზე, ადგილობრივ დონეზე ასაკრეფი შემოსავლების სიმცირისა და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული თანასწორობის ხარისხის გამო, რაც შედეგად ფინანსური რესურსების გათანაბრების საჭიროებას ქმნის.

ჩვეულებრივ ერთმანეთისაგან ანსხვავებენ მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებს. მიმდინარე ხარჯები მოიცავენ ხელფასებს, შეკეთებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მგზავრობის ხარჯებს, ნელლეულიან დაკავშირებულ ხარჯებს და ვალების მომსახურებას. კაპიტალური ხარჯები მოიცავენ ინვესტირებას მშენებლობაში, ძირითად სარემონტო სამუშაოებს, მიწისა და მანქანა-დანადგარების შექმნას. გარდა ამისა, ანსხვავებენ ამ ორი ტიპის ხარჯებთან დაკავშირებულ ფინანსურ წყაროებს.

მიმდინარე ხარჯები იფარება შემდეგი წყაროების კომბინაციით:

- ადგილობრივი გადასახადი;
- მომხმარებლის გადასახადი;
- გრანტურები, რომლებიც მოიცავენ ან ლოგატიებს/სუბვენციებს ან სახელმწიფო გადასახადების წილს.

არსებობს ადგილობრივი გადასახადით დაბეგერის სხვადასხვა დეფინიცია. აქ ამ გერმინით აღინიშნება გადასახადები:

1. რომლებიც შემოდის იმ ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტში, რომლის გერიტორიაზეც ხდება მათი აკრეფა.
2. რომელთა ვარირება უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია მათ მიმღებ ადგილობრივ ხელისუფლებას, ანუ მას შეუძლია გარკვეული ხარისხით განსამდგროს გადასახადის ოდენობა, საგადასახადო განაკვეთი, შეფასების საფუძველი და გადასახადისაგან განთავისუფლება.

ადგილობრივი გადასახადი შეიძლება განაწილდეს თვითმმართვე-

ლობის სხვადასხვა ღონეებს შორის. ბრიტანეთში საგრაფოები და რაიონები, შვედეთში ოლქები და მუნიციპალიტეტები, საფრანგეთში რეგიონები, დეპარტამენტები და კომუნები აწესებენ სხვადასხვა განაკვეთს ერთსა და იმავე საგადასახადო ბაზაზე. პასუხისმგებლობა ადგილობრივი გადასახადის განსაზღვრაზე და აკრეფაზე შეიძლება თავის თავზე აიღოს ან სახელმწიფო საგადასახადო სამსახურმა, ან ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ან კიდევ ეს ვალდებულება შეიძლება გადანაწილდეს ამ ორს შორის. ამასთან დაკავშირებით, არ არსებობს უნივერსალური სქემა.

ადგილობრივი გადასახადები სამ კატეგორიად იყოფა:

- ქონებაზე (ჩვეულებრივ უძრავ ქონებაზე);
- სამემოსავეალოზე მოქალაქეებისაგან და მოგებაზე საწარმოებისაგან (ინდივიდუალური და კორპორაციული გადასახადი);
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციაზე.

ქონების გადასახადი ყველაზე გავრცელებული ადგილობრივი გადასახადია, თუმცა ის არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადი. ქონების გადასახადი ორი ძირითადი უპირატესობის მქონეა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. ჯერ ერთი, მისი ბაზა ამ გადასახადის მიხედვით გარკვევითაა ლოკალიზებული; საესებით ნათელია, თუ რომელ ბიუჯეტში მიდის შემოსავალი; ნათელია კავშირი უძრავი ქონების ღირებულებასა და ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ ხარჯებს შორის. მეორეც, უძრავი ქონება ის საგადასახადო ბაზაა, რომელიც ვერ დაიმალება ჩრდილოვანი ეკონომიკით.

იმავე დროს ქონების გადასახადს თავისი სუსტი მხარეებიც აქვს, რის გამოც, ქონების გადასახადისაგან მიღებული შემოსავალი ყოველთვის ნაკლებია სამემოსაველო გადასახადისაგან და საქონლისა და მომსახურების რეალიზაციაზე დაწესებული გადასახადისაგან მიღებულ შემოსავალზე. საგადასახადო ბაზის შეფასება რთული პროცესია. შედეგად, ძნელია მისი მიმდინარე ღირებულების დადგენა. საგადასახადო ბაზა ძალიან ნელა პასუხობს ფასებში და ეკონომიკურ ზრდაში მომხდარ ცვლილებებს, რაც ზრდის მოთხოვნას მუნიციპალურ ხარჯებზე ამ გადასახადის აკრეფა უშუალოდ გადამხდელებისაგან ხდება, რის გამოც ეს გადასახადი პოლიტიკურად უფრო მგრძობიარეა იმ მოსაკრებლებთან შედარებით, რომელთაც იხდიან არაპირდაპირი გზით ან რომელთა დაქვითვაც ხელფასიდან ხდება.

ქონების ადგილობრივი გადასახადი არსებობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში, მაგრამ მისი განსაზღვრა ძირითადად ხდება ქონების ოდენობისა და არა ვთქვათ მიწისა და შენობების

ღირებულების მიხედვით. ამის შედეგად, ეს გადასახადი ზუსტად არ ასახავს განსხვავებებს გადასახადისუნარიანობაში, ხოლო მისი ვანაკეეთი და მისგან მიღებული შემოსავალი დაბალია. არსებობს საერთო მოსაზრება ამის თაობაზე, იმისათვის, რომ გაიზარდოს ამ გადასახადის წილი ადგილობრივ შემოსავალში, უნდა მოხდეს საგადასახადო ბაზის საბაზრო შეუასება, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერჯერობით უმნიშვნელო პრაქტიკული ზომებია მიღებული.

ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის წილი უდიდესია ადგილობრივი მთავრობის საგადასახადო შემოსავლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში, მაგრამ ადგილობრივი მთავრობა არც ერთ ქვეყანაში არ ახორციელებს კონსტროლს ამ გადასახადის ვანაკეეთზე. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (განსაკუთრებით შვეიცარიაში და სკანდინავიის ქვეყნებში), ადგილობრივი ხელისუფლება ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადზე ფედერალური მთავრობის მიერ დაწესებულ ვანაკეეთს მრდის თავის მიერვე დაწესებული ვანაკეეთის ოდენობით. ფედერალურ დონეზე დაწესებული ვანაკეეთი საკმარისად დაბალია, რის გამოც ის ადგილობრივი ვანაკეეთის დამატების საშუალებას იძლევა. შემთხვევითი როლია, რომ ეს ის ქვეყნებია, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება მაღალი ხარისხის ფისკალური დამოუკიდებლობით ხასიათდება. სწორედ ამის გამოა, რომ ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს უფრო დიდი პოტენცია გააჩნია ადგილობრივ დონეზე შემოსავლების მოზილიზაციისა, ვიდრე ნებისმიერ სხვა გადასახადს. გარდა ამისა, არსებობს მკაფიო ურთიერთკავშირი ამ გადასახადსა და ინდივიდუალურ მომსახურებაზე (მაგალითად, ჯანმრთელობაზე ან განათლებაზე) გაწეულ ხარჯებს შორის.

კორპორაციული მოგების გადასახადი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ადგის იკავებს ადგილობრივი მთავრობის შემოსავლებში მთელ ევროპაში. მნიშვნელოვანი გეგნიკური სიძნელებები უკავშირდება ადგილობრივი მთავრობისათვის ისეთი შემოსავლის დაწესებას, რომელიც რეალური მოგების წყარო იქნებოდა. კორპორაციული გადასახადი უმომოდ არამყარია და მისი ბაზა არასტაბილურია იმისათვის, რომ დააფინანსოს მომსახურების სახეები რეგულარული ხარჯებით ვალდებულებების ისეთი დიდი კომპონენტით, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას გააჩნია. ეროვნული მთავრობა მოსურნეა შეზღუდოს ამ ბაზაზე დაწესებული გადასახადი ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

ქვეყანათა უმრავლესობაში საქონლისა და მომსახურების რეალიზაციაზე დაწესებულ გადასახადზე დომინირებს ფედერალური დღე ამ სფეროში

არსებობს ზოგიერთი ადგილობრივი მოსაკრებელი, როგორცაა ალკოჰოლური სასმელის გაყიდვაზე დაწესებული გადასახადი და ადგილობრივ ბაზრებზე დაწესებული გადასახადი უნგრეთში. ევროკავშირში გაწვევრიანება გარკვეულად ეჭვის ქვეშ აყენებს ამ გადასახადის არსებობას გრძელვადიან პერსპექტივაში ღღ-სთან მისი კონკურენციის გამო და კომერციული საწარმოების მიერ სავადასახადო გვირგვინისათვის კათაღისუფლების მოთხოვნით სტიმულირების გამო, რაც გაზრდის მათ ღირებულებას ერთიან ბაზარზე.

ადგილობრივ დონეზე გადასახადით დაბეგვრა იმ უპირატესობის მქონეა, რომ ადგილობრივი მთავრობა უფრო თავისუფალია ხარჯების დონის განსაზღვრაში და მისი ანგარიში გადასახადის ვადამზღვლეების წინაშე უფრო გამჭვირვალე ხასიათს იღებს. 1990 წლიდან მოყოლებული ადგილობრივ დონეზე გადასახადით დაბეგვრა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში წარუმატებლად მიმდინარეობდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იშვიათად ითხოვდნენ დამატებით უფლებებს სავადასახადო სფეროში და ჩვეულებრივ კმაყოფილნი იყვნენ გადასახადის განაწილების იმ სისტემით, რომელიც მათ ათავისუფლებდა გადასახადის დაწესების პასუხისმგებლობისაგან. ფინანსთა სამინისტროები, თავის მხრივ, არ ჩქარობდნენ ფისკალური ვადაწყვეტილებების მიღებაზე თავიანთი მონოპოლიის დათმობას.

მუნიციპალურ დონეზე ქონების დაბეგვრის რეფორმამ მომხმარებლის დაბეგვრასთან დაკავშირებული ვადაწყვეტილებების თავისუფლების გაზრდასთან ერთად, შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ადგილობრივი ანგარიშვალდებულება. ფისკალური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვნად გაზრდა უკავშირდება ადგილობრივი მთავრობის მიერ დამატებითი განაკვეთის დაწესების ჩანაცვლებას ინდივიდუალური სამემოსავლო გადასახადის წილით. ეს შესაძლოა განსაკუთრებით შესაფერისი გამოდგეს ადგილობრივი ხელისუფლების ზედა რგოლისათვის, რომელსაც ამჟამად ფისკალურ სფეროში არა აქვს საკმარისი ძალაუფლება. აღმინისტრაციულად უფრო მარტივია ამ დონეზე სამემოსავლო გადასახადის ცვალებადი განაკვეთის შემოღება. ეს შექმნიდა საკმარის სავადასახადო ბაზას ისეთი ძირითადი სოციალური მომსახურების დაფინანსებისათვის, როგორცაა საშუალო განათლება, საავადმყოფოები.

მუნიციპალურ დონეზე მომხმარებლის გადასახადი ჩვეულებრივ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადგილობრივი დაბეგვრა მიღებული შემოსავლისა და შინამეურნეობაზე გეგავლენის თვალსაზრისით. ის ნაკლებად წარმოადგენს განსჯის სავანს ზაწილობრივ იმის გამო, რომ ექვემდებარება მკაცრ

სახელმწიფო კონტროლს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა უმრავლესობაში და კიდევ იმიტომ, რომ მას უფრო იხდიან კომპანიები, ვიდრე მუნიციპალიტეტები. თუმცა, ფედერალური მთავრობის მონაწილეობის შემცირება ფასების დადგენაში და სახელმწიფოს მიერ უარის თქმა სუბსიდიების გამოყოფაზე ზრდის, როგორც სავადასახადო გვირგვინს (ისეთი ვადასახადების შემთხვევაში, როგორცაა ბინის, წყლის, გზობობის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ვადასახადი), ისე მუნიციპალური ხელისუფლების პასუხისმგებლობას გარიყების დადგენაში.

აღვილობრივი ხელისუფლება იმყოფება მზარდი გეწოლის ქვეშ გარიყების გაზრდასთან დაკავშირებით, რათა სრულად დაფაროს მის მიერ გაწეული მომსახურების საფასური. ეს წარმოშობს, როგორც ტექნიკურ, ისე პოლიტიკურ პრობლემებს. შესაძლოა მუნიციპალიტეტს არ გააჩნდეს პროფესიული უნარი გააანალიზოს კომპანიების ანგარიშები და ოპერაციები, როდესაც კომპანია სხვადასხვა ადგილას მოქმედებს ან როდესაც მის მიერ გაწეულ სხვადასხვა მომსახურებას საერთო მენეჯმენტი და დამხმარე სტრუქტურა გააჩნია. სახელმწიფო სუბსიდიების მიუღებლობა ჩვეულებრივ იწვევს ფასების ზრდას, რასაც მოჰყვება ვადასახადის გადაუსდელობის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს, ამავე დროს, წარმოქმნის იმ საწარმოების გათვალისწინების საჭიროებას, რომელნიც რეალურად გადახდისუნარონი არიან. ზემოთქმული ჩვეულებრივ გულისხმობს მჭიდრო კოორდინაციის დამყარებას მომსახურების გამწვევ სააგენგოებსა და მომსახურების მოსარგებლე სააგენგოებს შორის.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში ყველაზე რთული საკითხია კავშირი მომხმარებელის ვადასახადსა და საინვესტიციო ხარჯებს შორის. კომუნისტურ სისტემაში მშენებლობა, შესყიდვა და აქტივების განახლება ჩვეულებრივ შემოსავლების ბიუჯეტიდან ხდებოდა, ხოლო მოსაკრებელი მხოლოდ მიმდინარე ხარჯებისათვის გამოიყენებოდა. სულ უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლის შემეფობით ასეთი საინვესტიციო ხარჯების დაფინანსება, განსაკუთრებით, თუ ვაეითვალისწინებთ გარემოს სტანდარტების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობას. დასავლეთ ევროპაში გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, კერძო სასაქონლო მომსახურების საინვესტიციო ხარჯები კრედიტით იფარება, ხოლო შესაბამისი დავალიანების მომსახურებისათვის მომხმარებლის ვადასახადი გამოიყენება. სახელმწიფო სუბსიდიის ვაიყემა მხოლოდ და მხოლოდ ღარიბ შინამეურნეობაზე, რომელთათვისაც ამგვარი ხარჯები ვაუსაძლის გვირგვინს წარმოადგენს.

გრანსფერები რამდენიმე სახისაა.

ეს არის ფედერალური გადასახადი, რომლის განაწილება ხდება:

1. ფორმულის თანახმად (მაგალითად, ერთ სულზე);
2. მისი წარმოშობის მიხედვით (მაგალითად, გადასახადით მიღებული შემოსავალი შედის იმ ადგილობრივ ბიუჯეტში, რომლის მოქმედების ტერიტორიაზე მოხდა მისი აკრეფა).

დოგაციები/სუბვენციები, რომლებიც:

1. მიზნობრივია და კონკრეტული ხარჯების დაფინანსებაზეა მიმართული (მაგალითად, სოციალურ დახმარებაზე, განათლებაზე და სხვა);
2. არამიზნობრივია და გამოიყენება ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების შესაბამისად (ხშირად მათ ბლოკურ გრანტებს უწოდებენ).

მიზნობრივი დოგაციები ჩვეულებრივ გამოიყენება ისეთი კონკრეტული ხარჯების სტიმულირებისათვის, რომელთა გაწვევაც მიზანშეწონილად მიაჩნია ფედერალურ მთავრობას ან რომელიც მის მანდატშია ნაგულისხმევი.

გადასახადის განაწილება და ბლოკური დოგაციების გამოყენება ჩვეულებრივ ემსახურება ორ ძირითად მიზანს. ესაა პორიზონტალური და ვერტიკალური გათანაბრების უზრუნველყოფა. ვერტიკალური გათანაბრება გულისხმობს იმ განსხვავების შემცირებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ადგილობრივი მთავრობისათვის გადაცემული მომსახურების ხარჯსა და მის უშუალო შემოსავლის წყაროს შორის. პორიზონტალური გათანაბრება გულისხმობს განსხვავების მოსპობას ერთ სულ მოსახლეზე არსებულ შემოსავალსა და ხარჯების გაწვევასთან დაკავშირებულ საჭიროებებს შორის. ბოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, პოლონეთი), პორიზონტალური გათანაბრება ნაწილობრივ ფინანსდება ვადანაწილების გზით, ანუ გრანსფერების შემცირებით ისეთ ადგილობრივ მთავრობაზე, რომლის შემოსავალი აღემატება შემოსავლის საშუალო ბაზას.

თუმცა, გათანაბრების პრინციპები კარგადაა გაკვეთილი ცენტრალური და ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ გამოყენებაში დიდი პროგრესი არ შეიმჩნევა. ჩვეულებრივ პორიზონტალურ გათანაბრებას მამინ ენიჭება უფრო დიდი მნიშვნელობა, როცა ადგილობრივი ბიუჯეტი ძირითადად სოციალურ მომსახურებას აფინანსებს (მაგალითად, სკოლები და საავადმყოფოები), რადგანაც ფედერალური პოლიტიკა სულ მცირე შესრულების მინიმალურ სტანდარტს მოითხოვს. გათანაბრება ამდენად მნიშვნელოვანი არ არის ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯების შემთხვევაში. საშუალოზე მაღალი ადგილობრივი შემოსავლები ნამდვილად შეიძლება ასახავდეს

ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობის ღონეს, რაც დამატებით ხარჯებს მოითხოვს ადგილობრივი ბიუჯეტის მხრიდან (მაგალითად, გზების მოვლა-პატრონობა და გრანსპორტის მართვის ხარჯები).

გათანაბრების ფორმულები უნდა ეფუძნებოდეს ადგილობრივ ხარჯებთან დაკავშირებული საჭიროებისა და პოტენციური შემოსავლის ობიექტურ შეფასებას. მათზე არ უნდა მოქმედებდეს ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილება ან მისი შესრულების ხარისხი. ასე მაგალითად, პოტენციური შემოსავლის განაგარიშება იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ყველა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადასახადის აკრეფა უნდა ხდებოდეს ერთი და იმავე საგადასახადო განაკვეთის პირობებში და ეს განაკვეთი არ უნდა იცვლებოდეს მხოლოდ იმის გამო, რომ ესა თუ ის მთავრობა გადაწყვეტს მის გამრდას ან შემცირებას. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გათვალისწინებულია პოტენციური შემოსავლის ერთგვარი გათანაბრება, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში გადასაჭრელია კიდევ უფრო რთული ამოცანა, რომელიც ხარჯების გაწვევასთან დაკავშირებულ საჭიროებებში არსებული ობიექტური განსხვავების შეფასებას გულისხმობს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა უმრავლესობაში მთავრობათაშორისი გრანსფერების ყველაზე მთავარი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის თვითნებურ გადაწყვეტილებებზე. ამან შეიძლება შეამციროს მათი ღონე ან შეცვალოს მათი განაწილება სახელმწიფოს ფისკალური ან პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სერიოზული საპარლამენტო დებატებისა და კონსულტაციების გარეშე.

ადგილობრივი ხელისუფლება უკეთ იქნება დაცული ასეთი თვითნებური გადაწყვეტილებებისაგან, თუ გრანსფერების ღონე და მათი განაწილება განსამზერული იქნება არა წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, არამედ რაიმე სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით. ასეთ შემთხვევაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ სრულფასოვანი საპარლამენტო დებატებისა და ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციებისაგან კონსულტაციების მიღების შემდეგ. ადგილობრივი ხელისუფლების დამცავი მექანიზმი პოლანდიისა და საფრანგეთის კანონმდებლობაშია ჩადებული, ხოლო მმართველობათშორისი ფინანსების შესახებ პოლონეთის კანონის თანახმად, დოკაციაში განათლების კომპონენტი არ უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 12%-ზე ნაკლები.

კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად ჩვეულებრივ გამოიყენება

ერთი ან რამდენიმე წყარო ქვემოთმოტანილი ჩამონათვალიდან:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ღოტაციები ან ეროვნული ფონდები;
- სარემერეო კაპიტალი (მიმდინარე პროფიციტი);
- აქტივების გაყიდვა;
- კრედიტი (სესხი ან ობლიგაციები).

სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული შემზღუდების მიუხედავად, ღოტაციები კელაეაუ დაფინანსების გარეკელეულ წყაროს წარმოდგენს. ხშირად ისინი იესება ღონორებისაგან მიღებული თანხებით ან გარემოსთან დაკავშირებული საჯარიმო გადასახადით. ცენტრალური და აღმოსაელეთ ეეროპის მოგიერთ ქეეყანაში იქმნება გარკვეული სირთულე იმის გამო, რომ ასეთ ღოტაციებს არ გააჩნია განაწილების ნორმატიული ბაზა. იმ ღროს, როცა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენებული ღოტაციებისა და გადასახადისათვის გამჭვირვალე ფორმულა იქნა შემუშაეებული. ამგვარი გარკვეულობა არ შეინიშნება საინვესტიციო ფონდების შემთხეეევაში, რომლებიც კელაეაუ პოლიტიკური პატრონაეის ერთ-ერთ ინსტრუმენტად განიხილება.

ღამცაეი მექანიზმის ფუნქციას ნაწილობრიე შეასრულებდა შემდეგი მოთხოვნა: საინვესტიციო ღოტაციების ხელმისაწვდომობა და მათი გაცემის კრიტერიუმები ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ ნებისმიერ უფლებამოსილ ხელისუფლებას შეეძლოს გენდერში მონაწილეობა.

სარემერეო კაპიტალი: გულისხმობს მიმდინარე შემოსაეელების სიჭარბეს მიმდინარე ხარჯებთან შეღარებით. ასეთი რამ შეიძლება წლიურ ბიუჯეტში იყოს დაგეგმილი ან შეიძლება წარმოდგენდეს ბიუჯეტის შესრულების შედეგს, რაც წარმომობს ისეთ რემერეებს, რომელთა ინვესტირება შესაძლებელი ხდება მომაეალი წლის საქმიანობაში.

აქტივების გაყიდვა: ცენტრალური და აღმოსაელეთ ეეროპის ქეეყნების უმრავლესობაში, კომუნისტური რეეიშის შემდეგ სახელმწიფო ქონება, ძირითადად უძრავი ქონებისა და სახელმწიფო საწარმოების სახით ახლად შექმნილ ადგილობრიე ხელისუფლებას გადაეცა. მისი დიდი ნაწილი გაიყიდა და მიღებული შემოსაეალი ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯით ნაწილს გადაეცა. ეს ხდებოდა იმ პოზიტიური პრაქტიკის თანახმად, რომელიც გულისხმობდა აქტივების გაყიდვით მიღებული შემოსაეელის ხელახალ ინვესტირებას მშენებლობაში ან შესყიდვებში, ანუ კაპიტალურ ხარჯებში. მიზანშეწონილი არ არის შემოსაეელების ასეთი არასტაბილური წყაროს გამოყენება ისეთი მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად, როგორიც ხელფასია. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალური და

აღმოსაელეთ ვეროპის ქვეყნების უმრავლესობაში ერთმანეთისაგან მკაცრად არ არის გამიჯნული მიმდინარე და კაპიტალური ბიუჯეტი, რის გამოც არ არის ნათელი, თუ ფაქტიურად რა სახით ხდება აქტივების გაყიდვით მიღებული თანხების გამოყენება.

სესხის აღება ხშირად გამოიყენება ისეთი დიდი კაპიტალდაბანდებების დასაფინანსებლად, რომელთა დაფინანსება ვერ ხერხდება წლიური შემოსავლებით. სესხი შესაფერისი წყაროა ისეთი გრძელვადიანი ინვესტიციების დაფინანსებისათვის, რომლებიც დამატებით შემოსავალს იძლევა. თუმცა, სესხის ძირითადი ნაწილისა და მასზე დაწესებული პროცენტის დაფარვის გაანგარიშება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. სესხის გამცემიც და სესხის ამღებიც დარწმუნებულნი უნდა იყვნენ იმაში, რომ ვალის მომსახურება შეიძლება დაიფაროს მომხმარებლის გადასახადიდან მიღებული შემოსავლის გაზრდით ან სასალო სარეზერვო კაპიტალით. დასაუღეთ ვეროპის ქვეყანათა უპეტესობაში სესხებაზე დაწესებულია საპართლერბივი ლიმიტი, რომელიც იცავს სესხის დაფარვასთან დაკავშირებული ზედმეტი გვირთისაგან და უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორის სესხზე ეროვნული, მაკროეკონომიკური ზედა ზღვრის შენარჩუნებას. ასეთი ლიმიტი არ დაწესებულა ცენტრალური და აღმოსაელეთ ვეროპის ქვეყანათა უმრავლესობაში და ზოგიერთი ადგილობრივი მთავრობის დავალიანება განსაკუთრებულ შემოთიებას იწვევს.

ჭარბი სესხების საშიშროება გაიზარდა ცენტრალური და აღმოსაელეთ ვეროპის ზოგიერთ ქვეყანაში მუნიციპალური ობლიგაციების გამოშვების გამო, რომლებიც საკრედიტო არხის ფუნქციას ასრულებს. თუმცა, ეს პრაქტიკა პოპულარული იყო წარსულში, ასეთი ობლიგაციების გამოშვება იშვიათობად იქცა დასაუღეთ ვეროპის ქვეყანათა უმრავლესობაში, სადაც ადგილობრივი მთავრობა ძირითადად სესხს იღებს ბანკებისაგან, რომლებიც სპეციალიზირებულია სახელმწიფო სექტორის საკრედიტო მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. ეს ჩვეულებრივ საჭიროებს სესხის ძირითადი ნაწილის გადახდას ყოველწლიური გრანშების სახით, რათა ვალის დაფარვა სისტემატიურად იყოს გათვალისწინებული წლიურ ბიუჯეტში. მეორეს მხრივ, ობლიგაციები გულისხმობს ვალის დაფარვას სესხის გასტუმრების ვადის დასასრულს თანხის ერთჯერადი გაცემის სახით. აქ ის რისკია ჩადებული, რომ სესხის ამღები წინასწარ არ ითვალისწინებს ამ შესაძლებლობას.

საერთო სახელმწიფოებრივი სუბსიდიების გამოყოფის დროს განსაზღვრულ ფაქტორებად განიხილება:

- ადგილობრივი საგადასახადო ბაზა, დასახლების სიმჭიდროვის

ხარისხი და გერიგორიის ფართის სიდიდე;

- ასაკობრივი სტრუქტურა;
- სოციალური სტრუქტურა.

სახელმწიფო ღოგაიების განაწილების ასეთი სისტემა განპირობებულია გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სტრუქტურული და ეკონომიკური ფაქტორებით და ცნობილია "რობინ ჰუდის ეფექტის" სახელწოდებით.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი გადასახადების წილი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მერყეობს 0.1-60%-მდე. მაგრამ მაინც ფინანსური გადარიცხვები (მიზნობრივი სუბსიდიები, წილობრივი გადასახადები საერთო საგადასახადო შემოსაულებიდან) წარმოადგენენ მუნიციპალიტეტების დაფინანსების ძირითად ელემენტს, რომელიც მერყეობს 18-98%-მდე. სესხები კი შეადგენს ქვეყნების უმრავლესობაში მუნიციპალიტეტების შემოსაულების 10%-ზე ნაკლებს.

ევროკავშირის წევრ ან კანდიდატ ქვეყნებში ბიუჯეტის დაბალანსებაზე ზრუნვა უკან ბრუნდება გოგალური ფინანსური შემლუღებით, რაც ეხება ასევე ადგილობრივ თვითმმართველობას და აყენებს კითხვის ქვეშ თვით დეცენტრალიზაციის იდეას, როგორც ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ერთ-ერთ მიზეზს.

სხვა ქვეყნებში – გარდამავალი პერიოდის ბუნებრივი სირთულეები უბიძგებენ უფლებამოსილებების დეცენტრალიზაციისაკენ ევროქარტიის მოთხოვნების მიხედვით, მაგრამ შესაბამისი სახსრების გარეშე. საკმარისი საკუთარი ფინანსური რესურსების ფორმირება დაკავშირებულია პრობლემებთან, რომლებიც განპირობებულია კადასტრის არარსებობით, ეკონომიკური განვითარების დონით, საწარმოებისა და ფიზიკური პირების დაბალი შემოსაულებით, ორგანიზაციული სისტემის გარდაქმნის კონცეპტუალური სირთულეებით.

ამგვარად, ფისკალური დეცენტრალიზაცია ადგენს ჩარჩოს ხარჯებთან, შემოსაულებთან და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის შიგნითაც ოპერირებს რეგიონალური და ადგილობრივი მთავრობა. ის არ ეხება ფინანსურ მენეჯმენტს, ბიუჯეტის შედგენის, ხარჯთაღრიცხვის, დელევირების, შესყიდვისა და აუდიტის საკითხებს, რომელთა მეშვეობითაც ადგილობრივი ხელისუფლება მართავს თავის ფინანსურ საქმიანობას. ყველა ეს საკითხი თანაბრად მნიშვნელოვანია, მაგრამ მას სხვა სამართლებრივი საფუძველი და სხვა პრაქტიკა გააჩნია.

თავი 5. ადგილობრივი მართვის ორგანიზება სხვადასხვა ქვეყნების დელაქალაქებში

ადგილობრივი მმართველობის თვალსაზრისით მეგწილ სახელმწიფოების დელაქალაქებს განსაკუთრებული სტატუსი გააჩნიათ და მათი სტრუქტურის სრულყოფა ორიენტირებულია საქალაქო მმართველობის დეცენტრალიზაციის კონსეფუციაზე, რომელიც გულისხმობს მათ რაიონირებას და ისეთ ორგანიზაციულ მოდელებს, როგორცაა:

1. დელაქალაქის მმართველობის ორგანიზაცია მხოლოდ ქალაქში არსებული რაიონების ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, როცა ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო და მისი აღმასრულებელი ორგანო არ იქმნება;
2. საქალაქო და მისი რაიონების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შეხამება დასაშვებია კონგრულისა და ზედამხედველობის დამოკიდებულების გამორიცხვის პირობებშიც, რამდენადაც მთელ რიგ ქვეყნებში ვითარდება მმართველობის დეცენტრალიზაციის გენდენცია საქალაქო საბჭოს სიმბოლური არსებობის პირობებში. ამ დროს ქალაქი, როგორც ადმინისტრაციულ-გერიგორიული ერთეული, შედგება დამოუკიდებელი კომუნებისაგან, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ატრიბუტები გააჩნიათ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სახით და რომელთა მეშვეობითაც რეალურად ხორციელდება თვითმმართველობა.

თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოყვანილია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის დელაქალაქის მმართველობის ფორმები.

5.1. უნგრეთის დელაქალაქი – ბუდაპეშტი

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა ქალაქის საბჭო (საკრებულო), რომელიც აირჩევა პირდაპირი პარტიული საარჩევნო სისტემით ნ წევრის შემადგენლობით. საბჭო ირჩევს თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარეს.

თვითმმართველობის ძირითადი უფლებები და უფლებამოსილებები ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილებებს გადასცემს მოსახლეობის მიერ პირდაპირ არჩეულ მერს.

მერი – თვითმმართველობის ადმინისტრაციული და პოლიტიკური ხელმძღვანელია, რომელიც პასუხს აგებს ადგილობრივი პოლიტიკის

ვაგარებაზე. მას გააჩნია ორმაგი ადმინისტრაციული ფუნქცია, ის ასრულებს ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

მერი არის საბჭოს წარმომადგენელი. იგი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს წარმომადგენლობითი ორგანოს კანცელარიის სამუშაოებით. წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად ვიცე-მერს ან ვიცე-მერებს საბჭოს შემადგენლობიდან.

კანცელარიას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც არის სახელმწიფო მოხელე და ინიშნება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ კონკურსის საფუძველზე განუსაზღვრელი ვადით.

ქალაქის თვითმმართველობის მეორე დონე მოიცავს 23 მუნიციპალიტეტს, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი კომპეტენციები და აირჩევიან შერეული საარჩევნო სისტემით.

ბუდაპეშტის მთავრობა ასრულებს სავალდებულო და ნებაყოფლობით აღებულ მუნიციპალურ უფლებამოსილებებს და ფუნქციებს.

5.2. პოლონეთის დედაქალაქი – ვარშავა

ვარშავას აქვს საოლქო ქალაქის სტატუსი და მისი საბჭო (საკრებულო) ირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი საარჩევნო სისტემის საფუძველზე. საბჭო ირჩევს თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარეს.

მერი აირჩევა საკრებულოს შემადგენლობიდან. მას ჰყავს ორი მოადგილე, ერთს ნიშნავს თვითონ, მეორეს კი მუნიციპალური საბჭო.

მერის რეკომენდაციის საფუძველზე მუნიციპალური საბჭო ნიშნავს პასუხისმგებელ პირს ადმინისტრაციის საკითხებში და სხვა პირებს.

მერი პასუხისმგებელია მუნიციპალური საბჭოს წინაშე პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ საკითხებზე, წარმოადგენს სხვადასხვა ორგანოებში მუნიციპალიტეტებს. მას გააჩნია თავისი განყოფილებები, რომლებსაც ხელმძღვანელობს.

მუნიციპალური საბჭოს გადასაწყვეტი საკითხები მზადდება განყოფილებების მიერ და განსახილველად გადაიგზავნება კომიტეტებში. ვარშავა შედგება 11 მუნიციპალიტეტისაგან, რომელთაგან ერთი ვარშავის ცენტრია და დაყოფილია შვიდ რაიონად. ვარშავის ცენტრის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები ირჩევენ ყოველი რაიონის საბჭოს წევრებს.

5.3. ავსტრიის დედაქალაქი – ვენა

ვენის ადგილობრივი ხელისუფლების სავალდებულო ორგანოებია:

მუნიციპალიტეტი (საკრებულო), სენატი (მთავრობა) და მაგისტრატი.

მუნიციპალიტეტი – არჩევითი სათათბირო ორგანოა (პლენუმი), რომელსაც ჰყავს თავმჯდომარე. აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს მაგისტრატი.

ქალაქის მთავრობას ხელმძღვანელობს სენატის თავმჯდომარე – ბურგომისტრი, მაგისტრატს კი ღირუქტორი, რომელსაც აქვს ხმისა და წინადადების უფლება.

მაგისტრატის ღირუქტორი – ადმინისტრატორი ხელმძღვანელობს შიდა სამსახურებს, სარგებლობს გადაწყვეტილების მიღების უფლებით, პასუხისმგებელია ორგანიზაციულ დავალებებზე.

ბურგომისტრი იღებს გადაწყვეტილებებს, სარგებლობს სასამართლო უფლებებით, აქვს ვეტოს დადების უფლება.

მუნიციპალიტეტში არის ქალაქის მრჩეველთა საბჭო, რომლის ფუნქციებში შედის დარგობრივი სამსახურების მმართველობა. მრჩეველთა საბჭო სარგებლობს გადაწყვეტილების მიღების უფლებით, პასუხისმგებელია დარგობრივი ხასიათის დავალებებზე.

5.4 ინგლისის დედაქალაქი – ლონდონი

ლონდონი შედგება 32 რაიონისა და ლონდონის სითისაგან. რაიონული საბჭოები ქმნიან ადგილობრივი მთავრობის ძირითად ელემენტებს, მაშინ, როდესაც ლონდონის სითის მართვას ახორციელებს სითის მუნიციპალიტეტი, რომელიც ასრულებს რაიონების საბჭოების ფუნქციებს და აგრეთვე დაკავებულია ინგლისის ისტორიასა და გრადიციებთან დაკავშირებული საქმიანობით.

1986 წელს დიდი ლონდონის საბჭოს გაუქმებით, რომელიც პასუხისმგებელი იყო გავრთიანებული ადმინისტრაციისა და რაიონების საქმიანობის კონტროლზე, მისი მოვალეობების ნაწილი გადაეცათ საერთო საბჭოებს. დანარჩენ ფუნქციებს ასრულებენ რაიონები.

თითოეული რაიონული საბჭო ირჩევს მერს, მის მოადგილეს და ამგვიცებს უფროს მრჩეველებს (ოლდერმენებს).

სითის გამგეობას აქვს საკუთარი დაწესებულება, რომელიც შედგება ადმინისტრაციის მეთაურის – ლორდ-მერის, რაიონების მერების, შერიფების, ოლდერმენებისა და კომპანიების წარმომადგენლებისაგან.

საერთო საბჭოები შედგება ლორდ-მერის, ოლდერმენებისა და არჩევითი წევრებისაგან.

1992 წლის არჩევნების შემდეგ რაიონულ საბჭოებს შეუნარჩუნდათ

დამოუკიდებლობა. მერის გიგული გამოიყენება ლონდონის რაიონულ საბჭოებში, რომელთაც შესაბამისი სტატუსი ვააჩნიათ. მერები (თავმჯდომარეები) მხოლოდ თავმჯდომარეობენ საბჭოს სხდომებს და წარმოადგენენ მას სხვა ორგანოებთან ურთიერთობაში, ამასთან, არ ვააჩნიათ აღმასრულებელი ფუნქცია და, როგორც წესი, არ წარმოადგენენ საბჭოს პოლიტიკურ ლიდერებს. ისინი ირჩევიან საბჭოს მიერ ერთი წლის ვადით. ეს პოსტი ვანიხილება, როგორც საბჭოს წინაშე დამსახურების აღიარება და გამიზნულია ასაკით უხუცესი დეპუტატების მიერ როგაციული წესით დაკავებისათვის, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ოპოზიციური ან მცირე პარტიის დეპუტატით.

5.5. რუსეთის ფედერაციის დელაქალაქი – მოსკოვი

ქალაქის თვითმმართველობის წარმომდგენლობითი ორგანოა – დუმა (საკრებულო), რომელიც ირჩევა მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით პირდაპირი, თანაბარი და ფარული კენჭისყრით. საკრებულო თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით ირჩევს საკრებულოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. საკრებულოს წევრების რაოდენობაა 35.

თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო და ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოა – ქალაქის აღმინისტრაცია, ანუ მერია, რომელსაც ხელმძღვანელობს მოსახლეობის მიერ პირდაპირ არჩეული მერი. ვიცე-მერი მოსახლეობის მიერ პირდაპირ არჩეულია.

მერი არის უმაღლესი თანამდებობის პირი და ქალაქის აღმინისტრაციის მეთაური.

ქალაქის აღმინისტრაციის სტრუქტურაში მელის აღმასრულებელი ხელისუფლების კოლევიალური ორგანო – ქალაქის მთავრობა.

ქალაქის აღმინისტრაციას, როგორც თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს, აქვს გერიგორიული ვანყოფილებები ქალაქის რაიონებში – რაიონული გამგეობები, რომლებიც რაიონის ხელისუფლებას წარმოადგენენ. გამგეობები შედგება რაიონის კრებისა და აღმინისტრაციისაგან. კრება აირჩევა 2 წლის ვადით, გამგეობის მეთაური ირჩევა კრების მრჩეველებისაგან მერის წარდგინებით და შეიძლება იყოს ერთ-ერთი მრჩეველი ან სხვა პირი.

ქალაქის მთავრობას წარმოადგენს პრემიერი, პრემიერის მოადგილეები, ქალაქის მთავრობის მინისტრები დარგობრივი ხელმძღვანელების შემადგენლობიდან, ქალაქის აღმინისტრაციის ფუნქციონალური ორგანოებიდან და აღმინისტრაციული ოლქების პრეფექტები.

მთავრობის პრემიერია მერი ან მისი ვადაწყვეტილებით ვიცე-მერი, აგრეთვე სხვა პირი, რომელსაც ნიშნავს მერი და ამტკიცებს საკრებულო. მთავრობის წევრებს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

მთავრობის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის დადგენა ხდება ქალაქის კანონით, რომელსაც ლებულოს საკრებულო მერის წარდგინებით.

მერს აქვს ვეტოს გამოყენების უფლება საკრებულოს მიერ მიღებულ კანონებზე, შეუძლია დააბრუნოს ისინი ხელმეორე განხილვისათვის ცელილებით ან მათ გარეშე.

მერს აქვს უფლება საკრებულოს ვადაწყვეტილებები დაუბრუნოს საკრებულოს, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას ან არასაკმარისად არიან ფინანსურად უზრუნველყოფილი.

საკრებულოს კომპეტენციებშია:

- საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევა და თანამდებობიდან განთავისუფლება;
- მთავრობისადმი ან ქალაქის ადმინისტრაციის თანამდებობის პირისადმი უნდობლობის გამოცხადება;
- დადგენილების მიღება რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე მერის თანამდებობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით.

5.6. საშრანგაშრის დედაქალაქი – პარიზი

XX საუკუნის 60-იან წლებში პარიზი ექვემდებარებოდა განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ რეჟიმს. 1961 წლის კანონით შეიქმნა პარიზის რაიონის დისტრიქტი, ხოლო 1966 წლის დეკრეტით დაწესდა პარიზის რეგიონის პრეფექტის თანამდებობა, რომელიც იმავდროულად იყო დისტრიქტის გენერალური წარმომადგენელი.

პარიზის დისტრიქტი არ წარმოადგენდა ადგილობრივ კოლექტივს. გენერალურ წარმომადგენელს ნიშნავდა მთავრობა. დისტრიქტს ხელმძღვანელობდა ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც შედგებოდა 54 ადგილობრივი არსიეითი პირისაგან. დისტრიქტს გააჩნდა საკუთარი ფინანსური რესურსები, რომელთა მეშვეობით შეეძლო მიეღწია გარკვეული შედეგებისათვის რეგიონის კეთილმოწყობის საქმეში.

1964 წელს პარიზს ეწოდა განსაკუთრებული სტატუსის, კომუნალური და სადეპარტამენტო კომპეტენციის მქონე გერიგორიული კოლექტივი. მუნიციპალურ საბჭოს ეწოდა პარიზის საბჭო და მან გააერთიანა მუნიციპალური და გენერალური საბჭოს უფლებამოსილებანი. პარიზის არსიულ მერს გააჩნია ის უფლებები, რაც ყველა სხვა მერს, მაგრამ მას არ ეკუთვნის

პოლიციისა და პერსონალის მართვის ფუნქციები, იგი არის პარიზის საბჭოს თავმჯდომარე.

1975 წლის კანონმა დაარეგულირა პარიზის, როგორც კომუნისა და დეპარტამენტის, ფინანსური რესურსები. აქედან მოყოლებული პარიზის ბიუჯეტი სამი ნაწილისაგან შედგება: კომუნალური ბიუჯეტის ხარჯები და შემოსავლები ნაწილდება მერის მიერ, დეპარტამენტისა – პრეფექტის მიერ, სპეციალური ბიუჯეტისა – პოლიციის პრეფექტის მიერ.

1976 წლის დეკრეტით პარიზის რეგიონს ეწოდა ილ-დე-ფრანსის რეგიონი. შეიქმნა რეგიონალური საბჭო და ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი. ამ რეგიონის მიმართ დაშვებული იყო ვარკვეული გაზონაკლისები კომპეტენციისა და დაფინანსების საკითხებში.

რეგიონალური საბჭო აერთიანებს 164 წევრს, ხოლო კომიტეტები – 80 წევრს.

1982 წლის რეფორმის მიხედვით პარიზი ფორმალურად კომუნაც არის და დეპარტამენტიც, მაგრამ მოხდა მისი გერიტორიის დარაიონება. ქალაქის მართვა ხორციელდება მუნიციპალური საბჭოს მიერ. რომელიც, უბრალოდ პარიზის საბჭოს სახელით არის ცნობილი. მაგრამ, ვინაიდან პარიზი ერთდროულად კომუნაც არის და დეპარტამენტიც, საბჭოც ხან ერთი ხან მეორე გერიტორიული კოლექტივის როლში გამოდის, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია გადასაწყვეტი საკითხის ხასიათი.

მუნიციპალური საბჭო აირჩევა შერეული-მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით, ხოლო მისი შემადგენლობა უკანასკნელ ხანებში გაიზარდა და საბჭოს წევრთა რიცხვი აღწევს 163.

დეცენტრალიზაციის რეფორმის შედეგად შეიქმნა საოლქო (რაიონული) საბჭოები შემდეგი პროცედურის საფუძველზე: მოსახლეობა ირჩევს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე რაიონს, რომლის გერიტორიაზე არსებული საქალაქო საბჭოს დეპუტატები ერთდროულად რაიონული საბჭოს წევრებიც არიან.

საოლქო საბჭოებს ეძლევათ ფართო უფლებამოსილებანი ისეთი საკითხების ორგანიზაციის სფეროებში, როგორცაა საზოგადოებრივი და კულტურული დანიშნულების დაწესებულებებისა და ობიექტების დისლოკაცია, მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი, ზომიერი საბინაო გადასახადის დაწესება, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

თავი 6. ალვილოზრივი მართვის სისტემის განვითარების ეტაპები საქართველოში

ქართულ სამყაროში მმართველობის პირველ ფორმებს პირველ-ყოფილი ხანიდან შეიძლება გავაღვიწყოთ თვალის, ესაა ცალკეულ გვაროვნულ-გომთა და გომთა კავშირების არსებობის ხანა. თითოეულ გვაროვნულ გომს ჰყავდა უხუცესთა საბჭო, ჰქონდა თავისი სახალხო კრება და ჰყავდა ბელადი.

ბარში საზოგადოება მალე ავიდა განვითარების ახალ საფეხურზე. უკვე ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულს სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს გერიგორიაზე ყალიბდება პირველი ქართული სახელმწიფოები – დიაოხი და კოლხა, რომელთა მართვა ხორციელდებოდა მეფისნაცვალთა ინსტიტუტის მეშვეობით.

სახელმწიფოებრივი ძლიერების პერიოდში სახეზეა ქვეყანათა პროვინციებად დაყოფის ტენდენცია. პროვინციების მართვა ხორციელდებოდა მეფის ნაცვალთა მეშვეობით, რომელთა რეზიდენციებსაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები, ე. წ. "სამეფო ქალაქები" წარმოადგენდნენ. მოგვიანებით დიაოხისა და კოლხას განადგურების შემდეგ ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუახანებში იქმნება ორი ქართული სახელმწიფო, ეგრისი, ანუ კოლხეთისა (დასავლეთ საქართველო) და ქართლის ანუ იბერიის (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო) სამეფოები. მეფე ფარნაეზ I მეფობის პერიოდში ჩაგარდა იბერიაში ადმინისტრაციული რეფორმა – ქვეყანა დაიყო 7 საერისთაოდ (არგვეთი, კახეთ-კუხეთი, ვარდაბანი – ცენტრი ხუხანი, გაშირ-აბოცი – ცენტრი სამშვილდე, ჯაფახეთ-კოლა-არგაანი – ცენტრი წუნდა, სამცხე-აჭარა – ცენტრი ოძრხე, კლარჯეთი) და ერთ ცენტრალურ რეგიონად (შიდა ქართლში არსებულ საპასპეგოდ), რომელსაც სათავეში მეფის მიერ დანიშნული ერისთავები ედგნენ.

ბარის რაიონებში განვითარებულ, ელინისტურ ქალაქთა მთელი სისტემა არსებობდა (სარკინეთი, კასპი, უფლისციხე, ურბნისი, მცხეთა, ოძრხე, წუნდა, რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი, შორაპანი, დიშნა, ჩელები, თუხარისი, გაჩიანი, არგაანი, "კახეთის ქალაქები"), მაშინ როცა მთიან რაიონებში მოსახლეობა განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგა. თემთა შორის ურთიერთობებს ხევისბერები არეგულირებდნენ.

ადრეუფოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური სისტემა ძირითადად ეყრდნობოდა ელინისტური პერიოდის გამოცდილებას. ქვეყანა კვლავ საერისთაოებად იყო დაყოფილი. ქართლის სამეფოს გავრთიანების შედეგად დაემატა კიდევ ორი საერისთაო – ეგრისი და ჰერეთი.

ამავე პერიოდში იწყება ფეოდალური სეპარატიზმის ზრდაც, რითაც ისარგებლა ბიზანტიამ და ირანმა და შემდეგ არაბეთმა. დამპყრობელთა პოლიტიკური სისტემები ერთმანეთს კავდა. ქვეყანას მართავდა უმაღლესი მმართველი და მათზე დაქვემდებარებული ცალკეული ოლქების მმართველები. შუალედურ პერიოდში, როცა საქართველომ მოახერხა თავისუფლების მოპოვება, ძლიერი სამეფო ხელისუფლების ნაცვლად ქვეყანაში გაბატონდა ერისთავობის ინსტიტუტი. ერისთავი წარმოადგენდა პირველს თანასწორთა შორის.

აღრეფეოდალურ ხანაში მიმდინარეობს ახალი ქალაქების (თბილისი, მოგვიანებით ახალციხე, ახალქალაქი და სხვა) აღმოცენების პროცესი.

საქართველოს უდიდესი ქალაქის (თბილისის) საქალაქო წესწყობილების, მმართველობის და თვითმმართველობის განვითარება ძირითადად იმავე ვითარებით წარიმართა, როგორც შუა საუკუნეების ევროპის ქალაქთა უმეტესობაში. V-VI სს. წარმოქმნილმა ქალაქმა, არაერთი ხელისუფლებული გარემოების მიუხედავად, უკვე განვითარებული ფეოდალიზმის პირველ ხანაში, X საუკუნეში, მაღალ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას მიაღწია. ამიტომ, სწორედ მაშინ, როცა ევროპაში ფეოდალური ქალაქები ყალიბდებოდა, თბილისში უკვე საქალაქო თვითმმართველობა ისახებოდა. საქალაქო თვითმმართველობის ჩასახვა და ჩამოყალიბება თბილისში გარკვეულ თავისებურ პირობებში მიმდინარეობდა. იგი ერთის მხრივ, ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და მეორეს მხრივ, ე. წ. "თბილისის საამიროს" ერთგვარი ევოლუციის პერიოდს დაემთხვა.

საქალაქო თვითმმართველობის წარმომადგენლებად მოქალაქეთა ზედაფენიდან გამოყოფილი "გვილელი ბერნი" ანუ "ქალაქის ბერნი" იყვნენ. "ქალაქის ბერნი" ქალაქის უხუცესობას, თავაკებს, უფროსებს, სამოქალაქო საქმეთა გამგებლებს, საქალაქო საბჭოს წევრებს ეწოდებოდათ. ისინი პირველ რიგში მდიდარი და გავლენიანი მოქალაქეები, დიდვაჭრები და ფინანსისტები იყვნენ, რომელთაც ასეთი უფლებები მხოლოდ ქალაქის მოსახლეობისგან შეიძლება პქონიდათ, თვით ამ წრიდან მათი არჩევის ვატი.

ქალაქში თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესი არაბი ამირა ბაგონის მულობელობის გვერდით მიმდინარეობდა (X-XI სს). XI ს.-ის 50-იან წლებში, როცა სოციალური ბრძოლა ახალ საფეხურზე ავიდა, "გვილელები" შეეცადნენ თავიდან მოეშორებინათ ამირას მულობელობა. XI ს. 80-იანი წლებიდან ქალაქის მართვა-გამგებლობა განუყოფლად "თბილისის ხალხის" ანუ "ქალაქის უხუცესთა" ხელში გადავიდა. ეს ნიშნავდა, რომ ქალაქის თვითმმართველობა ქალაქის დამოუკიდებლობაში გადაიზარდა, თბილისი ქალაქ-კომუნად იქცა.

კომუნის დროს "ქალაქის ბერებს" ეკითხებოდათ ყოველი საქალაქო საქმე. მათ შეეძლოთ აერჩიათ ან მოეწვიათ "ქალაქის ბატონად" სასურველი კანდიდატურა. "ქალაქის ბერთა" მოვალეობას შეადგენდა ზრუნვა ქალაქის დაცვისათვის, მოსახლეობის სურსათ-სანოვანით უზრუნველყოფა და სხვა. ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენდა ქალაქის პრივილეგიების შენარჩუნებისათვის ზრუნვა, ურთიერთობებისა და საქალაქო განწყობათა დაცვა, მოქალაქეთა სამართლის წარმოება, ომისა და ზავის ჩამოგდების გამგებლობა, სამოქალაქო გამოსაღებთა აკრეფა. თბილისის კომუნა საკუთარი მონეტის მოჭრასაც აწარმოებდა.

"ქალაქის ბერებს" სამოქალაქო საქმეთა გამგებლობაში შეელოდნენ მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებაში მყოფი პირები, "დარბაზის ყმანი", ასევე ქალაქის მცველთა რაზმი.

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელი ორგანო იყო საკრებულო, რომლის შემადგენლობა 12 წევრით განისაზღვრებოდა. დასაუღელთ ევროპის ქალაქებისაგან განსხვავებით თბილისი ქალაქის მერს არ ირჩეოდა, ქალაქის გამგებლობა საკრებულოს წევრებს თითო თვით ეძლეოდათ. კომუნის ხელისუფალთ საგანგებო ნაკებობა "დარბაზი" ანუ "კარი" ჰქონდათ დამოუკიდებელი მმართველობის სააღმასრულებლო თუ საკანონმდებლო ხელისუფლებით.

ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და ქვეყნის გაერთიანების საქმეში დავით აღმაშენებლის მიერ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ – ერთიანი ფეოდალური მონარქია ვერ შეურიგდა თავის გერიგორიაზე დამოუკიდებელ ერთეულს და ამიგომაც დიდგორის ბრძოლის შემდეგ, 1122 წელს ქალაქის თვითმმართველობამ არსებობა შეწყვიტა და ქალაქმა სამეფო სტატუსი მიიღო.

საკრებულო მეფის ნაცვალს დაემორჩილა, მაგრამ ქალაქის მმართველობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. შემდეგ ქალაქის უხუცესთა ადგილი "ქელხულებმა" დაიკავეს, რომლებიც მთელი გვიანი შუასაუკუნეების განმავლობაში აწესრიგებდნენ ქალაქის ყოფის საკითხებს დემოკრატიის ელემენტების საფუძველზე.

არაბეთისა და ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში (VIII-X ს-ში) შექმნილი რამდენიმე ფეოდალური სახელმწიფო (აფხაზთა სამეფო დასაუღელთ საქართველოში, ქართველთა საკურაპალაგო სამხრეთ საქართველოში, ჰერეთის, კახეთის, გამირ-ძოგარეთის სამეფოები და თბილისის საამირო აღმოსაუღელთ საქართველოში) XI საუკუნეში ერთიანდებიან ერთ მონარქიად.

XI საუკუნის ბოლო და XIII საუკუნის დასაწყისი ფეოდალური

საქართველოს ძლიერების ხანაა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოს ორგანიზმი. უმაღლესი ხელისუფლება მეფის ხელში იყო მოქცეული. მის გვერდით არსებობდა სამეფო “დარბაზი”, რომლის ფუნქციაც თანდათან ფართოვდებოდა და საბოლოოდ მეფესთან ერთად უზენაესი კანონმდებლისას უახლოვდებოდა. აღმასრულებელ ხელისუფლებას ქმნიდა “საეაზრო”, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ცალკეულ უწყებათა (საგარეო და შინაგანი საქმეები, არმია, ფინანსები და ა. შ.) ხელმძღვანელები – ეაზრები (უხუცესები). თავის მხრივ ცალკეულ უწყებებში შედიოდნენ ქვეუწყებები, ასევე არსებობდნენ ცალკეული სამსახურები, რომელთა ხელმძღვანელებიც არ შედიოდნენ საეაზროს შემადგენლობაში (მაგალითად, დაბვერვის სამსახური – “მსგოვართა” ინსტიტუტი). უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა “საჯარო კარი”, რომელიც ასევე წარმოადგენდა უმაღლეს სააპელაციო დაწესებულებას. ადგილებზე მმართველობა ხორციელდებოდა პროვინციათა გამგებლის – “ერისთავის” მეშვეობით. სანაპირო ოლქებს განსაკუთრებული პრივილეგიები და ავტონომიური უფლებები გააჩნდათ, მათ “მონაპირე ერისთავები” მართავდნენ. საერისთავოები იყოფოდნენ ხევებად, რომლებთანაც ხევისთავეები (მთაში – ხევისბერები, რომლებიც სათავეში ედგნენ თემების უხუცესთა საბჭოებს) განაგებდნენ.

ერისთავებს და ხევისთავეებს (ხევისბერებს) ევალუბოდათ სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფუნქციათა (ადმინისტრაციული, სამხედრო, სამეურნეო, ფისკალური, სასამართლო) შესრულება.

უმცირეს ფისკალურ და გერიგორიულ ერთეულს თემი წარმოადგენდა. ყოველივე ეს სისტემატიზირებული და კოდიფიცირებული იყო სპეციალური კანონმდებლობით (“სახელმწიფო კარის გარიგება” და კანონთა კრებული).

XIII-XV საუკუნეებში შემოსევების შედეგად საქართველო მეტად დასუსტდა და XV ს-ის II ნახევარში დაიშალა რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად (ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები, სამცხის, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიისა და სვანეთის სამთავროებად). ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებამ ქალაქთა დაკნინება და დამოუკიდებელ თუ ნახევრადდამოუკიდებელ სათავედოთა სისტემის შექმნა გამოიწვია, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში კლანური აზროვნების ჩამოყალიბებას.

ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა – ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლამ, პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა დაქვეითებამ, გამოიწვია თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესის შეჩერება.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიური სახელმწიფოების შემოერთების პროცესი.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ, გაუქმდა ქართული სახელმწიფო სისტემა და შემოღებული იქნა რუსული ადმინისტრაციული დაყოფა და ადგილობრივი მმართველობის სისტემა.

საქართველოს უმაღლეს მმართველს წარმოადგენდა მთავარმართებელი და მისი მოადგილე, საქართველოს მმართველი. აღმასრულებელ სტრუქტურებს ქმნიდნენ ცალკეული უწყებები – ექსპედიციები. ქვეყანა დაიყო 5 მაზრად, რომელთა რიცხვი რუსეთის სამფლობელოთა ბრძანებებით იზრდებოდა და რომელსაც კაპიტან-ისპრავნიკები ედგნენ სათავეში. ყოველ მაზრაში არსებობდა სამაზრო სამმართველო. წესრიგის დაცვას საერობო პოლიცია ახორციელებდა. ქალაქებს მართავდნენ სამხედრო კომენდანტები და პოლიცემისგერები.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კავკასია წარმოადგენდა სამეფისნაცვლოს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გუბერნიები (თბილისისა და ქუთაისის) და ოლქები (ბათუმის, სოხუმის, ბაქათალის, თერგის, ყარსის, შავიზღვისპირეთის). ოლქები თავის მხრივ იყოფოდნენ მაზრებად. ყოველი მაზრა იყოფოდა უბნებად, რომელთა გამკვებლობა ევალებოდა მთავარმართებლის მიერ დანიშნულ უბნის უფროსებს. მკვიდრი მოსახლეობა ფაქტიურად ჩამოშორებული იყო სახელმწიფო მართვის სადავეებს.

1841 წელს თბილისში ჩამოყალიბდა შეზღუდული თვითმმართველობა, არჩევნების მაღალი ცენზი მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ადგილობრივი თვითორგანიზების პროცესს.

XIX საუკუნის 60-იან წლებში გაგარებული ადმინისტრაციული რეფორმები შეეხო საქართველოსაც, რომლის შედეგადაც დამკვიდრდა არჩეული საქალაქო სათათბიროები თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში, ფოთსა და ბათუმში.

ხმის უფლების მქონე პირთა უმცირესობა – მემამულეები, თავადაზნაურები, ვაჭარ-მრეწველნი, ბურჟუები ირჩევდნენ ხმოსნებს. ხმოსნების კრება ანუ ქალაქის სათათბირო ირჩევდა ქალაქის თავს და განმკარგულებელ სამმართველოს. დადგენილება-განკარგულებანი სისრულეში მოჰყავდათ არჩეულ წოდებათა მამასახლისებს, ხოლო სასოფლო საზოგადოებაში სოფლის თავებს – მამასახლისებს, რომლებსაც სოფლის ყრილობა ირჩევდა. მამასახლისთა ხელმძღვანელობა ევალებოდათ უბნის უფროსებს. არჩევნების შედეგებს განიხილავდა გუბერნატორი და საჭირო შემთხვევაში ამტკიცებდა.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ფუნქციონირებდნენ როგორც ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები და არა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებელი სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 1918-1921 წლებში.

დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ განსაზღვრა ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის ხასიათი, რომელიც დაფუძნებული იყო თვითმმართველობის პრინციპზე.

თვითმმართველობის ორგანოები აირჩეოდნენ მოსახლეობის მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემით. ამ პრინციპის საფუძველზე განხორციელდა 1919 წელს სამამრო ერობებისა და ოთხი ქალაქის მუნიციპალიტეტის არჩევნები. ერობანი და ქალაქების თვითმმართველობა აქტიურად და ქმედითად მონაწილეობდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და ადგილებზე ერთდროულად ასრულებდნენ სახელმწიფო მმართველობის და თვითმმართველობის ფუნქციებს.

თვითმმართველობის ორგანოებს არ გააჩნდათ მკაფიოდ განსაზღვრული ავტონომიური უფლებები. მოქმედებდა ცენტრალურ ორგანოებზე ადგილობრივ ორგანოთა დაქვემდებარების ვერტიკალი, რაც პირდაპირ გამომდინარეობდა 1921 წლის კონსტიტუციური ნორმიდან. მთავრობას უფლება ჰქონდა შეეჩერებინა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული აქტები, თუმცა მათი გაუქმება მხოლოდ სასამართლო წესით შეიძლებოდა. ეს გარკვეულწილად უზრუნველყოფდა ადგილობრივი ორგანოების დამოუკიდებლობას გადაწყვეტილებათა მიღებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ მართვის ადგილობრივ სისტემასთან ერთად ცალკე გამოყო ავტონომიური მმართველობა, კერძოდ, დააწესა სამი ავტონომიური ერთეული: სოხუმის ოლქი, ბათუმის მხარე და მაქათალის ოლქი.

1918-1921 წლებში დაწყებულმა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების პროცესმა ვერ ჰპოვა ლოგიკური გავრძელება.

საქართველოს გასაბჭოებასთან ერთად გაუქმდა ადგილობრივი თვითმმართველობები, რომელთა ადგილი ჯერ რეეკომებმა, ხოლო შემდგომ საბჭოებმა დაიკავეს.

საბჭოები ყალიბდებოდა იერარქიული დაქვემდებარებით, მკაცრი ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე. თითოეული საბჭო წარმოადგენდა არა იზოლირებულ რგოლს, არამედ მთელი ერთიანი წარმომადგენლობითი სისტემის ორგანულ ელემენტს ორმაგ დაქვემდებარებაში.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში რესპუბლიკა იყოფოდა 65 რაიონად და 4 საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ გერიტორიად. ამას გარდა არსებობდა 13 რესპუბლიკური და 1 საოლქო დაქვემდებარების ქალაქი. რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. უმაღლესი მმართველი ორგანო იყო უზენაესი საბჭო და იგი და ორივე ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები ირჩეოდა 5 წლის ვადით, ხოლო ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო დეპუტატთა საბჭოები ირჩეოდნენ 2,5 წლით. საბჭოები ქმნიდნენ განმკარგულებელ და აღმასრულებელ ორგანოებს – აღმასრულებელ კომიტეტებს (აღმასკომი), რომლებიც ანგარიშვალდებული იყვნენ როგორც საბჭოს, ისე მემდგომი აღმასკომის წინაშე.

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ დაიშალა საბჭოური პოლიტიკური სისტემა, რომლის ორგანულ ნაწილსაც წარმოადგენდა ადგილობრივი ხელისუფლების ერთპარტიული ცენტრალიზებული სისტემა.

1990 წელს 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდგომ განზრახული იყო ცენტრალიზებულიდან დეცენტრალიზებულ სისტემაზე გარდამავალი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ფორმირება. მიღებულ იქნა კანონები “გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შესახებ”, “ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების კომპეტენციისა და მუშაობის ორგანიზაციის შესახებ”, “პრეფექტურების შესახებ”. ამ კანონებს უნდა შეექმნათ ადგილობრივი მმართველობის გარდამავალი სისტემის სამართლებრივი საფუძველი.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ-გერიტორიულ ერთეულში (აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის რამდენიმე რაიონის გარდა) პირდაპირი კენჭისყრით 3 წლის ვადით არჩეულ იქნა სოფლის, თემის, დაბის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოები. აღმასრულებელი ორგანოები – გამგეობები შექმნილ იქნენ შესაბამისი საკრებულოების მიერ. რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში ასევე 3 წლის ვადით არჩეულ იქნენ საკრებულოები. ადგილობრივი მმართველობის სისტემაში შენარჩუნებულ იქნა აღმასრულებელი ვერტიკალიც – რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს – პრეფექტებს თანამდებობაზე ნიშნავდა რესპუბლიკის პრეზიდენტი. პრეფექტი ახორცი-

ელებდა ზედამხედველობას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე და შეეძლო გაეუქმებინა ადგილობრივი საკრებულოების გადაწყვეტილებები გასაჩივრების გარეშე. რაიონში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლებს ნიშნავდა პრეფექტი, ხოლო შესაბამისი საკრებულო ამტკიცებდა მათ თანამდებობაზე.

1991-92 წლების მიჯნაზე პრემიენგის ძალაუფლების დაკარგვისა და ცენტრალური ხელისუფლების დამხობის შემდეგ საკრებულოთა უმეტესობამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. პრეფექტის ინსტიტუტი გაუქმდა და აღმასრულებელ ვერტიკალზე დამყარებული მმართველობის სისტემა დაინგრა. მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

1992 წლის დასაწყისიდან ადგილობრივი მმართველობის სისტემაში შეიქმნა სრული ინსტიტუციური ვაკუუმი. ასეთი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი აღმოჩნდა ღროებითი მმართველობის ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბება. 1993 წლიდან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს, რაიონების გამგეობის თავმჯდომარეებს და ქალაქების მერებს თანამდებობაზე ნიშნავდა სახელმწიფოს მეთაური. რაიონის გამგებელი თავის მხრივ ნიშნავდა დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს.

აღსანიშნავია, რომ 1995 წლისათვის რაიონები და ქალაქები სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით დაჯგუფდა 9 მხარედ, რომელსაც სათავეში ედგა სახელმწიფოს მეთაურის მიერ დანიშნული და ღიდი უფლებამოსილებით აღჭურვილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებული. თავის უფლებამოსილებას სახელმწიფო რწმუნებული ახორციელებდა მხარის ადმინისტრაციის მეშვეობით შესაბამისი დებულების საფუძველზე.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემის რეფორმირება დაიწყო 1995 წლის 16 სექტემბერს “სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ” სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების გამოცემის შედეგად. ამ დებულებით იურიდიულად გაფორმდა მმართველობის დეკონცენტრაცია – გაიმიჯნა ფუნქციები ცენტრალურ, რაიონულ და რაიონში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულების მმართველობის ორგანოებს შორის.

სახელმწიფო მმართველობის დეკონცენტრაციით რაიონის მმართველობის ორგანოს დარჩა ის სფერო, რომელიც თავის მნიშვნელობით საერთო-სახელმწიფო ინტერესებს განეკუთვნება, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საფინანსო-სამეურნეო საკითხი სახელმწიფო

მმართველობის პირველ დონეს – სოფლის, თემის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის მმართველობის ორგანოებს გადაეცათ.

გაგარებულმა ღონისძიებებმა შექმნა გარკვეული პირობები ადგილობრივი მმართველობის სისტემის შემდგომი რეფორმებისათვის – ცენტრალიზებულიდან დეცენტრალიზებულ მართებაზე გადასასვლელად.

1997 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ”, რომელიც საფუძვლად დაედო თვითმმართველობის სისტემის თანდათანობით დამკვიდრებას საქართველოში. ამ კანონის საფუძველზე, 1998 წლის 15 ნოემბრის არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის იმდაგვარი მოდელი, რომელიც თვითმმართველობასთან ერთად ითვალისწინებდა წარმომადგენლობითი ორგანოების კონტროლით ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და მათი ხელმძღვანელების დანიშნითი ინსტიტუტის შენარჩუნებასაც. მიუხედავად რიგი ხარვეზებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის არაეფექტურობისა, საკრებულოთა შექმნა ამ ეტაპზე შეიძლება ჩაითვალოს წინგადადგმულ ნაბიჯად დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების გზაზე.

არსებული მართვის სისტემის შემდგომ განვითარებას უკავშირდება “ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ” ორგანულ კანონში 2001 წლის 2 აგვისტოს შეტანილი ცვლილებები და დამატებები, რომელთა რეალიზება შესაძლებელი გახდა 2002 წლის 2 ივნისს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების შედეგად.

თავი 7. გარდაამავალი პერიოდის ღეცენგრალიზაციის იურიდიული და ადმინისტრაციული ასპექტები საქართველოში

საზოგადოების რეალური ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, სახელმწიფოებრივი მმართველობის არსებული სისტემის პირობებში, გემოქმედებენ პოლიტიკის სფეროზე და განაპირობებენ მისი დემოკრატიზაციის აუცილებლობას – მასების ჩართვას მართვის პროცესებში და, შესაბამისად, სახელმწიფოს ფუნქციის შეცვლას ღეცენგრალიზაციის თვალსაზრისით. ამიგომ ღეცენგრალიზაცია, როგორც საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესი, მოწოდებულია არა მარტო შეასუსტოს ან საერთოდ მოხსნას სოციალური და ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობანი, არამედ, დააჩქაროს ადმინისტრაციულ-გერიგორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მათი გათანაბრება.

სახელმწიფოს ღეცენგრალიზაცია, როგორც ცნობილია, მიმართულა ხელისუფლების გადაცემისაკენ ცენტრიდან პერიფერიებისაკენ და უზრუნველყოფს ქმედების არჩევის თავისუფლებას, გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიურობას. უფრო გავრცელებული მოსაზრებით ღეცენგრალიზაცია დეკონცენტრაციისაგან განსხვავებით გულისხმობს სახელისუფლო უფლება-მოსილებათა, ამოცანებისა და ფუნქციების დელეგირებას სხვა იურიდიული პირისათვის, იმ ორგანოებისათვის, რომლებიც არ იმყოფებიან ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების იერარქიულ დაქვემდებარებაში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

რასაკვირველია, ღეცენგრალიზაცია არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ადგილობრივი თვითმმართველობა მოწყვეტილია სახელმწიფო ორგანიზმისაგან და ეწინააღმდეგება მას. ამ პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებაა მისი მომდინარეობა “ზევიდან” ანუ ცენტრალური ხელისუფლებიდან და განხორციელება სახელმწიფო მხარდაჭერით, იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც სწორედ სახელმწიფოს მიერ გერიგორიაზე მოქმედებს.

ღეცენგრალიზაცია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც აბსტრაქტული პრინციპი. მისი როლი, დანიშნულება, განხორციელების ფორმები მთლიანად განსაზღვრულია საზოგადოების კონკრეტული მდგომარეობით. ღეცენგრალიზაციის ერთ-ერთი უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ინდივიდუალური თვითშემოქმედების და დამოუკიდებელი ინიციატივის უზრუნველყოფა და წახალისება, ხოლო მისი მიზანია არა ხელისუფლების შეზღვევა

და სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შესუსტება, არამედ საჯარო ხელისუფლების სოციალური ფორმების სიჯანსაღე და სიმყარე, სტაბილურობა.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს ცენტრალური ხელისუფლების ამოცანების უკეთეს გადანაწილებას და გერიგორიული ერთეულების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ზრდას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რის გამოც შესაბამისად იზრდება გერიგორიული მართვის დემოკრატიზაციის დონე.

დარწმუნებით შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ დეცენტრალიზაცია სწორედ თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტის არსებობას გულისხმობს და აქედან გამომდინარე, ის შეიძლება ჩაეთვალოს სახელმწიფო მმართველობის რეფორმის მომის ერთეულად.

ანალიზი აჩვენებს, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო მმართველობის აბსოლუტურად სრულყოფილი სტრუქტურა, ხოლო სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების რეფორმა პერმანენტული პროცესია.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებასთან ერთად მიმდინარეობს თვით სახელმწიფოს როლის გრანსფორმაციის პროცესი. ამასთან, აქტუალური ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის დამკვიდრება-განვითარება და ფართო მასშტაბიან დეცენტრალიზაციას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება, რაც დემოკრატიული გარდაქმნის ერთ-ერთი აუცილებელი და უმთავრესი კომპონენტია. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელებისას გარდამავალ პერიოდში მყოფ სახელმწიფოებს, დემოკრატიის დამკვიდრების ეტაპობრივი სტადიებიდან გამომდინარე, გააჩნიათ საერთო პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც ხდება თითოეული ქვეყნის საპეციფიკოდან გამომდინარე.

ისევე როგორც მრავალი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანა, საქართველო დაადგა დეცენტრალიზაციის გზას 70-წლიანი უაღრესად ცენტრალიზებული საბჭოური მმართველობის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის მიხედვით ისტორიულად რთული აგებულება ერგო. მასში 1921 წლიდან შედის ორი ავტონომიური რესპუბლიკა – ნაციონალური ნიშანთვისებით აფხაზეთი, კონფესიონალური ნიშანთვისებით აჭარა და 1922 წლიდან ხელოვნურად შექმნილი ე. წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", რომლის გაუქმება საქართველოს

უზენაესმა საბჭომ 1990 წელს იურიდიულად გააფორმა და აღადგინა ისტორიული სამართლიანობა სამაჩაბლოში, რომელსაც მოჰყვა სეპარატობის ტენდენციების ესკალაცია და საქართველოს ტერიტორიის ამ ნაწილში დღემდე სახელმწიფო იურისდიქცია არ ვრცელდება. რაც შეეხება აფხაზეთს, ის ფაქტობრივად გავიდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობიდან და 1994 წელს თვითნებურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ცხადია, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ მომხდარა და იგი არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, მაგრამ აფხაზეთის საერთო-სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში მოქცევის პრობლემამ მიიღო საერთაშორისო პრობლემის მასშტაბი, რომლის მოწესრიგებაში საქართველო მონაწილეობს, როგორც ერთ-ერთი მხარე.

გარდამავალი პერიოდის სირთულეები საქართველოში უფრო მწვეველ წარმონდღა ეთნოკონფლიქტებისა და სამოქალაქო ომების დამანგრეველი შედეგების ფონზე. სახელმწიფოს მიერ დაკარგული ტერიტორიების ფაქტი არ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს სრულყოფილი კონსტიტუციის მიღებისათვის, რის გამოც საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა კონსტიტუციური განუსაზღვრელობის მიღმა აღმოჩნდა და 1995 წელს მიღებული ახალი კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ის უნდა განხორციელდეს “კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ”.

ამასთან, უზენაესი კანონი ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის გარკვეულ ორიენტირებს სახავეს. კერძოდ, კონსტიტუციით აღიარებულია ტერიტორიულ ერთეულთა არსებობა (მუხლი 4.3, მუხლი 73.ი), სახელმწიფოს მიერ მათი და ერთობლივი კომპეტენციების განსაზღვრის განსაკუთრებული უფლება (მუხლი 3), რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციაში ნათლადაა მოცემული უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპი. თუმცა, კონსტიტუცია არ აკონკრეტებს ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების ცალკე განსაზღვრის მექანიზმს.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა კონსტიტუციამ ძალიან მოკლე დროში დაამკვიდრა და ქმედითუნარიანად აქცია ახალი დემოკრატიული ინსტიტუტები. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე ჩამოყალიბდა უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ქვეყნის თანამედროვე მომენტის თავისებურება იმამია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებით საქართველომ ახალ შიდაპოლიტიკურ სფეროში შეაბიჯა, გადაიღვა ნაბიჯი ხელისუფლების დეცენტრალიზაციისა და მმართველობის დეკონცენტრაციისაკენ, დაიწყო

მუნიციპალური მმართველობის რეფორმები.

ქართული კონსტიტუციონალიზმის ფუძემდებლური დებულება – ხელისუფლების დანაწილების პრინციპი სისტემურად ორ განზომილებაში რეალიზდება: პორიზონგალურ სიბრტყეში და ვერტიკალში. საჯარო (სახალხო) ხელისუფლების ორგანიზაციის ვერტიკალური სისტემა ფუნქციონალურ-ინსტიტუციონალურად ურთიერთდაკავშირებულ და ამასთან, მკაცრად გამიჯნულ დონეებს ქმნის. ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება გაიყო ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრაციებად.

აღმასრულებელ ორგანოთა სისტემას ქმნის საქართველოს პრეზიდენტი: სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ ან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა მეშვეობით; პრეზიდენტის სათათბირო ორგანო – მთავრობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და აფხაზეთის მთავრობა, მმართველობის ცენტრალური ორგანოები სამთავრობო დაწესებულებების სახით, სამთავრობო დაწესებულებების (სამინისტროების, დეპარტამენტების, ინსპექციების) ტერიტორიული ორგანოები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, რაიონების გამგეობები, გამგებლები, ქალაქების მერიები, მერები, პრეზიდენტის რწმუნებულები, რომლებიც “აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ” კანონის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლები არიან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულებში ან ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად საკუთარი სამხარეო ადმინისტრაციებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სისტემა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე გამოიყურება შემდეგნაირად: ქ. თბილისი (ქალაქის 5 რაიონი), ქალაქები, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში, რაიონები, რაიონებში შემავალი ქალაქები, დაბები, თემები და სოფლები.

ტერიტორიული ავტონომიების (სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების) არსებობასთან ერთად დღეს საქართველოში – დეფაქტო რეალობაა ადმინისტრაციული ერთეულების შუალედური დონეების ანუ რეგიონალური ერთეულების ორგანიზება შესაბამისი მმართველობითი სისტემით, მხედველობაშია მხარეები.

სუვერენული საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციითა და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით.

აუხაბეთი და აჭარა, როგორც სახელმწიფოებრივი გერიტორიული წარმონაქმნები საქართველოს შემადგენლობაში, უზენაესი კანონის მიხედვით აქტიურად არიან ჩართული საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში. საქართველოს კონსტიტუციის 55-ე მუხლის შესაბამისად თავიანთი ინტერესების უფრო წარმატებულად უზრუნველყოფისათვის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებისაგან თითო მოადგილე აირჩევა აჭარიდან და აუხაბეთიდან არჩეული პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით. აჭარისა და აუხაბეთის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს აქვთ ასევე საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (მუხლი 67) და უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი საკითხების გადაწყვეტისათვის (მუხლი 89).

რა თქმა უნდა ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითმა ორგანოებმა თავიანთი მოქმედებით არ უნდა შეუქმნან საფრთხე ქვეყნის სუვერენიტეტს, გერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოქმედდება კონსტიტუციის 73 მუხლის “ი” ქვეპუნქტი, რომელშიც გათვალისწინებულია “უფექტური” ინტერვენციის ისეთი მექანიზმი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს აძლევს უფლებას პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს გერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა, ან დაითხოვოს ის.

კომპეტენციათა ვერტიკალური გამიჯვნის დღეს არსებული სისტემის ფუნქციონირების ანალიზი აჩვენებს, რომ კონკრეტული ფუნქციების დეცენტრალიზაცია და მისი მექანიზმების რეალიზაცია უშუალოდ დამოკიდებულია ქვეყნის საშინაო საქმეების მოგვარებაში ეროვნული მთავრობის როლზე და ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში ავტონომიური რესპუბლიკების ინტერესის გათვალისწინებაზე.

საქართველოს მმართველობის სისტემაში საქართველოს პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო რწმუნებულის დანიშვნის ვებით გამოიყო სახელმწიფოს ვარკვეული გერიტორიები, რომლებიც რამდენიმე ადმინისტრაციულ-გერიტორიულ ერთეულს მოიცავს და რომლებსაც მართვის ორგანიზაციის მიზნით თავისი ადმინისტრაცია და ადმინისტრაციული ცენტრი, შესასრულებლად საეალდებულო სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებით აღჭურვილი მართვის ორგანოები გააჩნია. ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს რწმუნებული, რომელიც საქმიანობის ძირითადი მიმართულებების სხვა საკითხებთან ერთად კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს რაიონებისა და ქალაქების, რომლებიც არ შედიან რაიონის

დაქვემდებარებაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს (გამგეობებს, მერიებს) და წარმოადგენს ერთპიროვნულ მმართველს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში. დღეს საქართველოში 10 მხარეა (რეგიონია), რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულად ჩამოყალიბებული კუთხეების თანმხვედრ გერიტორიას, სადაც ფუნქციონირებს საქართველოს კონსტიტუციისათვის უცნობი სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტი.

სხვა ვითარებაა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც კონსტიტუციურად უკვე გადაწყვეტილია და იგი ორგანული კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს.

საკიროა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო საქართველოს არ გააჩნია თვითმმართველობის დიდი გრადიცია. მიუხედავად არსებული გარკვეული ისტორიული გამოცდილებისა, თვითმმართველობის ვაკუუმის ხანგრძლივი დროით არსებობამ შექმნა განსაკუთრებით რთული სიტუაცია, საიდანაც გამოძინარეობს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მრავალი პრობლემა. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული საფუძვლის მქონე სისტემა არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით გემოთ დახასიათებულ 1919-1921 და 1991-1992 წლებში არსებულ ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციას, რომელიც სრულებით ვერ პასუხობდა მოთხოვნებს.

დამოუკიდებელი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ შექმნა საფუძველი მართვის ადგილობრივი სისტემის რეფორმისათვის, სახელმწიფო მმართველობის არსებული ცენტრალიზებული სისტემიდან დეცენტრალიზებულ სისტემაზე ანუ თვითმმართველობაზე გადასასვლელად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებობა დაფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კონსტიტუციურმა კანონმდებელმა ადგილობრივი ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება, მათი სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა ორგანულ კანონს მიანდო. საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის ოქტომბერში მიიღო ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ", რომლითაც აღნიშნული საკითხები განისაზღვრება კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისობაში, საქართველოს გერიტორიული მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებამდე.

აღსანიშნავია, რომ შემდგომ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა თვითმმართველობის სამართლებრივი

ბაზის ფორმირებისათვის აუცილებელი კიდე რამდენიმე კანონი, რომელთა ნუსხა მოცემულია III დანართში.

საქართველოში ჩამოყალიბებული თვითმმართველობის ინსტიტუტი, რომელიც კანონში მოცემული სქემით ფუნქციონირებდა 1998 წლის 15 ნოემბერის ადგილობრივი არჩევნებიდან 2002 წლის 20 ივნისის ჩათვლით, სტრუქტურულად წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სისტემის სახითაა მოცემული.

აღნიშნული ორგანული კანონის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ხელისუფლების პირველ დონეზე – სოფელში, თემში, დაბაში და რაიონის შემადგენლობაში შემავალ ქალაქში. ამ დონეზე სულ 966 ადმინისტრაციული ერთეულია, რომელთა წარმომადგენლობითი ორგანოებია მოსახლეობის მიერ არჩეული შესაბამისი საკრებულოები. თვითმმართველობის აღმასრულებელ სტრუქტურას გამგეობების სახით ქმნიან საკრებულოები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ საკრებულოს მიერ არჩეული გამგებლები, რომლებიც იმავდროულად საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქციასაც ასრულებენ. იმ სოფელსა და თემში, რომელშიც მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 3000 კაცს, გამგეობა არ იქმნება და მის ფუნქციას უშუალოდ გამგებელი ახორციელებს.

თუ პირველ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის ეს მოდელი აკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ 1985 წლის ევროქარტიის მოთხოვნებს, სამწუხაროდ ანალოგიურად არა გვაქვს საქმე ხელისუფლების მეორე დონეზე, სადაც 60 რაიონსა და 6 ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ორგანული კანონის თანახმად ხორციელდება სახელმწიფო მმართველობა. მოსახლეობის მიერ არჩეულ საკრებულოებთან ერთად ამ დონეზე ფუნქციონირებენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოები – რაიონული გამგეობები და საქალაქო მერიები, რომლებიც იმავდროულად ასრულებენ საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებს. ამ ორგანოების ხელმძღვანელები არიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული გამგებლები და მერები, რომლებიც ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არიან საქართველოს პრეზიდენტისა და საკრებულოს წინაშე.

რაც შეეხება საქართველოს დედაქალაქს, მისი სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია “საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” კანონით. თბილისში პროპორციული წესით ირჩევა წარმომადგენლობითი ორგანო – ქალაქის საკრებულო, რომელსაც კანონი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უწოდებს. იგი როგორც ხელისუფლების პირველი და მეორე დონის საკრებულოები, კონგრულს

უწევს ქალაქის აღმასრულებელ შტოს – მთავრობის საქმიანობას. კანონის მიხედვით ქ. თბილისის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია – მერია და ქალაქის რაიონების გამგებები. მერია წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული მერი. ქ. თბილისის მთავრობა შედგება პრეზიერის, პრეზიერის მოადგილეების, ცალკეული საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისა და ქალაქის რაიონების გამგებლებისაგან. პრეზიერს და რაიონების გამგებლებს თანამდებობაზე საკრებულოს თანხმობის საფუძველზე ქალაქის მერის წარდგინებით ნიშნავს პრეზიდენტი.

ამრიგად, მსხვილ მეორე დონის გერიგორიულ ერთეულებში რეალიზებულია ადგილობრივი მმართველობის პრინციპი – შესარჩუნებულია აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა დანიშვნის ინსტიტუტი, ანუ ფაქტობრივად არ შეესაბამება ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების საერთაშორისო სტანდარტებს.

“ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ” ორგანული კანონის სამართლებრივი სტრუქტურაც ისეა აგებული, რომ ადგენს ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების ორივე შტოს ფუნქციონირების საფუძველს. ცალ-ცალკე განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა და მათი თანამდებობის პირების კომპეტენციებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია რთული სამართლებრივი კატეგორიაა, რომლის სტრუქტურა შედგება ცალკეული გამგებლობის სფეროებისაგან, უფლებამოსილებებისაგან და პასუხისმგებლობისაგან, განსაზღვრავს მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა დამოუკიდებლად გადაწყვეტის ფარგლებს. ორგანულ კანონში მართალია სრულადაა აღწერილი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენციები, რომელთა ფარგლებში ისინი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ მათი განაწილება აღნიშნულ ორგანოებს შორის არ არის ზუსტი და ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს უფლებამოსილებების დუბლირებას. ასევე არამკაფიოაა გამიჯნული სახელმწიფოსა და თვითმმართველობას შორის კომპეტენციები, რაც თვითმმართველობის არაგრადიციულობისა და ალბათ საბჭოური ცენტრალიზმის მენტალობის ვათეალისწინებით ხშირად მათ ფაქტობრივ სუბორდინაციას იწვევს.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთიმართებაში დეცენტრალიზაციისას საქართველოში გამოიყენება

თვითმმართველობის პრინციპებით, ასევე მიზნებითა და ამოცანებით განპირობებული ფუნქციითა, როგორც სამუდამო, ისე დროებითი გადაცემის პრაქტიკა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კომპეტენციითა ნაწილი, ორგანული კანონის მიხედვით, მინიჭებული აქვთ ექსკლუზიურ უფლებამოსილებად, ხილო ნაწილს ახორციელებენ დელეგირების წესით სახელმწიფო ორგანოთა კონგრულის ქვეშ არა კანონის, არამედ მმართველობის აქტის საფუძველზე მმართველობის ორგანოებთან ურთიერთშეთანხმებით, რომელიც, ცხადია, აგარებს დროებით ხასიათს. კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შებოჭილები არიან შესაბამისი მაკერიალურ და ფინანსურ რესურსებითან ერთად დელეგირებულ ცალკეული უფლებამოსილებების განხორციელებისას, რადგან სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ გააუქმონ მათი გადაწყვეტილებები იმ სფეროში, რომლის დელეგირებაც მოახდინეს.

ორგანული კანონის საფუძველზე დამკვიდრებულმა ადგილობრივი მართვის მოდელის ხარვეზმა განაპირობა ის მდგომარეობაც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობებს ჯერ კიდევ არა აქვთ საკმარისი თვით ექსკლუზიური ფუნქციები არა მარტო ფინანსების, არამედ მიწის და ქონების განკარგვის საკითხებშიც, რაც ერთ-ერთი ნათელი მაგალითია სუბსიდიარობის პრინციპის დარღვევისა და ეწინააღმდეგება ევროქარტიის მოთხოვნებს.

მართალია, ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ანიჭებს ავტონომიას ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების საკითხებში, მაგრამ მათგან ძალიან ცოტას თუ შეუძლია დააფინანსოს დამოუკიდებელი პროგრამები საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში არასაკმარისი ფინანსური უზრუნველყოფის გამო. სინამდვილეში საქართველოში მოქმედ საკრებულოთა ერთ მესამედზე მეტს თვითმმართველი ერთეულების აწარმოებელი ზომის გამო არ გააჩნიათ შემოსავლის წყაროები საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლადაც კი. ამიტომ, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები უმრავლეს შემთხვევაში უბრალოდ დანახარჯების ჩამონათვალაა. სადაც არც გაწეული მომსახურების და არც პროგრამების შედეგები მითითებული არ არის. ადგილობრივი თვითმმართველობა რეალურ ცხოვრებაში გრანსფერების მიღებაზე, საგადასახადო შემოსავლების აკრეფასა და გადანაწილებაში და სხვადასხვა მომსახურების უზრუნველყოფაში რაიონებზეა დამოკიდებული, რის გამოც პირველი დონის საკრებულოები პრაქტიკულად ექვემდებარებიან რაიონების საკრებულოებს.

შეუნიშნავთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ისედაც მწირი ფინანსური ბაზის დაკნინებასა და კორუფციის წარმოშობას ხელს უწყობს საბიუჯეტო პროცესის მონიგორინგისა და სახელმწიფო და

დამოუკიდებელი აუდიტის სისტემის მექანიზმის არ არსებობა. ამჟამად ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესისა და ბიუჯეტის შესრულების შემოწმება ხორციელდება საქართველოს კონტროლის პალატისა და საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ.

ორგანული კანონით აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია, რომელიც საკრებულოს წარუდგენს შემოწმების წლიურ ანგარიშს ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებისას. გარდა ამისა, საკრებულოს მხრიდან ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის ხერხად განიხილება გამგებლის მიერ წელიწადში ერთხელ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა საკრებულოს სხდომაზე.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად დაქვემდებარებულ გერიგორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და მოქალაქეთათვის.

ადგილობრივი მართვის სისტემის გარანტიების მყარი საშუალება სასამართლო დაცვაა. საქართველოს მოქალაქეებს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს – სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული იმ აქტების გასასაჩივრებლად, რომლებიც ზღუდავენ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებს.

ზემოთ მოყვანილ იურიდიულ გარანტიებთან დაკავშირებულ დებულებებთან ერთად ორგანული კანონი ღიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობაში სახელმწიფო ინტერვენციის ნორმებს. ამ კანონით ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გააუქმოს თვითმმართველობის ორგანოთა კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებები, არის სასამართლო. კანონი ავალებს რაიონული დონის მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელს თვალყური ადევნოს თვითმმართველობათა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და დარღვევის შემთხვევაში ერთი თვით შეაჩეროს ისინი, რაც წინააღმდეგობაში მოდის თვითმმართველობის დამოუკიდებლობის პრინციპთან. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულისათვის დამატებით მინიჭებული უფლებამოსილება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს აქტის ერთი თვის ვადით

შეჩერების შესახებ მმართველობის ძლიერ ცენტრალიზაციაზე მიუთითებს. ასევე, სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტის სტატუსის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ის, რომ კანონმდებელმა სახელმწიფო რწმუნებულს მიანიჭა უფლება, წარდგინებით შეეიღეს პრეზიდენტთან და მოითხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. ეს გარემოება ადგილობრივ თვითმმართველობაზე ცენტრის გაძლიერებული აღმინისტრირებული კონტროლის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონი განაერცობს პრეზიდენტის უფლებამოსილებას და ანიჭებს დამატებით უფლებას პარლამენტის თანხმობით ვადამდე შეწყვიტოს საკრებულოს უფლებამოსილება. სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაცია აღწევს სოფლის, თემის, დაბის და ქალაქის დონეზეც. ამ გერიტორიულ ერთეულებში საკრებულოს საქმიანობის შეჩერების, დათხოვნის ან მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში უფლებამოსილება უწყდებათ აგრეთვე, მათ აღმასრულებელ ორგანოებს, მაშინ, როდესაც ანალოგიურ გარემოებებში რაიონის და იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ გამგებელს (მერს) და მათ მიერ ჩამოყალიბებულ გამგეობას (მერიას) უფლებამოსილება არ უწყდებათ. საკრებულოს საქმიანობის შეჩერება, დათხოვნა ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შეზღუდვის პირობას წარმოადგენს.

მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობა არ ნიშნავს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას, მაგრამ უნდა გამოირიცხოს სახელმწიფო ორგანოების მიერ ხელისუფლებრივი უფლებამოსილებების გადამეტება და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უკანონო შეზღუდვა, რაც საბოლოოდ ხელს შეუშლის დეცენტრალიზაციის პროცესის განვითარებას საქართველოში. აქვე დაეძინო, რომ დეცენტრალიზაცია თავისი თანამედროვე გაგებით საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით და პრაქტიკიდან გამომდინარე დეკონცენტრაცია და დეცენტრალიზაცია შეჭრილია ერთმანეთში, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთდროულად ერთმანეთის ცვერდით არსებობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ერთი მხრივ ცენტრალური სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გერიტორიული რგოლები ადგილებზე, მეორე მხრივ სამხარეო აღმინისტრაციები ცენტრალური მმართველობის პერიფერიული სამსახურებით. ყოველივე ეს იწვევს,

როგორც სხვადასხვა ორგანოების უფლებამოსილებათა აღრევას, ასევე, ქმნის ორგანიზაციულ ქაოსს არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცენტრალური მმართველობის ორგანოების საქმიანობაშიც, რაც დღემდე მოსაგვარებელ პრობლემად რჩება.

ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი არჩევნებიდან გასულმა პერიოდმა და გაწეულმა საქმიანობამ ნათლად წარმოაჩინა ის ადგილობრივი პრობლემები, რომელთა წარმომოხა განაპირობა საკანონმდებლო ხარვეზებმა, ძლიერი ფინანსური და ქონებრივი ბაზის უქონლობამ და ადგილობრივი არჩეული თანამდებობის პირების პროფესიონალური მომზადებისა და გამოცდილების არასაკმარისმა დონემ. შექმნილმა მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის გარდაქმნისა და რეფორმის აუცილებლობა. რეფორმის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2001 წელი, როდესაც მოქმედ კანონმდებლობაში შევიდა გარკვეული ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ ორგანულ კანონში 2001 წელს შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობა, გარდა ფოთისა და თბილისისა, ხორციელდება აგრეთვე ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, სადაც აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის – მერის არჩევა გათვალისწინებულია პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით. იმავე წესით ირჩევა გამგებელი ქალაქში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. მნიშვნელოვანი სიახლეა, აგრეთვე, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირების ვით თვითმმართველი ერთეულების გაერთიანება-გამსხვილების შესაძლებლობა. წინ გადადგმული ნაბიჯია ასევე საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის და ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, საკრებულოების არჩევნების მაჟორიტარული სისტემის დანერგვა და თვით საკრებულოს წევრთა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება. დადებითი ხასიათის ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების მანდატების გაზრდა 4 წლამდე. სრულად განსაზღვრულია უფლებამოსილებათა კატეგორიები და უკეთესად არის გამოიყვანილი კომპეტენციები ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას შორის.

შეტანილი ცვლილებების მიხედვით გათვალისწინებულია მოქალაქეთა მიერ საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების უფრო დიდი ხარისხი, განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების კატეგორიები და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ტიპები, რაც

გრანსფერების გამოყენებასაც ითვალისწინებს. შეცვლილია ასევე რაიონის საკრებულოს ფორმირების წესი, რითაც გარკვეულწილად იზღუდება მისი ფუნქციები აღმასრულებელ სტრუქტურასთან მიმართებაში. ის შედგება რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების თავმჯდომარეებისაგან. რაიონის საკრებულოს სხდომებს ხელმძღვანელობს სპიკერი, რომელსაც თავის შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულო. რაიონის გამგებელს საკრებულოს შემადგენლობიდან თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. რაიონის დონეზე ადგილობრივი მმართველობის განხორციელება ახალი ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებამდე.

ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის საბოლოო იდეალური მოდელის შექმნაზე საუბარი შეუძლებელია, მაგრამ იმისათვის, რომ განხორციელდეს დეცენტრალიზაცია არა მხოლოდ თეორიის დონეზე და თვითმმართველობა საქართველოში იყოს ეფექტური, საჭიროა მოქმედ კანონმდებლობაში გარკვეული შესწორებების კელავ შეტანა, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალური ბაზის შემდგომი სრულყოფა და ჰარმონიზაცია ევროქარტიასთან.

მრავალ გადასატრულ პრობლემას შორის პირველი რიგის ამოცანად გვესახება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმის დასაბუთებული სახელმწიფო პროგრამის შემუშავება-მიღება, პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფა და შესაბამისი საკანონმდებლო პროცესების დაწყება.

დღევანდელ ეტაპზე, როგორც მემოთ იყო აღნიშნული, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არ ვრცელდება საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია. მოსაგვარებელია კონსტიტუციური კონფლიქტი ცენტრსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას შორის კომპეტენციათა გამიჯვნის საკითხზე. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ფორმიდან გამომდინარე საჭიროა ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა კონსტიტუციური კანონით, რასაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებაში ითვალისწინებს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური შესწორება, რომლის შედეგად საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებაში 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური შესწორებით მიღებული მე-4 პუნქტი, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო ტერი-

გორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტის პროცესი არ შეჩერებულა.

აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე მკვეთრად გაიმიჯნოს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებანი, რაც შესაბამისად დაარეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და სამთავრობო დაწესებულებათა რეგიონულ სამსახურებს შორის არსებულ ურთიერთობებს, მოაწესრიგებს ადგილობრივი სამსახურების საქმიანობას.

სახელმწიფოსა და თვითმმართველობას შორის კომპეტენციათა ზუსტად გამიჯვნის ღონისძიებებმა გაგრძელება უნდა ჰპოვონ ისეთ სფეროებში, როგორცაა ფინანსები, საკუთრება და მიწის განკარგვა. ამისათვის, უნდა შეივსოს ის საკანონმდებლო ვაკუუმი, რომელიც ამ მიმართულებითაა შექმნილი და საჭიროა უმოკლეს ვადაში მიღებულ იქნეს კანონები ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების განკარგვისა და ამ ქონებით სარგებლობის წესის შესახებ, სახელმწიფო საკუთრების მიწაზე სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოთა უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, რაც ადგილობრივ თვითმმართველობას მიანიჭებს ფართო უფლებამოსილებას ადგილობრივი ინტერესების დამოუკიდებლად გადაწყვეტის სფეროში.

საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტამდე მიზანშეწონილია მიღებულ იქნეს გარდამავალი პერიოდის ნორმატიული აქტები, რომლებიც აღმოუხვრიან პარალელიზმს, დაარეგულირებენ ცენტრისა და რეგიონების ურთიერთობებს, გამიჯნავენ მათ კომპეტენციებს საგარეო ურთიერთობების წარმართვისას.

თვითმმართველობის შესახებ ევროქარტიის პრინციპების შესაბამისად უნდა განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე სახელმწიფოს ადმინისტრაციული და ფინანსური ზეგავლენის ფორმები და წესები.

მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზმების მიზნით თვითმმართველობის რეფორმის ეტაპობრიობის გათვალისწინებით რეალურად უნდა მომზადდეს ნიადაგი შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფით გამსხვილებული მუნიციპალური სექტორის განვითარებისათვის.

გარდამავალი ეტაპის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელთა არჩევისა და თვითმმართველობის განხორციელების ტერიტორიული საფუძვლების გადასინჯვის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელი და არსებული ორგანული კანონი ჯერ კიდევ ბოლომდე არ შეესაბამება ევროქარტიის მოთხოვნებს, რომლის სრულყოფასთან დაკავ-

შირებით ქვეყანამ აიღო გარკვეული ვალდებულება ევროსაბჭოს წინაშე იმ თვალსაზრისით, რომ განხორციელდება გამგებლის (მერის) არჩევა და არა დანიშნა.

აქედან გამომდინარე, ორგანულ კანონში შემდგომი ცვლილებების მნიშვნელოვან ასპექტად მიგვაჩნია რაიონების აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობებზე განწესების საკითხის შესაბამისობაში მოყვანა ევროსაბჭოს წინაშე აღებულ აღნიშნულ ვალდებულებასთან. დღევანდელ ეტაპზე რაიონებში გამგებლებს, ხოლო დიდ ქალაქებში მერებს უშუალოდ უნდა ირჩეოდეს მოსახლეობა და ისინი კანონის საფუძველზე უნდა იყვნენ უფლებამოსილებით აღჭურვილნი.

საქართველოში სახალხო ხელისუფლების უზრუნველყოფისა და დეცენტრალიზაციის პროცესის გაღრმავების მიზნით მიზანშეწონილად ეთელით სრულ ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადასვლას და მეორე დონეზე თვითმმართველობის ტერიტორიულ საფუძველად რაიონული დონის განსაზღვრას ანუ ორდონიანი თვითმმართველობის სისტემის შექმნას.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო ფრაქცია “მოქალაქეთა კავშირის” ინიციატივის საფუძველზე, 2002 წლის საგაზაფხულო სესიაზე ფართო მსჯელობის საგანი გახდა საქართველოში სრული ორდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო დონეზე დანერგვის საკითხი, რაც იმავედროულად ითვალისწინებდა რაიონის გამგებლისა და ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, მერის არჩევითობას, კომპეტენციების მკაფიო და მუსტ გამიჯვნას სახელმწიფოსა და თვითმმართველობას, თვითმმართველობის პირველ და მეორე დონესა (რაიონი) და ასევე თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის.

სამწუხაროდ, მოცემულ ეტაპზე ორ დონეზე სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

დემოკრაგია მუდმივი განვითარება და დახვეწაა იმ პრინციპისა, რომლის მიზანია ხალხმა თავისი ნებით, თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე მართოს თავისი თავი. მართალია, ქართული დემოკრაგია თავისი განვითარების საწყის ფაზაში იმყოფება, მაგრამ მან უკვე დასაბამი მისცა ახალ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას, რომლებმაც საბოლოო ჯამში უნდა დაამკვიდროს ადგილებზე დემოკრაგიული ცხოვრების წესი.

ცხადია, რომ თვითმმართველობის შესახებ ევროქარგიის პრინციპების განხორციელება არ არის იოლი საქმე. საჭიროა ცენტრალური ხელი-

სუფლების მთელი ძალისხმევის მიმართვა დემოკრატიული დეცენტრალიზაციის რეალური რეალიზაციისა და სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნისაკენ, რამაც სრულად და ეფექტურად უნდა უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თვითმმართველობის პრინციპი: "საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეუღახავად".

ლიტერატურა

1. ადგილობრივი თვითმმართველობა. ბიულეტენი №8, 2001.
2. ადგილობრივი თვითმმართველობა. ბიულეტენი №9, 2001.
3. ადგილობრივი თვითმმართველობა. ბიულეტენი №1, 2002.
4. ბეიგაშვილი თ., მელქაძე თ. იგალის სახელმწიფო სისტემა. თბილისი, 1997.
5. ბლომკვისტი ლ., ზარდიაშვილი დ., სვანიშვილი ა. რა არის ადგილობრივი თვითმმართველობა? თბილისი, 2001.
6. გოგიაშვილი გ. შედარებითი ფედერალიზმი. თბილისი, 2000.
7. დეივი კ. ადგილობრივი თვითმმართველობა, სტრუქტურული საკითხები და შესაძლო ვარიანტები. ბირმინგემის უნივერსტიტეტი, 2001.
8. კეერენხილაძე გ., მელქაძე თ. საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა. თბილისი, 1997.
9. კოპალეიშვილი მ. ცენტრალიზმი და დეცენტრალიზმი სახელმწიფო მმართველობაში. ავტორეფერატი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1999.
10. ლორთქიფანიძე ვ. ქვეყნის ფედერაციული მოწყობა. თბილისი, 1995.
11. ლორია ვ., სალხინაშვილი მ. საქართველოს სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხები. თბილისი, 1999.
12. ლოსაბერიძე დ. თვითმმართველობა საქართველოში. თბილისი, 1998.
13. მელუა დ. ადგილობრივი თვითმმართველობა აღმოსავლეთ ევროპაში. საქართველოს პარლამენტის საინფორმაციო-კვლევითი და საბიბლიოთეკო ცენტრი. თბილისი, 1997.
14. მელუა დ., მესხიძე გ., რაიგი ჯ. ახალი დილემა. თბილისი, 1997.
15. მელქაძე თ. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი. თბილისი, 1995.
16. მესხია ი., შიხაშვილი გ., კვარაცხელია ა., გოგორიშვილი ი., სახოკია გ. ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი, 1991.
17. ნაკაშიძე ბ. თვითმმართველობა საქართველოში. ბათუმი, 1994.
18. საინფორმაციო-მეთოდური ცნობარი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2000.
19. საინფორმაციო-მეთოდური ცნობარი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2001.
20. საკრებულოს წევრის სამაგიდო წიგნი. თბილისი, 1999.
21. სახელმწიფოთა გერიგორიული ორგანიზაციის და კომპუტენციების

- გამიჯენის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები დასაუღეთის 5 ვანეთ-თარეული ქვეყნის მაგალითზე. საქართველოს პარლამენტის კვლევითი და საბიბლიოთეკო ცენტრი. 1996.
22. სგონი რ. ნ., აივაზიანი ლ., ბერუაშვილი ნ., კუხიანიძე ა., სიქელსი მ., გურეშიძე მ. საქართველოში თვითმმართველობის გლობალური შეფასება. ურბანული ინსტიტუტი, 2001.
 23. ხმალაძე ვ. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. თბილისი, 1997.
 24. ხოზრევანიძე ნ. მთიანი რეგიონების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში. თბილისი, 2000.
 25. ხუბუა გ. ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი. თბილისი, 2000.
 26. ჯაბახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I, II, VI. თბილისი, 1983.
 27. ჯამი თ. ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების ძირითადი საფუძვლები. საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი, 2001.
 28. Анимца Е.Г., Тertyшный А.Т. Местное самоуправление: история и современность, Екатеринбург. 1998.
 29. Арановский К. В. Государственное право зарубежных стран. М., ФОРУМ-ИНФОРМ, 1998.
 30. Вороненко А.В. Местное управление и самоуправление в крупных городах зарубежных стран. М., 1990.
 31. Гизевнус В. Политика местного самоуправления в ФРГ. 1995.
 32. Давей К. Бюджетная децентрализация // Государственное управление в переходных экономиках, 2000.
 33. Демократия и местное самоуправление. М., 1994.
 34. Децентрализация: Эксперименты и реформы./Под редакцией Т. Хорвата, 2000.
 35. Драго Р. Административная наука, 1982.
 36. Ерошенко Н.Н. Опыт самоуправления территорий за рубежом. Киев, 1992.
 37. Институты самоуправления: историко-правовое исследование. М., 1995.
 38. Кудинов О.А. Муниципальное право РФ.М., 2000.
 39. Курашвили К. Федеративная организация российского государства. М., 2000.
 40. Маклаков В.В. Иностранное конституционное право. М., 1999.
 41. Местное самоуправление в зарубежных странах. //Информационный обзор. М., 1994.
 42. Местное самоуправление: проблемы и перспективы./ Под. редакцией М.Б.

- Горного. - "Стратегия", 1997.
43. Местные органы власти: социально-экономические аспекты деятельности. М., 1993.
 44. Никифорова Н.В. Финансовая база местных органов власти западных стран. М., 1994.
 45. Организация местной власти В Европе и США. Центр прикладных политических исследований ИНДЕМ. М., 1991.
 46. Разработка новых правил в старых условиях/Под редакцией И. Мунтяну и В. Попа, 2001.
 47. Реформа государственного управления в странах СНГ// Институт открытого общества, 2002.
 48. Семско Г.В. Муниципальная собственность и сфера общественных услуг: Проблемы приватизации. М., 1994.
 49. Сокращение роли государства: Государственное управление и человеческое развитие в восточной Европе и СНГ. Права Человека, М., 1997.
 50. Устав города Москвы, 1996.
 51. Фрекон Жан-Клод. Финансовые ресурсы местных властей по отношению к их компетенциям: анализ принципа субсидиарности. Страсбург, 2000.
 52. Харлюер Э. Местные органы власти в Европе. М., 1992
 53. Хетгрут С., Курнваль К., Рибердаль К., Рюдебек К. Местное самоуправление в Швеции, 2000.
 54. Холисс Г., Плокер К. На пути к демократической децентрализации: Перестройка региональных и местных органов власти в новой Европе, 1995.
 55. Черкасов А.И. Сравнительное местное управление: Теория и практика. М., 1998.
 56. Ясюнас В. Местное самоуправление: Комментарии, разъяснения. М., 1997.
 57. Decentralization and Strengthening of Local Self-Government. Local and Regional Authorities in Europe, №48. Council of Europe Press, 1992.
 58. Electoral Systems. A World-Wide Comparative. Study, 1992
 59. Magistrat der Stadt Wien. Referatsunterlage. 1998.
 60. Law on Organization and Functioning of Local Government of the Republic of Albania, 2000.
 61. Status and Working Conditions of Local and Regional Elected Representatives. Basic principles. Study No 46. Council of Europe Press, 1992.
 62. Structure and Operation of Local and Regional Democracy in Greece. Ministry of Interior Public Administration and Decentralization, 2001.

ევროპის ქარტია ადგილობრივი
თვითმმართველობის შესახებ

სტრასბურგი 15. X. 1985

პრეამბულა

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დასაცემის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას;

ითვალისწინებენ რა, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს მმართველობის სფეროში ხელშეკრულებების დადება;

ითვალისწინებენ რა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს;

ითვალისწინებენ რა, რომ მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში, წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის;

ითვალისწინებენ რა, რომ სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზება;

დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა;

აყნობიერებენ რა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დასაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის;

ამგვიცებენ რა, რომ ეს გულისხმობს ხელისუფლების ისეთი ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე, დემოკრატიული გზით შექმნილი ორგანოების მიერ, და რომლებსაც გააჩნიათ ფართო ავტონომია მათი კომპეტენციის განხორციელებისა და ამისათვის აუცილებელი სახსრების მხრივ; შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, მიიჩნიონ თავი ვალდებულად ქვემოთ მოცემული მუხლებით ამ ქარტიის მე-12 მუხლით დადგენილი წესითა და ზომით

ნაწილი I

მუხლი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძველი

ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარებული იქნება შიდა კანონმდებლობით და შესაძლებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციით.

მუხლი 3. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსუეცია

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

2. ამ უფლების განხორციელება ხდება საბჭოების ან ასამბლეების მიერ, რომლებიც შედგებიან პირდაპირი, თანაბარი და საყოველთაო ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან და რომლებთანაც შეიძლება არსებობდნენ მათ წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები. ეს დებულება არანაირ ბეგაუღენას არ ახლენს მოქალაქეთა მოსაწილეობაზე ასამბლეებში, რეფერენდუმებში და ნებისმიერი სახის პირდაპირ მონაწილეობაზე იქ, სადაც ეს კანონით ნებადართულია.

მუხლი 4. ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის სფერო

1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძირითადი უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა განისაზღვრება კონსტიტუციით ან კანონით. ამასთან, ეს დებულება ხელს არ შეუშლის კანონის შესაბამისად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის დამატებითი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების მინიჭებას საქციალური მიზნებით.

2. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში, აქვთ სრული თავისუფლება განხორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან, რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს.

3. როგორც წესი, სახელმწიფო უფლებამოსილებების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის

მოქალაქეებთან. მოვალეობების გადანაწილება სხვა ორგანოსათვის უნდა მოხდეს შესაბამისი ამოცანების მოცულობისა და ბუნების, ასევე ეკონომიკისა და ეფექტურობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, როგორც წესი, იქნება სრული და ექსკლუზიური. იგი არ შეიძლება იქნას შემლუღული სხვა ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოს მიერ, კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა.

5. ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოების მიერ უფლებამოსილებათა დელეგირების შემთხვევაში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ენიჭებათ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავისუფლება მოახდინონ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით.

6. რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უნდა გაეწიოთ კონსულტაციები სათანადო დროს და შესაბამისი გზებით ყველა იმ საკითხის დაგეგმვასა და მათზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც მათ პირდაპირ ეხებათ.

მუხლი 5. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციული საზღვრების დაცვა

ცვლილებები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციულ საზღვრებში არ იქნება შეტანილი შესაბამის ადგილობრივ ორგანოსთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე, შესაძლებლობის შემთხვევაში, რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით იქ, სადაც კანონით ეს ნებადართულია.

მუხლი 6. შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურები და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ამოცანების წყარო

1. უფრო ზოგადი საკანონმდებლო დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ თავიანთი შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურები იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი მისადაგება ადგილობრივ საჭიროებებთან და უზრუნველყოფილი იქნას ეფექტური მართვა.

2. თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოხელეთა სამსახურის პირობები უნდა იძლეოდნენ იმის საშუალებას, რომ მოხდეს მაღალკვალიფიციური პერსონალის დაქირავება დამსახურებისა და კომპეტენცურობის საფუძველზე. ამ მხრივ უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული მომზადების ადექვატური საშუალებები, ანაზღაურება და სამსახურობრივი დაწინაურების საშუალება.

მუხლი 7. პირობები, რომელთა მიხედვითაც ხდება უფლებამოსილებათა განხორციელება ადგილობრივ დონეზე

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩეული წარმომადგენლების სამსახურის პირობებით უზრუნველყოფილი იქნება მათი ფუნქციების თაღისუფალი განხორციელება.

2. ამ პირობებით უზრუნველყოფილი იქნება სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების დროს გაწეული ხარჯების შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, ისევე, როგორც სათანადო შემთხვევებში, კომპენსაცია სახსრების დაკარგვის შემთხვევაში ან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება და შესაბამისი სოციალური დაცვა.

3. ნებისმიერი ფუნქცია ან საქმიანობა, რომელიც განიხილება, როგორც შეუთავსებელი ადგილობრივ არჩევით თანამდებობასთან, განისაზღვრება კანონით ან ძირითადი სამართლებრივი პრინციპით.

მუხლი 8. ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობაზე

1. ნებისმიერი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე შეიძლება განხორციელდეს კონსტიტუციით ან კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და მათ მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. ნებისმიერი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე, როგორც წესი, მიზნად ისახავს კანონსა და კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის მიღწევას. ამასთან, ადმინისტრაციული ზედამხედველობა შეიძლება განხორციელდეს მაღალი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ იმ ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც მათი დელეგირებული აქვთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის.

3. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობა განხორციელდება ისეთი ვზით, რომ მაკონტროლებელი ხელისუფლების ორგანოს ჩარევა პროპორციაში იყოს იმ ინტერესების მნიშვნელობასთან, რომელთა დაცვაც არის განზრახული.

მუხლი 9. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური სახსრები

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში გააჩნდეთ საკუთარი ფინანსური სახსრები, რომელთა განკარგეაც მათ შეეძლება მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

2. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროები

თანაზომიერნი უნდა იყვნენ კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ მათ უფლებამოვალეობებთან.

3. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროების თუნდაც ნაწილი უნდა შემოდის ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომელთა ოდენობის დადგენაც შეუძლიათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კანონის ფარგლებში.

4. ფინანსური სისტემები, რომლებსაც ეუფლებიან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა სახსრები, უნდა იყოს საკმარისად მრავალფეროვანი და მოქნილი, რათა ამ ორგანოებს საშუალება ჰქონდეთ, იმდენად, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება, გაითვალისწინონ მათი ამოცანების შესრულებისას გაწეული რეალური ხარჯების ბალანსი.

5. ფინანსურად სუსტ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა დაცვა მოიხზოს ფინანსური გათანაბრების პროცედურების ან სხვა შესაბამისი ზომების გაგარებას, რომელთა დანიშნულებაა გამოასწორონ ფინანსების პოტენციური წყაროებისა და ფინანსური ვალდებულებების არაადეკვატური განაწილების შედეგები. ამგვარი პროცედურები ან ზომები არ შეზღუდავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თავისუფლებას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

6. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან სათანადო წესით უნდა გაიმართოს კონსულტაციები იმ ვგების შესახებ, რომლებითაც უნდა მოხდეს მათთვის გათვალისწინებული სახსრების გადანაწილება.

7. იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სუბსიდიები არ იქნება გამოყენებული სპეციალური პროექტების დასაფინანსებლად. სუბსიდირება არ მზღდავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თავისუფლებას, გააგარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.

8. კაპიტალური ინვესტიციების მიღების მიზნით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის კანონის ფარგლებში ხელმისაწვდომი იქნება კაპიტალის ეროვნული ბაზარი.

მუხლი 10. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება გაერთიანებაზე

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, მათი უფლებამოსილებების განხორციელებისას, უფლება აქვთ ითანამშრომლონ და კანონის ფარგლებში შექმნან გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან, რათა შეასრულონ საერთო ინტერესებში შემავალი ამოცანები.

2. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლება, ეკუთვნოდნენ

გაერთიანებას მათი საერთო ინტერესების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთაშორისო გაერთიანებას, აღიარებული იქნება თითოეულ სახელმწიფოში.

3. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი პირობების დაცვით, ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ ორგანოებთან.

მუხლი 11. ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი დაცვა

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ სამართლებრივი ზომები მათი უფლებამოსილებების თავისუფალი განხორციელების და ადგილობრივი თვითმმართველობის ისეთი პრინციპების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, რომლებიც დაყუდებული არიან კონსტიტუციით ან შიდა კანონმდებლობით.

ნაწილი II. სხვადასხვა დებულებები

მუხლი 12. ვალდებულებები

1. თითოეული მხარე ვალდებულია იღებდეს აღიაროს, რომ იგი ვალდებულია ქარტიის 1-ლი თავის სულ მცირე 20 პუნქტით, რომელთაგან არა ნაკლებ ათი არჩეული უნდა იქნეს ქვემო პუნქტებიდან:

- მუხლი 2,
- მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები,
- მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტები,
- მე-5 მუხლი,
- მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი,
- მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი,
- მე-9 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები,
- მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი,
- მე-11 მუხლი.

2. თითოეული ხელშემკერედი სახელმწიფო, მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობებს იმ პუნქტებს, რომელთა შერჩევაც მოხდება 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

3. ნებისმიერ მხარეს, მოგვიანებით ნებისმიერ დროს, შეუძლია შეაგყობინოს გენერალურ მდივანს, რომ იგი თავს მიიჩნევს ვალდებულად ამ ქარტიის ნებისმიერი პუნქტით, რომელიც მანამდე არ იქნა მიღებული ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულების შესაბამისად. შემდგომში აღებული ამგვარი ვალდებულებები განიხილება, როგორც მხარის მიერ რატიფიკაციის, მიღების

ან მოწონების შემადგენელი ნაწილი და ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს. რომელიც მოსდევს სამთეიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 13. ხელისუფლების ორგანოები, რომელთა მიმართ გამოიყენება ქარგია

წინამდებარე ქარგიაში განსაზღვრული თვითმმართველობის პრინციპები გამოიყენება თითოეული მხარის გერიგორიაზე არსებული ყველა კატეგორიის თვითმმართველობის ორგანოების მიმართ, ამასთან, თითოეულ მხარეს მისი სარაგიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს შეუძლია განსაზღვროს ადგილობრივი ან რეგიონალური ორგანოების კატეგორიები, რომლებითაც იგი აპირებს შეზღუდოს ქარგიის გამოყენების სფერო ან რომლებსაც იგი გამორიცხავს მისი გამოყენების სფეროდან. მას ასევე შეუძლია ჩართოს ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ან რეგიონალურ ორგანოთა კატეგორიები ქარგიის გამოყენების სფეროში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 14. ინფორმაციის მიწოდება

თითოეული მხარე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გაუგზავნის ნებისმიერ სათანადო ინფორმაციას საკანონმდებლო დებულების ამოქმედებისა და ამ ქარგიის პირობების შესრულების მიზნით მის მიერ მიღებული სხვა ზომების შესახებ.

ნაწილი III

მუხლი 15. ხელმოწერა, რაგიფიკაცია და ძალაში შესვლა

1. ეს ქარგია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რაგიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარაგიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. ეს ქარგია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთეიანი ვადის ამოწურვას თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს ოთხი წევრი სახელმწიფო წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად განაცხადებს თავის თანხმობას, იყოს ვალდებული ქარგიით.

3. ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში განაცხადებს თავის თანხმობას, იყოს ვალდებული ქარგიით, იგი ძალაში

შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას სარატიფიკაციოდ, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 16. გერიგორიული დათქმა

1. ნებისმიერი სახელმწიფოს, ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს, შეუძლია განსაზღვროს ის გერიგორია ან გერიგორიები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ ქარტიის გამოყენება.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოვლიანებით ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის საშუალებით შეუძლია გააერცელოს ამ ქარტიის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა გერიგორიაზე. ამგვარი გერიგორიის მიმართ, ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიან ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ დეკლარაციის მიღების თარიღიდან.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, მასში მითითებული ნებისმიერი გერიგორიის მიმართ შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გავგაზიანის საშუალებით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ექვსთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 17. დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ქარტიის დენონსაცია ხუთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ქარტიის ძალაში შესვლის თარიღიდან. ექვსი თვით ადრე გენერალურ მდივანს ეგზავნება შეტყობინება დენონსაციის შესახებ. ამგვარი დენონსაცია არ მოახდენს ზეგავლენას ქარტიის მოქმედებაზე სხვა მხარეთა მიმართ, იმ პირობით, რომ მათი რიცხვი არ უნდა იყოს ოთხზე ნაკლები.

2. ნებისმიერ მხარეს, წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს მის მიერ მიღებულ ქარტიის 1-ლი ნაწილის ნებისმიერ პუნქტს, იმ პირობით, რომ მხარე ვალდებული იქნება მე-12 მუხლში განსაზღვრული პუნქტების რაოდენობითა და სახით. ნებისმიერი მხარე, რომელიც რომელიმე პუნქტის დენონსაციის შემდეგ ვერ აკმაყოფილებს მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, განიხილება, როგორც მხარე, რომელმაც მოახდინა ქარტიის დენონსაცია.

მუხლი 18. შეგყობინებები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- ა) ხელმოწერის შესახებ,
- ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სივრცის შესანახად ჩაბარების შესახებ,
- გ) ამ ქარტიის მე-15 მუხლის შესაბამისად ძალაში შესვლის შესახებ,
- დ) მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეგყობინების შესახებ,
- ე) მე-13 მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეგყობინების შესახებ,
- ვ) ნებისმიერი სხვა აქტის შეგყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც ეხება ამ ქარტიას.


ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ქარტიას.

შესრულებულია სტრასბურგში, 1985 წლის ოქტომბრის მე-15 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე; ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტიკური, შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სტრუქტურა საქართველოში


1. 1997 წლის 16 ოქტომბერს მიღებული "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონის მიხედვით

I დონე – ადგილობრივი თვითმმართველობა – სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი




II დონე – ადგილობრივი მმართველობა – რაიონი

– ქალაქი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში



II დონე – ადგილობრივი მმართველობა – რაიონი



**აღვილობრივი თვითმმართველობის სფეროში საქართველოს
პარლამენტის მიერ მიღებული კანონები**

1. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ ორგანული კანონი (16.10.1997);
2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებები და დამატებები (2.08.2001);
3. კანონი საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ (20.02.1998);
4. კანონი ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ (29.05.1998);
5. კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოს არჩევნების შესახებ (25.06.1998)*;
6. კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ (26.06.1998);
7. კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ (22.06.1999);

* საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს საარჩევნო კოდექსი (2.08.2001).

ბერმინოლოგიური ლექსიკონი

აღვილობრივი თვითმმართველობა – ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება და შესაძლებლობა, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

აღვილობრივი მმართველობა – სახელმწიფო მნიშვნელობის ადგილობრივი საკითხების ვადაწყვეტა, რომელიც ხორციელდება იმ ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ, რომლებიც დანიშნულია ექსტრალური ან გემდგომი სახელმწიფო ორგანოების მიერ და ანგარიშვალდებული არიან მათსა და მოსახლეობის მიერ უშუალოდ არჩეული ორგანოების წინაშე. თუ მერი არჩეულია მუნიციპალური საბჭოს მიერ და არის მისი უშუალო კონტროლის ქვეშ, მაშინ ის ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის და არა ადგილობრივი მმართველობის ნაწილი.

აღვილობრივი კოლექტივი – ადგილობრივი თვითმმართველობის უფლუ-

ბის მქონე ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა ერთობლიობა.

ალმინისტრასია – 1) მმართველობა, გამგებლობა. 2) მართვა ფორმალურად, ბიუროკრატიულად, მხოლოდ ბრძანებით და ვანკარგულებით, კონკრეტული ხელმძღვანელობის, საქმის ცოდნისა და ახსნა-განმარტებითი მუშაობის ვარყმე.

ალმინისტრასიულ-ტერიტორიული ერთეული – სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, რომლის საზღვრებშიც იქმნება და ფუნქციონირებენ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების და მართვის ორგანოები.

ამტონოზია – სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის დამოუკიდებლად ვანსორციელების უფლება, რომელიც ეძლევა კონსტიტუციითა და სხვა კანონმდებლო აქტებით რომელიც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს.

ასორნეი – 1) შტაგის (ოლქის) პროკურორი, შტაგის (ოლქის) წარმომადგენელი და მისი ინტერესების დამცველი ყველა სიტუაციაში, როდესაც შტაგი (ოლქი) გამოდის სასამართლო პროცესის ერთ მხარედ. ათორნეი – არჩევითი თანამდებობის პირია, რომელსაც არ ჰყავს ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა. 2) აშშ-ს ათორნეი იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული თანამდებობის პირია, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის გამოძიებას ფედერალური კანონების დარღვევისათვის და ასრულებს ამ ამოცანებს 94 ფედერალური სასამართლო ოლქიდან ერთის საზღვრებში.

ასსორი – არჩევითი თანამდებობრივი პირი აშშ-ის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (საგრაფო და ა.შ.), რომელიც ეწევა ვადასახადების სიდიდის ვანსაზღვრას და არეგულირებს დაბეგვრის პრაქტიკულ საკითხებს. ვადასახადების ამკრევი.

ასინზება – სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვანსაზღვრული უფლადი თანხის გამოყოფა დამტკიცებული ხარჯების ვასაწევად.

ასოტორი – არჩევითი თანამდებობრივი პირი (ჩვეულებრივ საგრაფოში) აშშ-ში. სახსრების დახარჯვის მეთვალყურე და საკონტროლო-სარევიზიო ფუნქციების ვანსხორციელებელი.

ბიუჯეტი – სახელმწიფოს საფინანსო ვეგვა, სადაც მოცემულია მისი შემოსავლები და ხარჯები დროის ვარკვეული პერიოდისათვის.

ბორი – 1) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აშშ-ში შემავალი, როგორც წესი, არა უმეტეს 10 ათას კაციანი მოსახლეობის მქონე საგრაფოს შემადგენლობაში, 2) ქალაქი, წარმოდგენილი დიდი ბრიტანეთის პარლამენტში ერთი ან მეტი დეპუტატით, 3) ერთი რაიონი ლონდონის 32 ადმინისტრაციული რაიონიდან, ზოგჯერ მსხვილი ქალაქის რაიონი, 4) პატარა ქალაქი, ქალაქის ტიპის დაბა, რომელსაც აქვს მუნიციპალური საბჭო (დიდი ბრიტანეთი).

ბერმინისტრი – იგივეა, რაც მერი ვერმანიაში.

ბალსახალი – ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში საველ-

დებულო შენაგანი, რომელსაც იხდის სახელმწიფოს იურიდიული ან ფიზიკური პირი. იგი არის ბევარი, რომელიც დაწესებულია სახელმწიფოს მიერ კერძო პირების შემოსავალზე ან მოგებაზე, საქონლის გამოყენებაზე ან მომსახურებით სარგებლობაზე და ქონებაზე. ვადასახადების საშუალებით სახელმწიფო ერთის მხრივ, აყალიბებს ბიუჯეტს და მეორეს მხრივ, არეგულირებს ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის ხასიათს.

ბავლენის ფელქირაბუი სუარო – ადვალაბზე სახელმწიფო მმართიელობის ფუნქიათა ნაწილი, რომელიც სათანადო რესურსებითურთ ღრობით გადაეყება თვითმმართიელობის ადვილობრივ ორგანოების კომპეტენციაში.

ბრანბბი – საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ან რომელიმე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრები. როგორც წესი, ისინი უკან არ ბრუნდებიან და აქეთ მიზნობრივი ხასიათი.

ბბბრანბორი – ამა თუ იმ გერიგორიული ერთეულის უმალესი თანამდებობის პირი. მაგალითად, შტატის აღმასრულებელი მეთაური აშშ-ში და პროვინციისა იაპონიაში.

ლაშინანსება – სახელმწიფო ფულადი სახსრების მიზნობრივი გამოყენება უკან დაუბრუნებლად.

ფელქირაბა – პასუხისმგებლობის გადაეყმა.

ფკონსენტრასია – სახელმწიფოს, ე. ი. მმართიელობის ცენტრალური ა.პარატის მიერ ხელისუფლებრივი უფლებამოსილების დელეგირება მის სტრუქტურულ რეოლებზე პერიფერიებში.

ფმანტრალიზასია – ხელისუფლებრივი უფლებამოსილების დელეგირება ერთი იურიდიული პირიდან მეორეზე, სახელმწიფოდან ადვილობრივ კოლექტივზე ან საზოგადოებრივ თვითორგანიზაციაზე.

ფპარტამენტი – 1) ზოგიერთი ფედერალური და სამშატო უწყების სახელწოდება აშშ-ში; 2) შუალედური ადმინისტრაციულ-გერიგორიული ერთეული საფრანგეთში.

ფუიიბი – ხარჯების ვადამეგება შემოსავლებზე.

ფულასია – ფასების საერთო ღონის დაწევა.

ფობასია – ფულადი დახმარება: სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ვაცემული ფულადი სახსრები ღარგების, ფირმების, საწარმოების შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის დასაფარავად ან სხვა მიზნებისათვის.

მასკლუბიური უშლბამონსილა – ადვილობრივი თვითმმართიელობის ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მას მინიჭებული აქვს და ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

მლიი – ყველაზე უფრო პატარა მუნიციპალური ერთეული აშშ-ის ზოგიერთ შტატში, უფრო პატარა, ვიდრე ქალაქი, მაგრამ ზოგჯერ ქალაქის სტატუსის მქონე.

მმართველობის ყველაზე მარტივი და განუვითარებელი სისტემით.

თქმე - 1) სიჯივის ფართო მნიშვნელობით – სხვადასხვაგვარი ერთობა: საქალაქო კომუნები, სასოფლო საზოგადოება, სათემგომობები, რელიგიური, მიუღ რიგ ქვეყნებში – აღმინისგრაიულ-გერიგორიული ერთეული. 2) ხალხის გაერთიანება წარმოების სამუშალებებზე კოლექტიური ფლობის და მთლიანი ან ნაწილობრივი თვისმმართველობის საუქუქელზე. ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების თაუდაპირველ საუქუქებზე არსებობდა იჯახური და გვარონეული თემი.

თქმის ღირაქტორი – ბურგომისგრის თანამღებობის სახელწოღება გერმანიის ზოგიერთ (უმთაერესად ჩრდილოეთ) მხარეში.

მარარაქი – მართვის სისტემაში წოღებათა ისეთი განლაგების პრინციპი, რომლის დროსაც მართვის ფუნქციები თანადაქვემღებარებულ (უმალესიდან უმღაბლესისაკენ) პირთა შორის ნაწილღება.

ინქორპორაქი – ახალი მუნიციპალიტეტის წარმოქმნის პროცესი აშშ-ის აღვილობრივი თვითმმართველობის სისტემაში.

ინშლასი – ფასების საერთო დონის მრღა.

პანონი – 1) აუცილებელი არსებითი, მყარად განმეორებადი ურთიერთობანი მოვლენათა შორის; 2) სახელმწიფო ძალაუფლების უმალესი ორგანოს ნორმატიული აქტი, რომელიც კონსტიტუციის მიერ დაღვნილი წესითაა მიღებული.

პანტონი – რამღენიმე კომუნის გამაერთიანებელი საარჩიენო ოლქი საფრანგეთში, შვეიცარიაში.

პენსტორი – ოლქის საბჭოს წევრი იგალიაში.

ქლქი – 1) არჩევითი თანამღებობა აშშ-ის საგრაფოებში, თაუნშიქებში და ა.შ. მუნიციპალური საბჭოს მღიენის ფუნქციის შემსრულებელი; 2) დიდი ბრიგანეთის ქალაქებში აღვილობრივი საბჭოს მღიენი (სახელმწიფო მოსამსახურე, რომელსაც უკავია მუღმივი თანამღებობა საბჭოს არჩიენების შეღეგებისა და ხელმღღვანელობის შეუღლის მიუხედავად).

ქომუნა – 1) კოლექტივი აღამიანებისა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთად შრომობენ და ქონებაც საერთო აქეთ; 2) საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში აღმინისგრაიულ-გერიგორიული ერთეული.

ქომუნალური მმართველობა – აღვილობრივი მმართველობის სახელწოღება გერმანიაში.

ქორქაქი – არჩევითი ორგანოს შეუქება ახალი წევრით მორიგ არჩიენებამღღ.

ქორქენარი – არჩევითი თანამღებობრივი პირი თვითმმართველობის აღვილობრივი ორგანოებთან აშშ-ში და დიდ ბრიგანეთში; არჩიეს ძალადური მქეღელობის ან საეჭუო მღგომარეობაში უკაბელი სიქეღილის საქმეებს (ჩეუღებრივი ნაუიცი მსაჯუღების დახმარებით).

კრაისტატი – რაიონის წარმომადგენლობითი ორგანო გერმანიაში.

კრედიტი – სესხი, ვალი. კრედიტი გაიყემა გარკვეული ვალით და უკან ბრუნდება სარგებელთან ერთად.

ლანდრატი – რაიონის (ქალაქ-რაიონის) აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური გერმანიის ზოგიერთ მხარეში.

ლანდტაგი – მხარის ან ოლქის წარმომადგენლობითი ორგანო გერმანიაში და ავსტრიაში.

ლენინლაბორ – შტატის წარმომადგენლობითი ორგანო აშშ-ში.

ლორდ-მერი – მუნიციპალიტეტის მეთაურის გიგული ინგლისის, უელსის და ჩრდილოეთ ირლანდიის ზოგიერთ მსხვილ ქალაქებში.

მაჰისტრატი – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქალაქის მმართველობა, მუნიციპალიტეტი.

მანკომენიდალი – მუნიციპალიტეტთა გაერთიანება ესპანეთში.

მეტროპოლიტენური საბრაშო – დიდი ბრიტანეთის (ინგლისის) აღმზინსტრაციულ-გერიგორიული ერთეული, ქალაქის ავლომერაიცია, წარმოქმნილი მსხვილი ცენტრის უახლოეს ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებთან მერწყმის შედეგად.

მერი – პირი, რომელიც სათავეში უდგას თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს – მუნიციპალიტეტს დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-სა და სხვა სახელმწიფოებში. მას ირჩევენ მუნიციპალური საბჭოს წევრები, ზოგჯერ უშუალოდ მოსახლეობა. ზოგ ქვეყანაში მერს თანამდებობაზე ნიშნავენ და ამტკიცებს ცენტრალური ხელისუფლება.

მერია – ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოს აღმასრულებელი აპარატი.

მთლიანი პროდუქტი პროდუქტი (მპპ) – დროის გარკვეულ მონაკვეთში (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში) ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და საზღვარგარეთიდან მიღებული წმინდა შემოსავლების ჯამი.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) – დროის გარკვეულ მონაკვეთში (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში) ადგილობრივად (ქვეყნის საზღვრებში) წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება.

მუნიციპალიტეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო დასავლეთის ქვეყნებში. გერმანიის “მუნიციპალიტეტი” გამოიყენება, აგრეთვე, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საერთო სახელწოდება.

მუნიციპალური კორპორაცია – ადგილობრივი კოლექტივის სახელწოდება აშშ-ში.

მუნიციპალური მმართველობა – იგივეა, რაც ადგილობრივი თვითმმართველობა.

მუნიციპალური მრჩეველი – მუნიციპალიტეტის წევრი.

მუნიციპალური წარმონაქმნი – ქალაქის, სოფლის დასახლება, რამდენიმე დასახლება, გაერთიანებული საერთო გერიტორიით, დასახლების ნაწილი, სხვა დასახლებული გერიტორია, რომლის ფარგლებში ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა, არის მუნიციპალური საკუთრება. ადგილობრივი ბიუჯეტი და ადგილობრივი თვითმმართველობის არსებითი ორგანოები.

მხარე – უელერაიის სუბიექტი გერმანიაში; საკუთარი კონსტიტუციისა და ხელისუფლების ორგანოების მქონე ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეული.

ოპლიტბსია – მთავრობის მიერ სესხის აღების მიზნით გამოშვებული, მყარი საპროცენტო ვანაკეთის მქონე ვრძელვადიანი ფასიანი ქაღალდი.

ოლ:ი – 1) ლეპარტამენტის ნაწილი (100-150 კომუნა) საფრანგეთში 1982 წლის რეფორმამდე; 2) უმაღლესი ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეული გერმანიის მიწებში; 3) ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეული ლიდ ბრიტანეთში (შუალედური – ინგლისში, უელსში და მოტლანდიაში და უდაბლესი – ჩრდილოეთ ირლანდიაში) და სხვა ქვეყნებში.

ოლდერმენი – 1) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საბჭოს წევრი აშშ-ის მუნიციპალურ წარმოქმნათა უმეგესობაში; 2) მუნიციპალიტეტის უფროსი მრჩეველი ლიდ ბრიტანეთში.

ოპბპლსმენი – ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათ დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას, ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის და იურიდიულ პირთა საქმიანობას, აუხსებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, აძლევს რეკომენდაციებს და წინადადებებს, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სუეროში. უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.

პბტსია – მოქალაქეთა კოლექტიური შუამდგომლობა, რომელიც წარუდგინება სახელმწიფოს მეთაურს, ან ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს.

პრეშე:ბი – სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და, ამავე დროს, ლეპარტამენტის ადმინისტრაციის მეთაური საფრანგეთში 1982 წლის რეფორმამდე.

პრეშე:ბპრა – უმაღლესი ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეული იაპონიაში.

პროვინსია – შუალედური ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეული იტალიაში.

რაიონის ლირე:ბრო – რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური გერმანიის ზოგიერთი მიწაში (შეადარეთ ლანდრაგს).

რბტშა – ეეროპის ზოგიერთ ქვეყანაში – ქალაქის თვითმმართველობის მენობა.

რეპიონი – გერიტორიული ერთეული, რომელიც სახელმწიფოს დონის შემდეგ მომდევნოა და უღობს თვითმმართველობის საკუთარ სისტემას. უმაღლესი ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეული საფრანგეთში.

რესპუბლიკის კომისარი – სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი დეპარტამენტში (საფრანგეთი).

საბაპნტო – ზოგიერთი ფედერალური ან შტატის უწყებათა სახელწოდება აშშ-ში.

საბიუჯეტო პროსესი – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონით რეგლამენტირებული საქმიანობა ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, მიღების და შესრულებისათვის.

საბიუჯეტო სისტემა – ბიუჯეტების ერთიანობა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის ადმინისტრაციულ-გერიტორიულ მოწყობას, ეკონომიკურ ურთიერთობებსა და იურიდიულ ნორმებს.

საბადასახალო ბაზა – მთლიანი ფულადი ფონდი, რომელიც უნდა დაიბეგროს. მაგალითად, სამემოსაულო გადასახადის ბაზა არის ამ გადასახადით დაბეგრას დაქვემდებარებული მთლიანი შემოსავლები, ხოლო მოგების გადასახადის ბაზა კი – ყველა იმ მოგების ჯამია, რომელიც ამ გადასახადით იბეგრება.

საბრაშო – აშშ-ში შტატის, დიდ ბრიტანეთში და სხვა ქვეყნებში ძირითადი ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეული.

სამრეპლო – ქვედა ადმინისტრაციულ-გერიტორიული ერთეული დიდ ბრიტანეთში (ინგლისში).

სახელმწიფო მმართველობა ალბილებში – საერთო-სახელმწიფოებრივ სამსახურთა საქმიანობა უშუალოდ ადგილობრივი ცხოვრების ცალკეული მხარეების მართვის სფეროში.

სინდიკატი – იგივეა, რაც თემის მერი იტალიაში.

სითი – 1) ქალაქი აშშ-ში, რომელსაც აქვს მუნიციპალიტეტი, მკაფიოდ განსაზღვრული გერიტორიული საზღვრები და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების განვითარებული სისტემა (როგორც წესი, ეს არის დიდი და სამუშაო ქალაქები); 2) ლონდონის ისტორიული ცენტრი, თვითმმართველი ადმინისტრაციული რაიონი.

სითის ლორდ-მერი – ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში (სითი) თვითმმართველობის ადმინისტრაციული რაიონის მეთაურის ტიტული; აირჩევა ერთი წლით.

სეკსტრი – საბიუჯეტო ხარჯების ყოველთვიური პროპორციული შემცირება ბიუჯეტის ხარჯების ყველა მუხლის მიხედვით დარჩენილი საფინანსო წლის მანძილზე.

სეპარატი – აშშ-ის გერიტორიის ნაწილი, რომლის საზღვრებში იქმნება და ფუნქციონირებენ ადგილობრივი ცხოვრების რომელიმე სფეროს

განმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (განათლების, სახანძრო, გზის და სხვა ოლქები).

სუბპენსია – სახელმწიფოს მიერ ფინანსური დახმარების გაწვევის ფორმა ცალკეული დარგების, ფირმების, საქმისწარმოებისადმი ვარკვეული მიზნების მისაღწევად. სუბენცია ექვემდებარება დაბრუნებას მისი არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში.

სუბსილია – ფინანსური დახმარება.

სუბსილიარობის პრინციპი – კომპეტენციათა გადაცემა იმ ორგანოთა განმგებლობაში, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან.

ტრანსჴერი – ცალკეული გერიგორიისათვის, ფირმისათვის, ოჯახისათვის ფულის გადაცემა სუბსიდიების (გრანტების) ფორმით.

პრბანიზაცია – საზოგადოებაში ქალაქების როლის ზრდის ისტორიული პროცესი. მის მთავარ მანიუენებელს ქალაქების მოსახლეობის წილის ზრდა წარმოადგენს. საფუძველი ჩაუყარა XVIII - XIX ს.ს. სამრეწველო რევოლუციამ.

შისპალური პოლიტიკა – სავადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა. სავადასახადო სისტემისა და სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის სათანადო მართვით ეკონომიკურ აქტიუობაზე გემოქმედების მექანიზმი.

ფულაღი (მონებარული) პოლიტიკა – ეკონომიკურ აქტიუობაზე გემოქმედება ფულის მოცულობის, დაკრედიტებისა და საპროცენტო ვანაკვეთების სტრუქტურის სათანადო მართვით.

ქალაქი-რაიონი – რაიონის სტატუსის მქონე ქალაქი გერმანიის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში.

ხამონაღარი – არჩევითი თანამდებობრივი პირი, აღმინისტრაციულ-გერიგორიული ერთეულის (სავრაფო, თაუნშიპის და ა. შ.) ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციის შემსრულებელი აშშ-ში.

შტატი – ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოებრივ-გერიგორიული ერთეული, რომელსაც აქვს თვითმმართველობა.

ჩრდილოვანი ეკონომიკა – ფარული ეკონომიკური ვარიეტების (ალურიცხაეი საქმიანობის) ერთობლიობა, რიომლის მიზანია ვადასახადებიდან თავის არიდება ან არალეგალური ქმედების დაბალვა.

ქნბა – თვითმმართველობის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების სახელწოდება იტალიაში.

ბონეპის ხმა

აბათურბო იხი ცუდად აბ უიციოთ, რაც ყუილამ რუნდა უიციოიოთ: კანთნი.
მალგაკი

მაცთნთმის სწაულა ითლია, მართუის ძნელი.
გთოთუ

კანთნის აბსი - ადამიანის სიყვარულია.
მუქსპირი

თაუისუთუიმა მდგომარეობის იმაში, რთმ იყო დამთვიდუილი მსოლთდ
კანთნიმისაგან.
უთლფობი

ადამიანს გამთაჩუნს სელისუთუიმა.
პიფფაკი

აბასდრთს აბ კუთდუიმა დიდი სადმუ დიდი სიმბუილუიუმის გარუი.
უთლფობი

მუიბი რუნდა უისწაულთთ, რთმ ცთფა მანინც უიციოიოთ.
მთნფუსკიი

მუიბნიურბმა აბ აბსუბთმს თაუისუთუიუმის გარუი, თაუისუთუიმა
თუითმმართუილთმის გარუი, თუითმმართუილთმა კონსფიფუციიურბთმის
გარუი, კონსფიფუციიურბთმა ზნობრბთმის გარუი და აბცურბთი ამ
მთნაპთუარბთაგანი აბ მიილწუკა სფამილურბთმისა და წიქარბგის გარუი.
კ. რთსიფთბი

ჰაიატა რეკეაჲა
რომან . კუსიანი

აღბილობრიჲი ხელისუჲლების განხორციელების
ჴორმები საგლჲარბარეთის ქვეყნებში
და საქართჲველოში

კომპიუტერული უბრუნველყოფა – მარინა წიკლაური

ქალალდი – 65 გრ.

ბეჲდვა – ოჲსეგური

ტირაჲი 1500



გამოცემულია შჲს "ჴინანსჲვში"

✉ ქ. თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. № 70. ☎ 25-02-60; 25-03-60